კვირის პალიტრა
გზა
N39 (329) 2
ფასი 60

1168
2006

გზავნილები
თბილისელი „სვეტები“ და სადისტი ფილიფილი

ქართველი ემიგრანტი რუსული შოუბიზნესის დაპყრობას ლამობს

ეკა კახიანი მალხაზ ქვრივიშვილის სიდედრი გახდა

ტკივილი

აფხაზეთში დაღუპული მამის ცხედარი მარიკა თხელიძეს 8 წლის შემდეგ „უვნებელი“ დაუბრუნდა

სიძე-სიდედრის კონფლიქტი უკვე დაიწყო...

რა დაწერა „ანდერძში“ დიდმა მსახიობმა

სესილია თაყაიშვილის ხიბლი...

ნიკა ქავთარაძემ და მიშა მშვილდაძემ დუტასთან ერთად ოცნება აიხდინეს

11 სექტემბრის ტერაქტი ციფრულმა კამერამ 3 წლით ადრე დააფიქსირა

ჩემი ოჯახი

და მეგობრები

მაგთის ახალი სატარიფო გეგმა

ესაუბრეთ უახლოეს ადამიანებს განსხვავებული, დაბალი ტარიფით!

მაგთის საშუალებით აჩუქეთ მათ სალაპარაკო დრო მაშინ, როცა დაურეკავთ!

როგორ?
ააქტიურებთ სატარიფო გეგმას, ირჩევთ ერთი, ორი ან სამი უახლოესი ადამიანის ნომერს (მაგთის ან გალის აბონენტებს) და სატარიფო გეგმის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში მათთან საუბროთ დაბალი ტარიფით: წუთში 24 თეთრად.

30 დღე იწურება?
ხელახლა აკრიფეთ აქტივაციის კოდი და ისარგებლეთ იგივე პირობით.

„ჩემი ოჯახი და მეგობრები" საჩუქრის გაკეთების საშუალებასაც გაძლევთ!

— ელაპარაკეთ თქვენს მიერ არჩეულ უახლოეს ადამიანებს და ყოველი წუთიდან ისინი საჩუქრად 10 წამს მიიღებენ, თქვენგან და მაგთისგან! 31 დეკემბრამდე!

— ასე დაგროვილ დროს ისინი გამოიყენებენ მაგთის და გალის აბონენტებთან სასაუბროდ.

სატარიფო გეგმის გააქტიურება
აკრიფეთ 44300191 და OK.
აქტივაციის ღირებულებაა 3 ლარი

ნომრის არჩევა ჯგუფის შექმნის მიზნით
აკრიფეთ 44300192, მაგთის ან გალის 9-ნიშნა ნომერი (899XXXXXX, 895XXXXXX ან 898XXXXXX) და OK.

— ჯგუფში ჩაწერილი ნომერი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ 30 დღის შემდეგ.

— ჯგუფში ნომრის შეცვლა ხდება ერთ-ერთი ნომრის ამოშლით და მის ნაცვლად სხვა ნომრის არჩევით.

ნომრის ამოშლა ჯგუფიდან
აკრიფეთ 44300190, 9-ნიშნა ნომერი და OK.

სატარიფო გეგმის სტატუსის შემოწმება
აკრიფეთ 44300199 და OK.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:
სატარიფო გეგმით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ მაგთის წინასწარი გადახდის აბონენტებს.

მაგთიკომი იტოვებს უფლებას შეცვალოს აქციის პირობები, რის შესახებაც 30 დღით ადრე აცნობებს მომხმარებლებს

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲘᲢᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№39 (329)
28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ
— 4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.
2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲘ

...ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲐ!

„ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲒᲝᲒᲝ ᲕᲐᲠ. ᲰᲝᲓᲐ, ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲐᲑᲚᲔᲕᲔᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲯᲔᲠ „ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘ“ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲕᲚᲝ. „ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ“, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘ ᲘᲧᲝ“.

27

ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲣᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲭᲣᲑᲔᲠᲖᲔ

„ᲜᲐᲮᲔ, ᲓᲔ, „ᲐᲓᲘᲐᲚᲐ“ ᲕᲘᲞᲝᲕᲔ, ᲔᲢᲧᲘᲜᲝᲑᲐ, ᲕᲘᲦᲐᲪᲐᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲯᲓᲔᲗ? — ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲐ, ᲘᲡᲔ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ... ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲖᲔ: ᲣᲪᲔᲑ ᲬᲐᲛᲝᲮᲢᲐ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲤᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲡᲬᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲚᲔᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲑᲘᲭᲘ ᲔᲡᲕᲔᲜᲐ...“

22

ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲐᲦᲬᲘᲐ, ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲪᲝᲓᲜᲘᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲘᲪᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, 1858 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ.

34

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

„ᲗᲐᲛᲗᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ, ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ. ᲯᲔᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲓᲒᲝᲛᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ“.

25

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲕᲐᲖᲝ, ᲨᲕᲘᲚᲘᲕᲘᲗ ᲜᲐᲖᲐᲠᲓᲝ“ ᲐᲜᲣ ᲡᲐᲥᲐ-„ᲠᲗᲕᲔᲚᲘ“ — 2006 3
■ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
■ SOS!
ᲗᲔᲛᲣᲠ ᲗᲐᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ! 5
■ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ
ᲨᲣᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲜᲒᲐᲠᲘᲐ (?!.) 7
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲔᲙᲐ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲚᲮᲐᲖ
ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲔᲓᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ 8
■ ᲔᲙᲠᲐᲜᲣᲚ ᲛᲘᲚᲛᲐ
ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲘᲛᲔᲓᲘ“ ᲜᲘᲙᲐ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ? 10
■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
✓ „ᲘᲜᲐᲜᲔᲑ, ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲡ ᲓᲐᲕᲚᲔᲕᲗ“... 14
„ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ“ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲘᲡ ᲜᲐᲥᲝᲜᲘ
✓ ᲗᲝᲤᲘᲗ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ 16
■ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ
ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ 17
■ ᲑᲙᲘᲕᲘᲚᲘ
✓ ᲑᲐᲑᲣᲨᲔᲠᲐᲨᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ, 8-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲛᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲗᲮᲔᲚᲘᲫᲔ 20
✓ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲣᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲭᲣᲑᲔᲠᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲔᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲐᲠᲔᲡ 22
■ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐᲡ ᲚᲐᲛᲝᲑᲡ 25
■ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
...ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲐ! 27
■ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
„ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲞᲐ“... 31
■ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜ „ᲒᲐᲒᲘᲥᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲨᲐᲠᲕᲐᲫᲔ 32
■ ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ
ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐᲖᲔ 33
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 34
■ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ
ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ... 34
■ ᲢᲐᲘᲛ-ᲐᲣᲢᲘ 36
■ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ
ᲖᲐᲖᲐ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ.
ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 38
■ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ
ᲡᲔᲡᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲘᲑᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ 43

■ ჯანმრთელობა

✓ ფილტვები — ორგანიზმის ფილტრი 46

✓ ჭირვეულის მორჯულება 47

■ ასპარეზი

ქართული ჩოგბურთის ისტორიაში უპრეცედენტო წინსვლა 48

■ ქართული დეტექტივი

გოჩა მანველიძე. თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50

■ ვარსკვლავები

„დანნული ადამიანი“ 54

„უსუნო კაცი“ 55

■ თინეიჯერული პონტები

გოგონას მიერ შეცდენილი მომღერალი, შეღებილი თმა და ლოყაზე „მისატული“ ხუთი თითი 57

■ გახსენება

იტალიელი კატენაჩოს ლეგენდა 60

■ სპორტული მოზაიკა 61

■ ტაძარი

სასწაულებრივად გამრთელებული და ერთმანეთს შერწყმული წმიდათანმიდა სხეულები 62

■ დღესასწაული

რატომ ესმოდა ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფლის“ ტკივილი 63

■ ბომონდური მოზაიკა 64

■ პოროსკოპი

კვირის (28 სექტემბერი — 4 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 66

■ ავტო 67

■ შეუცნობელი

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი ციფრულმა კამერამ 3 წლით ადრე დააფიქსირა 68

■ ტესტი 70

■ სკანვორდი 71

■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია

მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49

ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ჯეიროქაი ჯეი კეი

Jamiroquai-ს ფრონტმენმა — ჯეი კეიმ ლონდონის ერთ-ერთ კლუბში ფოტოგრაფს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა. ჯეის ზედმეტად აგრესიული ქცევის გამო, კლუბის მეპატრონეებმა პოლიციას მიმართეს. ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე დაპატიმრებულია, მუსიკოსმა კი ადმინისტრაციული გაფრთხილება მიიღო.

56

სიყვარულისგან „გაგიჟებული“ სალომე შარვაძე

„ჩვენი პირველი პაემანი ბედობის დღეს, მისი დაბადების დღეს შედგა. ამ დღისთვის ერთი თვით ადრე ვემზადებოდი. მახსოვს, წითელი კოლჰოტი და შავი კაბა ჩავიცვი“.

32

სესილია თაქაიშვილის ხიბლი სცენაზე და ცხოვრებაში

„არ ვიცოდი, საქართველოში თუ ასეთ მაღალ დონეზე იყო ფრანგული კომედიური სკოლაო, — თქვა, შეხვდა სესილიას, დაუჩოქა და თქვა: ეს არ არის თქვენი ბებია, ეს ბებიაჩემია, რომელიც ახლაც ცოცხალია და პროვანსში ცხოვრობსო“.

43

ვეღური წაბლის ხეივანი

— სად დავბრძანდები და ვის ვუწვები გვერდით... ვერავის ვერ დაელაპარაკები, ვერც თანამშრომელს, ვერც ნაცნობს, ვერც მეგობარს, ვერც ბიძაშვილს და ვერც მამიდაშვილ-დეიდაშვილს... იმწუთას კუდებს გამოგიბამენ. კუდიანების ქალაქია, რა, დედას გეფიცები! — მართლაც გაკვირვებული იყო გაიოზი.

38

„ვაზო, შვილივით ნაზარდო“ ანუ საქა-„რთველი“ – 2006

ვაზო, შვილივით ნაზარდოო — ტყუილად კი არ უთქვამს ქართველ კაცს. ვენახს მართლა შვილივით უნდა მოვლა, რომ კარგად გაიზარდოს და სოფელ-ქვეყანაზე გასახელოს, მაგრამ რომ გაიზრდება და მოსავალსაც კარგს მოგცემს, ყველაზე მთავარი საზრუნავი სწორედ მაშინ ჩნდება: მას, როგორც შვილს, ისე სჭირდება გზაზე დაყენება და ქალაქში გამგზავრება.

სწორედ ამიტომ შემოჰკრა ჩვენმა პრეზიდენტმა ზარს, ქუდზე კაცი გავიდეს ზვარშიო. გლეხებს შეჰპირდა კიდეც: ნუ გეშინიათ, ხალხო, სეტყვაც რომ მოვიდეს და მთელი მოსავალი ყინულით დაიფაროს, ყინულის მოედანს გავხსნი და ფულს მაინც გააკეთებთო... გახსნის ცერემონიების მოყვარულმა რთველიც საზეიმოდ გახსნა. ახლა, ვენახში ვინ გააბამდა წითელ ლენტს?! ამიტომ ერთი კარგი აკიდო აჭრა და „რთველი — 2006“ ოფიციალურად გაიხსნა.

ასეთი რამ არც ერთ დროს და არც ერთ ქვეყანას არ მოსწრებია: თითო მინისტრს თითო რაიონის მოსავალზე დაეკისრა პასუხისმგებლობა. კარგი, ბატონო, თავდაცვის მინისტრი და შს მინისტრი კიდევ ჰო, მაგრამ ეს სოფლის მეურნეობის მინისტრი მაინც რაღას გარია ამ გაუგებრობაში — სად ჩვენი სოფლის მეურნეობის მინისტრი და სად — სოფელი?! ამ მომღერალ ბიჭს ვენახთან შეხება მხოლოდ სიმღერაში — „ცანგალა ქალაქს წავიდა, ყურძენი მოიპარა“ — თუ ჰქონია. მინისტრებს შორის ყველაზე მეტი მოსავალი კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს აუღია, მაგრამ რად გინდა?! თავისი სამინისტროს სფეროებივით ყველაფერი ერთმანეთში არევია — რქაწითელი, საფერავი და ცოლიკაური ერთად დაუწურია.

მოსავლის აღება ერთია, გასაღება — მეორე. ამიტომ ყველა ჯერ კიდევ მოსულდგმულე ბიზნესმენსა და ორგანიზაციას დაევალა, უფრო სწორად, „ეთხოვა“ 10-10 ტონა ყურძენის შესყიდვა. ყველაზე მეტად ის გამიხარდა, ცნობილმა საგფთიაქო ქსელებმა რომ იყიდეს ყურძენი: იქნებ, ნატურალური ღვინო მართლა წამლად რომ დაგჭირდეს კაცს, აფთიაქში მაინც იყიდო...

სიმართლე უნდა ითქვას: შეიძლება, ეს საარჩევნო კამპანიაცაა, მაგრამ „დაემთხვა“ წლევანდელი მოსავალის აღება და ყურძნის დამწიფება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს და რა ქნან?! თბილისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე რომ ეხმარებიან კახელ გლეხებს, ისე ხარება და გოგიაც არ მოხმარებიან: ვინიცობაა, ამდენმა მაჭარმა არ წაგვლეკოსო და შეჭედეს ნოეს კიდობნისხელა საწნახელი, ჩააყენეს შიგ შვიდ-შვიდი წყვილი საუკეთესო სპორტსმენი, მომღერალი, მეცნიერი, მთავრობის წევრი და აჭყლეტინეს ყურძენი. ამით, ჩამკვდარ ეკონომიკასაც ეშველა ცოტათი: რეზინის ჩექმების წარმოება, სხვანაირი ფეხსაცმელი რომ არ არსებობდა საქართველოში, მაშინაც კი არ ყოფილა ასეთი მომგებიანი. ოღონდ ყურძნის დაწურვაში მიიღო მონაწილეობა და აირჩიე, რა ზომაც გინდა. ახლა, ცოტა თუ „პადიომში“ გიჭერს, არა უშავს, რეზინია და გაიწევს...

თვითონ პრეზიდენტიც, როცა ქვეყანაშია, საწნახელიდან არ ამოდის. გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომიდან ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე საწნახელს მიაშურა. ეს ჩვენი მერიც ხომ შვილივით უგებს! ბავშვი სამსახურიდან მოსულ დაღლილ მამას ჩუსტებს რომ მიურბენინებს კარში, ისე მიაგება „ვალინკები“ და „მრავალჟამიერის“ ფონზე საწნახელში გვერდით დაიყენა — რას ნახავდა თვალი უკეთესს!..

კარგი, ჩვენო ყურძენჭყლეტია ბატონებო, აგერ თბილისობაც ახლოვდება და რაც დარჩა მოუკრეფავ-დაუწურავი, იმასაც წვენს ვადენთ, მაგრამ მერე მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი დამწიფდება და მაშინ რა ვქნათ?! რუსეთმა ჩვენი ციტრუსიც ისევე აკრძალა, როგორც ღვინო. თუმცა რა პრობლემაა? მანდარინიც ჩავყაროთ რიყეზე საწნახელში, დავწუროთ

და მურაბად ან ხილფაფად ვაქციოთ — მშვენიერია, ბავშვები შეჭამენ ზამთარში... მერე კოროლიოკიც დამწიფდება, ბოლოს ზღმარტლიც მოითხოვს დაჭყლეტას. ჩავდგეთ ასე საწნახელში, „ვალინკები“ არა გვაქვს თუ „მრავალჟამიერი“?!

P.S. მთავრობის სხდომაზე:

— მიხო, როგორაა რთველის საქმე, გლეხები კმაყოფილები არიან?

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, ნაწილი გლეხებისა უარს ამბობს: ეს ფასი არ გვაწყობს და საერთოდ არ მოვკრეფთ, იყოს ასეაო...

— ...პრინციპში, არ არის ცუდი აზრი, ხომ შეიძლება გაისად საერთოდ არ მოვიდეს მოსავალი! ჰოდა, ვინც წელს არ მოკრეფს, გაისად გარანტირებული მოსავალი ექნება...

პროვოკატორი

„ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა არ გაგვაჩნია“

— სოხუმის დაცემის დღეს, თქვენი ორგანიზაციის წევრები, ბაღაფშის, არძინბას, ხაჯიმბასა და სხვათა მიმართ დაპატიმრების სანქციის გაცემას ითხოვდნენ. რა შეიცვლებოდა ამით და რატომ არის მისაბაძი აზერბაიჯანის მიდგომა კონფლიქტების დარეგულირების საკითხში?

პაატა დავითაია, *მოძრაობის — „ჩვენ თვითონ“ — ლიდერი:*

— ილჰამ ალიევმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ყარაბაღის პრობლემა მოხსნილიყო. მან თქვა, რომ იქ ირღვევა ადამიანის უფლებები, სომხები მოქმედებენ საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით, რომ იქ არიან დამნაშავეები და კონკრეტულ ადამიანებზე გაიცა საერთაშორისო სანქციები. ორი თვის წინ კი, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია და სომხეთი წარმოაჩინა აგრესორად, რომელმაც აზერბაიჯანის ტერიტორიების ანექსია მოახდინა. კენჭისყრაში მონაწილეობდა რუსეთიც, რომელიც სომხეთის მხარეზეა. აზერბაიჯანმა სერიოზულ შედეგს მხოლოდ იმის წყალობით მიაღწია, რომ მან მომხდარს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. ჩვენ, ბაქიბუქის მეტს, არაფერს ვაკეთებთ. თუ ვაცხადებთ, რომ ანექსია მოხდა, მაშინ ჩნდება ელემენტარული კითხვა — რატომ არ არის გაცემული სანქციები არძინბას, ბაღაფშის, ხაჯინბას, ურამბას დაკავებაზე? თუ ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მაშინ დამნაშავეებად ხომ უნდა ვცნოთ! ჩვენი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა არ გაგვაჩნია. თუ ამ ხელისუფლებისთვის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საკითხი მხოლოდ პოპულისტური განცხადებებისთვისაა საჭირო, მაშინ გასაგებია მისი სრულიად გაუაზრებელი პოლიტიკა; მაგრამ თუ პრობლემის მოგვარებას სწორ სამართლებრივ რელსებზე გადავიყვანთ, შესაძლებელია, ძალის გამოყენებაც არ დაგვჭირდეს. გავიხსენოთ იუგოსლავიის საკითხი: დამნაშავეები თავიანთი ფეხით ჩადიან ჰაგაში. ბევრ აფხაზს და ზოგ ქართველსაც მათ კვალდაკვალ მოუწევს სიარული...

■

რატომ იზრდება ქართული ჯარი?

— პრეზიდენტი სამხედრო კონტინგენტის 28 ათას კაცამდე გაზრდას მოითხოვს. ითვალისწინებს თუ არა ჯარის ყოველწლიურ ზრდას ნატოს წინაშე ნაკისრი ვალდებულება?

კახა კაციტაძე, *სამხედრო ექსპერტი:*

— ყველა ქვეყანამ, რომელიც ნატოში მოხვდა, თავდაპირველად, ორჯერ შეამცირა სამხედრო კონტინგენტი. მაგალითად, პოლონეთმა 400 ათასიდან, 18 ათასამდე ჩამოიყვანა ჯარისკაცთა რაოდენობა. დღევანდელი მონაცემებითაც კი, ქართული ჯარი ბალტიის სამივე ქვეყნის არმიაზე სამჯერ მეტია. ნატო ჯარის შემცირებას მოითხოვს და არა გაზრდას. მთავრობა მის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებზე კი ლაპარაკობს, მაგრამ არაფერს აკონკრეტებს, არადა, მსგავსი საკითხები არც ერთ ქვეყანაში გასაიდუმლოებული არ არის. რატომ უნდა გახდეს ქართული ჯარის რაოდენობა 28 ათასი და არა 50 ათასი? ეს ციფრი ხომ უფრო შთამბეჭდავად ჟღერს!.. ბუნებრივია, საქართველოში, პოლონეთის ან ბალტიის ქვეყნებისგან განსხვავებით, ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა. ჩვენ გვაქვს ორი კონფლიქტური რეგიონი, სადაც საქართველოს იურისდიქციაა აღსადგენი, მაგრამ თითოეული ციფრი დასაბუთებული უნდა იყოს. იმის გამო, რომ ქვეყანას არა აქვს სტრატეგია, არა აქვს საფუძვლიანად განსაზღვრული, თუ რა საფრთხეები არსებობს და რა ტიპისა და მასშტაბის ჯარი გვჭირდება, — პრეზიდენტის ან თავდაცვის მინისტრის მიერ დასახელებული ციფრები ყოველთვის ჰაერიდან მოტანილი იქნება და უამრავ ეჭვს წარმოშობს. როგორც წესი, მსგავსი ინიციატივების დამტკიცება პარლამენტს დაჩქარებულ რეჟიმში უხდება, პასუხგაუცემელი კითხვები კი, კვლავ უპასუხოდ რჩება. დღეს ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, კანონში ისეთი ცვლილებები შედის, რომელსაც არანაირი სამხედრო ლოგიკა არ ახლავს.

■

„შესაძლებელია, ნატოში 2008 წელს მიგვიღონ“

— რას ნიშნავს ნატოსთან ინტენსიური დიალოგის რეჟიმზე ქვეყნის გადასვლა და რატომ ვერ მივიღეთ გაწევრების სამოქმედო გეგმა, რომელსაც ქართული მხარე ელოდებოდა?

შალვა ფიჩხაძე, *ასოციაციის — „საქართველო ნატოში“ ხელმძღვანელი:*

— რიგის სამიტის შემდეგ, იმედი მქონდა, რომ გაწევრების სამოქმედო გეგმას დაგვისახავდნენ. ამას ჩვენი ხელისუფლებაც გვპირდებოდა. მაგრამ ნატოში, ჩვენი წინსვლის ტემპი არ აკმაყოფილებთ, ამიტომ, ინტენსიური დიალოგით შემოიფარგლნენ. ბალკანეთის სამი ქვეყანა — ხორვატია, მაკედონია და ალბანეთი — უკვე 7 წელია, გაწევრების სამოქმედო გეგმას ახორციელებენ. ისინი საუკეთესო შემთხვევაში, ნატოში მიწვევას 2008 წლისთვის ელოდებიან — ანუ გაწევრების სამოქმედო გეგმის განხორციელებას რამდენიმე წელი სჭირდება, ჩვენ კი ჯერ პროგრამაზე მუშაობაც არ დაგვიწყია. აქედან გამომდინარე, იმის პროგნოზს, თუ როდის გავხდებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, ვერავინ გააკეთებს. გამორიცხული არ არის, საქართველო ნატოში მართლაც, 2008 წლისთვის მიიღონ. მაგრამ არა იმიტომ, რომ ნატოს მოსწონს, რაც საქართველოში ხდება, არამედ იმიტომ, რომ დიდია მისი გეოპოლიტიკური ინტერესი ამ რეგიონისადმი. ნატოს აქ სერიოზული მოკავშირე სჭირდება და საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე კარგ პარტნიორადაა აღქმული. ეს გარემოება ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. თუ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება, ეს ქვეყნის საგარეო უსაფრთხოების სერიოზული გარანტი იქნება. მაგრამ საქართველოს დიდი სიფრთხილე მართებს: რუსეთს შეუძლია, აამოქმედოს ბერკეტები და სეპარატისტების გამოყენებით, ამ ალიანსში ჩვენს გაწევრებაზე ნატო დააფიქროს. აკი, ნატოს გენერალური მდივანი ამბობს, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ალტერნატივა არა აქვს.

■

ცნობილი ქართველი მომღერალი — თემურ თათარაშვილი შს სამინისტროს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, თათარაშვილი ნარკოტიკებით ვაჭრობდა. როგორც ამბობენ, ცნობილი მომღერალი იმ მომენტში, როცა პოლიციამ ის სანაპიროზე, „სასწრაფო დახმარება — 03-ის“ ცენტრალური სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე აიყვანა, სუბუტექსის გაყიდვას ცდილობდა და თან 3 აბი ჰქონდა, თათარაშვილის ბინის ჩხრეკისას კი, სამართალდამცველებმა კიდევ 30-ზე მეტი აბი სუბუტექსი აღმოაჩინეს. მომხდართან დაკავშირებით, ინფორმაცია შს სამინისტროს საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილებამ გაავრცელა. მოგვიანებით, შს სამინისტრომ გაავრცელა ვიდეოინფორმაციაც, რომელშიც დაფიქსირებულია დაკავებულის აღიარებითი ჩვენება: მან აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ საფრანგეთიდან მიიღო სუბუტექსის ამბები და მის რეალიზაციას პირველად მიჰყო ხელი.

ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იმ შემთხვევაში, თუკი თათარაშვილს დანაშაული დაუმტკიცდება, კანონის თანახმად, მას საკმაოდ ხანგრძლივი — 6-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

აღნიშნული ცნობა შოკის მომგვრელი იყო როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ასევე თემურ თათარაშვილის მეგობრებისა და ახლობლებისთვის, რასაც მისი კოლეგების სახელდახელო კომენტარებიც ადასტურებს.

თემურ თათარაშვილი ნარკოტიკის რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს!

ხათუნა მაღრაძე

ეკა კვალიაშვილი:

— თემური ჩემთვის მხოლოდ კოლეგა როდია, ჩვენ ერთად გავიზარდეთ. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველებმა ოპერატიული მასალა გაავრცელეს, სადაც თემური თავის დანაშაულს აღიარებს, მაინც მგონია, რომ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი.

— იქნებ, მატერიალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და მისი ქმედებაც ამით აიხსნება. თქვენთან, როგორც მეგობართან, ამაზე არ ულაპარაკია?

— მე ქალი ვარ და მატერიალურ პრობლემებზე მეგობრებთან არ ვლაპარაკობ. მით უმეტეს, რომ თემური არ არის ის კაცი, ვისაც მსგავსი პრობლემა რომც ჰქონოდა, ჩემთან წუწუნი დაეწყო. თუმცა, ამ ქვეყანაზე ყველაფერია შესაძლებელი... უცოდველი მხოლოდ ღმერთია. თემურ თათარაშვილს კი, იმან ესროლოს პირველად ქვა, ვინც თავადაა უცოდველი... თემური საუკეთესო ადამიანია, ის წლების განმავლობაში უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ქართველ მსმენელს. ამ გარემოებას, განაჩენის გამოტანის დროს ხომ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა?!. თანაც, თემური სხვა დროს, არანაირ კრიმინალურ ქმედებაში არ ყოფილა შემჩნეული...

ნეკა სებისკვერაძე:

— ჩემმა მეგობარმა რომ დამირეკა და მითხრა, თემური დაიჭირესო, არ დავიჯერე. ეს ამბავი შოკის მომგვრელი იყო. მე თემურთან უამრავი მოგონება მაკავშირებს, ჩვენ ერთად ბევრი კარგი საქმე გვაქვს გაკეთებული. კონცერტებზე გამოვდიოდით, ამერიკაში გასტროლებზეც ერთად ვიყავით. საოცრად თბილი, ყურადღებიანი ადამიანია. თემური ჩემი საუკეთესო მეგობარია.

— მომღერალმა ნარკოტიკების მოხმარებაც აღიარა, ამის შესახებ თუ იცოდით რაიმე?

— არც მოხმარებაზე და არც რეალიზაციაზე არაფერი მსმენია. თუ რაიმე მსგავსი რეალურად მოხდა, ვისურვებდი, რომ მის მიმართ მკაცრი სასჯელი არ გამოიტანონ. შეცდომა ყველას მოსდის... ჯერჯერობით ისევ შოკში ვარ, თემურის ოჯახში დარეკვაც კი მიჭირს, რა უნდა ვუთხრა მის დედას და მეუღლეს?!.

თათია გიორგობიანი:

— მომხდარით გაოცებული ვარ. ასეთ რამეს ვერასოდეს წარმოვიდგენდი. თემური ჩემზე უფროსია, მაგრამ მას შეეძლო, დიდთან დიდი ყოფილიყო და პატარასთან — პატარა. ჩვენ მეგობრები ვიყავით. საშინლად დამწყდა გული, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამის გაკეთება შეეძლო. მე მაინც იმედი მაქვს, რომ კიდევ რაღაც არის მის საქმეში გასარკვევი, რაც მის ბრალეულობას შეამსუბუქებს. თუ თემური მართლაც, ნარკოტიკების მომხმარებელი და რეალიზატორი იყო, დარწმუნებული ვარ, უკვე ნანობს, ამ საქმეში რომ გაეხვა. მინდა, მის მონანიებას გულისყურით მოეკიდონ და მკაცრად ნუ დასჯიან... ადამიანს ხშირად ეშლება რაღაც, მაგრამ ამის გამო არ უნდა დავივიწყოთ, ვინ არის და რა გაუკეთებია საზოგადოებისთვის.



რასაკვირველია, პიროვნების ღვაწლსა და დამსახურებას საზოგადოების წინაშე დიდი მნიშვნელობა აქვს. ისიც გასაგები და მისასალმებელია, რომ ადამიანები მიმტევებლები იყვნენ. მაგრამ არანაკლებლებ მნიშვნელოვანია, თუ რა ზიანის მომტანია ესა თუ ის ქმედება ამავე საზოგადოებისთვის. ნარკოტიკის რეალიზაცია მძიმე დანაშაულია და ჩვენი დიდი სურვილიცაა, რომ თემურ თათარაშვილს ამ ქმედებასთან კავშირი არ აღმოაჩნდეს. რაც შეეხება მის აღიარებით ჩვენებას, — როგორც ცნობილია, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ ეჭვმიტანილს უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს... ■

სარეპეტიტორო სკოლა

ს ტ ს

ქწფქჭფვუით ფიშეგკშუტეუით
გქფკდუთ თფთცფმდუიდუიOშ
სფთფიფკუიუდშ ეუთეუიშთფემშთJ

ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები, ისტორია

☎ 22 69 15; 91 31 62

„ჯავახკი“ ავტონომიას ითხოვს“

— ორგანიზაცია „ჯავახკი“ კვლავ გააქტიურდა და საქართველოს პრეზიდენტს ისეთსავე ავტონომიის მინიჭებას სთხოვს, როგორიც მიხეილ სააკაშვილმა ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“ შესთავაზა. თქვენი ინფორმაციით, რა ხდება ჯავახეთში?

ვან ბაიბურთი, *საქართველოს პარლამენტის წევრი:*

— ჯავახეთის სომხური მოსახლეობა არანაირ ავტონომიაზე არ ფიქრობს. იქ მცხოვრები ადამიანები დღე და ღამე ლუკმაპურის საშოვნელად შრომობენ და მხოლოდ ერთი რამ აინტერესებთ — რომ ადგილობრივი საკრებულოები უფრო ქმედუნარიანი იყოს და ელემენტარული პრობლემები მოაგვარონ. მათ მხოლოდ კარგად ცხოვრება სურთ. რამდენიმე არანორმალურ ადამიანს ჯავახეთშიც შეიძლება შევხვდეთ და აფხაზეთშიც, რომლებიც ავტონომიის თემაზე მოინდომებენ ლაპარაკს. თუ ორგანიზაცია „ჯავახკის“ წევრებს სურთ, სომხებმა ამ რეგიონში ავტონომია მიიღონ, ეს მხოლოდ შეშლილის ბოდვაა და სხვა არაფერი. საბოლოოდ, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწევენ. ამ არანორმალურებს თავიანთი შეხედულებები აქვთ, საქართველო კი, დემოკრატიული ქვეყანაა და მხოლოდ განსხვავებული აზრის გამო ციხეში არავის ჩასვამენ. მე ზუსტად ვიცი ადგილობრივი სომხების განწყობილება. მათ არც დაპირისპირება უნდათ და არც იარაღის ჟღარუნი. ამ ხალხის გადაბირება და მათ შორის სეპარატისტული განწყობილების გაღვივება თითქმის შეუძლებელია. თუმცა, როგორც ადგილობრივმა, ისე ცენტრალურმა ხელისუფლებამ სოციალური პრობლემების მოგვარებას უფრო მეტი დრო და ფინანსები უნდა დაუთმოს. ჯავახეთის მცხოვრებლებს ძალიან უჭირთ. წლიდან წლამდე, საარსებო მინიმუმის შოვნაც კი გაძნელებულია. როცა ეკონომიკური ფონი მძიმეა, იქ ათასი ვიგინდარა წამოყოფს ხოლმე თავს, თუმცა საქართველოში სომხების ავტონომიის საკითხს რომ არავინ განიხილავს და ნორმალური ადამიანი ამ პროვოკაციას არ წამოეგება, ესეც უდავოა. ■

„ქალაქის მთავრობა მხოლოდ უცხოეთში არ აბანდებს თანხებს...“

— ლეიბორისტები ბრალს სდებთ ქალაქის ხელისუფლებას, რომ მისი წარმომადგენლები უცხოეთში კაპიტალდაბანდებებს ახორციელებენ. კონკრეტულად, რა ბიზნესსააქმიანობაზე გაქვთ ინფორმაცია?

გიორგი გუგავა, *ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:*

— ჩვენ უკვე მივმართეთ თხოვნით იმ ქვეყნების საელჩოებსა და წარმომადგენლებს, სადაც გიგი უგულავა და საკრებულოს თავმჯდომარე ინტენსიურად დაიარებიან — საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, ესპანეთის მთავრობებს — მოგვცენ ინფორმაცია, თუ რა კაპიტალდაბანდებები განახორციელეს ამ პირებმა ბოლო ორი წლის მანძილზე. როდესაც ისინი, პრეზიდენტის მსგავსად, დედამიწის გარშემო დატორღიალებენ ბიუჯეტის ხარჯზე, ვიზიტის ანგარიშს არასოდეს წარმოადგენენ. დღემდე არანაირი შედეგი არ მოგვიმკია. ან რა შედეგი მოჰყვება ვიზიტს, რომელიც პირად ინტერესებს ემსახურება?! მათი მოგზაურობები კი, თბილისის ბიუჯეტს 500.000 ლარზე მეტი დაუჯდა. თუმცა, გიგი უგულავა აქტიურადაა ჩაბმული სამშენებლო ბიზნესშიც. მასთან ერთად არის გიგა ბოკერიაც, უფრო სწორად — მისი მამიკო. თემურ ქურხული — ბიზნესპარტნიორია იმ დაჯგუფებისა, რომელსაც სოსო ორჯონიკიძე განაგებს. ამ ბიზნესჯგუფისა და შესაბამისად, თემურ ქურხულის საკუთრებაა სასტუმრო „კოპალა“. ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა 208 მილიონი ისე გააქრო, რაში დაიხარჯა ეს თანხა — არავინ იცის. ინფორმაციის მიღება მერიაში ფაქტობრივად, შეუძლებელია. ეს თანხა ქალაქის ბიუჯეტის ნახევარს შეადგენს და სად წავიდა, არ უნდა ვიცოდეთ? ერთმანეთის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ თავადაც მშვენივრად იციან, მაგრამ ეს შევარდნაძისეული მეთოდია — გასვაროს ხელქვეითი, რადგან შემდეგ, მისი მართვა ადვილი ხდება. ქურხულებსა და უგულავებს როცა მოესურვებათ, მაშინ ააფარებენ თვალწინ იმ ინფორმაციას, რომელსაც ახლა საზოგადოებასა და ოპოზიციას უმალავენ. ■

„ნაცმოძრაობის“ ბუკლეტი სასიფათოა...

— ოპოზიციამ „დემოკრატიის სირცხვილი“ უწოდა გიორგი ოთიაშვილის წინააღმდეგ საქმის აღძვრას, რომელმაც აგიტატორის მიერ მოტანილი, „ნაცმოძრაობის“ ბუკლეტის დატოვებაზე თქვა უარი. რამდენად გამართულია სამართლებრივი თვალსაზრისით, ოთიაშვილისთვის წაყენებული ბრალდება?

ეკა ბესელია, *ადვოკატი:*

— ისანი-სამგორის პროკურატურის მიერ ამ ინციდენტზე საქმის აღძვრა აბსოლუტურად გაუგებარია. ოთიაშვილმა „ნაცმოძრაობის“ აგიტატორს მშვიდად აუხსნა, რომ ეს ქალბატონი 7-ჯერ მივიდა მასთან სახლში და ხელი მოაწერინა რაღაც დოკუმენტზე... აგიტატორებს მისი პროტესტი არ მოეწონათ. როცა ისიც შეიტყვეს, რომ ოთიაშვილი პოლკოვნიკი იყო, დაემუქრნენ — ა-ა, შენ შევარდნაძის პოლკოვნიკი ხარ?! ყველა აქ მყოფ პირს პოლიციას დავაჭერინებთო... ოთიაშვილის ქმედება ხულიგნობის ელემენტებს არ შეიცავს. ეს ქალბატონები ბატონ გიორგისთან სახლში მივიდნენ, მან კი უბრალოდ, გამოხატა თავისი უკმაყოფილება, მაგრამ აგიტატორებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია. როგორც ჩანს, ამ ყველაფერს, წინასაარჩევნოდ, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ფაქტია, რომ პროკურატურის თანამშრომლებმა დაარღვიეს კანონი, გადააჭარბეს თავიანთ უფლებამოსილებას და განზრახ, უკანონოდ მისცეს პასუხისგებაში უდანაშაულო პირი. ამ სიტუაციაში, უნდა დაისაჯონ ის ქალბატონები, რომლებმაც ცრუჩვენება მისცეს და ოთიაშვილის დაკავების პროვოცირება მოახდინეს. საქმე აღძრულია „ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევის“ მუხლით, რაც თურმე, იმაში გამოიხატება, რომ ოთიაშვილმა „ნაცმოძრაობის“ აგიტატორებს მოვალეობის შესრულებაში შეუშალა ხელი. ის კი აღარავის ახსენდება, რომ კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, არ გაიზიაროს ის აზრი, რომლის გაზიარებაც არ სურს. ■

„შუაში მხოლოდ სანგარია“ (?!..)

„მოსკოვმა თავადაც არ იცის, თუ საქართველოში რისი მიღწევა სურს...“

კრიტიკა შოკოლადი როდია, გიყვარდეს, მას ყველანაირად უნდა გაუმკლავდეთ, — ამბობდა „გენსეკი“ ლეონიდ ბრეჟნევი და თავად მხოლოდ სხვისი და მათ შორის, შიგადაშიგ, იმ დროისთვის თითქმის „სასათბურე პირობებში“ მყოფი საქართველოს ხელისუფლების კრიტიკითაც ირთობდა თავს. კრიტიკისა რა მოგახსენოთ და, შოკოლადი, თანაც მხოლოდ ნაღდი ინგლისური, კი უნდა უყვარდეს საქართველოს ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანსაც, რომელიც ამასთანავე, რუსული სააგენტო „Strana RU“-ს ჟურნალისტის კრიტიკულ შეკითხვებსაც საკმაოდ ჯიქურ უმკლავდება. ისე, „მთლად ჯაბანი“ არც აღნიშნული სააგენტო ჩანს, რადგან, ამის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების საკრიტიკოდ, რუს ანალიტიკოსთა ლამის მთელი არმიის წამოშლასაც კი არ ერიდება. მათგან რამდენიმეს მოსაზრებას, მიხეილ მაჭავარიანის ინტერვიუსთან ერთად, მკითხველს მცირეოდენი შემოკლებით ვთავაზობთ და საბოლოო დასკვნების გამოტანასაც მასვე მივანდობთ...

რუსულან ლებანიძე

მიხეილ მაჭავარიანი: *„ან აქეთ უნდა იყო, ან — იქით, შუაში უკვე სანგარია“...*

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას რთული პერიოდი უდგას. თქვენი აზრით, რა კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი ამ ურთიერთობის მისაღებ ჩარჩოებში დასაბრუნებლად?

— პირდაპირ გეტყვით: ამაზე, სახელმწიფო სათათბიროშიც, სამინისტროებშიც და ჩვენი ქვეყნების პრეზიდენტების ორ შეხვედრაზეც არაერთხელ გვილაპარაკია. მიგვაჩნია, რომ რუსეთს საქართველოსთვის ტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტაში დახმარების გაწევით, ძალზე პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია. მაგრამ სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მოსკოვის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რუსეთს საქართველოსგან რა უნდა. ეს გასაგებად ჯერ ვერავინ აგვიხსნა. ასე რომ, ურთიერთობა ისევ ფუჭდება და დღეს უკვე კრიტიკულ ზღვარსაც კი მიაღწია...

— 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, რუსეთს საქართველოდან წამოსული ემიგრაციის, მათ შორის, პოლიტიკური ემიგრაციის ტალღაც მოაწყდა. როგორ უყურებენ ამას თბილისში?

— რუსეთში დღეს ძალზე დიდი ქართული დიასპორაა, დაახლოებით 200-300 ათასი კაცი ცხოვრობს. მაგრამ სამწუხაროდ, ის ერთიანი არ არის, რაც ალბათ, ჩვენი ეროვნული ხასიათის ბრალია. პოლიტიკურ ემიგრაციას რაც შეეხება, — იმ ადამიანმა, ვისაც რუსეთი პოლიტიკურ ემიგრანტად მიიჩნევს, საქართველოს ექსპრეზიდენტ შევარდნაძეზე მოაწყო თავდასხმა. ის, როგორც ტერორისტი, ისე იძებნება.

— ლაპარაკია იგორ გიორგაძეზე, რომლის პარტიის აქტივისტებიც მთელ რიგ სხვა ოპოზიციონერებთან ერთად, ახლახან თბილისში დააპატიმრეს?

— იცით, ამ დაპატიმრებების შემდეგ თბილისში რა ხდება?.. არც არაფერი. შეგიძლიათ, ჩვენს მთავარ ოპონენტებს: სალომე ზურაბიშვილს, კონსერვატორებს, ლეიბორისტებს ჰკითხოთ; ჰკითხეთ ჩემს კოლეგებს საპარლამენტო უმრავლესობიდან — ისინი ამ ძალას ოპოზიციად არ მიიჩნევენ!

— რუსეთში ამ დაპატიმრებებს ასეთი კომენტარი გაუკეთეს: სააკაშვილი, ძალოვნების ხელით, ოქტომბერში გასამართავ მუნიციპალურ არჩევნებში კონკურენტებს იშორებსო...

— ჩვენ ისედაც გავიმარჯვებთ! ოპოზიციამ სტრუქტურიზება ვერ მოახერხა. ვფიქრობთ, რომ ჩვენ — მე კი, ჩვენი წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლავართ — მოდუნებისთვის დრო არა გვაქვს. თუმცა, ოპოზიციამ უკვე გამარჯვების ყველა შანსი მოგვცა. მან საიმისოდაც კი არაფერი გააკეთა, რომ სერიოზულად თბილისში მაინც შეგვბრძოლებოდა.

— კოდორის ოპერაციასთან დაკავშირებული მოვლენები რუსეთში უკვე დაწვრილებით გაანალიზდა. პირადად მე, ერთი პროფესიული კითხვა მაინც მაქვს — რატომ არ შეუშვეს იქ ჟურნალისტები?

— იქ ანტიკრიმინალური ოპერაცია ტარდებოდა.

— მაგრამ ქართულმა სახელმწიფო არხმა რატომღა გადმოსცა იქიდან კადრები?

— ეს პირდაპირი ჩართვა არ ყოფილა. ის ჟურნალისტი ქალი იქ მხოლოდ მაშინ შეუშვეს, როცა ყველაფერი დასრულდა.

— სხვა ჟურნალისტები რატომღაც არ შეუშვეს...

— შეგიძლიათ, იმის წარმოდგენა, რომ ჩეჩნეთში ანტიკრიმინალური ოპერაცია ტარდებოდეს, ჟურანლისტები კი იქვე, რომელიმე პატარა ბორცვზე იდგნენ და ყველაფერს იღებდნენ?! იქ, სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად, ერთი ჟურნალისტი ქალი იყო შესული. მან რეპორტაჟი გააკეთა, მაგრამ ის მხოლოდ მას შემდეგ აჩვენეს, რაც ყველაფერი დასრულდა...

— კოდორის ხეობაში „აფხაზეთის დეკნილი მთავრობა“ რატომღა გადაიყვანეთ?

გაგრძელება იხ. გვ. 12

ლალი ფაცია

ეკა კახიანი მალხაზ ქვრივიშვილის სიდედრი გახდა

ჟურნალისტი – მალხაზ ქვრივიშვილი
რესპონდენტი – ეკა კახიანი

მას მერე, რაც რეჟისორმა ლაშა ცერიაშვილმა ტელესერიალ „ასაში“ მსახიობების — გოგოლა კალანდაძისა და მალხაზ ქვრივიშვილის გადაღება დაიწყო, ეკა კახიანსაც სთხოვდა — იქნებ რაიმე როლი მოიფიქრო და შენც შემოგვიერთდე სერიალზე მუშაობაშიო. ახალ სატელევიზიო წელს, „ასა 2“-ს მართლაც ახალი პერსონაჟები შეემატნენ. ეკა კახიანს იქ სიდედრის როლის თამაში მოუწევს. სანამ „ასა 2“ „დაიქოქება“, მალხაზ ქვრივიშვილმა და ეკა კახიანმა ჩვენს რუბრიკაში ჟურნალისტის როლები გაითავისეს.

— ეკა, ტელესერიალ „ასა 2“-ში სიდედრის როლს თამაშობ. ფაქტობრივად, ჩემი სიდედრი ხარ. ხომ არ გეხამუშება ეს როლი?

— ამ სერიალში სიდედრის როლის თამაში ჩემი იდეა იყო. შარშან, მთელი წლის განმავლობაში გადამღები ჯგუფი მეხვეწებოდა, მომეფიქრებინა რაიმე როლი და შევსულიყავი „ასაში“. როგორც იქნა, გადავწყვიტე, სიდედრი ვყოფილიყავი. ისე, ცოტა კი ვინანე, თავი ასე რატომ დავიბერე-მეთქი, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ სასაცილო უნდა იყოს, მაყურებელმა შენი სიდედრის როლში მიხილოს *(იცინის)*, რადგან არანაირად სიდედრად არ შეგეფერები, მით უმეტეს, არც გოგოლა კალანდაძეს შევეფერები დედად. საერთოდ, როდესაც როლზე მუშაობას ვიწყებ, ძალიან მიყვარს ექსპერიმენტები. ვცდილობ ხოლმე, როლი საინტერესო, განსხვავებული იყოს, პერსონაჟი მე არ მგავდეს. როლში ისეთივე არ უნდა ვიყო, როგორიც ცხოვრებაში ვარ.

— ეტყობა, სიდედრის როლის თამაში იმანაც გაფიქრებინა, რომ პერსპექტივაში სიდედრობა გელის, რადგან სამი ქალიშვილის დედა ხარ. ამ როლით ალბათ, თავს სიდედრობისთვის შეამზადებ, არა?

— ისე, ძალიან მეშინია, ამ როლით არ დავაფრთხო ჩემი მომავალი სიძეები. არ იფიქრონ, რომ ცხოვრებაშიც შეიძლება, ასეთი საშიში სიდედრი ვიყო. ისე, კაცმა არ იცის, როგორი ვიქნები...

— ახლა როგორი სიდედრის როლსაც გამოძერწავ, ისეთივე იქნები შენი მომავალი სიძეებისთვის...

— არა, არა, ასეთი არ ვიქნები. მაგრამ თუ შენნაირი სიძე შემხვდა, ვაი, მისი ბრალი *(იცინის)*! „პუპსიკასნაირი“ სიძე ნამდვილად არ მინდა!

— ერთი მითხარი, მაინც როგორი ვარ? საინტერესოა, შენი აზრი — ჩემზეც და სერიალზეც.

— ვიმეორებ, „პუპსიკასნაირი“ კაცები არ მომწონს, თორემ ისე, თავისთავად, „პუპსიკა“ ეტყობა, დადებითი ტიპია. ორივე — შენც და შენი „პუპსიკაც“ (გოგოლა კალანდაძე) კარგები ხართ, მაგრამ „ასას“ ცოტათი შეცვლა სჭირდებოდა. მოთხოვნილება გაჩნდა, რომ სერიალს ახალი პერსონაჟები შემატებოდნენ, კიდევ უფრო მრავალფეროვანი რომ გამხდარიყო.

— პერსონაჟების დამატებით, ხომ არ არის საშიშროება, რომ ის ტელესერიალს — „ძილის წინ“ დაემსგავსოს?

— ეგ საშიშროება თქვენ უკვე გადალახეთ, რადგან „პუპსიკები“ არ ჰგვანან არც გიო ცერცვაძეს და არც ნინო ღონღაძეს, განსხვავებულები ხართ. თუმცა, ვიმეორებ, სერიალს ახალი სისხლი სჭირდებოდა, რომ უფრო გახალისებულიყო. ამისთვის ალბათ, ორივე ვეცდებით, დავძაბოთ ჩვენ შორის ურთიერთობა, შევქმნათ კონფლიქტური სიტუაციები. რამდენიმე სერია უკვე გადავიღეთ და კარგად იცი ის ამბავი, რომ ჭიქაში საწამლავი ჩამიყარე... ჩემ გარდა, სხვა პერსონაჟებიც დამატნენ.

— კი და როგორც ხედავ, გადავრჩი... ახლა ის მითხარი, ნინისთვის, შენი შვილისთვის როგორი საქმრო გინდა. ის უნდა იყოს ჭკვიანი, მდიდარი, დიპლომიანი თუ?..

— ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა არა მაქვს. როგორი უნდა იყოს ის — ნინის გადასაწყვეტია. ნინი დამოუკიდებელი ადამიანია, მე მისი მჯერა. ასე რომ, მას ამ მხრივ, სრული თავისუფლება აქვს.

— როგორ სიძეს ვერ შეეგუები?

— ნინი შემოქმედი ადამიანია. ასეთი ქალების ცხოვრებაში ქმრები ხანდახან უხეშად ერევიან: უშლიან მსახიობობას, მომღერლობას, სცენაზე გამოსვლას. მაგრამ როდესაც მამაკაცს ცოლად მსახიობი მოჰყავს, თავიდანვე უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ ის სცენაზე გამოვა, მას მაყურებელი ტაშს დუკრავს, ყვავილს მიართმევს და თაყვანისცემლებიც ეყოლება... ნინის მომავალმა ქმარმა რომ უთხრას, ყველაფერს თავი დაანებე და სახლში დაჯექიო, რასაკვირველია, ამას ვერ შეეგუები, მაგრამ თუ ნინის ის ადამიანი ეყვარება, მაშინ ჩემს შეუგუებლობას აზრი არ ექნება. უბრალოდ, გული დამწყდება, რომ მას არ შეხვდა ისეთი ადამიანი, ვინც საქმიანობაში ხელი შეუწყო. ამჟამად, როგორც ჩემი შვილისგან ვიცი, მას უნდა, რომ მისი მომავალი მეუღლე ლამაზი იყოს *(იცინის)*. ალბათ მის ასაკში ასეთი მოთხოვნა გასაკვირი არ არის.

— „ძილის წინის“ შემდეგ, ერთად აღარ გვიმუშავია. ახლა ახალი ძალებით, ახალი შემართებით, ფანტაზიებით ვაახლებთ ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობას. ალბათ, ერთად შეწყობილად მუშაობა ისევ გამოგვივა, არა?

— ძალიან მომენატრა თქვენთან მუშაობა. მოდი, იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენი, კონკრეტულად — ჩემი და შენი პარტნიორობა თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო, ჯგუფელები ვიყავით. შესანიშნავი ჯგუფი გვყავდა და არაჩვეულებრივი წლები იყო. ინსტიტუტში გვქონდა პატარ-პატარა როლები, ეპიზოდები, ეტიუდები, სადაც ერთად გვიწევდა თამაში, მაგრამ ჩვენი ნაცნობობა თეატრალურ ინსტიტუტამდე, მეორე სამუსიკო სასწავლებელში დაიწყო. შენ ფლეიტაზე დაკვრის ხელოვნებას ეუფლებოდი, მე ფორტეპიანოზე დაკვრას ვსწავლობდი. სულ მქონდა სურვილი, რომ ჯერ კიდევ „ძილის წინში“, რომელიღაც სერიაში, ერთხელ მაინც დაგეკრა ფლეიტაზე და შენი მუსიკალური ნიჭი გამოგემჟღავნებინა, მაგრამ ამაზე მაშინ ვერ დაგითანხმე. ახლა ყველას გასაგონად ვიტყვი — მალხაზ ქვრივიშვილი ფლეიტისტია! იმედი მაქვს, ის ამ უნარსაც გამოიყენებს... ჩემო მალხაზ, ახლა, სერიალში პირადად მე მოგცემ საშუალებას, რომ ფლეიტაზე დაუკრა. ეს შანსი არ უნდა გაუშვა! რაც შეეხება ტელესერიალს — „ძილის წინ“, — მან საოცარი პოპულარობა მოგვიტანა. ხალხმა ჩვენი პერსონაჟები შეიყვარა... სხვათა შორის, „ასაში“ შესვლამდე, ია ფარულავას შევთავაზე — მე გოგოლას დედა ვიქნები, შენ — მალხაზის დედის როლი ითამაშე, მძახლები ვიყოთ და მაგრად ვიჩხუბოთ-მეთქი. მან გააპროტესტა, მითხრა: არ მინდა, თავი დავიბერო, მოდი, მე მალხაზის ან და, ან ნათლია ვიქნებიო... მოკლედ, შესაძლებელია, სერიალში ისიც შემოვიდეს.

— ეკა, როგორ გგონია —

MK

რატომ არის სიძე-სიდედრის ურთიერთობა გაშარჟებული?

— ყველაფერი საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს და მე ამას განსაკუთრებულ ახსნას ვერ მოვუძებნი *(იცინის)*. თუმცა, ალბათ, მაინც იმის ბრალია, რომ დედებს საკუთარი ქალიშვილების მიმართ გამორჩეული დამოკიდებულება აქვთ. მაქსიმალისტები არიან, უნდათ, რომ მათი სიძეები იდეალურები იყვნენ. მერე, როდესაც სიძე იდეალური არ აღმოჩნდება, იქმნება კონფლიქტური და დაძაბული სიტუაციები. ისე, მაინც ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეხვდება ადამიანი ოჯახის ახალ წევრს. მთავარია, მის მიმართ თავიდანვე კეთილად და დადებითად განეწყოს. ზოგი პირდაპირ ომს უცხადებს და თავიდანვე გადაწყვეტს, რომ სიძე უცხო ადამიანია და მას მტრულად უნდა მოექცე... მაგრამ რაც შეგეხება შენ, ჩემო მალხაზ, — მე შენს ოჯახში ჩავსახლდი და თქვენს ოჯახურ იდილიას ვარღვევ.

— ისიც თქვი, რატომ ჩასახლდი?

— იმიტომ, რომ მეუღლემ მიღალატა და მას დროებით გამოვერიდე...

— ვიცი, რომ პარალელურად მუშაობ რეჟისორ დათო დოიაშვილთან ერთად, მუსიკალური დრამისა და კომედიის თეატრში სპექტაკლზე „მარლენ დიტრიხი“. ხმა გავრცელდა — ეკა ამ როლს კარგად მოერგოო. ასეა?

— ვნახოთ, ჯერ არ ვიცი. 15 ოქტომბერს პრემიერაა დანიშნული. ყველაფერი წინ არის, ძალიან ვღელავ. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ცხოვრებაში დადგა ის მომენტი, როცა ჩემს პროფესიაში რაღაც სერიოზული უნდა გავაკეთო. კარგია ტელესერიალები, თეატრთან შედარებით იოლი საქმეა, მაგრამ... თუმცა, ისიც არის — მსახიობი, სადაც არ უნდა იყო, ყველგან შენი საქმე რიგიანად უნდა გააკეთო. სამსახიობო ოსტატობა ერთსა და იმავე ხარისხში უნდა იყოს, როგორც თეატრში, ასევე — ფილმსა და ტელესერიალში.

— მართალია, მსახიობის პროფესია ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს...

— 15 ოქტომბერს სწორედ ბეწვის ხიდზე გავლა მომიწევს: ან ავშენდები, ან — „დავინგრევი“ *(იღიმება)*. ათ სიმღერას ვმღერი, რთული როლია... სპექტაკლი უკვე მზად არის, მაგრამ მუშაობა გრძელდება. ახლა ტელესერიალშიც დავკავდი; რა ვქნათ, აბა, მსახიობებმა?! კინო არა გვაქვს და ტელესერიალებით ვიქცევთ თავს.

— ახალი სეზონის წინ, ზაფხულში კარგად დაისვენე?

— ივნისსა და ივლისში რეპეტიციები მქონდა. მაგ დროს აგარაკზე, მცხეთაში ვიყავი. ეს ის ადგილია, სადაც ყველაზე კარგად ვისვენებ. აგვისტოში მე, მაია ჯაბუა და გოგოლა კალანდაძე, შვილებთან ერთად, თურქეთში, კერძოდ, ბოდრუმში გავემგზავრეთ. მშვენიერი დრო გავატარეთ. რომ ჩამოვედი, მაშინვე საქმეს შევუდექი.

ძალიან მომენატრა თქვენთან მუშაობა

ჟურნალისტი – ეკაკახიანი
რესპონდენტი – მალხაზ ქვრივიშვილი

— მალხაზ, მითხარი, როგორი ნათესავია სიდედრი. შენი პასუხით მივხვდები, შემდგომში როგორ ვიმუშაო ჩემს ახალ როლზე.

— ჯერ ჩემი პერსონაჟიდან გამომდინარე გეტყვი და მერე პირად მოსაზრებასაც მოგახსენებ...

— ისე, უკვე ჩემი მოწამვლის მცდელობა გქონდა, ჭიქაში საწამლავი ჩამიყარე...

— დაიმახსოვრე, ჩემთვის სიდედრი ცუდი და საშინელი ნათესავია. მას შეუძლია, ერთი სიტყვით მოგშხამოს.

— ამის შემდეგ, როგორ უნდა ვიყო შენ მიმართ განწყობილი?.. გირჩევ, სიდედრის მიმართ ასე ბორტად ნუ განეწყობი — ის ხომ შენი მეუღლის დედაა, შენი შვილის ბებია... სიდედრზე ანეკდოტი არ იცი?

— არ მახსენდება.

— ახლა საშინელი ანეკდოტი გამახსენდა. ვიღაც ტიპი „პახმელიაზეა“ და გარდაცვლილ სიდედრს ეხუტება. რას შვრები? თავი დაანებეო, — უთხრეს. — რას ამბობ?! ცივია და „პახმელიაზე“ ცივი მსიამოვნებსო *(იცინიან)*... სიდედრის სადღეგრძელოს ლუდით სვამენ ხოლმე. შენ არ დაგილევია?

— არასდროს. რაც შემეხება მე, მალხაზ ქვრივიშვილის, — ცხოვრებაში, ცუდი სიდედრი არ მყავდა. საერთოდ, ყველაფერი მაინც პიროვნებაზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორია ის შინაგანად, თორემ, სიძეს, სიდედრს, რძალს, დედამთილს და ასეთ სტატუსებს რა მნიშვნელობა აქვს?!

დაიმახსოვრე, ჩემთვის სიდედრი ცუდი და საშინელი ნათესავია...

— მალხაზ, შენ როგორც მსახიობი, რა სხვაობას ხედავ თეატრსა და ტელესერიალს შორის?

— თეატრი მსახიობისთვის დიდი სკოლაა. ტელესერიალზე რომ ვმუშაობ და საერთოდ, როლზე მუშაობა რომ შემიძლია, — ეს თეატრის წყალობითაა. ჯერ კიდევ მიმდინარეობს სწავლის პროცესი. ალბათ, კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. თეატრში მაყურებელთან უშუალო შეხება მაქვს, რასაც სულ სხვა ენერგია მოაქვს. თეატრი ცოცხალი ორგანიზმია. სერიალზე მუშაობაც უინტერესო არ არის, მაგრამ მას ის ხიბლი არა აქვს, რომლითაც თეატრი გამოირჩევა. იქ სულ სხვა სიამოვნებას იღებ მსახიობი. 4 დღის წინ, კალინინგრადიდან დავბრუნდით, რუსთაველის თეატრს „ჰამლეტი“ გვქონდა წაღებული. ისეთი თბილი დარბაზი იყო, ისეთი ენერგიით ავივსე, რომ კარგა ხანს გამყვება. თეატრში მსახიობი „სწორად“ იხარჯება. არსებობს დღეები, როცა საკუთარი თავი მოგწონს, პირიქითაც ხდება.

— მაგრამ ჩვენ, მსახიობებს, ვისაც ტელესერიალში გვიწევს თამაში, ხშირად გვაკრიტიკებენ. საპნის ოპერაში დრამის მსახიობი არ უნდა მონაწილეობდესო, — ამბობენ...

— „ძილის წინ“ ჩემთვის პირველი საპნის ოპერა იყო. ჩემი როლი მაყურებელმა მიიღო, შეიყვარა, რამაც გამათამამა. ასე რომ არ ყოფილიყო, იქ მუშაობას აღარ გავაგრძელებდი.

— გეთანხმები, სწორად ნათამაშებ როლს დიდი მნიშვნელობა აქვს. თან, კომედიური პერსონაჟების თამაში, ორმაგი ბეწვის ხიდია: იქ არც ზედმეტის გაკეთება შეიძლება და არც ნაკლების. ზომიერება — ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. როგორც კი ზედმეტ რაღაცას გავაკეთებ, მაშინვე, შინაგანად ჩემში რაღაც სიგნალი ინთება და ამას მანიშნებს. ამიტომაც არის, რომ მსახიობს ინტუიცია სჭირდება. ისე, ჩვენ მაინც გაგვიმართლა, ბოლო წლებში სამუშაო არ მოგვკლებია — მაშინ, როცა ამდენი ნიჭიერი მსახიობი უმუშევარია.

— კარგია. მსახიობი სულ საქმეში, მოძრაობაში უნდა იყოს, გაჩერების შემთხვევაში, დუნდები, ეშვები და პროფესიასაც შორდები... ასე რომ, წელსაც მაყურებელს ვპირდებით, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმს გავაკეთებთ, ვეცდებით, მას მოეწონოს ჩვენი ნამუშევარი. დანარჩენს თვითონ განსჯის.

— ისე, შენ და გოგოლამ განუმეორებელი წყვილი შექმენით და ახლა შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომელიმეს სხვა მეწყვილე გყავდეთ. ისე შეეწყვეთ ერთმანეთს, თქვენი პერსონაჟებიც ისე შეერწყა, ისეთი მჭიდრო ურთიერთობა ჩამოყალიბდა თქვენ შორის, რომ ბოროტი სიდედრიც ვერაფერს დაგაკლებთ, ვერაფრით დაგაცილებთ...

— ისე, არ მეტყვი, რა საჩუქარს მიმზადებ?

— როგორც მოიქცევი, ისეთ საჩუქარსაც მიიღებ. შეიძლება, მათრახი გაჩუქო, რომ შენი შვილი გაროზგო...

— მინდა, მკითხველს ვაცნობო, რომ ჩვენი მეგობრობა ჩვენს შვილებშიც გრძელდება. ჩემი ანასტასია და შენი ლიკატო ბავშვობის მეგობრები არიან. შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინი მომავალი მოდელები არიან, ამისთვის ორივეს კარგი მონაცემები აქვს. შენ მათ შეეპირდი, რომ სამოდელო სააგენტოში მიიყვან. ისე, მართლა გინდა, რომ შენი შვილი მოდელი იყოს?

— ეს მისი გადასაწყვეტია. უკვე 13 წლის გოგოა. აქვს სურვილი, სამოდელო სააგენტოში მივიდეს და ამ სურვილს შევუსრულებ, რადგან ჯერჯერობით, მისთვის არაფერზე მითქვამს უარი. სხვათა შორის, ჩვენი შვილები, კარგად იცი, რომ ჯერ საბალეტო სკოლაში მივიყვანეთ, მერე — სუხიშვილების სტუდიაში. ახლა სამოდელო სააგენტოშიც მივიყვანთ. ჭკვიანი, კარგი, მოაზროვნე ბავშვები არიან. ვნახოთ, რა გამოუვათ.

— მშობლის მოვალეობაც ის არის, რომ სწორად შენიშნოს ბავშვის მონაცემები და მას განვითარებაში შეუწყოს ხელი. ჯერჯერობით ვხედავ, რომ ანასტასიას ცეკვა უყვარს, მოდელობა გამოუვა და შეიძლება, ხატვასაც გაჰყვეს. თუმცა, მაინც მისივე გადასაწყვეტია, რას იზამს.

— მე ლიკატოს გარდა, თვეების ლუკა მყავს — გადასარევი პატარა არსება, კეთილი ღიმილით. რაც მე ცხოვრებაში მომაკლდა, არ მინდა, მასაც მოაკლდეს. ყოველთვის მის გვერდით ვიქნები.

— ისე, მინდა მოგილოცო ვაჟიშვილის შეძენა. სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს!

ჩვენი მეგობრობა თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო

იუმორისტული გადაცემების შემქმნელები, ავტორები და წამყვანები — ნიკა ქავთარაძე და მისი გუნდი ახალი სატელევიზიო სეზონიდან მაყურებელს სხვა ტელეარხიდან მიესალმებიან. გაურკვეველი მიზეზის გამო (ამაზე ისინი თითქმის არ საუბრობენ), მათ „იმედი“ დატოვეს და „მზეზე“ გადაინაცვლეს, სადაც ორი ახალი პროექტის გაკეთებას გეგმავენ. ამ საკითხზე სასაუბროდ, ბიჭებს ახლა უკვე ახალ სამუშაო შენობაში ვეწვიე. ჩემს კითხვებს ჩვეული ხალისითა და იუმორით ნიკა ქავთარაძე და მიშა მშვილდაძე პასუხობენ.

რატომ დატოვა ტელეკომპანია „იმედი“ ნიკა ქავთარაძემ და მისმა გუნდმა?

„ჩვენს წამოსვლას იმიტომ განიცდიან, რომ ბუფეტში საჭმელი აღარ იყიდება“

ნათია ქივიძე

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ მუშაობა ტელეკომპანია „იმედის“ ნაცვლად „მზეზე“ გაგეგრძელებინათ?

ნიკა:

— ამასთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება მაქვს — ცხოვრებაში ფული მთავარი არ არის. ამას გარდა, ჩვენი და ამ ტელეკომპანიის მესვეურთა სულისკვეთება ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომაც გადავწყვიტეთ „მზეზე“ გადმოსვლა და ჩვენთან ერთად, ბევრმა სხვა კარგმა ადამიანმაც მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება. მაგალითად, დუტა სხირტლაძე და ვაჯაჭიც ამ ტელევიზიაში იმუშავებენ და შესაბამისად, ამ არხზე ოქტომბრიდან ძალიან საინტერესო გასართობი გადაცემები გავა.

— „იმედი“ როგორ შეგელიათ?

— ვერ გეტყვი, რომ ჩვენს წამოსვლას ძალიან განიცდიან, რადგან იუმორისტული გადაცემის სხვა ალტერნატივა იპოვეს. ისე კი იმათ, ვისაც ვუყვარდით, ალბათ ვენატრებით კიდეც. იმათ ბუფეტში რომ აღარ შევდივართ, იმდენი საჭმელი აღარ იყიდება და შესაძლოა, მხოლოდ ამის გამო განიცდიან ჩვენს წამოსვლას.

მიშა:

— სხვათა შორის, გუშინ შუალედური რგოლის ხელმძღვანელები ვნახე და ძალიან თბილად შემხვდნენ. მითხრეს, ძალიან გგულშემატკივრობთ და აბა, თქვენ იცითო. პრინციპში, რას უნდა გვერჩოდნენ?

ნიკა:

— არც არაფერს, პირიქით, „იმედის“ ეთერის საშუალებით არაჩვეულებრივი წუთები ვაჩუქეთ მაყურებელს და შესაბამისად, ძალიან კმაყოფილები უნდა იყვნენ ჩვენით... ისე, ხომ არ სჯობია, რომ წარსულზე კი არა, დღევანდელ დღეზე ვილაპარაკოთ?!

— რა თქმა უნდა. ახლა რაზე მუშაობთ?

— ვაკეთებთ ორ ახალ პროექტს. ერთი იქნება სერიალი, რომელზეც მოგვიანებით უფრო დაწვრილებით მიშა მოგიყვება და მეორე — იუმორისტული ტოქშოუ, რომლის წამყვანადაც მაყურებელს მე მოვევლინები. ყველაზე მთავარი სიახლე ის არის, რომ ეს გადაცემა პირდაპირ ეთერში გავა და მასში დარბაზში მსხდომი მაყურებელიც მიიღებს მონაწილეობას. პირდაპირ ეთერში გადაცემის გასვლა, თითოეულ ჩვენს მოქმედებასა და ხუმრობას უფრო გაამძაფრებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სიახლე არის ისიც, რომ ნიკა ქავთარაძე აღარ ილაპარაკებს „იმერულად“, არა იმიტომ, რომ ბებიასა და ბაბუას ვეჩხუბე და იმერეთს სამუდამოდ დავემშვიდობე, უბრალოდ, გადაცემის პერსონაჟი კი არა, წამყვანი ვიქნები. ვიდრე ეთერში გავალთ, ამაზე წინასწარ საუბარი „ბაქიბუქს“ ჰგავს, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ ქართულ ტელესივრცეში ანალოგიური ტელეპროექტი არ იარსებებს... პროექტში მონაწილეობას ისეთი მსახიობებიც მიიღებენ, რომლის მსგავსიც ჯერ იუმორისტულ ბაზაზე არ ყოფილა. გადაცემაში შოუს ელემენტებსაც შევიტანთ — გოგონებთან ერთად ბიჭუნებიც (მათზე მთლად ბიჭუნებიც არ ითქმის, მაგრამ...) იცეკვებენ. სხვა რაღაცებს კი აღარ გეტყვით, რადგან ეს შეიძლება, ჩვენმა კონკურენტებმაც გამოიყენონ.

— რა ერქმევა შენს ტოქშოუს?

— „ტელევიზორი“. ეს განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს, უბრალოდ, ხალხს მოვუწოდებთ, რომ უყურონ ტელევიზორს — გადმოერთე ახალ „მზეზე“, გაერთე და იცინე. ასევე, ყველა გადაცემას ექნება მთავარი თემა და მოვიწვევთ ისეთ სტუმრებს, რომლებსაც ერთმანეთთან აუცილებლად რაღაც უნდა აკავშირებდეთ. ვთქვათ, მოვიწვევთ ნადირაძეს, ლომიძეს და მხეცაძეს. ხომ აერთიანებთ მათ ცხოველური გვარი? ან მოვიწვევთ ცალხელა გოგოს, ცალთვალა ბიჭს, ცალყურა ბიმის და ა.შ. დაახლოებით ასეთი რამ გააერთიანებთ ჩვენს სტუმრებს და არა ის, რომ ერთი მათგანი მეორის პირველი ცოლია. თუმცა ამწუთას აღმოვაჩინე, რომ ეს თემაც საინტერესო იქნებოდა... გადაცემა ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდება და მასში დაახლოებით ოთხი ბლოკი იქნება. ასევე, გვექნება ძალიან უცნაური და მოულოდნელი პირდაპირი ჩართვებიც, მაგრამ ეს ვიღაცის ცუდ დღეში ჩასაგდები გადაცემა არ იქნება. პირიქით, ჩვენთან სტუმრობა „კარგი პონტია“.

ყველა ჩვენ-ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ ერთ საქმეს ვემსახურებით

მიშა:

— მოკლედ, მხიარული იქნება. მაყურებელს დღეს ისე უნდა, რომ ჩართოს ტელევიზორი და გაერთოს, როგორც არასდროს. ქვეყანაში მიმდინარე გარკვეული პოზიტიური ცვლილებები ადამიანის ხასიათზეც გარკვეულწილად აისახება. მაყურებელს აღარ უნდა ამდენი დაძაბულობა. ამიტომ ჩვენ მათ ისეთი პროდუქტი უნდა მივაწოდოთ, რომელიც ადამიანებს დასვენებასა და განმუხტვაში დაეხმარება. ცნობილი ფორმატია სტუდიაში სტუმრის მოყვანა და მასთან ღადაობა, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი გადაცემის მსგავსი ფორმატი არავის ჰქონდეს — საავტორო უფლება ჩვენი უნდა იყოს და არავისგან არაფერი უნდა გადმოვიღოთ, რადგან გვაქვს იმის ამბიცია, რომ ამ ყველაფერს შევძლებთ. ჩვენი პროექტი გარკვეულწილად ექსტრიმია — თუმცა სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ ადრენალინს ჩვენ აქედან ვიღებთ.

— „მზეზე“ თქვენი ჯგუფის ყველა წევრი გადმოვიდა?

ნიკა:

— რა თქმა უნდა. აბსოლუტურად ყველა. აქ ვართ სცენარისტები, მსახიობები, „პიარშიკები“ და ჩვენი რეჟისორი — გიორგი ლიფონავა. გარდა ამისა, ახალი წევრებიც შემოგვემატნენ, რომლებიც მონაწილეობას სერიალში მიიღებენ. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი ტელევიზიის სხვა თანამშრომლებიც იყვნენ ჩვენს გადაცემაში. მაგალითად, დუტა ან ვაკაჭი. აქ ასეთი სიტუაციაა — ყველა ჩვენ-ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ ერთ საქმეს ვემსახურებით და აქედან გამომდინარე, თითოეული ჩვენგანის პროექტი მრავალფეროვანი იქნება.

მიშა:

— ისიც შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრებაში ფული მთავარი არ არის.

— საუბრის დასაწყისში ნიკამაც ზუსტად იგივე თქვა. ეს იმას ნიშნავს, რომ „მზეში“ გაცილებით ნაკლებს გიხდიან, ვიდრე „იმედში“ გიხდიდნენ?

ნიკა:

— არა, აქ ლაპარაკი „იმედის“ იმიჯზეა.

მიშა:

— რომ ვთქვათ — აქ უფრო მეტს გვიხდიან-თქო, არა მგონია, ვინმემ დაიჯეროს, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი საკითხი არ არის. მთავარია არხის პოლიტიკა, ჩვენდამი დამოკიდებულება და იმიჯი.

— ნიკა, შენი გადაცემა ეთერში როდის გავა?

— ორივე პროექტი ეთერში ოქტომბრიდან გავა. ჩემს გადაცემას კვირაში ორჯერ, საღამოს საათებში შეგიძლიათ უყუროთ.

— მიშა, შენც მოგვიყევი სერიალზე.

— სერიალის სამუშაო სახელწოდებაა — „ბიჭები და გოგონები“, რომელიც აუცილებლად შეიცვლება. ჩვენ სერიალების „კეთების“ გარკვეული გამოცდილება (და ვფიქრობ, რომ ეს პოზიტიური გამოცდილებაა) დაგვიგროვდა და ყველა სერიალი, რაც აქამდე გაგვიკეთებია, რეიტინგული და ყურებადი იყო, მაგრამ ახლა კიდევ ერთი გამოწვევა უნდა ვესროლოთ საკუთარ თავს (სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ თეთრ ხელთათმანებს მხოლოდ საკუთარ თავებს ვესვრით) და ის ახალი ბრძოლისთვის უნდა მოვამზადოთ. უკვე გასაგებია, რომ ხუმრობების წერა ვიცით, ახლა მთავარი ის არის, რომ ადამიანები ჩვენს პროდუქციას მხოლოდ იმის გამო კი არ უყურებდნენ, რომ ვიღაცის მიმიკაზე ან რაიმე ხუმრობაზე გაიცინონ, არამედ ინტერესი გაუჩნდეთ — ნეტავ ახლა რა მოხდება? იმ გოგოს ის ბიჭი შეუყვარდება თუ არაო? და ა.შ. სერიალი ხომ იმისთვის არსებობს, რომ გადიოდეს ყოველდღე, იყოს მსუბუქი და გასართობი. ჩემთვის ჯერ კიდევ ამოუცნობი საიდუმლოა — რატომ არის ასეთი პოპულარული არგენტინული და ბრაზილიური სერიალები. ამიტომ გადავწყვიტეთ, იმ წარმატებისგან რაღაც პატარა დოზა აგვეღო და ჩვენს პროდუქტში ჩაგვედო. გვინდა, რომ ჩვენი სერიალი უფრო ლიტერატურული და მხატვრულად ღირებული იყოს. ვთქვათ, წიგნად თუ დაიბეჭდა, წასაკითხავადაც სასიამოვნო და მხიარული უნდა იყოს (რის საშუალებასაც ქართული ენა ნამდვილად იძლევა). ერთი სერია რომ დამთავრდება, მეორეს ხალხი მოუთმენლად უნდა ელოდეს. მთავარი გმირი კი ყველას ეყვარება.

— ვინ არის მთავარი გმირი?

— ის არის დამწყები მსახიობი ბიჭი, მაგრამ ჯერჯერობით მის ვინაობას არ გაგიმხელთ, ეს სიურპრიზი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ნიჭიერია — მან კასტინგის რამდენიმე ეტაპი გაიარა და ყველა ეტაპზე ჩვენზე მაგარი შთაბეჭდილება მოახდინა. შაბათ-კვირის გარდა, ჩვენი სერიალი ეთერში ყოველდღე გავა.

— ახალ სერიალში „საპნის“ მსახიობები თუ მიიღებენ მონაწილეობას?

— მხოლოდ სალომე შარვაძე, რომელიც აბსოლუტურად სულ სხვა ამპლუაში მოგვევლინება. სხვა მსახიობებიც ძალიან კარგები იყვნენ, მაგრამ ჩვენ მათზე შეგნებულად ვთქვით უარი, რომ ეს გარკვეულწილად, ძველის გამეორება არ ყოფილიყო... ახალ სერიალში მონაწილეობას მიიღებენ ის ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც არსად ჩანან, რადგან საქართველოში იმდენი სპექტაკლი არ იდგმება, რომ ყველა მათგანი დაკავდეს (ფილმებს ხომ საერთოდ აღარ იღებენ). თეატრალურ ინსტიტუტში ტელესერიალებს ცოტა აგდებით უყურებენ, მაგრამ ჩვენ ისეთ სერიალს გავაკეთებთ, რომ ის თეატრალური საზოგადოების ყველაზე პირწავარდნილ სნობებსაც მოეწონებათ და მასში დაკავებული მსახიობებით იამაყებენ. ■

ჩვენი პროექტი გარკვეულწილად ექსტრიმია — თუმცა სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს

„შუაში მცოლოდ სანგარია“ (?!.)

დასაწყისი იხ. გვ. 7

— აბა, სხვაგან სად უნდა გადაგვეყვანა?..

— თბილისში რა, ცუდად ივჯდა?..

— აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება აფხაზეთის ტერიტორიაზე — იმ ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს, რომელსაც ქართული ჯარი აკონტროლებს. აფხაზეთში შეიარაღებული კონტინგენტის შეყვანას არავინ აპირებს. ომი საქართველოსთვის ახლა ძალზე წამგებიანი იქნება. ამიტომ, ძალიან გვეშინია,

ვიღაცამ ჩვენი პროვოცირება არ მოახერხოს... ჩვენ ჩვენი სამოქმედო გეგმა გვაქვს, ნატოსკენ მივდივართ. რატომ — ნატოსკენ? იმიტომ, რომ რუსეთის მხრიდან არ ჩანს ალტერნატიული შემოთავაზებები — არ შეხვიდეთ ნატოში და ამას და ამას მიიღებთო...

— მაინც, რა შეიძლება იყოს „ნატოს სანაცვლო“, ალტერნატიული წინადადება?

— ეს ტერიტორიული კონფლიქტის გადაჭრაში პოზიტიური როლის შესრულებაა.

— საქართველოს უზარმაზარ სამხედრო ბიუჯეტს თუ გავითვალისწინებთ, კონფლიქტში მისი ჩათრევა ცოტა საშიშიც კია. თავად თქვენი პრეზიდენტიც კი, უკვე მეამბოხეა... ძალიან გასამხედროებული ხალხი ხართ...

— ასე ისტორიულად ჩამოყალიბდა. არცთუ ისე დიდი სამხედრო კონტინგეტი — 15-16 ათასამდე კაცი გვყავს, მაგრამ ყველა ჩვენი მამაკაცი ბრძოლისუნარიანია. შეიარაღებას რაც შეეხება, — თუ ვინმეს უნდა, რომ დაჟანგული ტანკები და პისტოლეტები ჰქონდეს, რომლებიც აღარ ისვრის, ეს მისი საქმეა. ჯარი იმ სტანდარტებით უნდა იყოს შეიარაღებული, როგორიც რუსეთშია.

— არც მეტი, არც ნაკლები?..

— რა თქმა უნდა, თუ სტანდარტია, უმაღლესი სტანდარტი უნდა იყოს. არ შეიძლება, საქართველოში უხარისხო შოკოლადს ჭამდე, ინგლისში კი — „კეტბერის“. თუ შოკოლადია, ის „კეტბერი“ უნდა იყოს. თუ შეიარაღებულ ძალებზეა ლაპარაკი, მაშინ ჩვენ ისეთივე სტანდარტისა გვინდა, როგორიც რუსეთშია...

— რისთვის მოიხსნა სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა?

— იმის გამო, რომ მუშაობდა მთავრობაში, მაგრამ მის პოზიციებს არ იზიარებდა... მთავრობა სათათბირო ორგანო არ არის, ის გადაწყვეტილებებს იღებს და პასუხსაც აგებს თავის გადაწყვეტილებებზე. როცა გოგა, როგორც მე მას ვეძახი, გამოხატავს საკუთარ აზრს იმ მინისტრთან დაკავშირებით, რომელთან ერთადაც მთავრობაშია, ეს არასწორია. თუ სხვა აზრი აქვს, მთავრობა უნდა დატოვოს. როცა მე ვიყავი წინააღმდეგი, ავდექი და დავტოვე კაბინეტი. ზუსტად ასე მოიქცა მიხეილ სააკაშვილიც. გოგას კი, მთავრობაშიც უნდოდა, შინაური ყოფილიყო და ოპოზიციაშიც. ასე არაფერი გამოვა. ან აქეთ უნდა იყო, ან — იქით, შუაში კი, უკვე სანგარია...

„საქართველოს მტრებს თვლა აღარ აქვს...“

რამ გამოიწვია ოპოზიციასთან ბრძოლის გააქტიურება საქართველოში და შემდგომში როგორ განვითარდება სიტუაცია ამ სახელმწიფოში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას რუსეთის წამყვანი ექსპერტები ცდილობენ.

ალექსანდრ კონოვალოვი, *სტრატეგიულ შეფასებათა ინსტიტუტის პრეზიდენტი:*

— საქართველოში გაჩაღებული, ოპოზიციის დევნა, როგორც ჩანს, მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებს უკავშირდება. ამ არჩევნებით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ საკუთარ მოსახლეობას ერთგვარი ანგარიში უნდა ჩააბაროს იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა ქვეყანაში მისი მმართველობის პერიოდში. მაგრამ სად არის ცხოვრების ის მაღალი ეკონომიკური დონე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ხალხს „ვარდების რევოლუციის“ დროს ჰპირდებოდა? ანდა, თუნდაც იმავე პერიოდში შეპირებული დემოკრატიული თავისუფლებები რა იქნა? რეალური მიღწევების არარსებობის პირობებში, ხელსუფლება იძულებულია, ქვეყნის გარეთ ან მის შიგნით მტრის ხატის

შექმნის კლასიკურ ტექნოლოგიას მიმართოს და ამ გზით, თანამოქალაქეთა ყურადღება საჭირბოროტო პრობლემებიდან სხვა საკითხებზე გადაიტანოს.

ქვეყანაში წესრიგის დამყარების აუცილებლობის ლოზუნგით, საქართველოს ხელისუფლება ოპონენტების განადგურებას ცდილობს. ეს ამოცანა მას იმის გამოც უადვილდება, რომ ჯერჯერობით მისი ოპოზიციონერები ძალზე სუსტნი არიან. თანაც, საეჭვოა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ შეთქმულთა შორის მოხსენიებული ისეთი უცნაური ორგანიზაციები, როგორებიცაა მონარქისტული პარტია ანდა „ანტისოროსი“. ამიტომაც, მათ წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიებიც უაზრობად მოჩანს. საქართველოს ტელევიზიით ნაჩვენები მავანი და მავანი ქალბატონის მიერ იმის აღიარება, რომ თანამებრძოლებთან ერთად, რომელთა აქტივშიც 39 ათასი დოლარი და 15 ავტომატი იყო, სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა, საერთოდაც სასაცილოა. ვფიქრობ, რომ ძველი საბჭოთა სპეცსამსახურების სკოლაგამოვლილი იგორ გიორგაძე თავიდანვე ჩასავარდნად განწირულ მსგავს სცენარში არაფრით მიიღებდა მონაწილეობას და მონდომების შემთხვევაში, ყველაფერს ბევრად უფრო ჭკვიანურად მოაწყობდა. თუმცა, თბილისისთვის თვით გიორგაძის არსებობაც კი, უკვე მომგებიანია. იმიტომ, რომ ამ „კარტის“ ჯიბიდან ამოღება და ამ გზით ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ განსხვავებული აზრის მქონეთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი სისასტიკის გამართლებაც ყოველთვის შეიძლება. თანაც, მათი ეს მზარდი სისასტიკე მოქალაქეებზე მომეტებული ზრუნვითაც შეიძლება აიხსნას. თუმცა, ისიც საკითხავია, უწყობს კი ხელს ეს სპექტაკლი საქართველოში სულ უფრო მზარდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას ანდა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან თბილისის განსაკუთრებულად გაუარესებული ურთიერთობების და კოდორის ხეობაში ჩასახული ახალი შიდა კონფლიქტის მოგვარებას? რა თქმა უნდა, არა.

სერგეი მიხეევი, *პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორის მოადგილე, დსთ-ის ქვეყნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი:*

— როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი სტალინთან ანალოგიას უკვე ვეღარაფრით ასცდება. საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის დროს კვლავ ამოქმედდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ მტრების დაუსრულებელი ძებნისა და აღმოჩენის ცნობილი სცენარი. პირადად მე, არც ის გამიკვირდება, თუ თბილისში მალე საკუთარ „ექიმთა საქმეს“ გახსნიან... შედეგად კი, არაა გამორიცხული, რომ ამ გზით საქართველოს ხელისუფლებამ მოსახლეობის რაღაც ნაწილის დაშინება მოახერხოს. თუკი დღეს ვიღაცას აბრალებენ, 15 ავტომატით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას აპირებდაო, ხვალ შეიძლება, ნებისმიერს მიადგნენ კარზე. იქაური საზოგადოების რაღაც ნაწილი კი, ალბათ, საყვარელი პრეზიდენტის გარშემოც გაერთიანდება, რათა მტრებს ღირსეული პასუხი გასცეს.

მაგრამ რადგანაც ამით საქართველოში არსებული პრობლემები ვერ გადაიჭრება, გარდაუვალია, მოხდეს მოსახლეობის ფენებად დაყოფა და იმათი რიცხვის შემცირება, ვინც დღეს ასე უდრტვინველადაა მზად, მოჩვენებით საფრთხეებთან საბრძოლველად. ცხადია, სააკაშვილს ეს ყველაფერი ძალზე კარგად მოეხსენება. სწორედ ოპონენტების პოზიციების შესასუსტებლად გადმოიტანა მან ადგილობრივი არჩევნები დეკემბრიდან — ოქტომბერში. მდგომარეობის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში, ამ ნაცად სცენარს 2007 წლისთვის დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების გადასატანადაც გამოიყენებს. ამ მიზნით, ის რაიმე პატარა ომს მოაწყობს ანდა, კიდევ უფრო გრანდიოზულ შეთქმულებას გახსნის და ამ გზით, არჩევნებს ან გადაიტანს, ან საერთოდ გააუქმებს.

ალექსანდრ ხრამჩიხინი,
სამხედრო და პოლიტიკური ინსტიტუტის ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი:

— არა მგონია, თბილისში, რიგი ოპოზიციური ფორმირებების მიმართ განხორციელებული ნაბიჯები მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებთან რამენაირად მაინც იყოს დაკავშირებული. ამ აზრს ის გარემოებაც განმიმტკიცებს, რომ ეს ფორმირებები ძალზე სუსტნი არიან. მხოლოდ მოსკოვში თუ სჯერათ, რომ გიორგაძესა და მის მომხრეებს ქართულ მოსახლეობაზე დიდი გავლენა აქვთ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ დასახელებული ორგანიზაციების ლიდერები რაღაც დესტაბილიზაციის გამომწვევი მოქმედებისთვის მართლაც ემზადებოდნენ და ახორციელებდნენ კიდეც. ქართველი პოლიტიკოსებისთვის, რომლებსაც დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა არ შეუძლიათ, ძალაუფლების ხელში ძალით ჩაგდება და შესაბამისად, ქვეყანაში მდგომარეობის დესტაბილიზაციაც უკვე ტრადიცია ხდება.

თუმცა, მიხეილ სააკაშვილს სხვა — რეალური, სერიოზული მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მათ რიგს საგარეო საქმეთა ექსმინისტრი სალომე ზურაბიშვილიც მიეკუთვნება. საქართველოს პრეზიდენტის რეიტინგიც განუხრელად ეცემა. მის ასამაღლებლად კი, სააკაშვილს ამჟამად, რაიმე მნიშვნელოვანი რესურსი ნამდვილად აღარ გააჩნია, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩათვლით „მოსკოვის მხრიდან ზეწოლას“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს ადგილობრივი მოსახლეობის მის გარშემო შემოკრებაში ეხმარება. ეს ჩვეულებრივ, გარეშე საფრთხის გამოჩენისას ხდება ხოლმე.

პირადად მე, მექმნება აზრი, რომ მოსკოვმა თავადაც არ იცის, თუ საქართველოში რისი მიღწევა სურს. ის, რომ დღეს თბილისზე ზეწოლას ახდენს, ფაქტია. მაგრამ რისთვის? იმისთვის, რომ მეზობელ ქართულ სახელმწიფოში უბრალოდ, სიტუაციის დესტაბლიზაცია გამოიწვიოს?.. მაგრამ ეს ხომ თავად რუსეთისთვისაც არასახარბიელოა. თუკი მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, რუსეთის ფედერაციასთან მიერთებას ცდილობს, მაშინ მას პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვა მართებს. მაგრამ თუ კრემლს მხოლოდ ის სურს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში გრძნობდნენ თავს კარგად, მაშინ მან სხვანაირი პოლიტიკა უნდა აწარმოოს. მსგავსი გაურკვევლობის პირობებში და კოსოვოს მოსალოდნელი პრეცედენტის გათვალისწინებით, სიტუაციას ამ რეგიონში კიდევ უფრო მეტი არევ-დარევა ემუქრება.

■

ადამიანის გატაცებლები მძევლის სანაცვლოდ 5.000 დოლარს ითხოვდნენ

შს სამინისტროს თანამშრომლებმა ადამიანის გატაცებასა და თანხის გამოძალვაში ეჭვმიტანილი 3 პირი — მალხაზ ძაგანია, ლაშა გოდოლაძე და ლავრენტი გოგიაშვილი დაიკავეს. ეჭვმიტანილები კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა აიყვანეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, დასახელებულმა პირებმა დიდი თანხის გამოძალვის მიზნით, ერთ-ერთ მოქალაქეს უკანონოდ თავისუფლება აღუკვეთეს, ხოლო მის ახლობლებს მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ, 5.000 დოლარი მოსთხოვეს. გატაცება 2006 წლის 20 სექტემბერს მოხდა. შს სამინისტროს ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ მძევლის ახლობლები აღნიშნული თანხის გადახდაზე უარს იტყოდნენ ან მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინებდნენ, ბოროტმოქმედები მძევალს მოკვლით ემუქრებოდნენ. გატაცების შესახებ პოლიციის თანამშრომლებმა შეიტყვეს და სპეცოპერაციის შედეგად, ეჭვმიტანილების აყვანაც მოახერხეს.

■

შს სამინისტროს თანამშრომელი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა

24 წლის ბაჩანა კვირკვინია, რომელიც შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომელი გახლდათ, საკუთარი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევით გასროლისას დაიღუპა. შს სამინისტროს ცნობით, იმ დროს ის პოსტზე, მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში იმყოფებოდა.

თვითმხილველთა თქმით, უბედური შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ბაჩანა კვირკვინია პოსტს ტოვებდა. იმ მომენტში პოსტზე მისი შემცვლელი დგებოდა. კვირკვინიას ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევით გავარდა ტყვია, რომელიც მას კისრის არეში მოხვდა და თავის ქალის მხრიდან გამოვიდა. ასეთი ჭრილობის შედეგად, ბაჩანა კვირკვინია ადგილზევე გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

■

„ინანებ, ახლა შენს სისხლს დავლევ!..."

ჯერ დანით დაჭრა სასიკვდილოდ, შემდეგ ხორცის საბეგვი ჩაქუჩი ჩაარტყა

ძალადობა ოჯახში დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ აქტუალურ, მწავავე პრობლემად რჩება და ხშირად წლობით ტანჯავს ოჯახის წევრებს. ფსიქოლოგების გამოკვლევების თანახმად, ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით იტანჯებიან ქალები — მოძალადე ქმრების ცოლები და მცირეწლოვანი ბავშვები ან არასრულწლოვანი მოზარდები — მათი შვილები. მშობლების გამუდმებული ჩხუბი, ყვირილი, რასაც ხშირად ფიზიკური შეურაცხყოფა ახლავს თან, ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკას ანგრევს. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ისინი სუსტის — ანუ დედის მხარეს იჭერენ, წლების შემდეგ თავად ხდებიან მოძალადეები. ფსიქოლოგთა გამოკვლევების თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სწორედ ქალია. პრობლემას ხშირად, ოჯახის წევრები დანა-შაულამდეც მიჰყავს. დაზარალებული ამ შემთხვევაშიც ქალი რჩება. მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება...

ბერიაშვილების ოჯახში დაუსრულებელი ჩხუბისა და კონფლიქტების შესახებ მეზობლები ბევრ რამეს ჰყვებიან. უბანში მათ დღემდე ყველაზე სკანდალურ ოჯახად მიიჩნევენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმრის კამათი, რაც რამდენიმე წუთში საშინელ ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე, ხშირად ოჯახის კედლებს სცდებოდა, წონასწორობადაკარგული და ბრაზისგან გამხეცებული ქმარი ჩხუბს კორპუსის წინ მდებარე ეზოში, ცოლის ფიზიკური შეურაცხყოფით ასრულებდა. ამ საშინელი ფაქტის შემსწრენი არაერთხელ გამხდრან მეზობლები. ყოველივე ეს ბერიაშვილების მცირეწლოვანი შვილების თვალწინ ხდებოდა. სასტიკად, გონების დაკარგვამდე ნაცემი ცოლი საავადმყოფოში ხვდებოდა, მკურნალობის შემდეგ კი, მშობლებს ის თავიანთ სახლში მიჰყავდათ. ყოველი ასეთი ჩხუბი და სკანდალი ცოლ-ქმრის განშორებით სრულდებოდა. მაგრამ განშორება ხანმოკლე იყო. თავდაპირველად, შეურაცხყოფილი ცოლი მტკიცე უარს აცხადებდა ქმართან დაბრუნებაზე, მაგრამ დაახლოებით ერთ თვეში, კვლავ უბრუნდებოდა მას, შვილებთან ერთად. ამ გადაწყვეტილების მიღებაზე მას ქმრისა და მისი მშობლების მობოდიშება და მუდარა უბიძგებდა. ისინი ურჩევდნენ, არ დაენგრია ოჯახი და შვილები მამის გარეშე არ დაეტოვებინა. ასეთ დროს, ქმარიც ჰპირდებოდა, რომ აუცილებლად გამოსწორდებოდა...

ყოველივე ამის შესახებ თინათინ ბერიაშვილის მშობლებისა და ახლობლების ჩვენებებში ვკითხულობთ. ამ ფაქტებს ადასტურებენ მეზობლებიც. მაგრამ ქმრის ნათესავები, მიუხედავად იმისა, რომ მას ზემოთ ხსენებული ყველა მოწმე, მოძალადეს უწოდებს, მოვლენებს სულ სხვაგვარად აღწერენ და მომხდარ ფაქტსაც რადიკალურად განსხვავებულ შეფასებას აძლევენ. ისინი ირწმუნებიან, რომ ოჯახში კონფლიქტების მიზეზი, არა ქმარი — ვაჟა ბერიაშვილი, არამედ მისი მეუღლე — თინათინ ბერიაშვილი გახლდათ. ამბობენ, რომ ახალგაზრდა თინათინს ნერვული დაავადება ბავშვობიდან აწუხებდა და დროთა განმავლობაში ეს პათოლოგიაში გადაეზარდა. *„დაავადება განსაკუთრებით, მშობიარობის შემდეგ გაუმწვავდა. ეს პირველი ბავშვის გაჩენისთანავე მოხდა, მაგრამ ამის კონტროლი და სათანადო რეაგირება, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. დაახლოებით სამ თვეში, თინათინი კვლავ დაფეხმძიმდა. იმ პერიოდმა ძალიან დაძაბულად ჩაიარა, მაგრამ ვინაიდან ჩვილის გაზრდაში ვეხმარებოდით და ამის გამო, ფაქტობრივად, მას მარტო არ ვტოვებდით, სიტუაციის განმუხტვას და მის დამშვიდებას ვახერხებდით. თინათინს ყოველი წვრილმანი აღიზიანებდა, აგრესიული გახდა და უკმაყოფილებას ჯერ ყვირილით გამოხატავდა, შემდეგ გაბმით კიოდა და საგნებს, რაც ხელში მოხვდებოდა, აქეთ-იქით ისროდა ხოლმე. ფეხმძიმობის პერიოდში წამლებს ვერ ვასმევდით. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვეძლო, მისთვის რაც შეიძლება მშვიდი გარემოს შექმნა იყო. ექიმის რჩევებს მაქსიმალურად ვითვალისწინებდით და ვასრულებდით. ეს ექიმი მას ორსულობის დროს უწევდა კონსულტაციებს. უშუალოდ ნევროპათოლოგთან კი არ მოგვყვებოდა. ამბობდა — თქვენ რა, გიჟად გინდათ გამომაცხადოთო?! სხვათა შორის, ამის წინაღმდეგი თინათინის მშობლებიც იყვნენ. არ სურდათ იმის აღიარება, რომ მათი შვილი დაავადებული იყო“,* — ამბობს თინათის ბერიაშვილის მული, ვაჟა ბერიაშვილის და.

თინათინის ავადმყოფობის ფაქტს მისი მშობლები ამჟამადაც კატეგორიულად უარყოფენ. მათი თქმით, ეს შეთხზული ამბავია. იმასაც ამბობენ, რომ ვაჟა ბერიაშვილის ოჯახის წევრები რძალს, ამის გარდა, ბევრ სხვა შეურაცხმყოფელ ამბავს უგონებდნენ, ჭორებს შემდეგ, მეზობლებში ავრცელებდნენ, ლანძღავდნენ და ახალგაზრდა ქალის პირად ცხოვრებას მთელი უბნის სალაპარაკოდ აქცევდნენ. თინათინ ბერიაშვილის ახლობლების თქმით, ვაჟა ბერიაშვილს სმა უყვარდა, მთვრალი კი საშინლად ეჭვიანობდა ცოლზე, თავს ვერ აკონტროლებდა და უსაფუძვლო ეჭვებითა და სხვა უმნიშვნელო მიზეზებით გაღიზიანებული, ცოლს სასტიკად სცემდა. ნაცემი თინათინი ხშირად გაქცევით შველოდა თავს. მეზობლები ამბობენ, რომ არაერთხელ შესწრებიან ფაქტს, როცა თინათინი გარბოდა, დანამოლერებული ქმარი გინებით მისდევდა უკან, შეშინებული და აღრიალებული ბავშვები კი ბინის კარს აწყდებოდნენ და შოკში ჩავარდნილები, შველას ითხოვდნენ. ჩვენებების მიხედვით, აგრესიამოძალებული ვაჟა ბერიაშვილი შვილებსაც ცუდად ექცეოდა და ხშირად სცემდა მათ. იმ დროს, როცა მათ ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა, ბავშვები 7 და 6 წლისანი იყვნენ...

„ვაჟას მშობლებმა თინათინის ფსიქიკური დაავადების შესახებ ამბავი, როგორც ჩანს, თავიდანვე იმიტომ შეთხზეს, რომ ამით თავიანთი შვილის მხეცური საქციელი დაეჩრდილათ და ამდენი სკანდალი რამით აეხსნათ. გასაგებია, რომ შვილის დადანაშაულება არავის სურს, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ბრალი იმდენად აშკარა და თვალში საცემი იყო, რომ ამის უარყოფა უბრალოდ, შეუძლებელია. ბოლოს თინათინს ნერვებმა მართლაც უმტყუნა და დაავადდა. ეს ქმართან ერთად აუტანელმა ცხოვრებამ განაპირობა. ამდენ შეურაცხყოფას ვერც ერთი ადამიანის ნერვები ვერ გაუძლებდა. ყოველივე ამან გავლენა თინათინზეც მოახდინა, მაგრამ ფსიქიკურად შეშლილი ის არასდროს ყოფილა. აუტანელი ცხოვრების გამო, რამდენჯერმე მიატოვა კიდეც ქმარი. ვაჟა აკითხავდა და ჰპირდებოდა, რომ ცუდად აღარ მოიქცეოდა. თინათინიც ერიდებოდა ოჯახის დანგრევას. ბავშვების გამო, იძულებული ხდებოდა, ქმარს დაჰბრუნებოდა. ხედავდა, რომ ქმართან თანაცხოვრების პერიოდში შვილები გამუდმებულ სტრესში იმყოფებოდნენ, მაგრამ რატომღაც მაინც მიაჩნდა, რომ უმამოდ მომავალში მათ უფრო გაუჭირდებოდათ. ბოლოს, ისეთი რამ მოხდა, რასაც ამდენი სკანდალისა და საფრთხის მიუხედავად, მაინც ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა“, — ამბობს თინათინ ბერიაშვილის ბიძაშვილი.

მომხდარი ტრაგედიის შესახებ ნათესავებმა იმავე დღეს შეიტყვეს. როცა ბერიაშვილების ბინაში მივიდნენ, იქ — შემთხვევის ადგილზე უკვე პოლიციის თანამშრომლები დახვდნენ. სამართალდამცველები განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ საშინელ მკვლელობაზე ლაპარაკობდნენ. ამბობდნენ, რომ მოკლულს მუცლის არეში დანით მიყენებული რამდენიმე ჭრილობა აღენიშნებოდა. დანაშაულის იარაღის შესახებ თავიდანვე გახდა ცნობილი, რადგან გასისხლიანებული, შავტარიანი სამზარეულო დანა იქვე, გვამის გვერდით ეგდო. გვამის თავიც სისხლით იყო მოსვრილი. სამართალდამცველები ვარაუდობდნენ, რომ მას თავში რაღაც მძიმე საგანი ჩაარტყეს... რაც შეეხება მკვლელს, ის არსად ჩანდა...

ბავშვები ამ შემზარავ სურათს არ შესწრებიან. არ უნახავთ არც ის, თუ როგორ მოხდა დანაშაული. ამბობენ, როცა დედამ და მამამ ჩხუბი დაიწყეს, ეძინათ. ყვირილის ხმაზე გაელვიძათ. ორივენი სამზარეულოში გავიდნენ. მაშინ დედა სამზარეულოს მაგიდასთან, სკამზე იჯდა, მამა კი ლოჯიაში იყო გასული და სიგარეტს უკიდებდა. ბავშვები რომ დაინახა, ორივეს უყვირა — რატომ არ გძინავთო?! — და შეიგინა. დედამაც დაუყვირა — ბავშვებს თავი დაანებეო! მამა გინებით წავიდა მისკენ. დედა გაიქცა, ბინის კარი გააღო და ორივე ბავშვი გვერდით მცხოვრებ მე-

ზობელთან გაიყვანა.

მეზობლის ჩვენებიდან:

„...მანამდე არანაირი ჩხუბის ხმა არ გამიგონია. ვიცი, რომ ვაჟა მთელი დღე არ იყო სახლში, მისი მოსვლა არ გამიგია. საერთოდ, სამსახურიდან გვიან საღამოს, დაახლოებით 9-დან 10 საათამდე ბრუნდებოდა, თინიკომ (თინათინ ბერიაშვილი) რომ ზარი დარეკა კარზე, უკვე 11 საათი იქნებოდა. კარზე ზარი გაბმით გაისმა და გამიკვირდა. შეშინებულმა ვიკითხე, ვინ არის-მეთქი? ელიკო დეიდა, არ შეგეშინდეს, თინიკო ვარ, ერთი წუთით გამიღეო, — მითხრა. რა თქმა უნდა, მაშინვე გავაღე. მასთან ერთად ბავშვები იდგნენ, პიჟამოებით და ოთახის ჩუსტებით. თინიკო აღელვებული ჩანდა. მითხრა — ვაჟა ისევ გალეშილი მთვრალი მოვიდა, არ მინდა, ბავშვებს ნერვები მოუშალოს, ცოტა ხანს შენთან იყვნენ, ვაჟას დავაწვენ და მერე გავიყვანო. — კარგი-მეთქი, ვუთხარი. ისიც ვკითხე, ხომ არ ჩხუბობდნენ, მაგრამ — არაო, — მიპასუხა. ბავშვებს ტელევიზორი ჩავურთე. გამორთული მქონდა, რადგან მეც დასაძინებლად ვემზადებოდი. ამის შემდეგაც ბერიაშვილების სახლიდან ჩხუბის ან რამე საეჭვო ხმა არ გამიგონია...“

ბინაში შებრუნებულმა თინათინ ბერიაშვილმა კარი მხოლოდ მიხურა, გასაღებით არ გადაუკეტავს. ქმარი იმ დროს კვლავ ლოჯიაში, დივანზე იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. ცოლს უსაყვედურა — ბავშვები რატომ გაიყვანე, მეზობლებს რატომ აყურებინებ სეირსო? ამის გამო გინება დაუწყო მას. ცოლი სთხოვდა, თავი დაენებებინა მისთვის, დამშვიდებულიყო და დასაძინებლად წასულიყო. ქმარმა, ამის ნაცვლად, მას ბავშვების მოყვანა უბრძანა. ამაზე ცოლისგან კვლავ უარი რომ მიიღო, წამოდგა და საცემრად გაიწია მისკენ. მაშინ თინათინმა უთხრა — შენთან ცხოვრება გაუსაძლისია, იცოდე, მეტის ატანა აღარ შემიძლია და წავალ აქედანო. ვაჟა ბერიაშვილმა უპასუხა, რომ სადაც არ უნდა წასულიყო, მაინც მოძებნიდა. შემდეგ დასძინა, — ამ სიტყვებს ინანებ, ახლა შენს სისხლს დავლევო. ეს რომ თქვა, ჩქარი ნაბიჯით შემოსასვლელში გავიდა და ბინის კარი გასაღებით გადაკეტა. თინათინმა მოსალოდნელი საფრთხე იგრძნო და შეშინებულმა, სამზარეულოს მაგიდაზე დადებულ, პურის საჭრელ შავტარიან დანას დაავლო ხელი. სამზარეულოში შესულ ქმარს დაუყვირა — არ მომეკარო, თორემ დანას გაგიყრიო! ამ სიტყვების მიუხედავად, ვაჟა ბერიაშვილი მაშინვე მივარდა ცოლს, რათა მისთვის იარაღი წაერთმია. ცოლმა დანა მოიქნია. ვაჟა ბერიაშვილმა ხელი მუცელზე მოიკიდა და რამდენიმე წამით ჩაიკეცა. შემდეგ ისევ წამოდგა და ცოლისკენ გაიწია. თინათინ ბერიაშვილმა, რომელსაც სისხლიანი დანა ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, ქმარი სასიკვდილოდ დაჭრა — მუცელში მას ზედიზედ რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, დანა იქვე დააგდო, წაქცეულ ქმარს კი, იმის შიშით, რომ კვლავ არ წამომდგარიყო, თავში ხორცის საბეგვი რკინის ჩაქუჩი ჩაარტყა. ამის შემდეგ, ბინის კარი გააღო და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა...

მეზობლის ჩვენებიდან:

„...ბავშვები ტელევიზორს მშვიდად უყურებდნენ. მეც მათთან ერთად ვიჯექი და რატომღაც, საერთოდ არ ვღელავდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ თინიკო წუთი წუთზე შემოვიდოდა და მეტყოდა — ვაჟა დავაძინე, ყველაფერი რიგზეა და ბავშვებს წავიყვანო. დრო გადიოდა, ის კი არ ჩანდა, ჩხუბის ხმა არ გამიგონია, ამიტომაც არ მინდოდა, ცუდზე მეფიქრა, მაგრამ თანდათან ნერვიულობამ მეც ამიტანა. უკვე პირველი საათი იყო დაწყებული, გადავწყვიტე, თავად გავსულიყავი და მეკითხა ამბავი. ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ჩარევა საერთოდ არ მიყვარს და არც სხვისი ოჯახის ამბებით დავინტერესებულვარ ოდესმე, მაგრამ თინიკოსთან ძალიან ახლოს ვიყავი, ჩემი ქალიშვილის ტოლია და შვილივით ვუყურებდი, რჩევებს ვაძლევდი ხოლმე, ხშირად ვსაუბრობდით. მისი ბედიც ძალიან მაღელვებდა. მიუხედავად ამისა, იმ ღამეს მაინც მომერიდა გასვლა და კითხვა, თუ რა ხდებოდა. ბოლოს, ლოდინი აუტანელი გახდა. შინაგანად ვგრძნობდი, რომ რაღაც არ იყო კარგად. ბავშვებს თითქმის ეძინათ. მათი ბინის კარი ღია დამხვდა. შეშინებულმა, დავუძახე თინიკოს, იქიდან კი ხმა არავინ გამცა. გადავწყვიტე, შევსულიყავი. სამზარეულოში შევიხედე და იქ შემზარავი სურათის დამხვდა. ვაიმე, მიშველეთ-მეთქი! — ვიყვირე და მაშინვე ჩემს ბინაში გავვარდი, შემეშინდა, ბავშვებს არ გაღვიძებოდათ, არ გამოსულიყვნენ და ეს საშინელება არ დაენახათ. კარი გამოვკეტე და მეზობელთან გავვარდი. ამ უბედურების შესახებ პირველს მას ვუთხარი, შემდეგ, პოლიციასაც შევატყობინეთ... ბინაში რომ შევედი, ვაჟა გულაღმა ინვა იატაკზე და არ ინძრეოდა, თავიდანაც სისხლი სდიოდა; მუცელზე სისხლი არ შემინიშნავს, მუქი პერანგი ეცვა. პოლიციისგან შევიტყვეთ, რომ მუცელშიც ყოფილა დაჭრილი. მე არც სისხლიანი დანა დამინახავს, შოკში ჩავარდნილს, გვერდით არც გამხედავს, პირდაპირ სახლში, ბავშვებთან შევვარდი. მეზობელს რომ ვუთხარი მომხდარის შესახებ, ის მაშინვე ბერიაშვილების ბინაში შევარდა, მე აღარ შევყოლივარ, ცუდად ვიყავი. რომ გამოვიდა, მითხრა — ვაჟა მკვდარია, „სასწრაფოს“ მაინც დავურეკოთ და პოლიციასაც შევატყობინოთო...“

დანაშაულის ჩადენის შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან გაქცეული თინათინ ბერიაშვილი იმ ღამით, მეზობელ კორპუსში მცხოვრებ მეგობარ ქალთან მივიდა ბინაში და მომხდარის შესახებ უთხრა. მეგობარი ჩვენებაში წერს, რომ თინათინს არაადამიანური გამომეტყველება ჰქონდა, შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და გაოგნებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, არეულად უყვებოდა მომხდარის შესახებ. მეორე დილით, თინათინ ბერიაშვილი პოლიციამ დააკავა. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. გამოძიებას დაკავებულმა თავიდანვე მისცა აღიარებითი ჩვენება. ჩვენება მას არც სასამართლო პროცესზე შეუცვლია.

პროკურატურა თავდაპირველად, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. საქმის გამოძიების დასრულების შემდეგ, სამართალდამცველები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების დროს იყო ჩადენილი. გამოძიების პერიოდში, თინათინ ბერიაშვილზე სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზაც ჩატარდა. ექსპერტებმა ფსიქიკური აშლილობის არსებობა გამორიცხეს. მათი თქმით, ბერიაშვილი შერაცხადია, მაგრამ დანაშაულის ჩადენის მომენტში ის ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„...ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იმ ღამით რაღაც საშინელება დატრიალდებოდა. ყველაზე მეტად ამის იმ მომენტში შემეშინდა, როცა ვაჟა შემოსასვლელში გავიდა და კარი გადაკეტა. გავიგონე, თუ როგორ გადაატრიალა გასაღები ორჯერ. მანამდე, მე თვითონ კარი ღია დავტოვე სპეციალურად, ვიფიქრე — ცემა თუ დამიპირა, იოლად გავიქცევი-მეთქი. შენს სისხლს დავლევო, — მითხრა და მისი მუქარის რეალობაში ეჭვი აღარ მეპარებოდა. სამზარეულოში რომ შემობრუნდა, დანა უკვე ხელში მეჭირა. გავაფრთხილე, მაგრამ არც დაფიქრებულა, არც შეშინებია, გამხეცებული სახით პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. ამის შემდეგ რა მოვიმოქმედე, არ მახსოვს, გონება დაბინდული მქონდა, აზრზე არ ვიყავი და ჩემს საქციელს ვერ ვაკონტროლებდი. მახსოვს ის, რომ მეშინოდა, ისევ არ წამომდგარიყო. შიშს იმ ღამით, ერთი წამითაც არ დავუტოვებივარ. არ მახსოვს, როგორ გავიქეცი და როგორ აღმოვჩნდი დაქალის სახლში იმ შუაღამისას, მასთან რატომ მივედი ან როგორ მივაღწიე იქამდე, არ ვიცი. ბავშვებს თვალებში ვერ შევხედავდი... დაქალს ვუთხარი, მგონი მოვკალი, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, მეშინია-მეთქი“...

ეს სიტყვები ბერიაშვილის მეგობარმაც დაადასტურა სასამართლო პროცესზე. განსასჯელის ჩვენებას, ისევე, როგორც პროკურატურის პოზიციას — ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის შესახებ — დაზარალებული მხარე შეეწინააღმდეგა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მკვლელობა განზრახ იყო ჩადენილი და თინათინ ბერიაშვილის მკაცრად დასჯას მოითხოვდნენ.

„წინააღმდეგობაში თავად ცვივდებიან. თინათინის ფსიქიკურ აშლილობაზე თავად ლაპარაკობდნენ, ლამის გიჟად გამოაცხადეს და ახლა ამბობენ, რომ მან დანაშაული წინასწარ დაგეგმა და დიდი ხნის ჩანაფიქრი ზედმიწევნით, გეგმის მიხედვით განახორციელა. შეურაცხადები ასე ვერ იქცევიან. ისინი საკუთარ ქმედებებს ვერ აცნობიერებენ და ვერც შედეგებს ითვალისწინებენ. თინათინი ნორმალური ადამიანია. საქმე ისაა, რომ ამდენმა ძალადობამ, არაადამიანურმა მოჰურობამ და გამუდმებულმა სტრესმა თავისი შედეგი გამოიღო, ის აფექტურ მდგომარეობაში ჩაგდო და საშინელება ჩაადენინა...“ — ასე ხსნიან თინათინ ბერიაშვილის ახლობლები მის საქციელს.

თავად თინათინმა იგივე ჩვენება მისცა, რაც წინასწარ გამოძიებას. სასამართლომ პროკურატურის პოზიცია გაიზიარა და ის ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. სასჯელის ზომად ორი შვილის დედას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენი დაზარალებულის მხარემ გაასაჩივრა, მაგრამ — უშედეგოდ. პალატის მოსამართლეებმა ის უცვლელად დატოვეს. ■

„ჩავარდნილი" ქურდობა და ბაბუის ნაქონი თოფით ჩადენილი მკვლელობის მცდელობა

შეზარხოშებული ახალგაზრდების მიერ ჩაფიქრებული ქურდობა, გეგმის განხორციელების მომენტში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში გადაიზარდა. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულებმა, თავდაპირველად, სასურსათო მაღაზიის გაქურდვა გადაწყვიტეს, შემდეგ ავტოფარეხის ძარცვაზე გადავიდნენ, ბოლოს კი საქმე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობის მცდელობამდეც მივიდა.

20 წლის შალვა გამეზარდაშვილი წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. ოფიციალური ცნობების თანახმად, მომხდარი ფაქტი მისი მეგობრისთვის — გოგა ბოჭორიშვილისთვისაც პირველი დანაშაული გახლდათ. ისინი (ამჟამად უკვე მსჯავრდებულები), თანატოლები და ბავშვობის მეგობრები არიან. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, დანაშაულის ჩადენის იდეა, ძმაკაცებთან ქეიფის დროს გაუჩნდათ. ჩანაფიქრის განხორციელება მით უფრო რეალურად მოეჩვენათ, როცა გაახსენდათ, რომ გამეზარდაშვილს სახლში ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა.

საქმის მასალების მიხედვით, შალვა გამეზარდაშვილმა ცეცხლსასროლი იარაღი პაპისეული სახლიდან, შემთხვევამდე ორი წლით ადრე წამოიღო. სოფელში, გარდაცვლილი პაპის ოჯახში, ბელგიური წარმოების, „ფლობერის" მოდელის, 16-კალიბრიანი, ორლულიანი სანადირო თოფი წლების მანძილზე ინახებოდა. ერთ ზაფხულს, იარაღით დაინტერესებულმა გამეზარდაშვილმა, ბაბუის თოფი კედლიდან ჩამოხსნა და მისი გადაკეთება გადაწყვიტა — აღბათ, კონკრეტული მიზნისთვის. თუმცა ამის შესახებ საქმის მასალებში არაფერია ნათქვამი და არც თავად გამეზარდაშვილის ჩვენებაშია რაიმე დაკონკრეტებული. სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ გამეზარდაშვილის მიერ ჩადენილი პირველი დანაშაული ოფიციალურად მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოვლინდა და დაფიქსირდა...

ბაბუის ნაქონი სანადირო თოფი გამეზარდაშვილმა რკინის ხერხით გადაჭრა, მას მცირე ზომის ხის ტარი მოარგო და გადაკეთებული ცეცხლსასროლი იარაღი თავისსავე საცხოვრებელ სახლში, ტახტის ქვეშ შეინახა. იმ საღამოს, ის და მისი მეგობარი — ბოჭორიშვილი, სხვა ძმაკაცებთან ერთად, საერთო მეგობრის დაბადების დღის წვეულებაზე იმყოფებოდნენ. ქეიფს რომ მორჩნენ, დაახლოებით ღამის 12 საათისთვის, ერთ-ერთმა, რომლის ვინაობაც საქმის მასალებში არ ფიქსირდება (სამართალდამცველების თქმით, მისი ვინაობა გამოძიებით ვერ დადგინდა), გამეზარდაშვილი და ბოჭორიშვილი ცალკე გაიხმო და მათ, ახლომდებარე სასურსათო მაღაზიის გაქურდვა შესთავაზა. მეგობრებს ისიც უთხრა, რომ ყველაფერი იმავე ღამეს უნდა გაეკეთებინათ. შეთანხმდნენ და ერთმანეთს დაშორდნენ, რათა დანაშაულის ჩასადენად მომზადებულიყვნენ.

გამეზარდაშვილმა სახლიდან თავისი გადაჭრილი თოფი წაიღო, თუმცა მეგობრებს სხვა ხელსაწყოებიც — კერძოდ, ლითონის საჭრელი ხერხი, ძალაყინი და სახრახნისიც სჭირდებოდათ, ვინაიდან გამოძიებით დაუდგენელმა პირმა მათ უთხრა, რომ სასურსათო მაღაზია და ავტოფარეხი, რომლის გაქურდვაც ასევე შედიოდა მათ გეგმაში, გისოსებით იყო დაცული. ყველაფერი მოაგროვეს და დაახლოებით ერთ საათში, ღამის პირველი საათისთვის, დათქმულ ადგილზე შეხვდნენ ერთმანეთს. იქვე შეიმუშავეს დანაშაულის ჩადენის შემდეგი გეგმა. გამეზარდაშვილმა ძალაყინით მაღაზიის გისოსის ამოგდება სცადა, მაგრამ ამის გაკეთება უხმაუროდ შეუძლებელი იყო. კორპუსის მცხოვრებლებმაც ყურადღება მიაქციეს საეჭვო ხმაურს და ფანჯრებიდან გარეთ გაიხედეს. კორპუსის ერთ-ერთმა ბინადარმა ხმამაღლა დაიძახა — პოლიციაში დავრეკოთო! ეს ბოროტმოქმედებმაც გაიგონეს და შიშით, იქაურობას საჩქაროდ გეცალნენ. მაგრამ დანაშაულის ჩადენაზე ხელი მაინც არ აუღიათ. მართალია, სასურსათო მაღაზიის გაქურდვის გეგმა ჩაეშალათ, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ ავტოფარეხის გაქურდვას წარმატებით მოახერხებდნენ. მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიიდან გაქცეულებმა, სწორედ მეორე ობიექტისკენ — ავტოფარეხისკენ აიღეს გეზი.

საქმის მასალების მიხედვით, ავტოფარეხში პატრონს „ვაზ-21" ჰყავდა დაყენებული. ბოროტმოქმედებს ავტომანქანის გაქურდვა და მისი ნაწილების — აკუმულატორის, საბურავებისა და სალონში დამონტაჟებული მაგნიტოფონის გაყიდვა ჰქონდათ ჩაფიქრებული. წინასწარ შეთვალიერებული ავტოფარეხის უკან ჩასაფრდნენ და ხელსაყრელ მომენტს დაელოდნენ. ცოტა ხანში დარწმუნდნენ, რომ ავტოფარეხში რკინის კარიდან შესვლას ვერაფრით მოახერხებდნენ, ამიტომაც გადაწყვიტეს, გვერდითა კედლის ზედა ნაწილში მოთავსებული გისოსები ამოეგდოთ და ისე შეეღწიათ შიგნით. ისიც შენიშნეს, რომ გისოსის ერთი ღერი აგლეჯილი იყო და მის გადაღუნვას შეეცადნენ. მეორე ღერს ხერხით გადაჭრიდნენ და შემდეგ გადაძრომასაც შეძლებდნენ. მათდა სამწუხაროდ, არც ამ გეგმამ გაამართლა. საეჭვო ხმაური კორპუსის ბინადრებმა ამ შემთხვევაშიც გაიგონეს. ამის შესახებ, მაღაზიის გაქურდვის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით, მოსახლეთა მიერ გამოძახებულმა პოლიციელებმაც შეიტყვეს და დაუყოვნებლივ ავტოფარეხისკენ გასწიეს. ბოჭორიშვილი იქვე დააკავეს, გამეზარდაშვილსა და გამოძიებით დაუდგენელ პირს კი, რომლებმაც გაქცევა მოახერხეს, დაედევნენ. პოლიციელებმა რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლაც მოახდინეს. სწორედ ამ დროს, გამეზარდაშვილი, რომელსაც ბაბუის ნაქონი, გადაჭრილი თოფი ეჭირა ხელში, ერთ-ერთ პოლიციელს მიუბრუნდა და მისი მიმართულებით, დამიზნებით ორჯერ ზედიზედ ისროლა. ერთი ტყვია პოლიციელს მუცლის არეში მოხვდა. ის ჩაიკეცა, მაგრამ საპასუხო გასროლაც მოახერხა. პოლიციელის მიერ ნასროლი ტყვია გამეზარდაშვილს ბარძაყის არეში მოხვდა. ჭრილობამ მას გაქცევაში შეუშალა ხელი. ამის შემდეგ, სამართალდამცველებმა მისი დაკავება ადვილად მოახერხეს.

მესამე ბოროტმოქმედი მათ ხელიდან დაუსხლტათ. მისი ვინაობა არც დაკავებულებმა გაამხილეს. პროკურატურამ ბოჭორიშვილს — ქურდობის მცდელობის, გამეზარდაშვილს კი, გარდა ამისა, პოლიციელის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობის მუხლიც წაუყენა. ბრალდებულებმა არც გამოძიებას და არც სასამართლოს ჩვენებები არ მისცეს, მათ დუმილის უფლება გამოიყენეს. მათი ადვოკატების თქმით, პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალდებებში ისინი თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ, თუმცა დამცველებმა საპირისპიროს დამტკიცება ვერ შეძლეს. სასამართლომ ორივე მათგანი დამნაშავედ ცნო: ბოჭორიშვილს — 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გამეზარდაშვილს, 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ვირტუალური წყვილის რეალური ამბავი გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-38

ჩვენი ვირტუალური წყვილის, ზურასა და პანდორას ურთიერთობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ერთთვიანი ინტერნეტნაცნობობის შემდეგ, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ზურამ ნატალის ბათუმში ჩააკითხა და მხოლოდ იქ ჩასვლის შემდეგ გაუმხილა, რომ იქვე, ყურის ძირში იყო და მისი ნახვა უნდოდა. „გზის“ წინა ნომერში თხრობა სწორედ იმ ადგილას შევწყვიტეთ, როცა ისინი 31 აგვისტოს, ღამის 12 საათზე შეხვედრაზე შეთანხმდნენ. ზურას კი დილით, 11 საათზე მინისტრთან ჰქონდა შეხვედრა დანიშნული. დღეს ახალ პერსონაჟსაც გაეცნობით, რომელიც ნატალის მეგობარი და მისი სეხნია, იგივე „სონა“ გახლავთ (ის ნიუ-იორკში ცხოვრობს). ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი სონასა და ნატალის დიალოგი ზურასთვის სიურპრიზი იქნება და ჩვენი რეალური რომანის მთავარი გმირი ბევრ საინტერესო სიახლეს შეიტყობს.



მარი ჯაფარიძე

1-ელი სექტემბერი, პარასკევი
10:10

პანდორა: დილა მშვიდობისა, ჩემო კარგო. აი, ჩვენი შეხვედრაც შედგა... როგორ იმგზავრე? ალბათ, გიჟივით მიდიოდი. ხომ მშვიდობიანად ჩახვედი? ჯერ ისევ გზაში იქნები. სულ 5 საათი გქონდა თბილისამდე ჩასასვლელად. იცი, რომ დამირეკე და მითხარი: ბათუმში ვარო, სუნთქვა შემეკრა. ძალიან ვინერვიულე, სანამ გნახავდი. რომ დაგინახე, უკვე გამიარა. აი, თურმე როგორი ყოფილხარ... მე კი სულ სხვგვარად მყავდი წარმოდგენილი... ახლა წავედი. მინისტრს რომ შეხვდები, მერე იმედია, შემეხმიანები. გკოცნი.

15:28

ზურა: ჩემო სიხარულო, როგორ ხარ? ბედნიერი ვარ, რომ გნახე. ახლა მოვიცალე კომპიუტერისთვის. ისე მიგეჩვიე, რომ გუშინ დილიდან სულ შენს მოლოდინში ვიყავი. ძალიან მომინდა შენი ნახვა. ვიფიქრე, რატომ უნდა გადამედო სხვა დროისთვის? მთელი გზა თბილისიდან ბათუმამდე ისე გამოვიარე, რომ სულ თვალწინ მედექი. თან, რომ ვიცი შენი ჯიუტი ხასიათის ამბავი, ვფიქრობდი — ვაითუ, ტყუილად ჩავედი ამხელა გზაზე და ჩემთან შეხვედრაზე უარი თქვას-მეთქი. მე გარჯა კი არ მანერვიულებდა, შენი ნახვა მინდოდა და იმიტომ განვიცდიდი. შენ გგონია, მე მშვიდად ვიყავი და არ ვნერვიულობდი, ვიდრე შეგხვდებოდი? ადგილზე რომ მოვედი და გელოდი, 20 წუთში ღამის ნახევარი კოლოფი სიგარეტი მოვწიე. ახლა ისევ საქმეს მივხედავ, ახალი დავალებები მივიღე. თანაც, აქ მაინც არ ხარ. საღამოს კი იმედია, შევხვდებით. გკოცნი ძალიან ბევრს. *)*)*)*)*)*)*)

19:46

ზურა: დღეს მთელი დღე არ გამოჩენილხარ. სად ხარ? ახლა სახლში წავალ. ძალიან ცხელა. იქნებ, ცოტა ადრე მოხვიდე, საყვარელო?! გელი...

22:37

პანდორა: აქ ყოფილხარ. როგორ ხარ? რაო, მინისტრმა?

ზურა: საღამო მშვიდობისა, ჩემო სიხარულო, მინისტრმა რაო და, ნატალის უთხარი: წესიარად მოიქცეს და ყველაფერი დაგიჯეროს, თორემოოო...

პანდორა: თორემ რაოოო?

ზურა: თორემ ისეთ გადაწყვეტილებას გამოვიტან რომაო, ნატალის თბილისიდან გასვლა საერთოდ აეკრძალებაოოოო... მერე სულ ჩემ გვერდით იქნები და ასე აღარ მომენატრები... ჰო, ერთი ის მითხარი, გუშინ შენს სახლთან რომ მოვედი და მთელი 20 წუთი მალოდინე, სად იყავი მაგდენი ხანი? ჩემთვის იპრანჭებოდი?

პანდორა: ჰო, ცოტა გაგეპრანჭე...

ზურა: შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ პირდაუბანელიც მშვენიერი იქნები...

პანდორა: ასე ნუ მეუბნები, თორემ დავიჯერებ, რომ მართლა ლამაზი ვარ და მერე ძალიან გავყოყოჩდები...

ზურა: გაყოყოჩდები და მაგის წამალიც ვიცი... მითხარი, მოგეწონე?

პანდორა: რა მოსაწონი შენ ხარ?

ზურა: გასაგებია... ე.ი. ძალიან მოგეწონე. ძალიან კარგი იყო, რომ გნახე, მაგრამ „ცოტა“ იყო. სადარბაზოდან რომ გამოდიოდი, თვალს გარიდებდი, რომ შენ არ მოგრიდებოდა. მერე, მანქანიდან რომ გადმოვედი და ხელი ჩამოგართვი, ისე შემომხედე, ლამის წამაქციე...

პანდორა: ჩვეულებრივად შემოგხედე...

ზურა: ეს არ იყო ჩვეულებრივი მზერა. ეს იყო ერთად აღებული სიმორცხვე, ინტერესი, ალერსი, სითბო და კიდევ რაღაც გაურკვეველი გრძნობა.

პანდორა: მე კი შენს თვალებში მხოლოდ დაჟინებული მზერა დავინახე და თვალი ვერ გაგისწორე...

ზურა: სხვა დროს ღამით გიბანავია ზღვაში?

პანდორა: არა, არასდროს...

ზურა: მოგეწონა?

პანდორა: ცოტა შიშის შეგრძნება მქონდა. ისე, რამ მოგაფიქრა ბანაობა?

ზურა: აბა, ზღვაზე ვიყავით და... თანაც შიშველი, კაბის გარეშე ხომ უნდა მენახე? გიხდებოდა სალათისფერი სარაფანი, მაგრამ „კუპალნიკში“ გაცილებით კარგად გამოიყურებოდი.

პანდორა: თავხედობას თავი დაანებე...

ზურა: არ გრცხვენია? ჩემი თავხედობა ვის გაუგონია? არა, ჩემო კარგო, ეს თავხედობა კი არა, სიმართლეა... მანქანაში რომ ჩაჯექი, შენი მოკლე სარაფანი მუხლს ისე ასცდა, რომ ვინატრე, კაბა ცოტა კიდევ მოკლე ყოფილიყო... რა თქმა უნდა, ხელით ვერ შეგეხებოდი. ვიცოდი, თავში რაიმე მძიმე საგანი მომხვდებოდა... ერთადერთი საშუალება იმისა, რომ ჩემი სურვილი ასრულებულიყო, იყო ის, რომ გვებანავა... შენ რა, გიკვირს, რომ ამის სურვილი მქონდა? მე ხომ ჩემი თავისთვის არაფრის უფლება არ მიმიცია?

პანდორა: სხვათა შორის, მეგონა, ბანაობის დროს ხელის მოხვევას მაინც მოინდომებდი. შენ კი არც შემხებიხარ, ახლოსაც არ მოსულხარ...

ზურა: სად მეჩქარება? მაინც ჩემი ხარ და როცა მინდა, მაშინ შეგეხები. მთელი ცხოვრება წინ გვაქვს. :)))

პანდორა: ადამიანი იმედით ცოცხლობს... :)))

ზურა: მაგით რისი თქმა გინდა? შენ გგონია, რომ შენ წყვეტ ურთიერთობებს? არა, საყვარელო.. მე ვიცი, რომ შენ ძალიან გაინტერესებდა ჩემი ნახვა, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდი. ახლა კი ისე შეგიყვარდები, როგორც მე მიყვარხარ და კიდევ უფრო მეტადაც... შენ უჩემოდ სუნთქვასაც ვერ შეძლებ... მე მინდა, რომ ეს ასე იყოს და ასეც იქნება...

პანდორა: შენ გგონია, რომ ყოვლისშემძლე ხარ? ჯიბრში ნუ ჩამიდგები, თორემ სულ სხვაგვარად წავა საქმე...

ზურა: არაფერში გეჯიბრები, უბრალოდ ვიცი, რომ ეს ასე იქნება. ნატალი, მითხარი, გიყვარვარ?

პანდორა: შენ გგონია, ასე იოლად შეიძლება ადამიანის შეყვარება? მომწონხარ,

მენატრები, მომწონს შენთან ურთიერთობა... თუ შენ ამას სიყვარულს დაარქმევ...

ზურა: არა, ეს ის სიტყვები არ არის, რომლის მოსმენაც შენგან მინდა... მინდა, რომ უჩემოდ კვდებოდე...

პანდორა: შენ? შენ კვდები უჩემოდ?

ზურა: უშენოდ მაშინ ვკვდებოდი, ჩემ გვერდით რომ იყავი და ვერ გეხებოდი. პლაჟზე რომ ვისხედით და გითხარი: ჩემთან ერთად დაბრუნდი თბილისში-მეთქი, ისე საყვარლად მოპრუწე ტუჩები, რომ ლამის გაკოცე... ახლაც მიკვირს, როგორ შევიკავე თავი. მითხარი, მომცემდი კოცნის უფლებას?

პანდორა: კი...

ზურა: რაااااა???? ახლავე წამოვალ... ეგ რა მითხარი? ასეთი იაღლიში ჯერ არ მომსვლია... მე კი ვიფიქრე, არ დავაფრთხომეთქი... ისე შემეშინდა, რომ მიმატოვებდი და გამექცეოდი, მთელი ჩემი ვნება და სურვილები მოვთოკე... იცი, ეს რად მიჯდებოდა? წარმოიდგინე, შუაღამისას, სიწყნარეში, როცა თავზე მთვარე დაგნათის, ზღვის ნაპირზე ზიხარ, გვერდით საოცნებო ქალი ზის ისე ახლოს, რომ ლამის მხრით ეხები, მისი სუნამოს სუნს გრძნობ, ხედავ, როგორ ადის-ჩადის მისი მკერდი... და ამ დროს, თავს აიძულებ, რომ შენს ხელებს გასაქანი არ მისცე და დაგემორჩილონ... ეს იგივეა, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლზე ნელა იწვოდე...

პანდორა: ჰო, ალბათ ასეა.

ზურა: მითხარი, შენ რას გრძნობდი იმ დროს?

პანდორა: მე ვგრძნობდი, როგორი დაძაბული იყავი. ხანდახან ხმაც კი გიწყდებოდა და ჩურჩულზე გადადიოდი. მინდოდა, რომ დრო გაჩერებულიყო და არ გათენებულიყო...

ზურა: ჩემზე არ ბრაზობდი?

პანდორა: რატომ უნდა გავბრაზებულიყავი?

ზურა: იმიტომ, რომ ბრიყვივით ვიჯექი და შორიდან გიყურებდი...

პანდორა: არა, არ გავბრაზებულვარ. პირიქით... ასე ჯობდა, რადგან გაცილებით დიდი სურვილი და ვნება დატოვე... შესაძლოა, იმ კოცნას ყველაფერი გაეფუჭებინა... ისე, თუ დააფიქსირე, რომ თითქოს რაღაცით ერთმანეთს ვგავართ?

ზურა: ისე ვართ, როგორც ყველი და პური :)))

პანდორა: :))) შენ ყველი ხარ თუ პური?

ზურა: მე ყველი ვარ, შენ კი — პური... იცი, რა ერთგული ყველი ვიქნები? არასდროს გაგცვლი მჭადზე... შენ კი ახლა ისეთი „ზაგარი“ გაქვს, რომ გახუხულ პურს ჰგავხარ... :)))

პანდორა: იცი, რომელი საათია?

ზურა: კი, დილის 5-ის ნახევარია. მერე?

პანდორა: წუხელ მთელი ღამე პლაჟზე გავათენეთ, დღეს, აქ... არ დავიძინოთ?

ზურა: ჰო, შენ მართალი ხარ, უნდა დავიძინოთ... თანაც, ალბათ ფიქრობ, რომ დიდი სხვაობა არ არის — მანდ ვიქნები თუ აქ, არა? იცოდე, რომ საერთოდ ასეთი მორიდებული ტიპი არ ვარ. უბრალოდ, შენთან მოვიქეცი ასე, რადგან ასე იყო საჭირო... არ მინდა იფიქრო, რომ შენ მხოლოდ ერთი დღისთვის მჭირდები და მხოლოდ სექსი მინდა... რა თქმა უნდა, უმაგისოდ ჩვენი ურთიერთობა არ გამოვა, მაგრამ მთავარი ეგ არ არის... კარგი, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ახლა კი დაიძინე, ჩემო პატარავ... ის დროც მალე მოვა, როცა ჩემს მხარზე დადებ თავს და ისე დაიძინებ... გკოცნი ძალიან ბევრს და შენთან მინდა...

პანდორა: ძილი ნებისა...

ზურა: კოცნა? კოცნა სად არის?

პანდორა: სად იყო შენი კოცნა გუშინ?

ზურა: ვაჰ, შენს ყბაში როგორ ჩავვარდი? აწი არ დაგინდობ, იცოდე...

პანდორა: ისე, ამხელა გზა გამოიარე და ისე როგორ წახვედი, რომ ერთხელ არ მაკოცე?

ზურა: ნატალი, ცეცხლს ნუ ეთამაშები...

პანდორა: კარგი, ვხუმრობ... ნუ მიბრაზდები...

ზურა: პატარავ, ისე მოგარჯულებ, რომ მღრინავი ვეფხვიდან მოკრუტუნე ფისოდ გადაიქცევი და თვალებში მიყურებ, რომ ჩემი ყველა სურვილი შეასრულო... ამას გპირდები...

პანდორა: ჩემი გამოსწორება არც ისე ადვილია...

ზურა: ვნახოთ.... ვნახოთ....

პანდორა: წავედი, კარგად...

ზურა: კარგად, ნატალი... მიყვარხარ!

2 სექტემბერი, შაბათი

14:25

ზურა: ნატუშკები, აქ ხარ? ვაااااა... როგორ ხარ, სიხარულო? როგორც იქნა გამოვიძინე... შენ?

პანდორა: მეც... სად ხარ?

ზურა: სახლში ვარ. 12 საათზე გამეღვიძა. ძალიან მშიოდა. მაღაზიიდან რაღაცები ამოვიტანე, სადილი მოვიმზადე და გემრიელად მივირთვი. ახლა კი შენი ვარ, საღამომდე...

პანდორა: საინტერესოა, რა მოიმზადე?..

ზურა: ხახვი და კვერცხი შევწვი... შენ იცი, კვერცხის შენწვა?

პანდორა: რა სასაცილო ხარ... საღამოს სად მიდიხარ?

ზურა: საღამოს მეგობრებთან ერთად სადმე წავალ. დღეს შაბათია, ვისვენებ, თანაც ცხელა და რამეს მოვიფიქრებთ...

პანდორა: მოკლედ, გასართობად მიდიხარ, ხომ?

ზურა: კი, გასართობად მივდივარ... ისე, ამ შუადღისას რა გინდოდა საიტზე? უჩემოდ იპარები ხოლმე, არა? ვის ელაპარაკებოდი? ოღონდ არ მითხრა, რომ მე მელოდი.

პანდორა: არა, შენ არ გელოდი. ჩემს მეგობარს ველაპარაკებოდი, რომელიც ნიუიორკში ცხოვრობს.

ზურა: რა ჰქვია შენს მეგობარს? ან აქამდე სად იყო? არ შემინიშნავს, რომ სხვა დროსაც ელაპარაკებოდი...

პანდორა: დაწყნარდი, ნუ ეჭვიანობ, ის ჩემი ბავშვობის მეგობარია, მასაც ნატო ჰქვია, მაგრამ სონას ვეძახით. უკვე 2 წელია, ამერიკაში ცხოვრობს და ერთმანეთს მუდმივად ვეკონტაქტებით. ისიც დასასვენებლად იყო მთელი თვე. ამიტომ ვერ ვუკავშირდებოდი ინტერნეტით და მხოლოდ ტელეფონით ვსაუბრობდით. ახლა შინ დაბრუნდა. მათთან ახლა შუაღამეა და ცოტა ვიჭორავეთ. ახალი ამბები მომიყვა, მეც მოვუყევი...

ზურა: ჩემზე მოუყევი?

პანდორა: შენ რა სახსენებელი ხარ? სიმართლე რომ გითხრა, არ გამხსენებია, რომ შენზე რამე მეთქვა...

ზურა: რა

ცოლიანია და მხოლოდ „ნახევარი“ შემხვდება.

სონა: როგორც ჩანს, უკვე გადაწყვეტილი გაქვს მასთან ურთიერთობა...

პანდორა: არა, გადაწყვეტილი არაფერი არ არის. უბრალოდ, კარგი ადამიანია და მორჩა. ჯერ გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი დროა.

სონა: კარგი, ჩემო ტკბილო, ახლა მე დავიძინებ, დილით ადრე უნდა ავდგე. ძალიან ბევრს გკოცნი და მენატრები. ნატ, მიაფურთხე ყველაფერს და ჩემთან ჩამოდი... იმ დღესვე გავაგდებ რობას და ერთად ვიცხოვრებთ მე და შენ — ყველაზე ახლობელი ადამიანები. საკუთარი და რომ მყავდეს, შენზე მეტად არ მეყვარებოდა.

პანდორა: რობა რატომ უნდა გააგდო? მე ხომ მის მაგივრობას ვერ გაგიწევ?

სონა: კარგი, არ გავაგდებ. იყოს ეგეც, ლურსმანს მაინც მიაჭედებს სახლში. შენ კი ჩემს წინადადებაზე იფიქრე. გკოცნი. ხვალამდე. სურათები უკვე გამოვგზავნე. პირველი ის სახლია, სადაც ვცხოვრობდი... ეს კი მე ვარ...

23:44

პანდორა: სად ხარ, ზურიკო? რატომ არ მოხვედი?

00:15

პანდორა: უკვე აღარ დაგელოდები, მივდივარ, კარგად... ისე, ნეტავ სად ხარ?

01:35

პანდორა: როგორც ჩანს, ამაღამ აღარ მოხვალ. ღმერთმა იცის, სად წახვედი... ამას ასე არ დავტოვებ, მოღალატევ!

3 სექტემბერი, კვირა.

11:32

პანდორა: ისევ არ ჩანხარ. ხომ მშვიდობაა შენკენ? ცოცხალი ხარ? თუ გადარჩი, დამიმესიჯე. საღამომდე აღარ მოვალ.

17:56

ზურა: ნატალი, სად ხარ? საღამოს ვიჭორაოთ? მიბრაზდები? არა, პატარავ, ნუ გამიბრაზდები... მოგიყვები, სადაც ვიყავი.

22:40

ზურა: ნატალი, მოოო-დიიიი!

23:43

ზურა: ნატალი, სად ხარ? ნუ მანერვიულებ!

00:10

ზურა: გოგო, ნუ გადამრიე! ტელეფონიც გამორთული გაქვს, ვერ გავიგე შენი ასავალ-დასავალი. ნატა, ცუდად იქცევი, არ მომწონს ეს ამბავი.

02:14

ზურა: მდა�ა, პასუხს მოგთხოვ დღევანდელი დღისთვის... უკვე სამი დაიწყო და ჯერ არ ჩანხარ...

03:45

ზურა: ოთხი ხდება და ისევ არ ხარ...

05:01

ზურა: ექვსი დაიწყო. დაიმახსოვრე ეს დღე, კალენდარზე წითელი ფანქრით მონიშნე...

4 სექტემბერი, ორშაბათი.

09:15

ზურა: ახლა სამსახურში მივდივარ — თათბირი მაქვს და ასე, 12 საათისთვის უკვე საიტზე შემოვალ და ან შენ, ან შენი წერილი რომ არ დამხვდეს, ძალიან გავბრაზდები... არ გკოცნი, იმიტომ, რომ არ იმსახურებ...

13:05

ზურა: ოოო, რა ჯიუტი ხარ!

20:43

ზურა: ნატალი, არ გაგივა ჩემთან ეგ ოინები... ღამე სახლში რომ არ გავათიე, იმიტომ იბუტები? ამ ამბავთან შეგუება მოგიწევს, ძვირფასო, ვიდრე ჩვენი ურთიერთობა კალაპოტში არ ჩადგება. მე მამაკაცი ვარ და მაგის უფლება მაქვს, შენ კი ჩემი ხარ და ვალდებული ბრძანდები, ჩემი ერთგული იყო... ფისუნიავ, ბრჭყალებს აჩენ?

23:32

ზურა: ეს უკვე მეტისმეტია... თუ დღესაც არ გამოჩნდები, იცოდე, დილით ბათუმში წამოვალ.

პანდორა: აქ ვარ, რატომ ბრაზობ?

ზურა: სად იყავი? რატომ არ შემოდიოდი საიტზე? ტელეფონი რატომ გქონდა გამორთული?

პანდორა: შენი ბოლოს წინა მესიჯი მომეწონა, ნამეტნავად! კარგად მსჯელობ, ღმერთმანი... მახსოვს, ადრე მითხარი, მეგობარი გოგონა მყავსო, ალბათ, მასთან იყავი, ხომ? მე რას მერჩი? თუ ცოლიც გყავს და მეგობარიც, ჩემგან რა გინდა?

ზურა: ის ჩემი მეგობარი გოგონა გათხოვდა და ქმართან ბედნიერად ცხოვრობს. დიდი ხანია, რაც მასთან კავშირი გავწყვიტე.

პანდორა: ჰოდა, ავდგები და მეც გავთხოვდები. მით უმეტეს, რომ მთხოვნელთა ნაკლებობას არ ვუჩივი.

ზურა: შენ თუ გათხოვდები, მხოლოდ ჩემზე! ასე იოლი არ გეგონოს ჩემგან თავის დაღწევა. ვიღაც-ვიღაცებში არ შეგეშალო!

პანდორა: მემუქრები კიდეც? ახალი ამბავი! შენ ჩემზე არავითარი უფლებები არ გაქვს!

ზურა: ისე ნუ გააკეთებ, რომ მანდ ჩამოვიდე და ჩემი უფლებები დავაკანონო.

პანდორა: საინტერესოა, მაგას როგორ მოახერხებ?

ზურა: როცა შენ ამბობ: უფლება არა გაქვსო, იმას გულისხმობ, რომ ჩვენ ფიზიკური ურთიერთობა არა გვაქვს, არა? შენ ფიქრობ, რომ სანამ თავს ერთ ბალიშზე არ დავდებთ, მე შენთვის უცხო მამაკაცი ვარ. ჰოდა, ისე გავაკეთებ, რომ ჩემს მკლავზე გაგათენებინებ ღამეს და ყველა გზას მოგიჭრი, რომ ეგ სიტყვები აღარ მითხრა.

პანდორა: ძალით დამიმორჩილებ?

ზურა: მაგას არ ვიკადრებ, ნებით დამნებდები... ნატალი, ნუ ვიჩხუბებთ, ჩვენ ვართ 2 ადამიანი, რომელსაც ერთმანეთი უყვარს. ნუ დავაწყვეტთ ერთმანეთს ნერვებს. ჯობია, ერთმანეთს დავუჯეროთ და მხოლოდ თბილი სიტყვები ვუთხრათ. შენ იეჭვიანე. ეს ეჭვი უსაფუძვლო არ ყოფილა. გეთანხმები, არ არის ლამაზი ჩემი საქციელი, მაგრამ მამაკაცი ვარ და ჩემი ცხოვრება მქონდა, შენამდე. ახლა შენ ხარ ჩემი ცხოვრების აზრი. რაც შეეხება გუშინდელ ღამეს, ამის გამო ნერვების შლა არ ღირს. სერიოზული არაფერი ყოფილა. გპირდები, რომ როგორც კი ჩვენს ურთიერთობებს დავაკანონებთ (როგორც შენ ფიქრობ), მსგავსი რამ არ განმეორდება.

პანდორა: შენც ხომ იეჭვიანე? როგორ გრძნობდი თავს?

ზურა: გამოგიტყდები, რომ ძალიან ცუდად. მე შენ არავისთვის მემეტები. ის კი არა, იმ კაცზეც ძალიან ვეჭვიანობ, ვისზეც მიყვებოდი...

პანდორა: პატიმარს გულისხმობ? მასზე ეჭვიანობა აღარ ღირს, წარსულს ჩაბარდა. ის სხვა ადამიანი იყო, სხვა სამყაროდან. ეს ჩემი სიზმარი იყო...

ზურა: ჰო, განაგრძე შენი ამბის მოყოლა და იქნებ, გამისკდეს გული...

პანდორა: მისი სახელი არ მითქვამს. მას ბაჩუკი ერქვა, შემოკლებით — ბაჩო.

ზურა: კანონიერი ქურდი იყო?

პანდორა: არა, მაგრამ მთელი კრიმინალური სამყარო იცნობდა და პატივს სცემდა, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს. ჯარში იყო ნამყოფი და ამიტომ, კანონიერი ქურდი ვერ გახდებოდა. თურმე მამამისი თანამდებობის პირი და პარტიული მუშაკი ყოფილა. ბავშვობიდან ფუფუნებაში იზრდებოდა. ერთხელ მომიყვა: „სკოლაში ყველაზე გამორჩეული ვიყავი — ჩაცმულობით და გარეგნობით. მასწავლებლების მხრიდანაც გარკვეულ რიდს ვგრძნობდი. თუ რამეს დავაშავებდი, შენიშვნას მორიდებით მაძლევდნენ. ბავშვებსაც ძალიან ვუყვარდი, რადგან მუდამ მათი დამცველი ვიყავი — თუ ვინმეს ჩემი დახმარება სჭირდებოდა, მზად გახლდი, რომ ნებისმიერ რისკზე წავსულიყავი. მეცხრე კლასში ვიყავი, როდესაც სკოლიდან შინ მიმავალი ჩემზე უფროსმა ბიჭებმა გამაჩერეს და მითხრეს: „ზარის“ თამაშს ვაპირებთ და ერთი კაცი გვჭირდება, ვინც პირველ კამათელს აგვიყრის, იქნებ დაგვეხმაროო. მათ დავთანხმდი. სკოლასთან ახლოს საერთო საცხოვრებლის შენობა იყო, სადაც სტუდენტები ცხოვრობდნენ. იმ შენობის სარდაფში ჩავედით. პირველი კამათელი რომ ავყარე, დუშაში დავსვი. მითხრეს: ვაა, შენ რა იღბლიანი ყოფილხარ, შენთან რომც შემოგვთავაზო, არ ვითამაშებთო. დავიჟინე: მეთამაშეთ-მეთქი. ბოლოს დამთანხმდნენ: კარგი, რადგან შენსას არ იშლი, ვითამაშოთო და იმ დღეს 1000 მანეთი წავაგე. ეს ძალზე დიდი ფული იყო. თავანის ჩასაბარებლად 10 დღე მომცეს და დამემშვიდობნენ. მივხვდი, რომ მახეში გავები. საგონებელში ჩავვარდი — საიდან უნდა მომეტანა ამდენი ფული? მთელი 9 დღე ვიტანჯებოდი, მინდოდა, მამაჩემისთვის მეთქვა, რაც დამემართა და ფული მეთხოვა, მაგრამ შემეშინდა. მეათე დღეს თავი მოვიავადმყოფე და სკოლაში არ წავედი. ჩემი მშობლები შინიდან რომ გავიდნენ, მამაჩემის ოთახში შევედი და საწერი მაგიდის ის უჯრა გავაღე, სადაც ფულს ინახავდა (ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მამის საწერ მაგიდასთან მივედი). კინაღამ გავგიჟდი, იმდენი ფული არასდროს მინახავს. მთელი უჯრა ასმანეთიანებით იყო სავსე. ფულის ქვეშ კი გაპრიალებული „ვალტერი“ იდო.“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბაბუშერაში აფეთქებული თვითმფრინავი, 8-წლიანი მოლოდინი და უმამოდ დარჩენილი მარიკა თხელიძე

თვეების მარიკა მშობლებთან ერთად

1993 წლის 22 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე 5 დღით ადრე, თბილისის აეროპორტიდან გაფრენილი თვითმფრინავი აფხაზებმა ბაბუშერაში დაბომბეს. იმ თვითმფრინავში მებრძოლებს შორის, მომღერალ მარიკა თხელიძის მამა — ნიკო თხელიძე ოჯდა... ახლაც სექტემბერია, ჭრილობების გაახლების დრო. თხელიძეებს ამ ტრაგედიის გასახსენებლად შინ ვეწვიე და საუბარი მარიკას დედასთან, ძალბატონ თეონასთან დავიწყე.

ლალი ფაცია

— თავდაპირველად გვითხარით, როგორი იყო თქვენი მეუღლე...

— ნიკუშა თხელიძე ერთი თბილისელი ბიჭი იყო, რომელსაც უყვარდა თავისი ქალაქი, საძმაკაცო და მისი ქვეყანა. ძალიან უყვარდა ფეხბურთი, ჩამოყალიბებული ჰქონდა მინიფეხბურთის გუნდი. სანამ აფხაზეთში ომი დაიწყებოდა, სპორტის სასახლეში მინიფეხბურთში შეჯიბრებები იმართებოდა. ის ორგანიზებას უკეთებდა ამ ყველაფერს, თუმცა თვითონ ფეხბურთს არ თამაშობდა. ომის დაწყების პირველსავე დღიდან, მისი სამეგობრო საბრძოლველად გაგრაში წავიდა. ტელევიზიის არქივში საოცარი კადრები არსებობს — კატარღით რომ გადადიან გაგრის მთაზე...

— საინტერესოა — ასე უეცრად, ადგა, მოსწყდა თავის საქმეს, ოჯახს და წავიდა საბრძოლველად?

— უმეტესობა ქართველი ბიჭებისა ასე წავიდა და ასე მიდიოდა ომში. მაშინ ასეთი სიტუაცია იყო ქვეყანაში. დღეს, ღმერთმა გვაშოროს, ომი და საომარი მოქმედებები, თან, ახლა ჯარი გვყავს. იმ პერიოდში ასე არ იყო... ნიკუშა უშიშარი, ბუნებით მებრძოლი ადამიანი იყო. პირველად მისმა იქ ყოფნამ საშინლად შეგვაშფოთა, როდესაც გაგრის მთა ალყაში მოექცა. ამ შეტაკების დროს მისი მეგობრების ნაწილი დაიღუპა, ნიკუშა გადარჩა. მერე ცოტა ხნით თბილისშიც ჩამოვიდა და ორი კვირის შემდეგ, ისევ უკან დაბრუნდა. სხვათა შორის, ასე მიდიმოდიოდა ხოლმე. შუალედებში ერთი, ორი კვირით ჩამოვიდოდა ხოლმე, მაგრამ აფხაზეთში მისი ბოლო გამგზავრება საბედისწერო აღმოჩნდა...

ჩემთვის არავის არაფერი დაუკლია, ყველანი გვერდით მედგნენ, მაგრამ მამა სულ მაკლდა და დღესაც მაკლია

— რა მოხდა?

— 1993 წლის 22 სექტემბრამდე, აფხაზეთისკენ აღარც თვითმფრინავები დაფრინავდა და არც არანაირი ტრანსპორტი მიდიოდა. პრაქტიკულად ყველა თვითმფრინავი იბომბებოდა. ამიტომ, 18-დან 22 სექტემბრამდე, 5 დღის განმავლობაში, ნიკუშა და მისი მეგობრები თბილისის აეროპორტში ისხდნენ და ელოდნენ, როდის გაფრინდებოდნენ. სულ 96 კაცი იყო, მათ შორის — უშიშროების სამსახურის ბიჭები, თიანეთის ბატალიონი. მათთან ერთად ყოფილან ტელევიზიის I არხის ჟურნალისტი და ოპერატორი, რომლებიც ხუთი დღის განმავლობაში მათ ფირზე იღებდნენ. ამ ადამიანების წყალობით, უნიკალური კადრები არსებობს: 3-საათიანი ვიდეოკასეტა, რომელიც მოგვიანებით ოჯახს გადმოგვცეს... ისე მოხდა, რომ თბილისის აეროპორტში მსხდომი მებრძოლების მოლოდინი, როგორც იქნა, გამართლდა და აფხაზეთისკენ ორი თვითმფრინავი გაფრინდა. ნიკუშა პირველში მოხვდა. როდესაც ბაბუშერის აეროპორტს მიუახლოვდნენ, თვითმფრინავს ბომბი მოხვდა. ის ჰაერში არ აფეთქებულა, აეროპორტში დაჯდომა მოასწრო და მერე დაიწვა. მეორე თვითმფრინავმა, რომელიც მათ უკან მისდევდა, ამის შემდეგ, უკან მობრუნება მოასწრო. საოცარია — იმ დროს, როდესაც ისინი აფხაზეთში მიფრინავდნენ, მასობრივი დაბომბვა მიმდინარეობდა, მაგრამ მათ არ უფიქრიათ, თუ რა შეიძლებოდა მოსვლოდათ. ერთადერთი, რისი სურვილიც ჰქონდათ, — ეს ბრძოლაში ჩაბმა იყო, ოღონდ — არა აფხაზებთან, არამედ — რუსებთან... სხვათა შორის, იმ კასეტაზე, რომელიც ვახსენე, ნიკუშას ინტერვიუა ჩაწერილი, თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას ის ამბობს: მე აფხაზებთან კი არა, რუსებთან საომრად მივდივარო. ეს მისი ბოლო სიტყვები აღმოჩნდა...

— ამ ტრაგედიის შესახებ როდის შეიტყვეთ?

— იმავე საღამოს, ტელევიზიით გადმოცემული ინფორმაციით — ხომ ვიცოდით, რომ ზუსტად იმ თვითმფრინავით გაფრინდა. მაგრამ 8 წლის განმავლობაში მისი დაღუპვის ფაქტს ვერ ვიჯერებდით. ნიკუშას დედა ამბობდა — სანამ მის გვამს არ ვნახავ, არ შემიძლია, ის მკვდრად მივიჩნიოო...

— 8 წლის შემდეგ მიაგენით მის ცხედარს?

— ამ საშინელი შემთხვევიდან 8 წლის შემდეგ, ბაბუშერის აეროპორტიდან მიცვალებულთა გვამების ეტაპობრივი გადმოსვენება დაიწყო. იმ თვითმფრინავში დაღუპულები მაშინ ყველანი იქ დაკრძალეს... თვითმფრინავს ცეცხლი რომ მოეკიდა, თურმე, ორად გაიპო. 25 კაცი ცოცხალი გადარჩა — ეკიპაჟი და მგზავრთა ის ნაწილი, რომელმაც იქიდან გამოსვლა მოახერხა. ვინც დაიღუპა, ხომ ვთქვი, ბაბუშერის აეროპორტის ტერიტორიაზე დაკრძალეს-მეთქი. იქაურმა აფხაზეთის პროკურატურამ საფუძვლიანად იმუშავა. ყველა დაღუპულს ჯიბეში საბუთი ჩაუდეს, ზოგს შესაბამისი ნიშანი გაუკეთეს — ნომრები, რომ ჭირისუფლებს ისინი ეცნოთ. 8 წლის მერე, როცა ცხედრების გადმოსვენება დაიწყო, ამის წყალობით შესაძლებელი გახდა, რომ ყველა ჭირისუფალს თავისი მიცვალებული ამოეცნო. ჩვენც ასე ვიპოვეთ ნიკუშა. მას ჯიბეში პასპორტი ედო, სამხედრო ტულუპი ეცვა და აბსოლუტურად ყველაფერი ის, რითიც 8 წლის წინ სახლიდან გავიდა. კიდევ ერთი უცნაურობა და სასწაული ის აღმოჩნდა, რომ გვამი შენახული იყო, არ გახრწნილიყო; ერთადერთი — მხოლოდ თავი ჰქონდა დაპატარავებული... სხვათა შორის, ზედვე ეკეთა თეთრგვარდიელის ის კაბურა, რომელიც ჩვენმა მეზობელმა, ძველმა მებრძოლმა აჩუქა; მამამისის ნაქონი ყოფილა. ნიკუშას, პასპორტთან და პირადობის მოწმობასთან ერთად, ჯიბეში ტყვიებიც ედო...

— შემდეგ ის სახლში მოასვენეთ?

— კი, ცინკიდან ამოვასვენებინეთ, დავამუშავებინეთ... 8 წლის გვამი, ასეთი შენახული, არავის ენახა. ნამდვილი სასწაული იყო. მაგრამ ეტყობა, ყველაფერი უფლის ნებაა!.. იყო ჩვეულებრივად პანაშვიდები და გასვენება. საბურთალოს სასაფლაოზე დავკრძალეთ. ისე, ბაბუშერის აეროპორტში დაღუ-

პულები დიღმის სასაფლაოზე არიან დაკრძალულები. იქ ყოველ წელს, 27 სექტემბერს იკრიბებიან მათი ახლობლები და ისინიც, ვისი მიცვალებულები ჯერ კიდევ არ არიან გადმოსვენებული. იმ თვითმფრინავში იყვნენ: ტყუპი ძმა და კიდევ ორი ძმა — ყველანი, ერთი ოჯახიდან. ტყუპი, იმ ორი ძმის ბიძები იყვნენ, ზალდასტანიშვილები და წიკლაურები გახლდნენ. მათი ჭირისუფლები გამუდმებით ითხოვენ, რომ ეს მიცვალებულები გადმოასვენონ, მაგრამ ნიკუშას შემდეგ, ეს პროცესი რატომღაც, შეწყდა. მანამდე ეტაპობრივად, ასე, 10-11 კაცს მოასვენებდნენ ხოლმე.

— მარიკა რამხელა იყო მაშინ?

— მამამისი ომში რომ წავიდა, 5 წლის გახლდათ. მისი თაობიდან, თუკი ვინმეს აფხაზეთის ომის საშინელება საკუთარ თავზე გამოუცდია, — ეს მარიკა თხელიძეა...

— მიუხედავად ამისა, მან ბევრ წარმატებას მიაღწია...

— დიახ, სრულიად პატარამ, რომელ საერთაშორისო კონკურსზეც არ წავიდა, ყველა ქვეყნიდან გრან-პრი ჩამოიტანა. ეს იყო ამერიკა (ჰოლივუდი), იტალია, ბულგარეთი, რუსეთი, უკრაინა... მამამისი, სამშობლოს სიყვარულის გამო, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა, მარიკამ უცხოეთში საქართველოს სახელი გაიტანა... ჩვენც მისთვის არაფერი მოგვიკლია... სკოლაში ახალი შესული იყო, ტელევიზიის I არხის ჟურნალისტები მოვიდნენ და გვითხრეს — ნიჭიერ ბავშვებზე გადაცემას ვამზადებთო. მარიკამ დაუკრა, იმღერა. მერე, რამდენიმე კითხვაც დაუსვეს, მათ შორის, ასეთი: შენი ოცნება რა არისო? — მინდა ჩიტი ვიყო, რომ გავფრინდეო, — უპასუხა. მაშინ მის ამ ნათქვამს ასეთი ახსნა მოვუძებნე: იმდენად იყო ბავშვი დათრგუნვილი, დამწუხრებული თავისი მდგომარეობით, რომ ამ ყველაფრისგან გათავისუფლება უნდოდა... მამა უნდოდა, მამას ითხოვდა, გამუდმებით საყვედურებს გვუბნებოდა, ამბობდა — სკოლაში ჩემს ამხანაგებს მამები აკითხავენ, მათთვის სასკოლო ნივთებს ყიდულობენო. სულ მამაზე ოცნებობდა და ფიქრობდა...

— თეონა, მას მერე, რაც მეულლე დაგელუპათ, წლები გავიდა, მაგრამ მაინც თქვენი მეულლის ოჯახში ცხოვრობთ...

— თავიდან, ხომ გითხარით, ზუსტი ინფორმაცია მის შესახებ არ გვქონდა, დანამდვილებით არ ვიცოდით — მკვდარი იყო თუ ცოცხალი, ვეძებდით, მასთან დაკავშირებას ვცდილობდით. გვეგონა, დაბრუნდებოდა. ის კი არა და, ერთხანს, მისი სახელით ერთი ქალბატონი გვიკავშირდებოდა — ტყვედ არის ჩავარდნილი და სხვადასხვა ნივთს ითხოვს, იქნებ გამოუგზავნოთო, — გვეუბნებოდა. ჩვენც ვგზავნიდით ტანსაცმელს და ყველაფერს, რასაც იქ ქალბატონი გვეუბნებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ყველაფერი ტყუილი იყო და ის ქალბატონი თაღლითი აღმოჩნდა. ჩვენთვის ესეც დიდი სტრესი იყო... ჩემი აქ დარჩენის მიზეზი — მარიკაა. მეცოდებოდა, ვცდილობდი, შემემსუბუქებინა უმამობა. ყველგან დავყვებოდი. მამაც მე ვიყავი და დედაც. ახლა უკვე დიდი გოგოა, დამოუკიდებელი. ის თავიდანვე, სერიოზული ბავშვი იყო. ეტყობა, ოჯახის მძიმე მდგომარობა თავის კვალს მაინც ტოვებდა მასზე. 11 წლის ასაკიდან, უკვე კონკურსებზე დადიოდა, სულ საქმეში იყო, თავისუფილი დრო არ ჰქონდა. ისე, ეს გარემოებაც განაპირობებს მის სერიოზულ ხასიათს. რაც უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ცოტათი გალაღდა... მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საშინელება გადავიტანე, ბედნიერი დედა ვარ, მყავს მარიკა, რომელმაც გამიმართლა.

ძალბატონი მერი, *მარიკას ბებია:*

— თეონა, ჩემი რძალი, თავისი საქციელით გმირია. მასში თავმოყრილია მეუღლისა და დედის საუკეთესო თვისებები. მან ყველაფერს ღირსეულად გაუძლო და გადაიტანა. შვილს გვერდით დაუდგა. ის ასევე ედგა გვერდით მის ქმარს. დღემდე აქ ცხოვრობს. მან შვილის დაკარგვა გადაამატანინა.

მარიკა თხელიძე:

— მამა ბუნდოვნად მახსოვს, უფრო — ფოტოსურათებიდან. ვინც მას იცნობდა, ის ადამიანები როდესაც მამაზე მიყვებიან, მსიამოვნებს, რადგან ძალიან კეთილი ყოფილა, უზომოდ უყვარდა თურმე მეგობრები. მისგან მხოლოდ სიკეთე ახსოვთ, ეს ძალიან მახარებს. მამა არ მახსოვს-მეთქი, — ვთქვი, სამაგიეროდ მახსოვს ის საშინელი ორომტრიალი, განცდები, ცრემლები, რომლებიც ჩვენს ოჯახში წლების განმავლობაში გრძელდებოდა... თავიდან გვამების ამოცნობა რომ დაიწყო, არ მეგონა, თუ იპოვიდნენ, მაგრამ ღვთის წყალობით, ამოიცნეს და ის 8 წლის შემდეგ დაუბრუნდა თავის ოჯახს. მას შევხვდით ისე, როგორც ჭირისუფალს შეჰფერის... ყველა ბავშვისთვის მშობელი უძვირფასესია. ჩემთვის არავის არაფერი დაუკლია, ყველანი გვერდით მედგნენ, მაგრამ მამა სულ მაკლდა და დღესაც მაკლია. თუმცა კარგია, რომ მისი საფლავი არსებობს, სადაც მისვლა შემიძლია... სხვათა შორის, მამას მამსგავსებენ: ბებია ამბობს, რომ ბევრი საერთო თვისება გვაქვს...

პატარა მარიკა მამასთან და ბაბუებთან ერთად

— ცოტა ხნის წინ, აფხაზეთის ომის თემაზე სიმღერა შეიქმნა, აფხაზეთის საზღვარზე ახალგაზრდა ქართველმა მომღერლებმა კლიპი გადაიღეს. იქ შენი თაობის არაერთი მომღერალია, მაგრამ შენ მათ შორის არ აღმოჩნდი. რატომ? არ მიგიწვიეს?

— არც სიმღერის ჩაწერაში მონაწილეობა შემოუთავაზებიათ და არც კლიპის გადაღებაში. ალბათ, საჭიროდ არ ჩათვალეს.

ის კასეტაზე ნიკუშას ინტერვიუა ჩაწერილი, თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას ის ამბობს: მე აფხაზებთან კი არა, რუსებთან საომრად მივდივარო. ეს მისი ბოლო სიტყვები აღმოჩნდა.

თან, ეტყობა, არც იცოდნენ, რომ მამა აფხაზეთში მყავს დაღუპული. ეს ის თემაა, რომლის აფიშირებაც ყოველ წუთში არ შეიძლება. ეს ოჯახის ტრაგედიაა...

— დღესდღეობით რას საქმიანობ?

— ვსწავლობ უნივერსიტეტში, დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტზე. მესამე კურსზე ვარ.

— ისე, რომ გაკვირდები, მართლაც არის შენში დიპლომატიური ნიჭი. რას იტყვი?

— ეტყობა, ეს ჩემი ბუნებიდან გამომდინარეობს: დიპლომატიური სვლები მახასიათებს ხოლმე (*იღიმება*)... ბევრს უთქვამს — კარგი დიპლომატი ხარო. ალბათ, ამიტომაც გადავწყვიტე, „დავახლოებოდი" ამ პროფესიას და გამეღრმავებინა ჩემში ეს მონაცემები.

— რას ამირებ მომავალში — დიპლომატიურ სამსახურს თუ სიმღერას? ან იქნებ, ერთმანეთს შეუთავსებ?

— ადრე ხშირად დაუსვამთ ჩემთვის ეს შეკითხვა და მეც ვპასუხობდი: ერთმანეთს ამ ორ პროფესიას შევუთავსებ-მეთქი. მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, ცოტათი ძნელი აღმოჩნდა. სწავლა ბევრ დროს მოითხოვს. თუმცა ხანდახან, კონცერტის გამო, ლექციების გაცდენა მიწევს. ლექტორებიც მიშვებენ. არ გეგონოთ, ცუდად ვსწავლობ — მოწესრიგებული სტუდენტი ვარ (*იცინის*), ხუთოსანი. მინდა, ხუთები ბოლომდე შევინარჩუნო. ჯერჯერობით დროს უმეტესად, მაინც სწავლას ვუთმობ, თუმცა არ მავიწყდება, რომ მომღერალი ვარ და ჩემი მსმენელი ჩემგან ახალ სიმღერებს ელის...

13 წლის წინ, 27 სექტემბერს, სოხუმი აფხაზებმა და დაქირავებულმა ჩრდილოკავკასიელებმა აიღეს და იქ მყოფი ქართველი მოსახლეობა იძულებული გახდა, ქალაქიდან სხვადასხვა გზით გამოსულიყო. იქიდან გემით გამოღწევა საუკეთესო გამოსავალი გახლდათ, მაგრამ ყველა სასოწარკვეთილ ადამიანს აბა, რამდენი გემი გასწვდებოდა?! ამიტომ უმეტესობას არჩევანი აღარ დარჩენოდა და ფეხით დაადგა სვანეთის გზას. ფიქრობდნენ, რომ ასე შესაძლებელი იყო თავისა და ოჯახის გადარჩენა, მიუხედავად იმისა, რომ იქ შეიძლებოდა, ან შიმშილისგან ამოხდომოდათ სული, ან სულაც, გაყინულიყვნენ. ამას კიდევ ერთი, სრულიად მოულოდნელი, გამაოგნებელი საფრთხეც დაემატა, რომელიც ზოგიერთ გაუბედურებულს თურმე, თანამოძმისგან ელოდა... თუმცა, არაერთ ღვთისნიერ ადამიანსაც გადაჰყრიან ჯოჯოხეთურ ბილიკებზე მიმავალნი, საკუთარ სამშობლოში დევნილებად ქცეულნი...

ჯოჯოხეთური გზა ჭუბერზე, რომელიც ჩვენმა თანამემამულეებმა გამოიარეს

„სოხუმში მაინც დავბრუნდები, რადგან იქ ჩემი მეუღლის სული ტრიალებს...“

ლიკა ქაჯაია

ძეთევანი, *47 წლის:*

— სოხუმის გახსენებისას ყურში ჩამესმის ის განწირული წივილ-კივილი, რომელიც ყოველ წუთას და ყველა მხრიდან ისმოდა... როცა აფხაზეთში არეულობა დაიწყო, ჩემი შვილები (ნინო და ლუკა) პატარები იყვნენ — გოგონა 5 წლის გახლდათ, ბიჭი კი — 7-ის. ჩვენ ქალაქში ვცხოვრობდით და ჩემმა მეუღლემ, შვილებისთვის ხიფათი რომ აგვერიდებინა, გარეუბანში, თავისი მეგობრის სახლში წაგვიყვანა და მთელი 6 კვირის განმავლობაში მიწის ქვეშ მოწყობილ გარაჟში ვიმალებოდით. ჩემი მეუღლე — მამუკა ყოველდღე ახალ-ახალი ამბებით მოდიოდა ქალაქიდან, ბოლოს გვითხრა: მგონი, დავიღუპეთ და აქედან მხოლოდ სვანეთის გზით თუ გავაღწევთო — რადგან გემი, რომელიც მართლაც რომ უკანასკნელი იყო, რომლითაც ქალაქიდან ხალხი გაიყვანეს, უკვე გასული იყო. ჩვენც, მეგობრებთან ერთად, სატვირთო მანქანით დავადექით გზას. მანქანაში საჭმელი, ტანისამოსი ჩავაწყვეთ და ქალაქიდან გამოვედით. გზას ადვილად ვიკვლევდით, საღამოს თავს სვანეთის ტყეებს ვაფარებდით, ცეცხლს ვანთებდით და საჭმელს დიდი ქვაბით ვამზადებდით, რომელიც მანქანაში გვედო. ერთხელაც, როცა ვისვენებდით, მანქანა რაღაც აღმართზე გავაჩერეთ, ირგვლივ გადასავარდნი ადგილები იყო და მანქანა რომ არ დაგორებულიყო, საბურავების ქვეშ ქვები შევაწყვეთ. როცა ვივახშმეთ, ჩემს პატარა გოგონას დაძინება მოუნდა და მანქანაში ავიყვანე, სადაც ახლობლის პატარა ბიჭს ეძინა, დედამისიც იქვე იყო წამოწოლილი. მერე, ვიღაც კიდევ ამოვიდა და ვიგრძენი, რომ მანქანა დაიძრა, მერე აყირავდა და უფსკრულში გადავეშვით... ამასობაში ბავშვი ხელიდან გამივარდა, რატომღაც მომეჩვენა, რომ ის გარეთ გადავარდა და შევეცადე, მეც გადავმხტარიყავი. ეს მოვახერხე კიდეც და ბზრიალ-ბზრიალით დავეშვი ქვევით, უფსკრულისკენ... მერე რა მოხდა, არ ვიცი. ჩემი მეუღლის ღრიალმა მომიყვანა გონს, ის ჩემკენ მორბოდა... გადავრჩი, მხოლოდ ფეხი ვიღრძე. გონს მოსულმა, შვილს დავუწყე ძებნა, ვყვიროდი: მამუკა, ბავშვი-მეთქი!.. მე ძლივს ამომათრიეს, მაგრამ ნინოს ვერსად ვპოულობდით. კაცები მანქანისკენ გაიქცნენ და იქ იპოვეს ჩემი პატარა, რომელიც ლეიბებს შორის იწვა და ხმას არ იღებდა... მეგონა, რომ ის მანქანიდან გადავარდა, თურმე იმწუთას ბავშვი ლეიბს ჩაჰბღაუჭებია. მოკლედ, გადვრჩით. ის პატარაც და დედამისიც „ვიპოვეთ, რომლებიც მანქანაში იყვნენ, მაგრამ ის კაცი, რომელიც თურმე, ტანსაცმლის ასაღებად ამოვიდა, დაიღუპა — მანქანიდან გადმოვარდა და თავი ქვას დაარტყა. ასე დავრჩით მანქანის გარეშე. გადავწყვიტეთ, ვისაც როგორ შეგვეძლო, ჩვენი ოჯახების გადასარჩენად გვებრძოლა და ყველა თავ-თავისი გზით წავიდა. ფეხი მტკიოდა და ამიტომ, ჩემი 7 წლის ბიჭუნა სიარულში მეხმარებოდა, გოგონა კი მამას მიჰყავდა. ამიტომ ვერაფერიც ვერ წამოვიღეთ — ვერც საჭმელი, ვერც ტანისამოსი. მხოლოდ გადასაფარებლები მოგვქონდა, რომ ღამით არ გავყინულიყავით. არ მკითხოთ, რას ვჭამდით — ჭუბერში ხელისუფლების წარმომადგენლები თვითმფრინავიდან გვიყრიდნენ პურს, რომელიც ტალახში ცვიოდა. ბავშვები როგორც კი თვითმფრინავს დაინახავდნენ, ყვიროდნენ: პური, პურიო! — და გარბოდნენ, რათა მამას პურის წამოღებაში მიხმარებოდნენ. მერე, ტალახიანი პურის კანს ჩვენ ვჭამდით, ბავშვებს კი გულს ვაჭმევდით... ფეხსაცმელი დამეხა და ფეხშიშველი მივდიოდი. ჩემმა მეუღლემ გზად მცხოვრებ სვანებს სთხოვა: დაგვეხმარეთო, მაგრამ ეტყობა, მათაც უჭირდათ და ჩვენთვის დახეულ ფეხსაცმელსაც ვერ იმეტებდნენ. ჩემმა მეუღლემ ერთ-ერთ ოჯახში 42 ზომის ბოტები მოიპარა (ღმერთმა შეგვინდოს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა — ფეხშიშველი, ან გავიყინებოდი, ან სახლამდე ვერ ჩამოვაღწევდი) და 6 ზომით დიდი ფეხსაცმლით მოვდიოდი, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა?!. ერთხელ, დილით ყველას ჩაგვეძინა და ტყიდან შუადღეს გამოვედით. 4 კილომეტრი ძლივს გავიარეთ და მაინც შეუჩერებლივ წინ მივიწევდით. ვიღაც კაცები შეგვხვდნენ და გაგვაფრთხილეს: ახლა ჯობია, უკან დაბრუნდეთ, თორემ შუაღამემდე მომდევნო ტყემდე ვერ მიაღწევთ და გაიყინებითო. ისევ უკან დავბრუნდით... გზაში ათასგვარ გაჭირვებულს ვაწყდებოდით, მაგრამ არასდროს დამავიწყდება მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელიც გვევედრებოდა: არ მიგვატოვოთ, თქვენთან წაგვიყვანეთო. სად უნდა წაგვეყვანა, როცა ჩვენ თვითონაც დახმარება გვესაჭიროებოდა?! ისინი გავამხნევე: ნუ გეშინიათ, ღმერთი არ მიგატოვებთ და ვიღაც აუცილებლად მოგეშველებათ-მეთქი. ჩვენ უკან, ტყისკენ დავბრუნდით, სადაც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაყინული ან სისხლისგან დაცლილი ადამიანების გვამები ესვენა, რომლებსაც ზევიდან რაღაც ეფარათ და იმ გადასაფარებელსაც ვიღაცები იპარავდნენ... ტყეში რაღაც ფიცარი ვიპოვეთ, რომელზეც მე და ჩემი შვილები დავწექით. მეუღლემ ცეცხლი დაგვინთო და ის-ის იყო, ჩაგვეძინა, რომ ვიღაც, მთასავით კაცი თავზე წამოგვადგა და ჩემს მეუღლეს ცემა დაუწყო. ვერ მივხვდით, რა უნდოდა. მე და ჩემი შვილები წამოვხტით და უცხო ადამიანს ფეხებში ჩავუვარდით, ვეხვეწებოდით: თავი დაანებეთქო. იმ კაცმა, გაბრაზებულმა გვითხრა: სამშენებლო ფიცრებს მპარავთ, მერე იმით ცეცხლს ანთებთ და აბა, როგორ არ მოგკლათო?! დიდი ხვეწნა-მუდარისა და იმის მტკიცების შედეგად, რომ მისთვის არაფერი მოგვიპარავს, თავი დაგვანება. ის კაცი წავიდა თუ არა, განწირული ხმა

გადავწყვიტეთ, ვისაც როგორ შეგვეძლო, ჩვენი ოჯახების გადასარჩენად გვებრძოლა

ჩვენ მშვიდობით გამოვაღწიეთ, მაგრამ ამ ამბის შემდეგ ჩემი მეუღლე აღარ მინახავს

მოგვესმა — ვიღაც შველას ითხოვდა. ნაცემი მამუკა ხმას მიჰყვა და ცოტა ხანში, დაჭრილი პარტიზანი მოათრია, რომელსაც ჭრილობაზე უცნაური მწერები დასეოდნენ; კაცი ზეზეურად ლპებოდა, მაღალი სიცხე ჰქონდა და გონებას ხშირად კარგავდა. წყლის გარდა, რა გაგვაჩნდა?!. ჭრილობა მოვბანეთ და ღვთის ანაბარად მყოფს, მეტი ვერაფერი ვუშველეთ. ის ბიჭი დილით გარდაიცვალა. სიკვდილის წინ, გონებაზე მოვიდა და ჩემს მეუღლეს უთხრა: ნუ გეშინიათ, აფხაზეთს მაინც დავიბრუნებთ, ჩემებს კი გადაეცით, რომ კარგად ვარ, არაფერი მიჭირსო (ვინ იყვნენ მისიანები, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის)... ჩვენ გზა განვაგრძეთ და ე.წ. მანქანების სასაფლაოს მივუახლოვდით, რომელიც არა მარტო მანქანების, არამედ ჩვეულებრივ სასაფლაოს წააგავდა — ვინ სად და რა პოზაში ესვენა, ამის აღწერა შეუძლებელია. რამდენჯერ დავმჯდარვარ მიცვალებულზე, ღმერთმა უწყის... როცა სამშვიდობოს გამოვედით, ჩემმა შვილმა ლუკამ მკითხა: დედიკო, შეგიძლია, ის, რაც გადავიტანეთ და ვნახეთ, წიგნად რომ დაწეროო? ნანახის დაწერა ჩემს ძალებს აღემატება, მაგრამ ლუკას ოცნება, 13 წლის შემდეგ, თქვენი წყალობით ახდება. მე დღესაც მჯერა, რომ ჩვენ სოხუმში აუცილებლად დავბრუნდებით და რომ ჩვენი შვილები იქ უშფოთველად ცხოვრებას შეძლებენ.

მზია, *39 წლის:*

— ჩემი მეუღლე სოხუმში იბრძოდა, მერე ფეხში დაიჭრა, ამიტომაც ჩვენი ქალაქიდან გაყვანა ვერ მოახერხა. ბოლოს, როცა ნერვები ძალიან დაეძაბა, მიყვირა: ბავშვებს ხელი მოჰკიდე და გემთან მიდი — დაჭრილების წასაყვანად ბოლო გემი ჩამოსულა (ეს ამბავი მეგობარმა აცნობა) და იქნებ, თქვენ მაინც გააღწიოთ აქედანო. ბავშვებს ხელი დავავლე, ვიფიქრე — იქნებ, ვინმე ნაცნობს გავაყოლო, მერე კი მეუღლესთან დავბრუნდები-მეთქი. სანაპიროსთან რომ მივედი, იქ უამრავი ადამიანი ირეოდა, ყველა გემზე ასვლას ცდილობდა და ამ არეულობაში, ხალხი გემიდან პანტაპუნტით ცვიოდა, გამწარებულები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ხელს უშლიდნენ... ჩემს მცირეწლოვან შვილებს — 3 წლის გიოს და 5 წლის ნიკუშას ვიღაც კაცმა ჩაავლო ხელი და გემზე აყარა (მისი სახელიც კი არ ვიცი), მერე თვითონ ისევ ქვევით ჩამოვიდა და ახლა სხვებს მიეშველა. ჩემი შვილების განწირული ხმა შემომესმა — დედა, გვეშინია, სად ხარო? ამის გაგონებაზე, რის ვაი-ვაგლახით ავძვერი გემზე. მეუღლე სულ დამავიწყდა, შვილებს დავუწყე ძებნა და როცა ისინი ვიპოვე, გული დავიმშვიდე, ორივე ჩავიკარი და კუთხეში მივიყუჟეთ. გემი მალე დაიძრა და მხოლოდ მაშინ გამახსენდა ჩემი უბედური ქმარი. ვიფიქრე: ბავშვებს გავიყვან სამშვიდობოს და მერე ისევ სოხუმში დავბრუნდები-მეთქი... ზღვაში მიცვალებულები — ახალგაზრდა გოგობიჭები ტივტივებდნენ, ყველა მხრიდან ღრიალი და წივილ-კივილი ისმოდა. ეს საშინელება იყო. ერთ-ერთმა ქალმა (რომელიც ჩვენთან ერთად იყო გემზე), მიცვალებულებში თავისი დასახიჩრებული გოგონა ამოიცნო და კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, მისი გაშტერებული მზერა უნდა გენახათ. გონს რომ მოვიდა, თვითონაც ზღვაში გადაეშვა, თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ბიჭებმა ზღვიდან ამოიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. საწყალი, თმას იპუტავდა, თითებს იჭამდა, ხორცს იგლეჯდა. მერე, თითქოს დამშვიდდა, მაგრამ დილით გარდაცვლილი იპოვეს — გული გასკდომოდა... ჩვენ მშვიდობით გამოვაღწიეთ, მაგრამ ამ ამბის შემდეგ ჩემი მეუღლე აღარ მინახავს, ვერც მე გავრისკე უკან დაბრუნება და არც ზუგდიდელმა ნათესავებმა გამიშვეს: ხომ არ გაგიჟდი, შვილებს ვის უტოვებო?!. მერე გავიგე, რომ ჩემი მეუღლე სახლში ჩაუცხრილავთ. მის მკვლელს ჩვენს სახლში რამდენიმე თვე უცხოვრია, მერე იქიდან სხვაგან გადასულა და სახლი გადაუწვავს. არ ვიცი, რა უნდა უყონ აფხაზებმა და რუსებმა ამდენი ადამიანის ცოდვას. მათ ეს სისხლის ღვრა ჩვენ რომ ვაპატიოთ, ღმერთი არ შეარჩენს... სოხუმში აუცილებლად დავბრუნდები, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი სიმწარე ვნახე, მაგრამ დავბრუნდები მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ჩემი მეუღლის სული ტრიალებს, იმიტომ, რომ მას სიმბოლურად მაინც გავუკეთო საფლავი, რათა ჩვენს შვილებს სადღაც მისვლა და მამის გლოვა შეეძლოთ...

ნელი, *51 წლის:*

— სოხუმის დაცემის დღეს, ცრემლების გარეშე ვერ გავიხსენებ, რადგან სვანეთის გზით გადმოსვლისას იმდენი სიმწარე ვიგემე, რომ 37 წლის ქალი (მაშინ სწორედ ამ ასაკის გახლდით), 80 წლის მოხუცს დავემსგავსე. იმ ავბედით დღეს, 27 სექტემბერს ჩემს ერთადერთ ქალიშვილს ხელი დავავლე და ნაცნობებთან ერთად, სვანეთის დაუსრულებელ გზას დავადექი. გზაში ყველგან უპატრონოდ ეყარა მიცვალებულები, რომელთა დამარხვას ეტყობა, ახლობლები ვერ ასწრებდნენ და მათ ნადირის საჯიჯგნად მხოლოდ იმიტომ იმეტებდნენ, რომ თავი გადაერჩინათ... ჩემი 15 წლის ქალიშვილი სოფო ამ ყველაფრის დანახვისას, ცუდად ხდებოდა (ყოველ ნახევარ საათში გული მისდიოდა) და რომ არა კეთილი ადამიანები, შეიძლება, მზე ჩვენც იქ დაგვბნელებოდა. გზას რის ვაი-ვაგლახით ვიკვლევდით, შიმშილს თვითმფრინავიდან გადმოყრილი პურითა და რაღაც მცენარეებით ვიკლავდით — სოხუმიდან რაღაც-რაღაცები კი მოგვქონდა, მაგრამ გზაში საჭმელი მოგვპარეს, ტანსაცმელი და სხვა ნივთები კი იმდენად დამძიმდა, რომ მისი თრევის თავი აღარ გვქონდა და გადავყარეთ... ერთხელ, როცა დაღლილებმა, თავი ტყეს შევაფარეთ და დასვენება გადავწყვიტეთ, ვიგრძენი, რომ ირგვლივ გახრწნილი ხორცის სუნი ტრიალებდა. სოფომ მითხრა: ნახე, დე, „ადიალა“ ვიპოვე, ეტყობა, ვიღაცას დარჩა და ხომ შეიძლება, ამაზე ჩამოვჯდეო? — და პასუხს არც დაელოდა, ისე ჩამოჯდა... თურმე, მიცვალებულზე: უცებ წამოხტა, გადასაფარებელი ასწია და კივილი დაიწყო, რადგან პლედის ქვეშ ახალგაზრდა ბიჭი ესვენა... სოფო ვერაფრით დავაწყნარეთ — კიოდა და თმას იპუტავდა. კივილზე ჩვენთან უცხო ადამიანები მოვიდნენ, რომლებმაც დახმარება შემოგვთავაზეს. ისინი სვანები იყვნენ და როგორც თვითონ თქვეს, ტყეში ადამიანების დასახმარებლად იყვნენ მოსულნი. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ სოფოს ხელი მოჰკიდა და თქვა: ამას სახლში წავიყვან, აქვე ვცხოვრობ, გავათბობ, ხვალ დილამდე მოვასვენებ და მერე წაიყვანეთო. შვილს მარტო სად გავუშვებდი?! მათ ვუთხარი: გმადლობთ, მაგრამ ვერ გაგაყოლებთ ან მეც გამოგყვებით-მეთქი. — კარგიო, — მითხრეს და ჩემებიც დაიმედეს: დილით მოვალთ და საჭმელს ამოგიტანთო... მოკლედ, ხელი მოგვკიდეს და უცნაურად, აღმადაღმა გვატარეს. მერე რაღაც ქოხში შეგვიყვანეს, ცეცხლი დაანთეს და შუქზე ბაშვს უცნაურად დაუწყეს ყურება. გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა, მაგრამ რა უნდა მექნა?.. მასპინძლებმა საჭმელი მოგვიტანეს და შემომთავაზეს: ქალბატონო, დაიძინეთ, ხვალ ენერგია გჭირდებათ, რომ გზას გაუყვეთო. მათ უარი ვუთხარი და შვილთან ახლოს მოვკალათდი, რომელიც ამასობაში გონს მოვიდა, დამშვიდდა, ლაპარაკიც დაიწყო და უცხო ადამიანებთან საერთო ენა ადვილად გამონახა. დაღლილობამ თავისი ქნა და ჩამეძინა. დილით რომ გავიღვიძე, იმ ქოხში სრულიად მარტო

ვინ სად და რა პოზაში ესვენა, ამის აღწერა შეუძლებელია

აფხაზები ჩვენს ბინაში შემოიჭრნენ და ყველაფერი წაგვართვეს

ვიყავი, ის ბიჭები და ჩემი შვილი არსად ჩანდნენ. ავტეხე ყვირილი და გარეთ გამოვვარდი. სირბილში გზა ამებნა, ვერც მათ ვპოულობდი და ვერც ჩემებს, რომ შვილის პოვნაში ისინი მაინც დამხმარებოდნენ. კივილ-კივილით აღმა-დაღმა დავბორიალებდი. ბოლოს, ჩემი ხმა ვიღაც მეგრელებს გაუგონიათ და ჩემკენ გამოიქცნენ — ვიღაცას უჭირს და დავეხმაროთო. ამ მეგრელი კაცების დახმარებით იმ ადგილას მივედი, სადაც წინადღეს ახლობლები დავტოვე, მაგრამ ისინი აღარ ჩანდნენ (თურმე გველოდებოდნენ და რომ აღარ გამოვჩნდით, უფიქრიათ — ეტყობა, იმ ბიჭებმა ნელი და სოფო გზაზე დააყენეს, ჩვენც ვიაროთ და იქნებ, მათ სადმე გადავაწყდეთო). შვილის გარეშე სად წავიდოდი და ამათ ვთხოვე: იქნებ მაპოვნინოთ, შორს ვერ წავიდოდნენ, აქვე იქნებიანმეთქი. იმ დალოცვილებმა მითხრეს: გაჭირვებაში როგორ მიგატოვებთო?! — და ჩემთან ერთად დაუწყეს სოფოს ძებნა (თავიანთი ცოლ-შვილი კი, მანქანაში ჩასვეს და ერთ-ერთ თავისიანს უთხრეს: იარეთ, მეორე ტყემდე მიდით და იქ დაგველოდეთო). ბევრი ხეტიალის შემდეგ, ისევ იმ ქოხს მივადექით, სადაც მე და ჩემმა შვილმა ღამე გავატარეთ. რამდენიმე კაცი დაგვხვდა. მითხრეს: არ ინერვიულო, შენი შვილი გათხოვდა და თავს ბედნიერად გრძნობს, თუ სურვილი გაქვს, თქვენც მასთან წაგიყვანთო. კინაღამ გავგიჟდი, ერთი ამბავი ავტეხე, ამ კაცებს მივვარდი და ერთ-ერთ მათგანს თმაში ვწვდი, მაგრამ აბა, რას გავაწყობდი?!. ხელი მკრეს და მიმაგდეს, მერე რაღაცას სვანურად ლაპარაკობდნენ. მეგრელებმა მითხრეს: აწი ვერაფერს ვუშველით და ჯობია, შვილი სამუდამოდ რომ არ დაკარგო, ამათ გავყვეთ, ბავშვი ვნახოთ, მერე რამეს მოვიფიქრებთ; ასე თუ არ მოვიქცევით, შეიძლება, ჩვენც ამოგვხოცონო. რაღას ვიზამდი?.. მათ წინადადებას დავთანხმდი. სვანებს ვუთხარი: დიდი ბოდიში, განერვიულებული ვარ და ასეთი საქციელი მაპატიეთ, თავი ვერ შევიკავე და იქნებ, შვილი მაჩვენოთ, მერე კი, ჩემს გზას

მანქანა დაიძრა, მერე აყირავდა და უფსკრულში გადავეშვით...

გავუყვები-მეთქი. მითხრეს: ყველას ვერ წაგიყვანთ (4 კაცი მახლდა) და თუ გინდა, ორი გამოგყვესო. ბიჭებმა მითხრეს: ნუ გეშინია, არ მიგატოვებთო. ორი მათგანი მე გამომყვა, დანარჩენები კი, თავისიანებთან წავიდნენ და დაგვიბარეს: იქ დაგელოდებითო... ტყე-ღრე შემოგვატარეს და ჩემი „სიძის“ სახლში მიგვიყვანეს. ჩემი დანახვისას, სოფო ისტერიკაში ჩავარდა, მეხვეწებოდა: დედა, ამათთან ნუ დამტოვებო! — და მომიყვა, რაც თავს გადახდა: თურმე, ჩამეძინა თუ არა, მასპინძლებს ერთმანეთში ლაპარაკი დაუწყიათ, მერე სოფოსთვის ყველაფერი გამოუკითხავთ — ვისთან ერთად ვიყავით, სად მივდიოდით და ა.შ. მერე ისევ ერთმანეთთან გაუგრძელებიათ ლაპარაკი, ბავშვს კი ამასობაში ჩასძინებია. მითხრა: რომ გავიღვიძე, უკვე ტყეში ვიყავი, გვერდით ვიღაც მეჯდა და მეფერებოდაო... სოფოს მოვუკითხივარ, იმ ბიჭს კი უთქვამს: შენ ჩემი ცოლი ხარ და თუ ჭკვიანად არ მოიქცევი, დედაშენს საერთოდ ვერ ნახავო. სოფოს წივილ-კივილი დაუწყია, ამიტომ მისთვის პირი აუკრავთ და ჩემს „სიძეს“ ხელებდაბმული გოგონა, უცხო კაცების თანდასწრებით, გაუუპატიურებია, მერე კი სახლში წაუყვანიათ. სოფო ტირილით მეუბნებოდა: დედა, ისე შემეშინდა, რომ რაც მომიყვანეს, მას შემდეგ ხმას ვერ ვიღებდი, რადგან მემუქრებოდნენ — თუ ცუდად მოიქცევი, ყველა შენიანს ამოვხოცავთ და თუ კარგად მოიქცევი, დედაშენს მოგიყვანთ; ამ იმედით ვიყავი, თორემ, თავს მოვიკლავდი, აქ ნუ დამტოვებ მხოლოდ იმიტომ, რომ ქალიშვილი აღარა ვარო!.. ამას დავეძებდი?! სოფოსაც რომ ნდომებოდა, იქ მაინც არ დავტოვებდი. ჩემებს ყველაფერი მოვუყევი (მეგრულად). მათ მითხრეს: ყვირილი არ დაიწყო, თორემ აქვე ჩაგვხოცავენ, ვითომ ყველაფერს შეეგუე და თქვი: რადგან სოფო ქალიშვილი აღარ არის, ვეღარ წავიყვან, მაგრამ მისთვის მზითვის ყიდვა მინდა, შვილი გამატანეთ, თუ გინდათ, სიძეც წამოვიდეს და მერე უკან ერთად დაბრუნდებიან-თქო. ასეც მოვიქეცი. ჩემი შვილის დამღუპველი გადამეხვია (მერჩივნა, გველი ჩამეკრა გულში), მერე მათ მოითათბირეს და მითხრეს: ამათ ვერსად გაგატანთ, შეგვიძლია, ჯვარში ჩაგიყვანოთ ბაზრობაზე, იქ უყიდეთ, რაც გენებოთ, მერე კი სიძეპატარძალს უკან წამოვიყვანთ და თუ გინდათ, თქვენც ჩვენთან ერთად წამოდით



და ვიქეიფოთო. ამ წინადადებას დავთანხმდი. რამდენიმე დღე მათთან დავრჩი და ის საშინელი პერიოდი თვითგვემაში გავატარე, რადგან ვიცოდი, რომ გვერდით ოთახში ჩემს გოგონასთან პირუტყვი იწვა... ჩემი თანმხლები მეგრელები წავიდნენ და შემპირდნენ: ჩვენებს სამშვიდობოს გავიყვანთ, მერე კი ჯვარში მანქანით დაგელოდებით და რამეს მოვიფიქრებთო. მათ იმედად დავრჩი... რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც, ჩაგვიყვანეს ჯვარში ბაზრობაზე. ფული სად მქონდა, რომ შვილისთვის ტანსაცმელი მეყიდა?! ის ჩემი ნაცნობებიც არსად ჩანდნენ. შვილი გავაფრთხილე: ვითომ არაფერი მოგწონს, ყველაფერზე ცხვირი აიბზუე-მეთქი. ბაზრობის ტერიტორიაზე რომ დავბორიალებდით, ვიღაც კაცი მომიახლოვდა და მეგრულად მითხრა: არ შეგეშინდეთ, თქვენ და სოფო ცოტათი მოსცილდით ამ ხალხს, რაიმე მოიმიზეზეთ და მანქანაში ჩაგსვამთ, მოგიტაცებთო. უცნობისთვის ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი, ისე წავიდა. სვანებმა უცნაურად შემომხედეს, მერე მკითხეს: ის კაცი ვინ იყო და რას გელაპარაკებოდაო? ვუპასუხე: ვიღაც სულელი იყო, მითხრა — რაღაც ახალი „ზმანები“ მაქვს და ტანსაცმელი ჩემგან იყიდეთო. თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი შტერები იყვნენ, რომ დაიჯერეს. ცოტა ხანში მოვიმიზეზე: საპირფარეშოში მინდა-მეთქი და სოფოსთან ერთად განვცალკევდი. იქიდან გამოვედით თუ არა, ზედ ჩვენს ფეხებთან მანქანა გაჩერდა და მე და ჩემი შვილი შიგ ჩაგვყარეს. სოფომ კივილი მორთო, მეც შევშინდი, მაგრამ ნაცნობი სახეების დანახვაზე დავმშვიდდი. სოფო ვერაფრით დავაწყნარეთ, არაფრის გაგონება არ უნდოდა (თურმე ეგონა, რომ კიდევ ვიღაცებმა მოგვიტაცეს), მაგრამ ამას რას დავეძებდი?!. მანქანა მიქროდა. სვანებმა კარგა ხანს გვდიეს, მაგრამ ვერ დაგვწივნენ და ცოტა ხანში საერთოდ ჩამოგვრჩნენ... სენაკში რომ ჩავედით, ამოვისუნთქეთ — უკვე სამშვიდობოს ვიყავით. სოფოც აზრზე მოვიდა, თუმცა ხმას არ იღებდა, ხან ტიროდა, ხან იცინოდა... მას შემდეგ 14 წელი გავიდა, მაგრამ ის ტკივილი არ გამნელებია... ამ ამბის შემდეგ, ჩემს შვილს ნევროზი ჰქონდა და მთელი 5 წელი მკურნალობდა. თბილისში ჩამოვედით და ერთ-ერთ სასტუმროში დავსახლდით. იქ სოფო ერთ ბიჭს — ზურას შეუყვარდა, მაგრამ მას ბიჭის სახელის ხსენებაც არ უნდოდა. მისი თაყვანისმცემლის მშობლებს ჩვენი ამბავი გაუკითხ-გამოუკითხავთ და როცა გაიგეს, რომ სოფო ქალიშვილი არ იყო, ატყდა ერთი ამბავი, ჭორაობა — ეგ ისეთი ბოზია, რომ თავი სვანებსაც „ახმარინა“ და აქამდე ისე ჩამოაღწიაო. მეც გადმომწვდნენ: დედამისიც წმინდა სულის არ უნდა იყოსო. ზურამ ყური არავის დაუგდო, სოფოსთან დამეგობრება და მისთვის თავის შეყვარებაც კი მოახერხა. ოჯახში მოვიპატიჟე და ჩვენი ამბავი მოვუყევი, არაფერი დამიმალავს. ატირდა და მითხრა: რაღაც ეჭვები მაინც მქონდა და ამისთვის

ბოდიშს გიხდით, ხვალ ჩემს მშობლებთან ერთად მოვალ, სოფოს ხელი უნდა გთხოვოთო, — და წავიდა. მეორე დღეს — არა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს სახლში მისიანები მოვიდნენ და სოფოს ხელი მთხოვეს. მერე ქორწილიც გადავიხადეთ და დღეს, ჩემი გოგონა ბავშვს ელოდება, თავს კარგად გრძნობს... სოხუმი თუ დავიბრუნეთ, იქ ნამდვილად აღარ დავბრუნდები, რადგან საშინელი მოგონებების გარდა, აღარაფერი დამრჩა და სად ამომხდება სული, ამას ჩემთვის მნიშვნელობა აღარ აქვს...

ნაზი, *49 წლის:*

— აფხაზეთიდან გადმოსვლის დროს, 2 გოგონა დამეღუპა, ორივე აფხაზთა ტყვიის მსხვერპლი გახდა. სოხუმიდან გამოსვლას რომ ვაპირებდით, უკვე ქალაქს ბომბავდნენ და ბავშვებიც მაშინ დაცხრილეს. დღესაც ყურში ჩამესმის მათი ხმა — ვაიმე, დედა, მიშველეთო!.. მე და ჩემი მეუღლე დავიჭერით, ვერც ერთი ვერ ვდგებოდით. ამის დანახვაზე, ჩემი გაუბედურებული და აფხაზებისკენ გაიქცა ყვირილით: სისხლისმსმელებო, მკვლელებოო! — და სწორედ ამ დროს, ისიც დაიღუპა... მე, ჩემი მეუღლე და ჩვენი ბიჭუნა ვიღაცებმა გემზე აგვიყვანეს. ყვიროდი: აქ დამტოვეთ, ჩემს სიცოცხლეს რა აზრი აქვს, ტყუილად ადგილს ვიკავებ-მეთქი! — მაგრამ ჩემი ვის ესმოდა?!. თან, ჩემი ბიჭუნაც ტიროდა: დედა, მე რაღა დაგიშავე, უპატრონოდ გინდა დამტოვოო?.. მოკლედ, სამშვიდობოს გაგვიყვანეს, მაგრამ ჯობდა იქვე, ჩემი გოგონების გვერდით დამელია სული... ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც დღეს ვცოცხლობ, ეს ჩემი ბიჭი და უკვე მისი შვილი — წლინახევრის ლიკა გახლავთ (შვილს ერთ-ერთი დის სახელი დაარქვა და ამბობს, რომ მას აუცილებლად კიდევ ერთი გოგონა ეყოლება, რომელსაც ნინოს — მეორე დის სახელს დაარქმევს)... მინდა, ჩემს დაზეც (რომელიც ასევე აფხაზების ტყვიას ემსხვერპლა) გიამბოთ. ჩვენ ყველანი ერთ სახლში ვცხოვრობდით. აფხაზები ჩვენს ბინაში შემოიჭრნენ და ყველაფერი წაგვართვეს, მერე კი, მე და ჩემს დას მოგვცვივდნენ, დანარჩენი ოჯახის წევრები გაკოჭეს და აყურებინეს, როგორ გვაუპატიურებდნენ. ჩემს თავს არ ვჩიოდი და ვყვიროდი: რაც გინდათ, ის მიქენით, მაგრამ ელენეს (ასე ერქვა მას) შეეშვითმეთქი! მაგრამ ისე იყვნენ გამხეცებულები, რომ დაინახეს ქალიშვილი იყო, საბრალო, 3 კაცმა გააუპატიურა, მერე ზედ სიგარეტები მიაწვეს და ხარხარით დაგვტოვეს, თან აფხაზურად თქვეს: ისე, კარგი ქალები არიან და ამათი დატოვება გაგვიჭირდება, მაგრამ არა უშავს, უკან დავბრუნდებითო... ეს ჩემს ბიჭს დღესაც ახსოვს და ამბობს: ისე როგორ მოვკვდები, რომ დეიდისა და შენ გამო შური არ ვიძიოო?! — და სოხუმში დაბრუნებაც მხოლოდ ამიტომ უნდა. მე კი არ მინდა, რომ ჩემი შვილი ისეთივე პირუტყვი გახდეს, თუნდაც შურისძიების მიზნით, როგორიც ის აფხაზები იყვნენ... ■

ქართველი ემიგრანტი რუსული შოუბიზნესის დაპყრობას აპირებს

„თამთა იმდენად დაკომპლექსდა, რომ ქართულადაც აღარ მღეროდა"

როგორც ამბობენ, ბევრი ემიგრანტი დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ სამწუხაროდ, სამშობლოდან მოშორებით ისევ უამრავი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს და დაბრუნდებიან თუ არა ოდესმე, გაურკვეველია. ჩვენი რესპონდენტი — ნინო პირველიძე უკვე ორი ათეული წელია, მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი ქალიშვილი, თამთა ლანო (ჯამალაშვილი) კი, თავისი სილამაზისა და სიმღერის ნიჭის წყალობით, იქაურ შოუბიზნესში წარმატების მიღწევას ცდილობს და, სავარაუდოა, არცთუ ისე უსაფუძვლოდ...

ნათია ქივიძე

— თამთამ ჯერ ლაპარაკიც არ იცოდა, როცა ამღერდა. 3 წლის იყო, როცა — „ბასტი-ბუბუს" გადაცემებში, შემდეგ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. 4 წლის იყო, როცა მოსკოვში წავიყვანეთ და, რუსული ენის უცოდინარობის გამო იმდენად დაკომპლექსდა, რომ ქართულადაც აღარ მღეროდა — მაინც არავის ესმისო, ამბობდა. 14 წლის იყო, როცა გადაწყვიტა, დაბრუნებოდა სიმღერას. სკოლაში გამართულ ერთ-ერთ კონცერტზე მიუზიკლიდან — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" — ფრანგული სიმღერა „ბელ" შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ მან ფრანგული დღემდე არ იცის, იმ სიმღერით ყველა მოხიბლა. მუსიკის მასწავლებელმა ყურადღება მიაქცია და გვირჩია, ბავშვი სკოლის პარალელურად, საესტრადო ჯაზური კოლეჯის სტუდიაში შეგვყვანა. თამთამ ერთი წელი იმ სტუდიაში ისწავლა, მერე კი, მეცხრე კლასიდან, ჯაზის კოლეჯში გადავიდა (ახლა მესამე კურსზეა) და სკოლა ექსტერნად დაამთავრა.

— როგორც ვიცი, თამთას, რუსი პროდიუსერებისგან გარკვეული შეთავაზებები აქვს...

მოსკოვში სამსახურის მოძებნა არც ისე ადვილია

— მას ხშირად გზავნიან სხვადასხვა კონკურსზე. ერთ-ერთ ფესტივალზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა და ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა, პირველი ადგილი დაიკავა. შარშან სოჭში კონკურსზე — მეორე ადგილი, ხოლო ამ ერთი თვის წინ, საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრი აიღო. იქიდან კვიპროსზე გაგზავნეს, სადაც რამდენიმე კონცერტი ჩაატარეს. თამთას ამ ქვეყნის პრეზიდენტისგან მოუვიდა მოწვევა და კვიპროსზე წასვლას უახლოეს მომავალშიც გეგმავს.

— საქართველოში ჩამოსვლას და ქართული სცენის დაპყრობას არ აპირებს?

— ჯერ არა, მაგრამ მომავალში — ვნახოთ... ისე, თამთას რეპერტუარში ქართული სიმღერებიც აქვს — ლილიკო ნემსაძის ორ და რეზო ჩილიმაშვილის ერთ სიმღერას მღერის. გარდა ქართულისა და რუსულისა, მის რეპერტუარში ინგლისური, ფრანგული და იტალიურენოვანი სიმღერებიცაა.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, თამთა მოსკოვში რომელილაც ახალშექმნილი ჯგუფის წევრი უნდა ყოფილიყო.

— ერთ-ერთმა პროდიუსერმა, რომლის გვარი არ მინდა დავასახელო (რადგან ბევრი ძალიან ცნობილი ამერიკელი მომღერლის პროდიუსერი გახლდათ), გადაწყვიტა, რომ შეექმნა გოგონების ჯგუფი, რომელსაც ევროპაში წაიყვანდა. ის შარშან ივნისში ჩამოვიდა, კონკურსი ჩაატარა, შეარჩია გოგონები და მათ შორის, თამთაც. სექტემბერში უნდა წასულიყვნენ, მაგრამ რატომღაც ეს პროექტი ჩაიშალა... თამთას უნდა, რომ ვარსკვლავი გახდეს და ვცდილობთ, მიზნის მიღწევაში დავეხმაროთ, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად. ჯერ მხოლოდ 17 წლის არის, ამიტომ ჩვენი მხარში დგომა სჭირდება. ისე, თვითონ ძალზე შრომისმოყვარეა და სხვათა შორის, ამ ბოლო დროს, ლექსების წერაც დაიწყო, მუსიკის დაწერასაც ცდილობს. ვნახოთ, რა გამოუვა. გარდა ამისა, მომღერლისთვის პლასტიკა აუცილებელია, თამ-

თა კი ძალზე კარგად ცეკვავს.

— პირადად თქვენ, მოსკოვში პირველად როდის წახვედით?

— მოსკოვში 1985 წელს წავედი, რადგან გავთხოვდი და ჩემი მეუღლე — გელა ჯამალაშვილი იქ სწავლობდა. მაშინ მეც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი, ამიტომ საბუთები მოსკოვის სასწავლებელში გადავიტანე და მეხუთე კურსიდან სწავლა იქ განვაგრძე. მერე მოხდა ისე, რომ დროებით ისევ საქართველოში დავბრუნდი და 1990 წლიდან ონკოლოგიურ საავადმყოფოში (გინეკოლოგიურ განყოფილებაში), ბატონ ლევან ჩარკვიანთან დავიწყე მუშაობა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ვაპირებდი დისერტაციის დაცვას, რომელიც დავწერე კიდეც, მაგრამ მერე ჩემი მეუღლე ისევ მოსკოვში დაბრუნდა და, რა თქმა უნდა, მეც მასთან ერთად გავემგზავრე.

— რამდენად იოლად შეეჩვიეთ იქაურ ატმოსფეროსა და ხალხს?

— თავიდან, რა თქმა უნდა, ძალზე გამიჭირდა, რადგან მოსკოვში პირველად რომ წავედი, 19 წლის ვიყავი, თანაც —

ორსულად გახლდით. მართალია, მეუღლე გვერდით მყავდა, მაგრამ მაინც ხშირად ვტიროდი: მანამდე დედას არასდროს მოვშორებივარ და მისგან ასე შორს ყოფნა გამიჭირდა, სტრესულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. დროთა განმავლობაში კი, ყველაფერს შევეგუე. მიხედავად იმისა, რომ თბილისში რუსულად კარგად ვლაპარაკობდი და ლიტერატურასაც რუსულად ვკითხულობდი, რატომღაც თავიდან იქ რუსულ ენაზე ლაპარაკი გამიჭირდა. ამას ისიც დაერთო, რომ ჩემი პირველი შვილი — გიორგი ნოემბერში დაიბადა, დეკემბერში კი გამოცდები მქონდა, ამიტომ პირველი სემესტრი ჩემთვის საკმაოდ რთული იყო... კურსელებმა არაჩვეულებრივად მიმიღეს, მიუხედავად იმისა, რომ მათთან მეხუთე კურსიდან გადავედი, თან, რადგან ორსულად ვიყავი, ყველას ვეცოდებოდი, მივლიდნენ.

— ახლა, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ისევ ისე კარგად გექცევიან?

— რა თქმა უნდა, მათგან ცუდი არაფერი მიგრძნია.

— იქ ჩასულებს თავის დამკვიდრება არ გაგიჭირდათ?

— მოსკოვში სამსახურის მოძებნა არც ისე ადვილია. თავიდან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უმუშევარი ვიყავი. მოგვიანებით კი, ნაცნობის დახმარებით, გინეკოლოგის ადგილი ვიშოვე და მუშაობა დავიწყე. ახლა უკვე რამდენიმე წელია, რაც კერძო მედიცინის ცენტრში, ექოსკოპიაზე ვმუშაობ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ის განათლებით ფიზიკოსია, ამიტომ ძირითადად, მეცნიერულ საქმიანობას ეწევა და გარდა ამისა, მცირე ბიზნესიც აქვს.

— ალარ გიცდიათ, რომ თქვენც გაგეგრძელებინათ სამეცნიერო მუშაობა?

— ვეღარ მოვახერხე, რადგან მაშინ უკვე ორი შვილი მყავდა. იმის გამო, რომ ჩვენი მშობლები თბილისში დარჩნენ, დამხმარე არავინ მყავდა და ბავშვების მოვლასთან ერთად, დისერტაციის დაცვას ნამდვილად ვეღარ მოვახერხებდი. ახლა ბავშვები წამოიზარდნენ და თუ ისინი ხელს არ შემიშლიან (რადგან მათ ახლაც ისევე ვჭირდები, როგორც ბავშვობისას), იქნებ, მოვახერხო დისერტაციაზე მუშაობა.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ მოსკოვში მცხოვრებ ქართველებთან?

— ჩვენ მხოლოდ ერთ ოჯახთან ვმეგობრობთ, რომლის წევრებიც მხატვრები არიან — ქეთევან ბეთლემიძე და ზურა ალიბეგაშვილი. სხვებსაც ვიცნობთ, მაგრამ მათთან მეგობრული ურთიერთობა არ გვაქვს. როცა მოსკოვში ქართველს ვხვდები, რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, მაგრამ რატომღაც, მათთან ახლობლობა არ გამოგვდის...

— ბევრი ქართველი ხელოვანი მოღვაწეობს მოსკოვში. მათ საღამოებზე თუ დადიხართ ხოლმე?

— რა თქმა უნდა. ამას წინათ, სოსო პავლიაშვილის სოლო კონცერტზე ვიყავით. გახლდით ასევე კონცერტზე, რომელშიც ბევრი ქართველი მომღერალი მონაწილეობდა: ბუბა კიკაბიძე, ნანი ბრეგვაძე, ირაკლი ფირცხალავა, ვალერი მელაძე და ა.შ. ამას წინათ, კინომსახიობის თეატრის მსახიობები იყვნენ ჩამოსულები და ჩეხოვის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი — „ალუბლის ბაღი" წარმოადგინეს. ძალიან მოგვეწონა. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ქართულენოვანი იყო, ქართველების გარდა, მას უამრავი რუსი და უცხოელი მაყურებელიც დაესწრო და აღფრთოვანებულებიც დარჩნენ. ისინი

გიორგი ნოემბერში 21 წლის გახდება

ქართულ ხელოვნებას დიდ პატივს სცემენ, ჩვენი მომღერლებიც ძალიან უყვართ. განსაკუთრებით ქალები აქტიურობენ — კიკაბიძესა და პავლიაშვილზე გიჟდებიან!

— საქართველოში ხშირად ჩამოდიხართ?

— საერთოდ, წელიწადში ერთხელ, ზაფხულობით ჩამოვდივართ, ჩემი და გელას მშობლებისა და ნათესავების მოსანახულებლად, მაგრამ შარშან ორჯერ მომიწია — ოქტომბერშიც ჩამოვედი, რადგან ჩემი თანაჯგუფელები იკრიბებოდნენ და მას შემდეგ, რაც საქართველოდან წავედი, ჩემი საუკეთესო მეგობრების გარდა, არც ერთი მათგანი არ მინახავს. ამიტომ ამ შეხვედრას ვერ გამოვტოვებდი...

— მოდით, ახლა თქვენს უფროს შვილზე — გიორგიზეც მიამბეთ რამე...

— გიორგი ნოემბერში 21 წლის გახდება. ის მოსკოვის უნივერსიტეტში რეკლამის დიზაინის სპეციალობაზე სწავლობს, მეოთხე კურსის სტუდენტია. ამჟამად, ფოტოგრაფიას გადიან და მას ეს სფერო ძალიან აინტერესებს. „როლიკებით" არის გატაცებული და მთელი დღის განმავლობაში, ქუჩაში „როლიკებით" დადის, თან, ფოტოებს იღებს, მერე, მათ ინტერნეტით სხვადასხვა კონკურსზე გზავნის და სხვათა შორის, რამდენჯერმე პირველი ადგილიც დაიკავა. შეყვარებულიც ჰყავს — ანია, რომელიც პროფესიით არქიტექტორია. მათ საერთო მეგობრის მეშვეობით გაიცნეს ერთმანეთი. უკვე ორი წელია, ერთმანეთს ხვდებიან. ანია ხშირად მოდის ჩვენთან სტუმრად, წელს საქართველოშიც გვყავდა ჩამოყვანილი. ძალიან კარგი გოგონაა, მოგვწონს. მის მშობლებსაც ვიცნობთ და ერთმანეთთანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— დაბოლოს, ოდესმე საქართველოში დაბრუნებას თუ აპირებთ?

— არ ვიცი, ვნახოთ.

■

თამთას უნდა, რომ ვარსკვლავი გახდეს და ვცდილობთ, მიზნის მიღწევაში დავეხმაროთ

...და მაინც, ცხოვრება მშვენიერია!

თბილისელი „სვეტები" და სადისტი შვილიშვილი ანუ „გოგოებო ყველა ქვეყნისა, მიყვარხართ!"

ბევრ თქვენგანს ემახსოვრება საბჭოთა (რუსული) ფილმი „კავკასიელი ტყვე ქალი", რომლის პერსონაჟი ასეთ სადღეგრძელოს ამბობს: მაქვს სურვილი, ვიყიდო სახლი, მაგრამ არა მაქვს ამის შესაძლებლობა; მაქვს შესაძლებლობა, ვიყიდო თხა, მაგრამ არა მაქვს სურვილი; მაშ, ჩვენი სურვილებისა და შესაძლებლობების თანხვედრას გაუმარჯოსო!.. ცხოვრებაც ხომ ეს არის: სურვილები და საშუალებები ერთმანეთს თითქმის არასოდეს ემთხვევა. მაგრამ ის მაინც მშვენიერია. ამბობენ, რომ სულელი ცხოვრობს წარსულით, ჭკუასუსტი — მომავლით, ხოლო ჭკვიანი — აწმყოთი. სწორედ ამას ირწმუნება ჩვენი პირველი რესპონდენტი.

მარი ხაფარიძე

სუპერმზარეული

„იყო დრო, როდესაც ცხოვრება ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა. სულ ახალი გათხოვილი ვიყავი, როცა ჩემმა ქმარმა საყვარელი გაიჩინა. რომ გავთხოვდი, 87 კილო ვიყავი. ისე ვინერვიულე ქმრის ღალატის გამო, რომ 56 კილომდე „ჩამოვედი". ვიცოდი, ვის ხვდებოდა, სად დადიოდა, როდის ხვდებდა, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდი, რადგან წინასწარ ვყავდი გაფრთხილებული, რომ თუ რაიმე საკითხზე პრეტენზია გამიჩნდებოდა და ამას ხმამაღლა ვიტყოდი, იმ დღესვე ოჯახს დაანგრევდა. ამის გამო ვიყავი გაჩუმებული. ბოღმას გულში ვიკლავდი და ჩუმ-ჩუმად ვტიროდი ხოლმე. რა თქმა უნდა, სულ უხასიათოდ ვიყავი. დედამთილი კი ჩემზე ამბობდა, უუმური და უხასიათოაო. ის ცალკე მიწყალებდა გულს. არც შვილი შემეძინა და ცალკე ამას ვდარდობდი. 3 წელი ვიცხოვრე ასეთ ჯოჯოხეთში. ერთ მშვენიერ დღეს კი, ჩემს მეგობართან სტუმრად ვიყავი, როდესაც მისი ნათესავი, ახალგაზრდა ქალი მოვიდა. ის პროფესიით ფსიქოლოგია. წლების განმავლობაში არ ვყავდი ნანახი და ასეთი, გამხდარი რომ დამინახა, გაუკვირდა: რომელი დიეტა გამოიყენეო? — მკითხა. ავდექი და სიმართლე ვუამბე. ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ და ძალზე კარგი რჩევა-დარიგებაც მივიღე. მერე შემომთავაზა, რომ მასთან სეანსებზე მევლო... ძალზე შევიცვალე და სრულიად სხვა თვალით შევხედე ცხოვრებას. ჩემს ქმარს კატეგორიულად მოვთხოვე ერთგულება. რა თქმა უნდა, ძალიან გაუკვირდა. ისე ვიჩხუბეთ, რომ დედამთილმა ძლივს გაგვაშველა. ამის შემდეგ სიტუაცია ძალიან დაიძაბა და იქ გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ, ქმარს გავცილდი. ამის შემდეგ დაიწყო ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი. წარსული შეძლებისდაგვარად დავივიწყე და მომავალზე ფიქრი დავიწყე. მომავალი ძალზე ბუნდოვნად მეჩვენებოდა და დეპრესიაშიც ჩავვარდი. სამსახურს ვერ ვშოულობდი. ჩემი მშობლები რაიონში ცხოვრობდნენ, მე კი იქ წასვლა არ მინდოდა და არც იმის საშუალება მქონდა, რომ თბილისში თავი გამეტანა. ისევ ფსიქოლოგის რჩევა გავითვალისწინე და მომავალზე ფიქრს თავი დავანებე. მხოლოდ აწმყოთი დავიწყე ცხოვრება. ცოტა ხნის შენდეგ, სამსახურიც გამოჩნდა და ბინაც ვიქირავე. კიდევ 2 წლის შემდეგ კი, გავთხოვდი. ჩემი ქმარი ძალზე კარგი ადამიანია და მასთან თავს კარგად ვგრძნობ, თან ცხოვრებისეული ეშმაკობებიც ვისწავლე. ამას წინათ, ჩემი მეგობარი გახლდათ ჩემთან სტუმრად. მთელი დღე მასთან ჭორაობაში გავატარე და სამსახურიდან ჩემი ქმრის დაბრუნების დრო ისე მოვიდა, რომ კერძის მომზადება ვერ მოვასწარი. მაღაზიაში ჩავირბინე და 2 პაკეტი პელმენი ვიყიდე. სამზარეულოს მაგიდაზე ფქვილი მოვაფრქვიე, წინსაფარი გავიკეთე და როდესაც ჩემმა ქმარმა კარზე დააკაკუნა, პელმენი ფქვილში მაშინ ამოვსვარე. ჩემი მეგობარი გაოცებული მიყურებდა. ალეკოს ვუთხარი — უკვე 2 საათია, პელმენებს ვაკეთებ, ძალიან დავიღალე, გთხოვ, იქნებ, შენ მოხარშო-მეთქი. რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს. გემრიელად მივირთვით ყველამ და ქმრისგან ქებაც დავიმსახურე... აი, ასე! ცხოვრება მშვენიერია! მთავარია, აწმყოთი ცხოვრება ისწავლოთ".

ამას წინათ, გაჩერებაზე ვიდექი. ჩემ გვერდით მდგომ მამაკაცს შემთხვევით, ნაცნობი შეხვდა. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. „როგორა ხარ?" — ჰკითხა ერთმა. — რა, სხვა ვარიანტებიც არსებობსო?.. — უპასუხა მეორემ. დამეთანხმებით ალბათ, რომ სწორედ ასეა: ცხოვრება მხოლოდ ერთ ვარიანტს გვთავაზობს და მას უნდა მოვერგოთ. საერთოდ, ცხოვრება „ძვირი სიამოვნებაა", მაგრამ სადამდეც საბანი გაგწვდება, იქამდე უნდა დაიფარო. თუმცა, თუ ჩვენს მომდევნო რესპონდენტს დავუჯერებთ, სხვისი საბნის მორგებაც შეიძლება...

დიმიტრი გელოვანი-2

„გარეგნობით საკმაოდ ეფექტური გოგო ვარ. ჰოდა, თაყვანისმცემლები ბავშვობიდან არ მაძლევდნენ მოსვენებას. მაგრამ თითოეულ მათგანს ჯერ „ტენდერი" უნდა გაევლო. „კომისიის თავმჯდომარე", რა თქმა უნდა, დედაჩემი იყო. პრეტენდენტი უნდა ყოფილიყო: მდიდარი, მაღალი, ლამაზი, კარგი გვარიშვილი, ელიტური ოჯახიდან და პერსპექტიული სამსახურით. ვიცი, იტყვით — ასეთი, დიმიტრი იყო გელოვანი და ისიც უკვე მოკვდაო, — მაგრამ დედაჩემმა და მისმა „დაქალოჩკებმა" მაინც „გამოჩიჩქნეს" ერთი ცოცხალი ეგზემპლარი და დიდი ქორწილიც გადავიხადეთ. თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, რომ ცალკე უნდა გვეცხოვრა, მაგრამ რად გინდა?! გათენდებოდა თუ არა, მომადგებოდა ჩემი „სტერვა" დედამთილი და იწყებოდა ტვინის ბურღვა: რატომ არ ვიყავი წინა საღამოს წვეულებაზე, რატომ არ

მინდა ახალი წრის შეძენა, რატომ ვდაქალობ მოსამსახურესთან?! — და ა.შ. ქმარი ჩემზე 15 წლით უფროსია და იმას კიდევ, თავისი „გონკები“ ჰქონდა. ისეთ დღეში ვიყავი, რომ სიკვდილი მინდოდა. ერთხელ, გაბრაზებულ გულზე მივუჯექი მანქანის საჭეს და ქალაქგარეთ წავედი გულის მოსაოხებლად. ერთ მიყრუებულ ადგილას გავჩერდი და დავიწყე მთელი ჩემი უარყოფითი ემოციების ამოფრქვევა. სულ ხმამაღლა მოვთქვამდი, ვაგინებდი დედამთილს, ქმარს, მთელ მათ კუდაბზიკა სანათესაროს და ბოლოს, ზედ დედაჩემიც მივაყოლე ჩემი ასე გამწარებისთვის. ცოტა რომ დავმშვიდდი და მოთქმას მოვრჩი, უეცრად, ხარხარი მომესმა. თურმე, იქვე მეორე მანქანაც მდგარა, რომელსაც ნანგრევები ფარავდა. იმ მანქანის მძღოლიც ჩემსავით გამორიდებია ქალაქს და ჩემი მოთქმა-ტირილისთვის ყურადღებით მოუსმენია... ასე გავიცანი ჩემი სიყვარული. უკვე 5 თვეა, ერთად ვართ. ახლა მისგან ბავშვს ველოდები და სულ მალე აქედან საერთოდ წავალთ. ჩემი ქმარი მეტის ღირსია, უაზრო ეჭვიანობით რომ მტანჯავდა. იაროს ახლა პატარა რქებუნებით! ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ლადოც აბსოლუტურად აკმაყოფილებს დედაჩემის მოთხოვნებს. დიმიტრი გელოვანის მეორე ეგზემპლარი მე მოვუჩანგლე. ასე რომ, გულს წინასწარ ნუ გაიტეხთ, ცხოვრება მშვენიერია!“

„რეკეტიორი“

„უკვე 4 წელია, სამსახურის ძებნაში ვარ. უმუშევარი არ ვიყავი, მაგრამ კარგი სამსახურის ძებნაში, ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდი. მეგობრები მეუბნებოდნენ — ჩვენ ერთი ადგილი ვერ გვიშოვია, შენ როგორ ახერხებ ამდენის გამოცვლასო?.. მოკლედ, გასულ გაზაფხულზე სწორედ ისეთი ადგილი ვიშოვე, როგორიც მინდოდა და ძალზე გახარებული ვიყავი. მანამდე 2 კვირით ადრე, შეყვარებულს დავშორდი და ძალიან განვიცდიდი, მაგრამ როგორც კი სამსახური გამოჩნდა, მაშინვე დამავიწყდა გრძნობები და ცხოვრება მშვენიერი გახდა. პირველ სამუშაო დღეს საგანგებოდ გამოვიპრანჭე და შინიდან ისეთ დროს გამოვედი, რომ სამუშაო დღის დაწყებამდე 5 წუთით ადრე მივსულიყავი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემს სამსახურთან მიმავალი ტრანსპორტი სულ გადაჭედილი იყო და „მარშრუტკები“ არ მიჩერებდნენ. საგონებელში ჩავვარდი, რადგან ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში უნდა გავსულიყავი და ტაქსი 10 ლარს მაინც მოითხოვდა. მე კი „დედისერთა“ 50-ლარიანი მქონდა ჩანთაში და ხურდები, რომლითაც კიდევ 3 კვირა უნდა გამეტანა თავი. ამის გამო, 10 ლარის ტაქსიში გადახდა ნამდვილად არ მინდოდა. იქვე ახალგაზრდა მამაკაცი იდგა, რომელიც სწორედ იმ ნომერ „მარშრუტკას“ აჩერებდა, რომელიც მე მჭირდებოდა. ისიც შევნიშნე, რომ მასაც სადღაც აგვიანდებოდა და წარამარა საათზე იყურებოდა. შევთავაზე, რომ თუ ერთი გზა გვქონდა, ტაქსი აგვეყვანა და თანხა საზიაროდ გადაგვეხადა. სხვა გზა მასაც არ ჰქონდა და დამთანხმდა. ადგილზე რომ მივედით, მე 50-ლარიანი ამოვიღე, მასაც თურმე, ისეთივე კუპიურა ჰქონია ჯიბეში. ტაქსის მძღოლი გადაირია: ამ დილაუთენია მაგდენი ხურდა საიდან მექნებაო?!. როგორც იქნა, ფული დაახურდავა და მან გადაიხადა. ძალიან მომერიდა, მაგრამ ბოდიშობის დრო აღარ იყო. ერთი მივაძახე — გმადლობთ-მეთქი და მოვკურცხლე. მერე, როცა ადგილზე დაუგვიანებლად გამოვცხადდი და გული საგულეს ჩადგა, დავფიქრდი ჩემს თავგადასავალზე და ის მამაკაცი შემეცოდა: საწყალი, შინიდან გამოვიდა, თავისთვის იდგა გაჩერებაზე და სადღაც მიდიოდა, მე კი შევუჩნდი და 50 თეთრის ნაცვლად, 10 ლარი გადავახდევინე ტაქსიში. არ ვიცი, ისიც ისევე იტყვის, რომ ცხოვრება მშვენიერია თუ არა, როგორც მე, მაგრამ მე კი ამას თამამად ვიტყვი“.

კასურა

„მეზღვაური ვიყავი. უამრავი გაჭირვება მინახავს და ბევრჯერ სიკვდილისთვის თვალებშიც ჩამიხედავს, მაგრამ ასეთი შემთხვევების შემდეგ უფრო მივხვდი, რომ ცხოვრება მართლაც მშვენიერია. მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც იემენში ყოფნის დროს გადამხდა თავს. მეზღვაურები ბევრ ქვეყანაში ვართ ნამყოფი და ცოტ-ცოტა ყველა ენა ვიცით. არაბულში არის ასეთი სიტყვა — „კასურა“, რაც გაუმართავს ნიშნავს. მაგალითად, თუ მანქანის მოტორი კარგად არ მუშაობს, ეს „კასურაა“, თუ გული შეგაწუხებს — ესეც. თუ ცხოვრებაში რაღაც არ გამოგდის, ესეც „კასურაა“... ეს ამბავი გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა. იემენი მაშინ დემოკრატიული ქვეყანა იყო. ერთ დღეს, კბილი ამტკივდა. კარგა ხანს ვითმინე, მაგრამ ბოლოს იძულებული გავხდი, სტომატოლოგიურ კლინიკაში წავსულიყავი. ლოყა საშინლად მქონდა გასივებული. ექიმთან რიგი დამხვდა. ვიჯექი და სიკვდილს ვნატრობდი. ამ დროს, თეთრ ხალათში გამოწყობილი მედდა მომიახლოვდა და მკითხა: რა დაგემართათო? მე ძლივს ამოვიღე ხმა და რუსულ-ქართულ-არაბულად ავლაპარაკდი: მადამ, ისა, რა ჰქვია... ზუბ... ისა, კასურა... ექთანმა გაოცებულმა შემომხედა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. როგორც მერე შევიტყვე, თურმე ჩემი ნათქვამი მათ ენაზე ნიშნავდა: ქალბატონო, ასო მომტყდა... აი, ამიტომ არ უნდა ილაპარაკო იმ ენაზე, რომელიც არ იცი. მართალია, ცხოვრება კასურაა, მაგრამ მაინც მშვენიერია“.

უჩვეულო მეტოქე

„მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც მე თვითონ გადამხდა თავს. მე-9 კლასში ვიყავი, როცა თავდავიწყებით შემიყვარდა ჩემზე 2 წლით უფროსი ბიჭი, გაგუნა. ჭკუაზე არ ვიყავი, მთელ დროს მასთან ერთად ვატარებდი და თავი ყველაზე ბედნიერი ადამიანი მეგონა მსოფლიოში. დედაჩემს (ქმარს გაშორებული იყო) დიდად არ მოსწონდა გაგუნა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეუბნებოდა და ყველანაირად ცდილობდა, ჩვენ შორის ჩამდგარიყო. მაშინ მეგონა, რომ ჩვენ ვერასოდეს დაგვაშორებდნენ. სკოლა რომ დავამთავრე, გადაწყვეტილი მქონდა, გაგუნასთან ერთად გავპარულიყავი. ისე მიხაროდა, რომ ბედნიერებისგან დავფრინავდი. მართლაც, გაგუნას გავყევი და ვერაზე, მის ერთოთახიან ბინაში გადავედით საცხოვრებლად. მაშინ ყველაფერი მარტივად მეჩვენებოდა. დედაჩემიც შეგვირიგდა, მაგრამ მთხოვდა, რომ მასთან ხშირად მივსულიყავით, რადგან თავს ძალიან მარტოდ გრძნობდა. გაგუნასაც დაუახლოვდა და ეს ამბავი ძალზე მახარებდა. მალევე გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. საშინელი ორსულობა მქონდა და ექიმმა წოლითი რეჟიმი დამინიშნა. ამიტომ დედაჩემთან ისე ხშირად მისვლას ვეღარ ვახერხებდი და თვითონ მოდიოდა სტუმრად. უფრო ხშირად გაგუნას ვთხოვდი ხოლმე, რომ მასთან მისულიყო და მოენახულებინა. ბავშვი რომ დაიბადა, დედაჩემმაც მოუხშირა ჩვენთან სიარულს. ამასობაში ზაფხულიც მოახლოვდა და ჩემმა ქმარმა მე, ნინი (შვილი) და ჩემი დაქალი ბათუმში გაგვიშვა დასასვენებლად, თვითონ კი საქმეების გამო ჩამოსვლა ვერ მოახერხა და დარჩა. იქ ყოფნა მალევე მომწყინდა, გაგუნაც მომენატრა, თან მისი დაბადების დღე მოახლოვდა და ვიფიქრე: ჩავალ და სიურპრიზს მოვუწყობ-მეთქი. მართლაც, დილით ჩემი მეგობრის მანქანით წამოვედით და საღამოს უკვე თბილისში ვიყავი. სახლის კარი ჩემი გასაღებით გავაღე და ოთახში შევედი... საშინელი სურათის მომსწრე გავხდი: დედაჩემი და ჩემი ქმარი ჩემს ლოგინში ერთმანეთს ეალერსებოდნენ. იმ მომენტში საშინლად ვიგრძენი თავი, არ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი. დედაჩემმა თავის მართლება დაიწყო, მეც მადანაშაულებდა — ხომ გეუბნებოდი, რომ ამ ბიჭს ცოლად არ უნდა გაჰყოლოდი?! გაგუნა მე მიყვარდა და ამიტომ გაფრთხილებდი; როცა ცოლად გაჰყევი, ვცდილობდი, ამ გრძნობას მოვრეოდი, მაგრამ ვერ შევძელიო. საშინელი ისტერიკა დამეწყო და კივილი ავტეხე... როცა ცოტა აზრზე მოვედი, უკვე ორივე წასულიყო და ჩემი დაქალი მამშვიდებდა. გაგუნას დავშორდი. ახლა ის დედაჩემთან ერთად ცხოვრობს და თავს კარგად გრძნობენ. ვითომც არაფერიო, არც ერთს არ აინტერესებს ჩემი გრძნობები. მე თვითონაც

M K

აღარ მინდა მათი ნახვა, მაგრამ მინდა ვუთხრა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მე მათ გარეშეც მშვენივრად ვარ და რომ ცხოვრება მაინც მშვენიერია, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი არაჩვეულებრივი შვილი მყავს. ხოლო მათ ღმერთი მიაგებს სამაგიეროს იმისთვის, რაც ჩაიდინეს!!!"

„მულტიკი"

„ერთ ზაფხულს მეგობრებმა გადავწყვიტეთ, რომ ბაზალეთის ტბასთან ველურებივით დაგვესვენა. კარვები წავიღეთ, საჭმელ-სასმლით „შევიარაღდით" და ერთი კვირით დავემშვიდობეთ ახლობლებს. სულ ექვსნი ვიყავით. ჩვენთან ერთად იყო ჩვენი განუყრელი, „რიჟა" მეგობარი, რომელსაც სახე სულ დაჭორფლილი ჰქონდა და ამის გამო, „მულტიკს" ვეძახდით. მართალია, შეუხედავი იყო, მაგრამ ოქროს გული ჰქონდა და კომპანიის სული და გული გახლდათ. ადგილზე მისულებმა, კარვები გავშალეთ და საიმედოდ მოვეწყვეთ. ზოგმა ანკესი გამართა, ზოგმა ბანაობა მოისურვა. დაბინავებას რომ მოვრჩით, უკვე საღამო ხანი იყო. „მულტიკი" სადღაც წავიდა და აღარ დაბრუნდა. მთელი ღამე ვეძებეთ და ძალიან ვინერვიულეთ, რადგან შეგვეშინდა, ხიფათს არ გადაჰყროდა. მობილურიც გამორთული ჰქონდა და ვერ დავუკავშირდით. მხოლოდ დილით შეგვეხმიანა მესიჯით: არ ინერვიულოთ, მე კარგად ვარო. ისე გავიდა 5 დღე, რომ „მულტიკი" არ გამოჩენილა. წამოსვლის წინა საღამოს ჩვენი დისლოკაციის ადგილს დანჯღრეული „ვოლგა" მოადგა. იქიდან ჩვენი „მულტიკი" გადმოვიდა და თან 5 რუსი გოგონა გადმოჰყვა. გოგონები კარგ ხასიათზე იყვნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. სათითაოდ გადაეხვივნენ ჩვენს ძმაკაცს, ჩაკოცნეს, თვალცრემლიანნი დაემშვიდობნენ და წავიდნენ. ჩვენ კარვების წინ ვისხედით და კარტს ვთამაშობდით. უხმოდ ვუყურებდით „მულტიკს". ის მოგვიახლოვდა, ლუდის ბოთლს დასწვდა, მოიყუდა და როცა ნახევარი ბოთლი დალია, მაშინ მოგვავლო თვალი. ჩვენი სახეები რომ დაინახა, ფართოდ გაიღიმა და თქვა: ეჰ, ცხოვრება მშვენიერია, მაგრამ თქვენ არ იცით, რა ძნელია, როცა ასეთი ლამაზი ხარო!.. ჩვენი ხარხარის ხმამ მგონი, თბილისამდე ჩამოაღწია. ამის შემდეგ, მას, „მულტიკის" ნაცვლად, „კრასავჩიკს" ვეძახით".

ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ახლა კარგად დამაკვირდით"

„ამას წინათ, თქვენს ჟურნალში ჩემი ლექსი წავიკითხე, რომელიც 40 წლის წინ დავწერე. ახლა საბერძნეთში ვიმყოფები და უკვე 60 წლის ვარ. ეგ ლექსი კი, იმ ბიჭს ეძღვნებოდა, რომელიც მიყვარდა. ახლა ორივეს, შვილიშვილები გვყავს, მაგრამ თუ მაგ ლექსს წაიკითხავდა, ალბათ, გავახსენდებოდი... ისე, ძალიან კი გამიკვირდა, როგორ მოხვდა ეს ლექსი თქვენს ჟურნალში..."

„დათუნას მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და ერთ ლექსს მივუძღვნი: ჩემი გულის გასაშლელი ვარდი ხარ,/ ჩემს ფიქრებში სევდა ხარ და დარდი ხარ,/ მაგრამ მაინც გოიმი და ბანძი ხარ!/ მთაწმინდელი ლიკუნა".

„ახლა ქუთაისიდან თბილისში მივდივარ. არ მინდა, მაგრამ რა ვქნა? სწავლა დამეწყო და ლექციებზე ხომ უნდა ვიყო! ვინც მიყვარს, ყველა დასავლეთში რჩება. 7 ოქტომბერს ჩემი მეგობრის ქორწილია და ქე დავბრუნდები, მაგრამ — ცოტა ხნით. დედა, სულ 1 საათია, რაც დაგშორდი, მაგრამ უკვე მენატრები და მამა შაკოც მენატრება. გვანცა, წყალტუბო".

„ჩემი ერთადერთი სიყვარული და იმედი უკვე 3 წელია, გერმანიაშია. ცხოვრება ნაცრისფერია მისი წასვლის დღიდან, მაგრამ მაინც მშვენიერია. შაკო, მიყვარხარ".

„ჩემი პირველი და ერთადერთი სიყვარული დავკარგე. ვიცი, რომ ბოლოს მაინც ჩემთან მოვა... ბუტუკა, იდიოტკა ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ. შენ მე ვერ დამივიწყებ! მიშკა, მაინც ჩემი იქნები. „გზავნილების" ერთგული მკითხველი ვარ და მინდა, ჩემსავით ერთგულ მკითხველებს დავუმეგობრდე. გამომეხმაურეთ... ემქეი, 15 წლის".

„მარი, რამდენჯერაც მესიჯი გამოგიგზავნე, იმდენჯერ არ დაბეჭდე და ეს ერთი მესიჯი მაინც დამიბეჭდე, ჩემი სვანი კლასელისა და მასწავლებლის ხათრით, დიდი სისულელე გავაკეთე, რომ ინტერნეტში ჩემი ნომერი ჩავრთე. ერთ დღეს ვიღაც გიო გადამეკიდა, პარალელურად — მისი მეგობარიც. მე კი არ ვიცოდი, თუ ისინი ძმაკაცები იყვნენ. ძმაკაცთან უფრო კარგი ურთიერთობა მქონდა. გიომ კი თავი მომაბეზრა და ერთ მშვენიერ დღეს, როცა მეგობრებთან ერთად იყო, დავურეკე და კარგად გამოვლანძღე. ამის შემდეგ დავშორდით და ახლა ცხოვრება მის გარეშე მშვენიერია. ანა".

„ერთი ბათუმელი გოგო ვარ, რომელმაც ცხოვრება ბავშვობიდან დაიმახინჯა უაზრო სიყვარულის გამო, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ ცხოვრება მშვენიერია და გრძელდება".

„ეს ცხოვრება სიყვარულისთვის შექმნა ღმერთმა და ამიტომაც მშვენიერია... გოგოებო ყველა ქვეყნისა, მიყვარხართ! კაი ბიჭი".

„ქორწინება ორთაბრძოლის საუკეთესო ფორმაა, რომლის წესების თანახმად, მტერთან უნდა იწვე! და მაინც, ცხოვრება მშვენიერია".

„მართალია, ლევანიკო სიკვდილმა წამართვა, მაგრამ ვიხსენებ წარსულს და ამ წარსულით ვცხოვრობ. ცხოვრება მართლაც მშვენიერია. ღიპუცა".

„მე მიყვარს... მერე რა, თუ მას არ ვუყვარვარ?! ცხოვრება მაინც მშვენიერია! სიყვარულის ობიექტი ხომ მყავს? ჟურნალისტკა".

„ერთი იდიოტი გამუდმებით ნერვებს მიშლის, მე კი მასზე ვგიჟდები. სწორედ ამიტომაა ცხოვრება მშვენიერი. თეო".

„მარი, თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებ, დაგწყევლი — რაც გინახავს, ვეღარ ნახო-მეთქი, — გეტყვი და ჩემს სიცოცხლეს, ჟურნალის გამოსვლის დღეს, დაბადების დღეს ასე მივულოცავ: თუკი სიყვარულით, სიკეთით,/ ისევ და ისევ მაოცებ,/ მოვალ და ჩაგეხუტები,/ მოვალ და მაგრად გაკოცებ!/ გკოცნი, შენი ბოლო შენაძენი".

„რამდენი ხანია, თქვენთან არ დამიმესიჯებია. ამ ზაფხულს, გეოლოგიურ პრაქტიკაზე კაზრეთში წაგვიყვანეს. ლექტორები დილაუთენია გვყრიდნენ ლოგინიდან და გამოფხიზლებასაც ვერ ვასწრებდით, რომ უკვე ჭაბურღილზე ვიყავით, მერე — კარიერებზე... ყოველივე ამაში კი კარგი ის იყო, რომ სოფელში ხმა გავრცელდა — თბილისელი „სვეტები" ჩამოვიდნენო-ო... ყოველ საღამოს დიდ პატივში ვიყავით. ის დღეები დაუვიწყარია, ცხოვრება კი — მშვენიერი.... მარია".

„მარიკუნა, დღეს შეყვარებულს ვეჩხუბე და არ ვიცი, რა იქნება. გოჩა, მიყვარხარ და თუ არ შემირიგდები, იცოდე, ინანებ! ცხოვრება კი მაინც მშვენიერია. ლელა".

„მარი, გენა, უკვე იცი, რომ პატრულში დავიწყე მუშაობა. დღეს გორში ვიყავი და ფორმა მომცეს. ხვალ ახალციხეში მივდივარ. იქ გამანაწილეს და რა ვქნა?! სამაგიეროდ, კაი ახალ ამბებს არ მოგაკლებ. გკოცნი, ელისო".

„მარი, ვიცი, რომ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, რადგან შენზეა დამოკიდებული, ჩემი ცხოვრება რომ ცოტა მშვენიერი გახდეს. სევდიანი ღამე, ლამაზი მთვარე და ჩემს ხედვაში — შენი სახე. შენი თვალები, ალერსით სავსე... ეძღვნება კაკას".

„ამ თემაზე დასაწერი არაფერი მაქვს, ცხოვრება ბევრისთვის მშვენიერია, მაგრამ ჩემთვის — ერთფეროვანი... ახალ თემაზე დაგიმესიჯებთ. მანამდე კი ვეცდები, რომ თვალები გავახილო და ცხოვრებას ასე თვალებგადმოკარკლულმა შევხედო. იქნებ, მეც შევნიშნო, რომ ის მშვენიერია. ჰე, გავიქეცი, აბა! ცხოვრებას უნდა დავეწიო, მშვენიერი ფეხებით.... თქვენი მონასტრის ბიჭი".

„17 წლის გოგო ვარ. ამ ზაფხულს ბათუმში 70 ლარით გავიპარე. ის ფულიც გავასესხე და დავრჩი გაღიმებული. ღამით მეგობართან ვრჩებოდი ხოლმე. მერე ვეჩხუბე და დილის 5 საათზე გარეთ გამომაგდო. წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან ვაპირებდი ღამის გათევას, რომ არა ერთი ადამიანი. კიდევ უამრავი ცუდი რამ შემემთხვა, მაგრამ ცხოვრება მაინც მშვენიერია. „ძაან ქალი".

„დიდ ხუმარას: როგორ უნდა დამა-

C M Y K

„მე მიყვარს... მერე რა, თუ მას არ ვუყვარვარ?! ცხოვრება მაინც მშვენიერია! სიყვარულის ობიექტი ხომ მყავს? ჟურნალისტკა“.

„ერთი იდიოტი გამუდმებით ნერვებს მიშლის, მე კი მასზე ვგიჟდები. სწორედ ამიტომაა ცხოვრება მშვენიერი. თეო“.

„მარი, თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებ, დაგწყევლი — რაც გინახავს, ვეღარ ნახო-მეთქი, — გეტყვი და ჩემს სიცოცხლეს, ჟურნალის გამოსვლის დღეს, დაბადების დღეს ასე მივულოცავ: თუკი სიყვარულით, სიკეთით,/ ისევ და ისევ მაოცებ,/ მოვალ და ჩაგეხუტები,/ მოვალ და მაგრად გაკოცებ!/ გკოცნი, შენი ბოლო შენაძენი“.

„რამდენი ხანია, თქვენთან არ დამიმესიჯებია. ამ ზაფხულს, გეოლოგიურ პრაქტიკაზე კაზრეთში წაგვიყვანეს. ლექტორები დილაუთენია გვყრიდნენ ლოგინიდან და გამოფხიზლებასაც ვერ ვასწრებდით, რომ უკვე ჭაბურღილზე ვიყავით, მერე — კარიერებზე... ყოველივე ამაში კი კარგი ის იყო, რომ სოფელში ხმა გავრცელდა — თბილისელი „სვეტები“ ჩამოვიდნენო-ო... ყოველ საღამოს დიდ პატივში ვიყავით. ის დღეები დაუვიწყარია, ცხოვრება კი — მშვენიერი.... მარია“.

„მარიკუნა, დღეს შეყვარებულს ვეჩხუბე და არ ვიცი, რა იქნება. გოჩა, მიყვარხარ და თუ არ შემირიგდები, იცოდე, ინანებ! ცხოვრება კი მაინც მშვენიერია. ლელა“.

„მარი, გენა, უკვე იცი, რომ პატრულში დავიწყე მუშაობა. დღეს გორში ვიყავი და ფორმა მომცეს. ხვალ ახალციხეში მივდივარ. იქ გამანაწილეს და რა ვქნა?! სამაგიეროდ, კაი ახალ ამბებს არ მოგაკლებ. გკოცნი, ელისო“.

„მარი, ვიცი, რომ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, რადგან შენზეა დამოკიდებული, ჩემი ცხოვრება რომ ცოტა მშვენიერი გახდეს. სევდიანი ღამე, ლამაზი მთვარე და ჩემს ხედვაში — შენი სახე. შენი თვალები, ალერსით სავსე... ეძღვნება კაკას“.

„ამ თემაზე დასაწერი არაფერი მაქვს, ცხოვრება ბევრისთვის მშვენიერია, მაგრამ ჩემთვის — ერთფეროვანი... ახალ თემაზე დაგიმესიჯებთ. მანამდე კი ვეცდები, რომ თვალები გავახილო და ცხოვრებას ასე თვალებგადმოკარკლულმა შევხედო. იქნებ, მეც შევნიშნო, რომ ის მშვენიერია. ჰე, გავიქეცი, აბა! ცხოვრებას უნდა დავეწიო, მშვენიერი ფეხებით.... თქვენი მონასტრის ბიჭი“.

„17 წლის გოგო ვარ. ამ ზაფხულს ბათუმში 70 ლარით გავიპარე. ის ფულიც გავასესხე და დავრჩი გაღიმებული. ღამით მეგობართან ვრჩებოდი ხოლმე. მერე ვეჩხუბე და დილის 5 საათზე გარეთ გამომაგდო. წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან ვაპირებდი ღამის გათევას, რომ არა ერთი ადამიანი. კიდევ უამრავი ცუდი რამ შემემთხვა, მაგრამ ცხოვრება მაინც მშვენიერია. „ძაან ქალი“.

„დიდ ხუმარას: როგორ უნდა დამავიწყდეს შენნაირი ადამიანი?! გმადლობ, კეთილი სურვილებისთვის, მე კი ორმხრივ სიყვარულს გისურვებ... მარი, თუ ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, ბინ ლადენს გამოგიგზავნი, კამიკაძეებთან ერთად, ხოლო თუ დამიბეჭდავ, მაშინ ვიტყვი, რომ ცხოვრება მშვენიერია“.

„რომ იცოდეთ, რა დღეში ვარ, გაგიჟდებოდით. მამაჩემმა 4 კედელში გამომამწყვდია და მაღაზიაშიც კი არ მიშვებს იმის გამო, რომ ერთი ბიჭი შემიყვარდა. რა დავაშავე ასეთი?! ის, რომ შემიყვარდა?.. ფარ-ხმალს მაინც არ ვყრი და ცხოვრება მშვენიერია“.

„ყველაფერი მაქვს ბედნიერებისთვის, გარდა ქუთაისელი მინდიასი... თუ სიამაყეს არ დაძლევს, სულ მალე დამკარგავს.... ხელები გამეყინა... იქნებ მიხვდე, ვინ ვარ? ნინო“.

„ამ ზაფხულს სოფელში ვისვენებდი. იქ კი ჩემი ძმაკაცი, მოგვარე და კარის მეზობელი სიყვარულში გამომიტყდა... ეს სიგიჟეა, აბა, რა არის?!“

„სიცოცხლე მშვენიერია, რადგან პატიმარი ვარ და ამ ჯოჯოხეთიდანაც შემიძლია ვუთხრა ჩემს სიცოცხლეს, რომ უზომოდ მიყვარს. ცირა, მიყვარხარ! ჩემი სუნთქვა ხარ და ფუმფულა ბარტყი“.

„ვარ 35 წლის. ბოლო 2 წლის მანძილზე იმდენი ტანჯვა გადავიტანე, რომ თავი 65 წლის მგონია. სიყვარულით გავთხოვდი. ძალზე მძიმე მშობიარობა მქონდა. დაიბადა პატარა ნინი და ბედნიერი ვიყავი. ერთ თვეში, სეფსისი და ინსულტი დამემართა. თითქმის მკვდარი, გამაცოცხლეს. ოპერაცია დამჭირდა და საშვილოსნო ამომიღეს. შვილი აღარ მეყოლება. თან, მარცხენა მხრის პარეზი მაქვს. ჩემს ნინიკოს ძიძა უვლის. ის უკვე 1 წლის ხდება. დღეს პირველად გამაბრუა კოცნით და მივხვდი, რომ სწორედ ამ წუთებისთვის ღირდა ჩემი ტანჯვა. და მაინც, ცხოვრება მშვენიერია. მყავს მოსიყვარულე მეუღლე, ნინიკო და ვიცი, რომ მალე გამოვჯანმრთელდები. ხათუნა“.

„თურმე არსებობენ ამქვეყნად ადამიანები, რომლებსაც ტყუილი და სიყალბე ცხოვრების წესად აქვთ ქცეული. მე კი ღმერთმა დამიფარა და თვალები დროულად ამიხილა. ეს იმან იკითხოს, ვინც მუდამ ეული იქნება, თორემ მე მართლა მივხვდი: რა მშვენიერია ცხოვრება უმისოდ! სოფო“.

„გოგონებო, რატომ გვტანჯავთ,/ რატომ იდებთ ამ ჩვენს ცოდვას?/ თქვენი გრძნობის ალში ვიწვით,/ სიყვარულით ვიწყებთ ბოდვას!. /„გზავნილების გოგონებო“,/ თქვენ გრძნობას ვერ გამოხატავთ,/ ახლა კარგად დამაკვირდით,/ რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ! სტიქია“.

„ტელეფონით გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე გელა. 3 თვის განმავლობაში მხოლოდ მესიჯებით ვკონტაქტობდით. მერე ერთმანეთს შევხვდით, მოგვწონა, შეგვიყვარდა და დავქორწინდით. 2 თვე ბედნიერად ვცხოვრობდით, ვიდრე ჩემმა დედამთილმა არ მითხრა, რომ გელას ჩემამდე ცოლი და შვილი ჰყავდა. ძალიან გავბრაზდი, რადგან ეს ამბავი ჩემთვის არ უნდა დაემალა და დედამისისგან არ უნდა გამეგო. მე ვჩხუბობდი, ის კი ხმას არ იღებდა. მივხვდი, რომ ზედმეტი მომივიდა და ვაპატიე... მერე სიმთვრალეში ისეთი რამ ჩაიდინა, რომ დაიჭირეს. მე 6 თვის ფეხმძიმე ვიყავი, მას კი 5 წელი მიუსაჯეს. ესეც ვაპატიე. ბავშვი რომ ნახა, სიხარულით გადაირია. ახლა ველოდები, როდის გავა 5 წელი. მიუხედავად ამდენი გაჭირვებისა, ცხოვრება მაინც მშვენიერია.“.

„ცხოვრება მაშინაა მშვენიერი, როცა სიყვარული გეწვევა. მეც მეწვია, მაგრამ ცოლი და 3 შვილი ჰყავს და რა ვქნა?! ზურა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ“.

„ვინც შემიყვარდა, ვის წინაშეც ვერხვივით ვთრთოდი,/ არ შემიყვარა, როგორც ჟანგი არ უყვარს რკინას,/ ვინც შემიყვარა, სიყვარულზე სიმღერა მთხოვა,/ ვერ შევიყვარე, ჩემმა გულმა არ მისცა ბინა/ და დავრჩი ასე, ეჰ... რამდენი წელი გავიდა.../ მალე, სულ მალე გამიჩნდება თმაში ფიფქები,/ ბევრიც რომ მქონდეს სიყვარული, მერე რად მინდა,/ თუ სიყვარულის ხასიათზე აღარ ვიქნები... და მაინც, ცხოვრება მშვენიერია. ხომ ასეა, „გზის“ მკითხველებო? საბა“.

„21 წლის ვარ და ალბათ მხოლოდ წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე. მშობლების ჩხუბის შემყურე ვიზრდებოდი, ბევრი ახლობელი დავკარგე, მეგობრის ღალატზე რომ არაფერი ვთქვა; სამჯერ სიკვდილს გადავურჩი; ცოლი მოვიყვანე და ერთმანეთს ვერ გავუგეთ; გაუგებრობის გამო 1 წელი ციხეშიც ვიჯექი. 9 თვის გოგონა მყავს და მას შევნატრი მხოლოდ. მასაც ხშირად ვერ ვნახულობ. ახლა ნერვული სტრესი მაქვს, მაგრამ მაინც მივყვები ცხოვრების დინებას. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ცხოვრება მშვენიერია“.

„ჩემი ცხოვრება მშვენიერი მას შემდეგ გახდა, რაც ჩემი ბებიკოს სახით, ახალი გასართობი ვიპოვე. მაგალითად, დღეს ძალიან მომინდა მისი კივილის მოსმენა და სკამზე, რომელზეც უნდა დამჯდარიყო, კაქტუსი დავუდე. არა, სადისტი არა ვარ, უბრალოდ, ბებიაჩემს მართლა კარგი ხმა აქვს, ექსტრამხიარული“.

„თვალის ანთება მაქვს და ერთი თვალი მეკობრესავით მაქვს ახვეული. შეყვარებულმა კი რესტორანში დამპატიჟა დაქალებთან ერთად, მაგრამ აბა, სად წავიდოდი? ბაზრის ლოთს კი ვგავარ, მაგრამ ცხოვრება მაინც მშვენიერია. ლელაკო“.

„ამჯერად „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — მე რომ ქალაქის მერი ვიყო... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

„მრავალშვილიანი" პაპა...

ინგა ჯაყელი

ორიოდე დღით ვსტუმრობდი მონატრებულ გურულ ნათესავებს და მართლაც ვირგებდი მათ მოფერებას, თალიკო ბიცოლას განთქმული ხაჭაპურებით ნასიამოვნები, როცა მოსახვევში არანორმალური სიჩქარით შემოვარდნილი მანქანის საბურავების ღრჭიალმა მოგვჭრა ყური, რასაც ამ საბურავების ქვეშ მოყოლილი ინდაურის განწირული „კივილი" მოჰყვა. მერე, სისონა ბიძიამ ნაჯახს წამოავლო ხელი და ნიშნის მოგებით უთხრა ცოლს:

— ძაანაც არ გინდოდა ინდოურის დაკვლა, მარა ვენაცვალე ბუნების ძალას, ვინცხა გადარეული გამოგზავნა ჩვენს ჭიშკარში, დროზე დაადგი „ამოსაპუტი" წყალი! — თქვა და ის იყო, აფართხალებულ „ნაავარიებ ჭუკს" თავი წაადგებინა, რომ ქალის განწირულმა კივილმაც მოაღწია ჩვენამდე. ნაჯახი ხელში შეაცივდა სისონა ბიძიას და სახე ჩამოიხოკა თალიკო ბიცოლამ:

— დიდუ-უ, სულიერი იმსხვერპლა ვინცხა დაწყევლილმა! — და ყველანი გარეთ გავცვივდით, იმ მხარეს გავიხედეთ, საითაც მანქანა გავარდა, მაგრამ რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ხალხის ჩოჩქოლი და ხმაური საპირისპირო მხრიდან ისმოდა:

— ეუჰ, გონია, ყაჩაღებია ნამყოფი მიშაიესას! — ყაბალახი მჭიდროდ გაიკრა თავზე სისონა ბიძიამ, რაზეც თალიკო ბიცოლამ ეჭვით უპასუხა:

— მიშაიესას რა უნდოდათ ყაჩაღებს, ხვარ გადარეულხარ, ყაზილარო, მისი დამშეული შვილიშვილები რკინასაც ფესვში ტკვირავენ!..

ასე იყო, თუ ისე, ყველა მიშას ეზოსკენ გარბოდა და არც ჩვენ ჩამოვრჩით ხალხს. იქ მისულებს კი მართლაც უცნაური სანახაობა გადაგვეშალა წინ: მიშას ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა, ირგვლივ 4-დან 12 წლამდე ასაკის 5 ბიჭი ეხვია, რომლებიც დაკუმსილი ხალათის კალთებზე ექაჩებოდნენ ბაბუას.

— აი ბაღანეც ბაბაიამ გამოაგზავნა! — ხალხი კი გულწასულ მიშას ცოლს — ნანულის ასულიერებდა, რომელსაც „ჯიუტად არ სურდა" რეალობაში დაბრუნება...

— ეს ვინ გამიჩნდა ასეთი. ვის დეემსგავსა ამისთანა რასპუტინი და კაზანოვა (*იშვიათი ცოდნა გამოამჟღავნა მიშა ბიძიამ! — ავტ.*), მე და ნანულის, კი იცით, ძლივს გაგვიჩნდა ის ერთიც, 5 წლის „ჯახირის" მერე და მეორესაც ვეღარ მოვაბით თავი... არა, მაი არაა ჩემი შვილი და ჩემი ხელით დავახრჩობ ნანულის, თუ გადარჩა! ვისში გამცვალა, ვისი უჯიშო ჯიში შემომაპარა და ამაოაგდო! — მოთქვამდა კაცი და ვერაფერს უხერხებდა აჩხავლებულ ჩვილს. ბოლოს, შეიცოდეს მეზობლის ქალებმა და ჩამოართვეს, იქვე გახსნეს და აკისკისდნენ, — ესეც ბიჭია, ახლავე ეტყობა ჯიშიო! მერე რომელიღაცამ ძუძუ ჩასჩარა პირში და პატარა გააჩუმა, სამაგიეროდ, მიშა ბიძია ვეღარ ჩერდებოდა:

— დილიდან გლახათ მითამაშოდა თვალი, მივხვთი, რაცხა მეწყინებოდა და ხატს სანთელიც დოვუნთე, მარა არ გაჭრა, მართლა გამწყრალია ის დალოცვილი ჩემს თავს... გაჩერდა მანქანა, დამისიგნალეს, სანამ გეევედი ჭიშკარში, მოსწყდენ ადგილს და გავარდნენ, ეგი ბაღანე და წერილი დატოვენ კიდო: „თავათ მოძებნე შენი გაქცეული შვილი და მიხედოს თავის ნაბიჭვარს, ჩვენს დას ჩვენ მივხედავთ და ღირსეულ კაცზეც გავათხუებთ!.." ერთი წელი არაა, რაც მოგვწერა — კაი ოჯახს ჩევესიძე ქუთეისშიო! — და გვეგონა მართლა გვეშველა. ეტყობა, იქიდანაც გეიქცა და იმ ქალისაა აგი ბაღანე!.. რა ვქნა, რაფრა გავზარდო, ერთი ძროხა და თხაი ამ ხუთსაც არ ჰყოფნის, რძესთან ერთად

სისხლს ადენენ საწყლებს, ამას რაღა ვაჭამო?!. — წუხდა მოხუცი.

— ხუთი ბავშვიც მისი ბიჭისაა? — ჩავჩურჩულე თალიკო ბიცოლას.

— ჰო, იმ არდასაცლელისაა! სკოლაში სტავლობდა ისთევლე, სარჯველაძეების თბილისელი სტუმარი დააორსულა და გვიან გეიგო გოგოს პატრონმა. არ იკადრეს სოფლელები, ბოვში ამგენს მოუგდენ და ის გოგო რუსეთში გადაკარქენ, ვინცხა მილიონერს გააყოლენ. მიშაიეს ბადრიე ვითომ იმ გოგოს საძებრათ წევიდა და წლინახევრის მერე მეორე ბოვშით დაბრუნდა — რუსთან გოუჩენია და გაბოზებულა ის არდასაცლელი, ჰოდა, წოურთმევია ბაღანე და მოუყვანა მიშას და ნანულის, თავად გერმანიაში გედეიხვეწა — იქიდან მეგეხმარებით ფულითო! — უთქვამს. მარა ფულის მაგივრათ, აი, შავი ბაღანე გამოუგზავნია — ზანგთან დოუჭერია საქმე...

სიცილი ვერ შევიკავე:

— პირველად ვნახე ზანგი გურული!..

— მაი რაია, მეოთხე ბაღანე ირანელისგან ჰყავს, ძლივს გადმოუსწრია საზღვარზე იმ ქალის გადარეული ძმებისთვის: ხომ იცი, იქინე ჩვენზე მეტი ფასი აქ ქალის პატიოსნებას. ბევრი იფიცა თურმე ბადრიემ — ცოლათ მინდა თქვენი დაიო! — მარა ვინ გეიკარა: „გიაური, გიაურის" ძახილით გამოუპანღურებიათ და ბაღანეიც უკან მოუყოლებიათ. ამის მერე აღარ უშობდენ საწყალი მიშაიე და ნანული ეზოს გადაღმა, მარა ჩვენი სოფლელი ქალი აცთუნა..

— კი, მარა ის მაინც ვერ შეირთო ცოლად, ამ ბავშვებსაც მოხედავდა!

— იმ ქალს ქმარიც ჰყავს და შვილებიც, ი კაცი 5 წელია, ამერიკაშია და ჩიტის რძეს არ აკლებს ცოლ-შვილს, მარა ქალმა თუ ეიშვა, ხო იცი?! — ჩუმათ გააჩინა ვითომ ბოვში და მოუგდო ამ საწყლებს, ბადრიამ კი ისევ გაქცევით უშველა თავს. ვითამ არავინ აფერი იცის, მარა სოფელს რას გამოაპარებ და ყველა ასე ცალ-ცალკე დალაპარაკობს... სიმწრით ზრდიან ამ ბაღნებს და ახლა მეექვსე მოუყვანეს, შენი თვალით ხედავ. არ ვიცი, რა ეშველებათ! — დაამთავრა ლაპარაკი თალიკო ბიცოლამ და რატომღაც თვალები გადაუბრიალა სისონა ბიძიამ:

— გააჩუმე, ქალო, ენა და წაი სახლი, მიხედე ინდოურს!..

წამოსვლამდე იმას მოვკარი ყური, როგორ ურჩია ვიღაცამ მიშა ბიძიას: პატრულს დოვუძახოთ და მაი ბაღანე „პრიუტში" წევიყვანოთო! — მაგრამ არაფრის გაგონება არ ისურვა კაცმა:

— შენ თუ ჩემი მოკეთე ხარ, მაი რამ გათქმევინა?! 5 უმფროსი ძმის, ბებია-ბაბუის და თუნდაც უხეირო მამის პატრონს, „პრიუტში" რა ესაქმება?! როცა იქნება, მეეთრევა ბადრიე, ამასობაში ბაღნებიც დეიზრდებიენ და ჩვენც გვიპატრონებენ და ერთმანეთსაც! — ისე სასწრაფოთ ჩამოართვა ჩაძინებული ჩვილი მეზობლის ქალს, თითქოს წართმევა დაეპირებინოს ვინმეს და მოსულიერებულ ნანულის შინ გაატანა...

ცოტა ხანში სისონა ბიძიაც მობრუნდა და მოსახარშავად ჩადგმულ ინდაურს ჩახედა:

— ბევრი უკლია, კაცები მიშაიესას ვიკრიბებით და ნახევარი უნდა წევიღო, ბადიში უნდა დოვულოცოთ... ■

„მამაკაცისთვის რაც უფრო მიუღწეველი იქნები, მით უფრო დაგაფასებს“ — ამბობს ახალგაზრდა მსახიობი სალომე შარვაძე, რომელიც მაყურებელმა იუმორისტული გადაცემიდან — „ლიმონი“ — გაიცნო. ის აგრეთვე გახლდათ ერთ-ერთი იმ მოცეკვავეთაგანი, რომლებიც ნიკა ქავთარაძეს უმშვენებდნენ გვერდს გადაცემაში — „ნ-შოუ“; მოგვიანებით კი, ტელესერიალ „საპონში“ გადაიღეს. როგორია სალომე ცხოვრებაში? როგორი მამაკაცები იზიდავს? ჰყავს თუ არა შეყვარებული? — ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე თავად მსახიობი გვიპასუხებს.

სიყვარულისგან „გაგიჟებული“ სალომე შარვაძე,

წითელი კოლოტები და „იდიოტური“ საჩუქარი

ეკა მინდაძე

— ბაღში ერთ ბიჭს ვუყვარდი და რომ მითხრა — მიყვარხარო, ძალიან შემრცხვა. ამის შემდეგ, მისგან დამალვას ვცდილობდი.

— ბიჭებით პირველად როდის დაინტერესდი?

— 9 წლის ვიყავი, როცა ჩემი უბნელი ბიჭი მომეწონა — ერთ მშვენიერ დღეს, როცა მე და ჩემი მეგობარი ბურთს ვთამაშობდით, ერთი ბიჭი მოვარდა და ბურთი წამართვა. რა თქმა უნდა, ბავშვები გავეკიდეთ და ბურთთან ერთად, ჟილეტიც წავართვით, რომელიც მერე ჩემს სახლში დავმალეთ. ორი დღის შემდეგ, მან სახლში მომაკითხა — თავისი ჟილეტის წასაღებად. აი, სწორედ მაშინ მოვიხიბლე

მისით და იმ დღის შემდეგ, სულ გაპრანჭული დავდიოდი. ეზოში გამოჩნდებოდა თუ არა, მაშინვე ფანჯარასთან ვდგებოდი და შორიდან ვაკვირდებოდი, ვინაბებოდი...

— სასიყვარულო ბარათი ან ლექსი თუ მოუძღვნიათ შენთვის?

— აბა, რა! 9 წლის ვიყავი, როცა ერთმა ბიჭმა თოჯინასთან ერთად, წერილი გამომიგზავნა, სადაც ეწერა: სალომე, მე შენ მიყვარხარ. სახლში რომ მივედი, ჩემმა ძმამ მკითხა: მაჩვენე, რა არისო? თოჯინა მაშინვე მივეცი, წერილი კი პირში ჩავიდე და შევჭამე, რადგან მისი ჩვენების შემრცხვა *(იცინის)*. სხვათა შორის, მეც ბევრი წერილი მიმიწერია ბიჭებისთვის (სხვა გოგონების სახელით), რომლებსაც მერე მათ ჩანთაში ჩუმად ვდებდი. დღესდღეობით, წერილი მესიჯით შეიცვალა და მეც შესაბამისად, მესიჯებს ვიღებ.

— იქნებ, თაყვანისმცემლების მიერ შენთვის მოწერილი ყველაზე ორიგინალური მესიჯი გაიხსენო?

— წელს, ჩემს დაბადების დღეზე (16 აგვისტოს) უცნობი მამაკაცისაგან ასეთი მესიჯი მომივიდა: „აგვისტოს მზემ მოისურვა — თავისი სხივები და დადებითი ენერგია ერთი არსებისთვის გადაეცა და ეს არსება შენი სახით მოევლინა სამყაროს. გილოცავ! უფალი გფარავდეს!“

— ალბათ, თაყვანისმცემლები საჩუქრებითაც განებივრებენ, არა?

— მახსოვს, 8 წლის ვიყავი, როცა ბიჭმა, რომელსაც ვუყვარდი, სახლში გამომიგზავნა ბენდენაში გახვეული სუნამო... წელს, დაბადების დღეზე შეყვარებულმა, რომელსაც სამწუხაროდ, უკვე დავშორდი, ნიჟარებისგან აწყობილი სამკაული მომართვა. ვკითხე: სად იშოვე ასეთი ლამაზი სამაჯური-მეთქი? ის მაშინვე მიხვდა, რომ მისი საჩუქრით მაინცდამაინც არ მოვიხიბლე და მითხრა: იცი, სპეციალურად გაჩუქე ამგვარი იდიოტობა იმისთვის, რომ კარგად დაგემახსოვრებინაო.

— შენ თუ მიგიძღვნია ბიჭისთვის საჩუქარი?

— საერთოდ, ძალიან მიყვარს სიურპრიზების მოწყობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში პირველად, წელს, სიყვარულის დღეს ვაჩუქე ბიჭს სუნამო — ვიცოდი, რა მოსწონდა და ზუსტად ის ვუყიდე.

— შეყვარებულს რატომ დაშორდი?

— ალბათ იმიტომ, რომ ორივე ჯიუტები ვართ. ისე, საჭიროც არის, რომ შეყვარებულები რაღაც პერიოდი ერთმანეთს არ ეკონტაქტებოდნენ და ამ დროის განმავლობაში, თითოეული მიხვდება — არის თუ არა მისი რჩეული ის ადამიანი, რომელთან ერთადაც მთელი ცხოვრება თავს ბედნიერად იგრძნობს... ცხოვრება წინ მიდის და ღმერთმა იცის, რა მოხდება ხვალ. იქნებ, შევრიგდეთ კიდეც... 6 წლის წინ ერთ ბიჭს ვუყვარდი, მერე, რაღაც მიზეზის გამო, ერთმანეთს დავშორდით, წელს კი ისევ გამოჩნდა და სიყვარულს მეფიცება. ასე რომ, როგორც ამბობენ: რაც გიწერია, არ აგცდება.

— თუ გახსოვს, პირველი პაემნისთვის როგორ ემზადებოდი?

— მაგას რა დამავიწყებს?! იცი, როგორ ვიპრანჭებოდი? ჩვენი პირველი პაემანი ბედობის დღეს, მისი დაბადების დღეს შედგა. ამ დღისთვის ერთი თვით ადრე ვემზადებოდი. მახსოვს, წითელი კოლჰოტი და შავი კაბა ჩავიცვი. წითელი კოლჰოტი იმიტომ მეცვა, რომ წითელი ძაღლის წელი დგებოდა. იმ დღეს, მან პატარა ცუგა მაჩუქა, რომელსაც შემდეგ, მუდამ თან დავატარებდი, რადგან საყვარელი ადამიანის საჩუქარი იყო.

— სიყვარული სად და როდის აგიხსნა?

— ორი თვე თითქმის სულ ერთად ვიყავით, მაგრამ ცოცხალი თავით არაფერს მეუბნებოდა *(იცინის)*. ერთხელაც ეს გაურკვევლობა ყელში ამომივიდა. მესიჯი გავუგზავნე: „ყველაზე უბრალო — ყველაზე გენიალურია“, დავიღალე გაურკვევლობით და მინდა გითხრა, რომ ძალიან მომწონხარ-მეთქი. თურმე, მესიჯი რომ წაუკითხავს, უყვირია: ვაიმე, გულიო! ცოტა ხანში დამირეკა კიდეც, მაგრამ ხმას ვერც ის იღებდა და ვერც მე. მეორე დღეს, როცა დამშვიდდა, შემხვდა და მითხრა, რომ ძალიან, ძალიან

ვუყვარდი... სიყვარული ყველაზე ორიგინალურად ერთმა რაგბისტმა ამიხსნა (მის სიტყვებზე დღესაც მეცინება) — რაგბის ბურთივით მიყვარხარო.

— შენმა ე.წ. ყოფილმა შეყვარებულმა რითი მოგხიბლა?

— ალბათ იმით, რომ ის განსაკუთრებულია — ჩვეულებრივი ვაკელი ბიჭია, რომელსაც ცხოვრებაში არაფერი უკვირს. დღევანდელი ბიჭებისგან განსხვავებით, ყოველდღე არც დისკოთეკაზე დადის და არც სხვა გასართობ ცენტრებში. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, არაფერს აკლდება. პროფესიით იურისტია, მაგრამ ხელოვნებას დიდ პატივს სცემს. იმისათვის, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა, არაერთხელ დამპატიჟა თეატრში, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, იქ სიარული დიდად არ ხიბლავდა. ბოლოს, ჩემი ხათრით, იმდენი სპექტაკლი ნახა, რომ მასაც შეუყვარდა თეატრალური სამყარო.

— სიყვარული ზოგს აგიჟებს, ზოგს კი, პირიქით, აჭკვიანებს. შენზე როგორ იმოქმედა?

— მშვენივრად. სიმართლე გითხრა, სიყვარული მაგიჟებს, საკუთარ თავს ვერ ვცნობ ხოლმე.

— როგორ ფიქრობ, რა არის სიყვარული?

— სიყვარულის გარეშე ადამიანის არსებობაც კი წარმოუდგენელია. ეს გრძნობა პირადად მე, ცხოვრების სტიმულს მაძლევს.

— ბიჭები ბევრ სისულელეს სჩადიან ხოლმე, რომ გოგოს ყურადღება მიიქციონ. ალბათ, ისინი შენ გამოც წასულან რისკზე...

— ერთხელ, ჩემმა თაყვანისმცემელმა სახლის წინ დიდი „ცეცხლოვანი“ გული დამიხატა... ერთმა კი, სიყვარულის დასამტკიცებლად, შუაღამეზე ზღვაში გაცურა და მანამდე არ ამოვიდა წყლიდან, ვიდრე დაბრუნება არ ვთხოვე.

— სალომე, რომელიმე მსახიობზე თუ ყოფილხარ შეყვარებული?

— რა თქმა უნდა. ძალიან მიყვარს ალ პაჩინო და ზურა ყიფშიძე.

— როგორი უნდა იყოს შენი ოცნების მამაკაცი?

— განათლებული, თავდაჯერებული და დახვეწილი. ძალიან მომწონს ვაჟკაცური ტიპები. მიმაჩნია, რომ ქალმა მამაკაცის გვერდით თავი დაცულად უნდა იგრძნოს.

— შავგვრემანი ბიჭები უფრო მოგწონს თუ ქერა?

— უპირატესობას შავგვრემან ბიჭებს ვანიჭებ. ჩემი აზრით, ისინი უფრო ეშხიანები არიან. გარდა ამისა, ძალიან მომწონს, როცა ბიჭი კარგად ცეკვავს. მამაკაცი რომ ადგება და სვანურს იცეკვებს, აბა, ამას რა სჯობია?!

— მამაკაცის შეფასებისას პირველ რიგში, რას აკვირდები?

— სისუფთავეს. მიყვარს მოწესრიგებული ადამიანები. ვგიჟდები, როცა ბიჭს კარგი სუნამო ასხია.

— როგორი მამაკაცები არ გიზიდავს?

— ვერ ვიტან „მარიაჟ“ ტიპებს. არ მიყვარს, როცა გაუნათლებელი ბიჭია და ცდილობს, თავი განათლებულად მოგაჩვენოს. სასტიკად მაღიზიანებს „ღლაბუცა“ მამაკაცები.

— ამბობენ, მამაკაცები ქალს პატივს აღარ სცემენო...

— სამწუხაროდ, მართლაც რომ ბევრმა მამაკაცმა დაივიწყა ის, რომ მანდილოსანს პატივი უნდა სცეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს დღევანდელი გოგონების ბრალია — შენ თუ ისე არ იქცევი, როგორც ნამდვილი, კდემამოსილი ქალი უნდა მოიქცეს, მაშინ ძლიერი სქესის მხრიდანაც იმას მიიღებ, რასაც იმსახურებ. ქალმა ქალურობა არ უნდა დაკარგოს.

— სასიყვარულო ურთიერთობებში რომ გაერკვე, რჩევას ვის ეკითხები?

— არავის, საკუთარი თავის გარდა. ვფიქრობ, ორი ადამიანის ურთიერთობაში სხვისი ჩარევა საჭირო არ არის. შეყვარებულ ადამიანს გული რასაც უკარნახებს, ისე უნდა მოიქცეს.

— სალომე, ასაკით შენზე უმცროსს ან პირიქით, გაცილებით უფროსს ცოლად გაყვებოდი?

— მთავარია, ერთმანეთი გიყვარდეთ, თორემ ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. სხვათა შორის, ბებიაჩემი ბაბუაზე ოთხი წლით უფროსი, ხოლო ბიძაჩემი ბიცოლაზე — სამი წლით უმცროსი გახლდათ. ასე რომ, თუ ასეთი რამ მოხდა, ოჯახში პირველი მაინც არ ვიქნები *(იცინის)*... ისე, დედა სულ მეუბნება: შენი ჭირიმე, ასაკით შენზე პატარას არ გაჰყვეო. მაგრამ რა იცი, რა ხდება, ყველაფერი ღვთის ნებაა.

— სიყვარულის დროს ბიჭის მატერიალურ მდგომარეობას თუ აქცევ ყურადღებას?

— ფული მთავარი არ არის, თუმცა, საჭიროა. მიმაჩნია, რომ ბიჭი მამიკოს ხარჯზე კი არა, საკუთარი შრომით უნდა არჩენდეს ოჯახს. არ მიყვარს უსაქმური ბიჭები. ვაფასებ ისეთ მამაკაცს, რომელიც არანაირ საქმეს არ თაკილობს.

— ვინმე ძალიან რომ შეგიყვარდეს და გითხრას: ან მე, ან კარიერა! — როგორ არჩევანს გააკეთებ?

— ჩემი ცხოვრების დევიზია: ვიყო ბედნიერი. ამ ბედნიერებას საქმეში ვპოვებ თუ ოჯახში, ეს ჯერ არ ვიცი. იმ შემთხვევაში, თუ მეცოდინება, რომ ადამიანი, რომელიც გვერდით მეყოლება, ბედნიერებას მომიტანს, რა თქმა უნდა, საქმეს თავს დავანებებ.

— დაბოლოს, რას ურჩევდი გოგონებს, რომლებიც პირველად მიდიან პაემანზე?

— პირველ რიგში, იყავით თავდაჯერებულები. მუდამ იმას უნდა ფიქრობდეთ, რომ ყველაზე მაგრები ხართ. ეცადეთ, პირველ პაემანზე რაც შეიძლება ცოტა ილაპარაკოთ. იყავით დინჯები. გახსოვდეთ, მამაკაცისთვის რაც უფრო მიუღწეველი იქნებით, მით უფრო დაგაფასებს.

■

ტესტი ერუდიციაზე

1. რომელი ქვეყნის ნაკრები გახდა პირველი მსოფლიო ჩემპიონი?



ა) ურუგვაი;
ბ) ბრაზილია;
გ) გერმანია.

2. რომელ ცნობილ პოლიტიკოსზე ითქვა — ნეტავ, სიკვდილი რაში დასჭირდაო?..

ა) მაკიაველიზე;
ბ) რიშელიეზე;
გ) ტალეირანზე.

3. ვის ეკუთვნის სახელგანთქმული პანო „გერნიკა“?:

ა) დალის;
ბ) პიკასოს;
გ) შაგალს.

4. დაასახელეთ პირველი საბჭოთა ფილმი, რომელიც „ოსკარით“ დაჯილდოვდა:

ა) „ჯავშნოსანი „პოტიომკინი“;
ბ) „მიფრინავენ წეროები“;
გ) „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“.

პასუხები იხილეთ 71-ე გვერდზე

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალიშ

უბის წიგნაკიდან:

1. შაქშაქეთი სოფელია ქარელის რაიონში.

2. თავნება, ჯიუტ და კერპ ადამიანს თვითრჯულს ეძახიან.

3. სარძევე ჯირკვლები სპილოს წინა ფეხებთან აქვს განლაგებული.

4. ჰოკეის მეკარის მარჯვენა ხელთათმანს „ბლინი“, მარცხენას კი — „ლავუშკა“ ჰქვია.

5. „მისი მუსიკა უფრო კარგია, ვიდრე ის ჟღერს“, — ამბობდა მარკ ტვენი ვაგნერის შესახებ.

6. შაქრის ლერწამი 6 მეტრის სიმაღლემდე იზრდება. მისი ღეროს წვენი 18%-მდე შაქარს შეიცავს.

7. ღორის ხორცი კალორიულობით მეორე ადგილზეა. პირველი ადგილი კურდღლის ხორცს უკავია.

8. გამოცდილი მზარეულები საჭმელში არასდროს ყრიან მარილს, კერძის დასამარილებლად ისინი მარილწყალს იყენებენ.

9. სერიულ მკვლელს, ანდრეი ჩიკატილოს, რომელსაც 52 ადამიანი ჰყავდა მოკლული, სისხლის ეშინოდა.

10. ჯონ ფრენკ დოუბი დიპლომატიას, ერთი საფლავიდან მეორეში გადასვენებულ ძვლებს ეძახდა.

11. „რევოლუციონეროვ, კატორიმ ზა 50, ნადო ატპრავლიაც კ პრაოტცამ, პოტომუ შტო ანი ტორმოზიატ ვსიო, ზა შტო ანი დო ეტოვო ბოროლის“, — უყვარდა ტროცკის, ლენინის ციტირება.

12. ახალ გვინეაში მცხოვრები ტომის — ტანგუს მკვიდრნი მშვიდი ხასიათითა და კაცთმოყვარეობით გამოირჩევიან. ისინი მოპოვებულ საკვებს ყოველთვის თანაბრად ინაწილებენ. მათ მიერ გამართული, სპეციფიკური ასპარეზობებიც კი ყოველთვის ყაიმით მთავრდება.

13. მარგარეტ ტეტჩერი, ედუარდ ჰიტის პრემიერმინისტრობის დროს დაინიშნა მინისტრად. ინგლისის პარლამენტის კულუარებში მიიჩნევდნენ, რომ უცოლო პრემიერ-მინისტრს მინისტრთა კაბინეტში აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ქალი.

14. კხმერების ანბანი ყველაზე დიდია მსოფლიოში. იგი 72 ასო-ბგერისგან შედგება. ყველაზე პატარა ანბანი ბუჰენვილის კუნძულებზე მცხოვრებთ აქვთ — მასში მხოლოდ 11 ასო-ბგერაა.

15. „ქორწინება ძალზე ჰგავს ლატარიას, — ამტკიცებს ვინმე ფრენკ ნოულზი, — ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში შეუძლებელია ბილეთის დახევა და გადაგდება“.

16. აფრიკის სახელმწიფო ბენინში მინისტრებს პირველ მოადგილეებად ყოველთვის ქალები ჰყავდათ, რადგანაც მამაკაცებს მეფის სასახლეში შესვლა ეკრძალებოდათ.

ჩვენამდე მოღწეული პირველი ფოტოგრაფიული სურათები, ნაშვილები ინგილო ბიჭი და საქართველოში დამკვიდრებული ივანიცკების შთამომავლობა

ალექსანდრე ივანიცკი (ავტოპორტრეტი)

თამუნა კვინიკაძე

საქართველოს განუმეორებელი ბუნება და ყოველდღიური ყოფის თავისებური კოლორიტი ანდამატავით იზიდავდა ფოტოგრაფებს. 1824 წელს ჩვენს ქვეყანაში მინერალური წყლების შესასწავლად ჩამოსულა ქიმიკოსი ფრიცშე, დაგეროტიპის ოსტატ ლევიცკის თანხლებით, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დიდებული პეიზაჟების გადაღება სურდა. ლევიცკის გაუცნია ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ფოტოპორტრეტიც შეუქმნია. სამწუხაროდ, ეს სურათი ერთ-ერთ ფოტოსახელოსნოში დაიწვა. ლევიცკის საქართველოში გადაღებული დაგეროტიპული სურათები პარიზში, შარლ შევალიესთან გაუგზავნია. შემდეგ ეს სურათები გამოფენაზე გაუტანიათ, სადაც ორი ოქროს მედალი მიუღია. ეს ისტორიაში, მხატვრული ფოტოგრაფიისთვის მინიჭებული პირველი ჯილდო გახლდათ.

ლევიცკის შემდეგ, თბილისს ფოტოგრაფი სიმონ მორიცი ეწვია. სამწუხაროდ, მის მიერ გადაღებული არც ერთი სურათი არ შემორჩენილა.

პირველი ფოტოგრაფიული სურათები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, გადაღებულია ამ საქმის დიდი მცოდნის, ალექსანდრე ივანიცკის მიერ, 1858 წლის აგვისტოში. სწორედ მისი წყალობით შემოგვრჩა ძველი თბილისის და არა მარტო თბილისის პანორამები: სოლოლაკის ორი სხვადასხვა ხედი, ბოტანიკური ბაღი, თათრების სასაფლაო, ნარიყალა, მეტეხი, სვეტიცხოველი. პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანიცკი მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვს სამთო საქმის შესასწავლად მოუწვევია საქართველოში. კავკასიის არმიის შტაბის დავალებით, ის თბილისში პირველი ფოტოგრაფიული დაწესებულების ჩამოყალიბებას შეუდგა. ამ მიზნით, რუსეთის იმპერიის საკონსულოს მეშვეობით, ის პარიზში დაუკავშირდა საჭირო მოწყობილობებით მოვაჭრესა და ექსპოზიციონერს, შარლ შევალიეს. ფოტოსაქმისთვის საჭირო მოწყობილობა ივანიცკიმ მისი მეგობარი გრაფის, ფოტომოყვარულ ნოსტიცისთვისაც შეიძინა. სწორედ ამ მდიდარმა ნიჟეგოროდელმა არისტოკრატმა გადაიღო 1859 წელს დაღესტნის დიდი იმამის, შამილის პირველი ფოტოსურათი.

1863 წლის 8 იანვრიდან თბილისში ამოქმედდა კავკასიის არმიის შტაბთან არსებული ფოტოგრაფიული განყოფილება.

ალექსანდრე ივანიცკის შესახებ ძალზე მწირი ბიოგრაფიული ცნობებია შემონახული. ცნობილია, რომ მან იშვილა შამილის

მცხეთა. სვეტიცხოვლის გაძარი 1858 წ.

მეტეხის ტაძრის ხედი ვორონცოვის ქუჩიდან, 1858 წ

მიურიდი (მიურიდიზმი თავის მიმდევართაგან მოითხოვდა სულიერი მამებისადმი უსიტყვოდ მორჩილებას), ქართული წარმოშობის ახალგაზრდა, მონათლა და თავისი გვარიც მისცა. უცნობია, ჰქონდა თუ არა მას ოჯახი, როდის წავიდა ან საერთოდ წავიდა თუ არა საქართველოდან. მის პირდაპირ შთამომავალს ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ მისი შვილობილის, ალექსანდრე ივანიცკი-უმცროსის მემკვიდრეებს — თამარ და მარინა ბოკუჩავებს დავუკავშირდით.

თამარ ბოკუჩავა, თეატრმცოდნე:

— ალექსანდრე ივანიცკი რუსეთის არმიის პოლკოვნიკი გახლდათ. მან იშვილა ჩვენი წინაპარი, მონათლა და მამობა გაუწია. მის შესახებ სამწუხაროდ, ძალზე მწირი ცნობები გვაქვს. ჩვენთვის მისი ნათლობამდელი სახელიც კი უცნობია. როგორც ბებია-ბაბუები გვიყვებოდნენ, ის ბიჭი 19 წლის ყოფილა, როდესაც გუნიბში შამილს გასაწვრთნელად წაუყვანია და მიურიდი გამხდარა. ილისუში, კახიდან რამდენიმე კილომეტრში ჩვენი წინაპრის სასახლის ნაშთები ახლაც არსებობს. 19 წლის ასაკში ეს პიროვნება ტყვედ ჩავარდნილა. მის სილამაზეზე თურმე ლეგენდები დადიოდა. როდესაც თეთრ ცხენზე ამხედრებულს დაინახავდნენ, ბრძოლა ჩერდებოდაო. ის ხანჯალი, რომლითაც შამილის არმიაში იბრძოდა, ჩვენს ოჯახში თბილისის ომამდე ინახებოდა, შემდეგ მოგვპარეს.

— როგორ გაიცნო იგი ალექსანდრე ივანიცკიმ?

— დეტალები უცნობია. შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო იმის მიხედვით, რაც ბაბუაჩემის დისგან მომისმენია. ერთ-ერთი ვერსიით, როდესაც შამილი დამარცხდა, იგი ტყეში იმალებოდა, ალაზნისპირის ტერიტორიაზე. იმ დროს გაუცნია ეროვნებით ქართველი — კობიაშვილის ქალი, რომელიც საკვებს აწვდიდა და მასზე დაქორწინდა. როგორ მოხდა მისი და ალექსანდრე ივანიცკის შეხვედრა, უცნობია; ვიცით, რომ შვილად აყვანის შემდეგ, სიონში მონათლა და პეტერბურგში წაიყვანა. იქ ალექსანდრე-უმცროსს სასულიერო სემინარია დაუმთავრებია და 4 წლის შემდეგ, კვლავ თბილისში დაბრუნებულა. შემდეგ, სიონში მღვდლად უკურთხებიათ. მისი შვილები იყვნენ: ნიკოლოზი, ტარასი, რაფაელი, ვლადიმერი. რაფაელი პოლიგლოტი გახლდათ, მან იტალიურ ენაზე პირველად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც რომში 1941 წელს გამოიცა. პოლონი ჯერ ანჩისხატის დეკანოზი იყო, შემდეგ — რიყეზე მდგარი ეკლესიისა, რომელიც კომუნისტებმა დაანგრიეს. იმ ეკლესიაში საქართველოს ოკუპაციის დღეს — 25 თებერვალს, სიძე-ქალიშვილისთვის ჯვარი დაუწერია.

— როგორც ვიცი, თქვენს ოჯახში ინახებოდა ძვირფასი ხატები. რა ბედი ეწია მათ?

— დიახ, ალექსანდრეს ყველა შვილი სასულიერო პირი გახლდათ. ჩვენს ოჯახზე იმ წლებში დიდი ზეწოლა ხორციელდებოდა. ჩემოდნები სულ ჩალაგებული ჰქონდათ: ყოველ წუთას ელოდნენ გადასახლებას. ის საეკლესიო ნივთები და ხატები, რომლებიც ჩვენს ოჯახში ინახებოდა, ბებიას სიონის ეკლესიისთვის შეუწირავს.

— რას გვეტყოდით პაპათქვენზე — ვახტანგ ივანიცკიზე?

მარინა ბოკუჩავა, ეთნოგრაფი:

— ვახტანგ ივანიცკი ჰიდრობიოლოგი გახლდათ. იყო მიწისმზომელთა სასწავლებლის დირექტორი. მას შემუშავებული ჰქონდა წიაღისეულის დიაგნოსტიკის თეორია, რომელიც ადამიანის ენერგეტიკული ველის გამოყენებას ეყრდნობოდა. მისგან ოჯახში დაგვრჩა რელიკვია — შვინდის ხისგან დამზადებული ორკაპი, რომლითაც მიწის გრუნტში წყლის ძიებას აწარმოებდა. როდესაც იღებდნენ ფილმს — „მშობლიურო ჩემო მიწავ!", მამაჩემს დაურეკეს და სთხოვეს, კონსულტაცია გაეწია, თუ როგორ ადგენდა მიწაში წყლის მდებარეობას ვახტანგ ივანიცკი და ფილმისთვის ორკაპი ჯოხიც წაიღეს. ვახტანგი საოპერო ხელოვნებითაც იყო გატაცებული და მცირე ხნით ოპერის დირექტორადაც მუშაობდა. კოტე მარჯანიშვილთან მეგობრობდა. მისი და — ქეთო კორდებალეტში ცეკვავდა. ამ ამბავს თურმე საგულადაგულოდ უმალავდნენ მამამისს. ერთ-ერთი სპექტაკლის პრემიერას აპოლონი დასწრებია. სახლში დაბრუნებულს უთქვამს — იცით, ერთ-ერთი ბალერინა საოცრად ჰგავდა ჩვენს ქეთოსო... ვახტანგის მეუღლე ხუციშვილის ქალი გახლდათ. მათი გვარი საინგილოში დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ამასთანავე არასდროს დაუკარგავს სულიერი კავშირი ქართულ ეროვნულ ფასეულობებთან. მათ კარ-მიდამოში ინახებოდა უძველესი საეკლესიო ნივთები, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში აზერბაიჯანის კომუნისტურმა მთავრობამ ჩამოართვა. ვახტანგსა და თამარს ორი შვილი ჰყავდათ — თენგიზი და ლალი. თენგიზი გეოლოგიისა და მინერალოგიის დოქტორი, ქართული გეოქიმიის სკოლის დამაარსებელი იყო. ლალი ქიმიკოსი გახლდათ. სამწუხაროდ, დღეს არც ერთი მათგანი აღარ არის ცოცხალი.

— თქვენს ინგილოელ ნათესავებთან თუ გაქვთ კავშირი, საინგილოში ჩასვლას თუ ახერხებთ ხოლმე?

— მამაჩემს ძალიან უყვარდა ნადირობა. საინგილოში კი ნადირობის დიდი ტრადიცია არსებობს. ყოველ წელს ნოემბერში მიდიოდა იქ სანადიროდ. სამწუხაროდ, ჩვენ იქ მცხოვრებ ნათესავებთან დაკავშირებას ვეღარ ვახერხებთ... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

17. ლიბანში განლაგებულ სამშვიდობო ჯარში მომსახურე ინდოელ ჯარისკაცებს, ცისფერი ჩაფხუტების ნაცვლად, ცისფერი ჩალმები ახურავთ.

18. იულიუს კეისარმა ინგლისში გადასხდომისთანავე დაწვა საკუთარი გემები, რათა მტრისთვის ზურგში დარტყმის შესაძლებლობა მოესპო.

19. ძველი რუსეთის ქალაქებში საგანგებოდ დანიშნული ჩინოვნიკები ზაფხულობით კარდაკარ დადიოდნენ და ღუმლებს ლუქავდნენ, რის გამოც, მოსახლეობა იძულებული ხდებოდა, ეზოებსა და ბოსტნებში მოემზადებინა საჭმელი. ქალაქის მმართველობა იმისთვის მიმართავდა ასეთ ზომებს, რომ ზაფხულში მაინც შეემცირებინა გახშირებული ხანძარი.

20. პელოპონესის ომში ათენის ეკონომიკისთვის ზიანის მისაყენებლად, სპარტელი მეომრები პირწმინდად ჩეხდნენ ზეთისხილის ბაღებს.

21. ერთ აფრიკულ ტომში ორატორები ცალ ფეხზე მდგომნი წარმოთქვამენ სიტყვას. როგორც კი გამომსვლელი მეორე ფეხით მიწას შეეხება, ვალდებულია, გაჩუმდეს. ამის გამო მათი გამოსვლა ძალზე ლაკონიურია, რადგან ორატორი, თუ ლაპარაკით არა, ცალ ფეხზე დგომით მაინც იღლება.

22. „ადამიანი ყოველ თავისუფალ წუთს კითხვაში უნდა ატარებდეს", — ამბობდა დეილ კარნეგი. იგი მკითხველს მეტისმეტად ბარბაროსული საქციელისკენაც კი მოუწოდებდა — ურჩევდა, ჯიბით ეტარებინა წიგნიდან ამოხეული 20-30 ფურცელი და თავისუფალი დროის გამონახვისთანავე, კითხვას შესდგომოდა.

23. ედინბურგში სამეცნიერო საბჭოზე გამოსვლისას, ნილს ბორმა ინგლისურად წაიკითხა მოხსენება, რომელსაც მსმენელისთვის სინქრონულად თარგმნიდნენ... ინგლისურად(!). დანიელ ფიზიკოსს ჯიუტად არ სურდა ეღიარებინა, რომ ცუდად იცოდა ეს ენა.

24. ერთხელ დონბასში კომუნისტებისადმი სიმპათიით განწყობილი ფრანგი მეშახტეების ბრიგადა ჩავიდა. სოლიდარობის მიზნით, მათ ერთი ცვლა იმუშავეს ლეგენდარული სტახანოვის მხარდამხარ და საშინელი „ანტისაბჭოური" საქციელი ჩაიდინეს: ყველა სტახანოვური რეკორდი მოხსნეს.

25. სამხედრო-საზღვაო კოლეჯში სწავლისას, უელსის პრინცს ხშირად სცემდნენ თანაკურსელი კადეტები, რათა მომავალში შესძლებოდათ დაეტრაბახათ — ახალგაზრდობაში ინგლისის მეფე გვყავს ნაცემიო. ■

ჟურნალის საჭარჭიჭო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ეს ჩინელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი თავდაპირველად მენახირე გახლდათ, შემდეგ სამართლის მინისტრი გამხდარა. მას სიცოცხლეში აღიარება არ ჰქონია. ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნეში მის მიმდევრებს ცოცხლად მარხავდნენ. დაასახელეთ იგი.

2. „პარკ დე ფრენსი“, „პარკ ლესკიური“, „ჟერლანი“, „სტედ მუნისიპალი“, „ლა მოსონი“, „ფელიქს ბოლაერი“, „ჟოფრუა გიშარი“ — რა ჩამოვთვალეთ ამწუთას?

3. „განკაცებული ღვთაება“ — ვის მოიხსენიებს ამ სიტყვებით თამაზ კვაჭანტირაძე?

4. პერიფეტე (მეტსახელად კორინეტე), სინისი (ფიჭვთა მზნექელი), სკირონი, კერკიონი, დამასტე (მეტსახელად პროკრუსტე — „გამჭიმავი“) — ვინ ჩამოვთვალეთ ამწუთას?

5. მხატვრულ ფილმში — „ნატვრის ხე“ შეთეს დედისა და მარიტას ბოროტი დედამთილის როლს თინათინ ბურბუთაშვილი ასრულებს. რომელი ცნობილი მსახიობისა და ტელეწამყვანის ბებია გახლავთ იგი?

6. ძველად ჩინეთში სიცრუის დეტექტორის ფუნქციას ბრინჯი ასრულებდა. რა სახით?

7. ილია ჭავჭავაძეს დედა — მარიამ ბებურიშვილი 10 წლის ასაკში გარდაეცვალა, მამა, გრიგოლ ჭავჭავაძე — 15 წლის ასაკში. ვინ გაზარდა ილია?

8. „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო,“ — როგორ გადააკეთა კოტე ყუბანეიშვილმა ეს ანდაზა?

9. „კახპა ქალის საქმეში ჩარევა რა ვაჟკაცის საქმეა!“ — ამბობდა დათა თუთაშხია. აბრაგის რომელი საქციელი ეწინააღმდეგება მისსავე სიტყვებს?

10. რა ერქვა ქალაქს, რომელშიც ტომ სოიერი ცხოვრობდა?

11. დაასახელეთ რემბრანდტისათვის ყველაზე უფრო მეტად ხელმისაწვდომი და მატერიალურად ხელსაყრელი ნატურა.

12. „ნეტა გამაგებია, გასცვლის თუ არა ფრანცია საქართველოზე აი შენობას ყოლიფერი სიმდიდრით, აქინე რომ ალაგია?“ — ამბობდა კვაჭი კვაჭანტირაძე ამ შენობის დათვალიერების შემდეგ. რა დაათვალიერა „სილიბისტროს ერთამ“?

13. რას აგდებდნენ მონღოლები კუმისში (ცხენის რძეში) სურნელებისათვის და გასაცივებლად?

14. ტროლეიბუსს, რომელიც ამ მსახიობს დაეჯახა და იმსხვერპლა, ქალი მართავდა. დაასახელეთ ეს მსახიობი.

15. პარიზში ბედის საძებნელად ჩასულ ამ გასკონელს ჯიბეში მხოლოდ 4 ეკიუ ედო, მაგრამ მზად იყო, დუელში გამოეწვია ნებისმიერი, ვინც გაბედავდა და ეტყოდა — ლუვრის ყიდვა არ შეგიძლიაო. დაასახელეთ იგი.

ანეკდოტები

***

— გუშინ „მეტეხში“ ვიყავი.
— მერე, კაი პონტი იყო?
— რა პონტი უნდა ყოფილიყო, სანთლები დავანთე და წამოვედი!

***

— რა არის ტროლეიბუსი?
— ეს იგივე ავტობუსია, რომელსაც ცოლი ღალატობს.

***

დედა ახალ ბეწვის ქურქს იზომებს. შვილი ეუბნება:
— დედა, შენ ვერ ხვდები, რომ ეგ ქურქი უბედური ცხოველის საშინელი ტანჯვის ნაყოფია?!
— კარგი რა, შეიძლება საკუთარ მამაზე ასე ლაპარაკი?!

***

— აუ, როგორ მევასება „33-ა.“
— რატომ, კარგად მღერიან?
— არა, ტო, პირდაპირ ჩემს სახლთან აჩერებს.

***

მღვდელთან აღსარებაზე ქალები მივიდნენ:
— მამაო, სამჯერ შევცოდე — ეუბნება ერთი.
— 14-ჯერ ილოცე და ერთი თვე იმარხულე.
— მამაო, ხუთჯერ შევცოდე! — ეუბნება მეორე.
— 21-ჯერ ილოცე და ორი თვე იმარხულე.
— მამაო, რვა-ნახევარჯერ შევცოდე! — ეუბნება მესამე. მღვდელმა კალკულატორი ამოიღო, რაღაც იანგარიშა და ეუბნება:
— წადი ახლა შენ და ბოლომდე შესცოდე. ვერ ვანგარიშობ, რაღაც ცუდი წილადი გამოდის.

***

ღამეა. კაციჭამია ლოგინიდან წამოხტება და გაჰყვირის:
— ვინ ვარ მე და რატომ ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე?!
— ხომ გითხარი, ძილის წინ ინტელიგენტის ჭამა არ შეიძლებამეთქი! — საყვედურობს ცოლი.

***

— თქვენ გაინტერესებთ რა, არის სექსი?
ფილოსოფოსი: მე მგონი, ეს ავადმყოფობაა, რადგან ლოგინში დაწოლას მოითხოვს!
ექიმი: არა, ეს არ არის ავადმყოფობა, რადგან ამისთვის ბიულეტენს არავინ გამოგიწერთ. ჩემი აზრით, ეს პროცესია!
ადვოკატი: არა, არ შეიძლება ეს პროცესი იყოს, რადგან ორივე მხარე კმაყოფილია შედეგით. ეს უფრო ხელოვნებას ჰგავს.
ხელოვანი: არა, ამას ხელოვნებას ვერ დავარქმევთ, რადგან მაყურებელი არ ჰყავს. ეს ალბათ მეცნიერებაა.
პროფესორი: არა, ეს არავითარ შემთხვევაში არ არის მეცნიერება, რადგან სტუდენტს ეს შეუძლია, მე კი არა!

***

— მიხო, რას აჭმევ შენს ღორებსა?
— რაში გაინტერესებს?
— მეც მინდა ეგრე გახდომა!

***

სვანი მივა ჯიხურთან, შეიხედავს და გამყიდველს ეუბნება:
— სამი „პაჩკა“ სიგარეტი, ორი ბოთლი არაყი და ხუთი ცალი „სნიკერსი“ მომეცი.
აიღებს ყველაფერს და მიდის. გამწარებული გამყიდველი ჯიხურიდან თავს გამოყოფს:
— ფული?!
სვანი მოტრიალდა და ეუბნება:
— ჰო, ფულიც მოიტა!

***

ჟურნალისტი ეკითხება ცისფერს:
— ინტერვიუს მომცემთ?
— ოჰ, რა უცნაურ სიტყვებს ხმარობთ ეს ჟურნალისტები. მოგცემთ, აბა, რას ვიზამ!

***

ძმაკაცები სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადავლენ მიხოს სანახავად. წევს მიხო მდელოზე — ერთ მხარეს დოქი უდგას, მეორე მხარეს ქალი უწევს. ძმაკაცები გაოცდებიან:
— ესაა, ბიჭო, ჯოჯოხეთი?
— ეეჰ, ამ დოქს რომ უყურებთ,

ბოთლი არაყი და ხუთი ცალი „სნიკერსი“ მომეცი.

აიღებს ყველაფერს და მიდის. გამწარებული გამყიდველი ჯიხურიდან თავს გამოყოფს:

— ფული?!

სვანი მოტრიალდა და ეუბნება:

— ჰო, ფულიც მოიტა!

***

ჟურნალისტი ეკითხება ცისფერს:

— ინტერვიუს მომცემთ?

— ოჰ, რა უცნაურ სიტყვებს ხმარობთ ეს ჟურნალისტები. მოგცემთ, აბა, რას ვიზამ!

***

ძმაკაცები სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადავლენ მიხოს სანახავად. წევს მიხო მდელოზე — ერთ მხარეს დოქი უდგას, მეორე მხარეს ქალი უწევს. ძმაკაცები გაოცდებიან:

— ესაა, ბიჭო, ჯოჯოხეთი?

— ეეჰ, ამ დოქს რომ უყურებთ, შვიდი ნახვრეტი აქვს, ამ ქალს კი არც ერთი.

***

ბუზები შევლენ რესტორანში და ოფიციანტს დაუძახებენ.

— ცხელ-ცხელი განავალი მოგვიტანე, ოღონდ ხახვი არ მოაყარო, აქედან ქალებში მივდივართ.

***

მოსაზრება: ნამდვილი მამაკაცი ცდილობს, ქალს არ მისცეს წყენის საბაბი. ნამდვილ ქალს კი, საბაბი არ სჭირდება.

***

მოსაზრება: თუ აბორტი მკვლელობაა, მაშინ ონანიზმი გენოციდი ყოფილა.

***

— კინოში ვიყავი, შუქი ჩაქრა და ნახევარი საათის განმავლობაში მთელი დარბაზი სიბნელეში ვიყავით.

— წარმომიდგენია, რა პანიკა ატყდებოდა...

— კი, ნახევარი საათის შემდეგ, როცა შუქი მოვიდა.

***

სვანს დედა შეაგინეს და სახლში გაიქცა — არ მიმასწრონო.

***

ძალიან სქელი ქალი მიდის ექიმთან:

— ექიმო, შეგიძლიათ მასწავლოთ, როგორ გავხდე? ან იქნებ რაიმე

ვარჯიში შემომთავაზოთ?

— ძალიან ეფექტური ვარჯიში ვიცი: თავი უნდა ამოძრაოთ მარჯვნივ და მარცხნივ, აი, ასე, ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს!

— და როდის შევასრულო ეს ვარჯიში, დილას თუ საღამოს?

— ყოველთვის, როცა საჭმელს შემოგთავაზებენ.

***

მოხუცებული ქალი მეუღლეს ეკითხება:

— თმა რომ შევიჭერი, ხომ აღარ ვგავარ მოხუც ქალს?

— ჰო, ახლა მოხუც კაცს ჰგავხარ!

***

ნარკომანი სახლში ბრუნდება, მაგარ კაიფშია და არ უნდა, რომ „დაიწვას“, თავისთვის ფიქრობს: შევალ სახლში, წამოვწვები, ავიღებ ყველაზე დიდ წიგნს და ვითომც არაფერი, დავიწყებ კითხვას. მართლაც ასე მოიქცევა. ოთახში ცოლი შემოდის:

— კიდევ კაიფში ხარ, არა, შე დეგენერატო?!

— რა სისულელეა, საიდან მოიტანე?!

— ახლავე დადე ეგ ჩემოდანი და გაეთრიე აქედან!

ჯრიჯის საჯარჭიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. კონფუციუსი.
2. ეს საფრანგეთის სტადიონთა ჩამონათვალია.
3. ილია ჭავჭავაძეს.
4. ეს იმ ყაჩაღთა სახელებია, რომლებიც ათენში გზად მიმავალმა თეზევსმა დახოცა.
5. ეს ქალბატონი დუტა სხირტლაძის ბებია გახლავთ.
6. მოსამართლე ეჭვმიტანილს მშრალი ბრინჯის მარცვალს აყლაპებდა. სიცრუის მთქმელს პირი გამშრალი ჰქონდა და მარცვალს ვერ ყლაპავდა.
7. ილია მამიდამისმა, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავმა გაზარდა.
8. „ნუ დასცინი სხვასაო, გაგიტეხავს თავსაო!“
9. აბრაგის ამ სიტყვებს მისივე საქციელი ეწინააღმდეგება, როცა ფოთში მეზღვაურებმა კახპას აწყენინეს და ის მას გამოესარჩლა. ამ ჩხუბში დათა თუთაშხიას ნეკა თითი ნახევრამდე მოაკვნიტეს.
10. ამერიკელები თავიანთ ქალაქებს ხშირად არქმევდნენ მსოფლიოს დიდი ქალაქების სახელებს. ამერიკაში არსებობს ქალაქი პარიზი, კაირო, მოსკოვი, დელი და ასე შემდეგ. რაც შეეხება ტომ სოიერს, იგი ქალაქ სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობდა.
11. საკუთარი თავი.
12. ლუვრი.
13. ცოცხალ ბაყაყს.
14. გიორგი შავგულიძე.
15. მუშკეტერების მომავალი კაპიტანი დე ტრევილი.

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-38

ზაზა ვაჩნაძე

თანამედროვე ტელევიზიის და პოლიციის კულუარები, ღალატი, სექსი, ადამიანის გატაცება, ყალბი გზით წაყვანილი გამოძიება, საზღვარგარეთიდან დაბრუნებული და სამშობლოზე გულაცრუებული ქართველი ახალგაზრდები, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მშობლები — ყოველივე ეს აისახება რომანის — „ველური წაბლის ხეივანი“ — მეორე ნაწილში — „პანტერა“, რომელსაც „გზის“ ამ ნომრიდან გთავაზობთ. როგორც უკვე იცით, სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტი იძულებული გახდა, კვლავ საზღვარგარეთ გაქცეულიყო. მაგრამ მისი არყოფნის დროსაც, ბერიძეების ოჯახშიც და საქართველოშიც არანაკლებ საინტერესო ამბები ხდება. ამჯერად, ცენტრალურ ფიგურად, ნიკას და — ტელეჟურნალისტი ანი წარმოგვიდგება, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებს, ეკლიანი გზის გაკვალვას შიშველი ხელებით, მხოლოდ ქალური მომხიბვლელობის იმედად ცდილობს და სიმართლის დასადგენად, ყველაფერზე მიდის...

ანისთან მორიგი ჩხუბის შემდეგ, თაზომ მამასთან, თავის სახლში გადასვლა გადაწყვიტა. კაცმა არ იცის, ეს მერამდენე ცდა იყო, რადგან ასე ხშირად ხდებოდა — აიბარგებოდნენ თაზო და ანი და ხან ერთის მშობლებთან გადავიდოდნენ და ხან — მეორის. თაზომ, როგორც სჩვეოდა, ახლაც ულტიმატუმი წაუყენა ანის: ან ახლავე ჩემთან ერთად წამოხვალ, ან სამუდამოდ დამკარგავო. საინტერესოა, რა ძაფითაა ასეთი ოჯახები შეკრული — როცა ცოლ-ქმარს შვილები არ ჰყავთ, ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებიან, პირველსავე მომენტში ერთმანეთსაც ღალატობენ, მაგრამ უერთმანეთოდ მაინც ვერ ძლებენ და საქმე საქმეზე თუ მიდგა, ბოლოს მაინც ერთმანეთს ყოველივეს აპატიებენ. თაზოც და ანიც საკუთარ ოჯახებს პირდაპირ, გაუფრთხილებლად მიადგებოდნენ ხოლმე. ქართველი მშობლების ამბავი კი, ხომ იცით, სიკვდილამდე, თავგადაკლულ მშობლებად რომ რჩებიან...

თაზოს არც ახსოვდა, რომ იმ დღეს მისი დის, ნუციკოს დაბადების დღე იყო. ცოლი სამსახურში გაისტუმრა და თვითონ, ორი დიდი ჩანთით ხელდამშვენებული, თავისი სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა.

როცა სტუდიიდან დაურეკეს, ნუციკო ბინიდან გასასვლელად ემზადებოდა, სარკის წინ იდგა, თმას ფენით იშრობდა და თან გაცხარებული, მამამისთან ჩხუბობდა. ნუციკომ ნომერს დახედა, მიხვდა, რომ გაგა იყო...

— ნუციკო, სადა ხარ, არ მოდიხარ? — გაგას კითხვაში თხოვნაც იყო.

— რა ვიცი, ვემზადები, სხვები მოვიდნენ უკვე? — შეეკითხა ნუციკო.

— აბა, რა... გელოდებით... — უპასუხა გაგამ.

— გამოვალ, ასე, ალბათ, ათ წუთში... — ნუციკომ მობილური დადო და მამასთან ჩხუბი განაგრძო: — არა მამა, არ მინდა, არა, არ არსებობს, შენი არაფერი არ მინდა, ტყუილად ნურაფერს გააკეთებ...

ლაპარაკი ნუციკოს დაბადების დღის სუფრას ეხებოდა, რომელიც, მისი ურყევი აზრით, მის პატივსაცემად კი დაიწყებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაიოზის თანამეინახეების ლოთობითა და ღრეობით უნდა დასრულებულიყო. ამიტომაც არ იყო ჯერჯერობით, მაინცდამაინც საზეიმოდ განწყობილი და მამის კითხვაზე — აპირებ სუფრის გაკეთებას თუ არაო? — ცივი უარი სტკიცა. გაიოზს, რა თქმა უნდა, ეწყინა და იმწამსვე მილიონჯერ ნათქვამის გამეორებაზე გადავიდა. ამ დროს ის აკვარიუმთან იდგა და თევზებს საკვებს უყრიდა. ეს აკვარიუმი და თევზებიც მისი ახირება იყო, მამშვიდებენო, — გაიძახოდა. თუმცა ის, ცოლის სიკვდილის შემდეგ, დამშვიდებული იშვიათადღა იყო და თავისი ბუზღუნითა და ბურტყუნით შვილებს ტვინს უჭამდა.

— ღმერთი რომ ყოფილიყო, დედაშენი ცოცხალი უნდა ყოფილიყო და მე მკვდარი!.. — წამოიწყო თავისი საყვარელი ტირადა გაიოზმა. — ის მოკლა და მე ცოცხალი დამტოვა, ორი სისხლისმსმელი დრაკონის ხელში.

ნუციკო, ფენით ხელში, მამას გამოუვარდა და პირში ეცა:

— ახლა ღმერთსაც გადასწვდი! ძალიან კარგად ვიცი, რასაც აპირებ, თანამშრომელია, თანამშრომელიაო — და ეშმაკმა უწყის, ვინ მოგყავს სახლში!.. და, საერთოდ, რაა!..

— ჰო, მეგობრების მოყვანაც ამიკრძალეთ! — მაგრად ეწყინა გაიოზს. — თქვენ რა გგონიათ, კაცს თუ ცოლი მოუკვდა, მორჩა, თავისი ცხოვრება აღარა აქვს? რომ მცოდნოდა, რაც მელოდა, ჩავყვებოდი, უეჭველად ჩავყვებოდი საფლავში. თვალღიას მძინავს, თვალღიას: შიშით თვალები ვერ დამიხუჭავს, იმიტომ, რომ არ ვიცი, რა მოხდება და რა ბომბი დამეცემა გულზე...

— რა უნდა მოხდეს, გაიოზ, რა უნდა მოხდეს იმაზე მეტი, რაც უკვე მომხდარია?! — ცივი წყალი გადაასხა მამას ნუციკომ.

— მე კაცი ვარ, ნუციკო, კაცი! მე შეურაცხყოფილი ვარ, გესმის?! მე ჩემი შვილის ყველა ნაბიჯი უნდა ვიცოდე, მით უმეტეს — ქალის. როგორც კი შენს ქცევაზე ვიწყებ ფიქრს, მინდა, ყველაფერი დავბდღვნა... — აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა გაიოზმა, თითქოს სურს, რაღაცას წამოავლოს ხელი და მოისროლოსო.

— კაი, რა, გაიოზ, რაღა დროს შენი კაცობაა?! დაანებე თავი, რა, ამ კაცობანას თამაშს! — ნუციკომ მთლად „გალუმპა ცივი წყლით“ გაიოზი, რომელიც დამარცხებული, სავარძელში ჩაეთხლიშა და უაზროდ მიაშტერა ჭერს

თვალები.

ნუციკოს კი, ცოტა მეტის ამონთხევაც სურდა ალბათ და რადგან რაღაც დააკლდა, თავის შვილს შეუვარდა, რომელიც ამ დროს, ყურსასმენწამოცმული, კომპიუტერთან იჯდა და თამაშობდა.

— დაჩლუნგდები, ბიჭო, მასე, მთლად დაჩლუნგდები! მილიარდჯერ შეიძლება, ერთი და იმავეს თამაში? — დაჰკივლა ბასას ნუციკომ.

— რა? — ყურსასმენი წამოიძრო ბასამ.

— ძალიან კარგი. მოვიცლი ერთხელ შენთვისაც, მოვიცლი!.. — დაემუქრა შვილს ნუციკო, რადგან მიხვდა, ახლა ბასასთვის თავში რამე რომ ჩაედო, ბევრი დრო დასჭირდებოდა.

— კი, აბა, როგორც ჩემთვის იცლი... — ჩაილაპარაკა გაიოზმა.

— გაიოზ, ერთ სიტყვასაც თუ იტყვი, ერთ სიტყვას, იცოდე, სამუდამოდ აღარ გაგცემ ხმას... — ისევ მამას დაეტაკა ნუციკო.

— ნუციკო, ჯერჯერობით შენი მშობელი მე ვარ და არა შენ — ჩემი, — მშვიდად წამოიწყო ახალი თემა გაიოზმა. — კარგად იცი, ამ ოჯახში ფუნქცია ისედაც დაკარგული მაქვს. თუ ლაპარაკსაც ამიკრძალავ და პირზე კლიტეს დამადებ, იცოდე, წავალ და მუხათგვერდში დედაშენს მივუწვები გვერდით.

— „ვოტ წე ი ნა“!.. თავისუფალი ხარ, ოთხმხრივ გზა ხსნილი გაქვს... შენ მუხათგვერდში არ წახვალ, მე ძალიან კარგად ვიცი, სადაც დაბრძანდები, ვაუბატონო, და ვისაც უწვები გვერდით...

— რა-ა?! — შეხტა გაკვირვებული გაიოზი, რადგან ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— ჰო, ჰო! რა იყო? — იქით შეედავა ნუციკო.

— მე რომ არ ვიცი?!. — იკითხა გაიოზმა.

— რა? — გაუკვირდა ნუციკოს.

— სად დავბრძანდები და ვის ვუწვები გვერდით... ვერავის ვერ დაელაპარაკები, ვერც თანამშრომელს, ვერც ნაცნობს, ვერც მეგობარს, ვერც ბიძაშვილს და ვერც მამიდაშვილ-დეიდაშვილს... იმწუთას კუდებს გამოგიბამენ. კუდიანების ქალაქია, რა, დედას გეფიცები! — მართლაც გაკვირვებული იყო გაიოზი.

— დიახ, ერთხელ რომ სახელს გაიტეხ, მერე აღარავინ დაგიჯერებს... არ გამომივიდა მამა აბრამის ბატკანი?! ქმარი მაინც არ ჰყავდეს... — პირდაპირ მიანიშნა საყვარელზე ნუციკომ.

— ქალები იცვლიან თვეში ათობით საყვარელს და კაცებს გვედავებიან, ეე! — მხრები აიჩეჩა გაიოზმა. — შენ ყოფილიყავი ჩემს ადგილას, გემუშავა ჩემსავით, „დედათა მონასტერში“, გეოგრაფიის ფაკულტეტზე, დასავლეთ ევროპის კათედრაზე და ვნახავდი, ერთი, როგორ ამოხვიდოდი წყლიდან მშრალი...

— კაი, კაი, გიცნობ, რა შვილიც ბრძანდები, — ხელი ჩაიქნია ნუციკომ.

რა თქმა უნდა, ამ დროს, განტევების ვაცი ოჯახში, ყველაზე უმცროსი, ბასა იყო და გაიოზიც მასთან შევიდა.

— ბასა, მოემზადე! გამოიძრე, ბიჭო, მაგ რაღაცები ყურებიდან! — ბასამ ყურსასმენები ჩამოიძრო. — ჩანთა ჩალაგებული გაქვს? — ჰკითხა გაიოზმა.

— აბა, რა! — არც მოხედა ბასამ და ისევ თამაში განაგრძო.

— აბა, რა, თორემ, შენც გადაბულ-ბულებული გექნება გაკვეთილები... — წყრომით ჩაილაპარაკა გაიოზმა.

— ნუციკოსთან რომ ვერაფერს გახდი, ჩემზე გადმოხვედი, არა?! — ისევ არ მოხედა გაიოზს ბასამ. — ო-ო, ისევ მომკლეს, რა, ტო! მიდი, რა, გაიარე, გაიოზ, რა! გამოკეტე, რა, ეგ კარი!

— ერთი ეს იზრდება კიდევ!.. ერთ სიტყვას არავინ შეგარჩენს... — საბოლოოდ ჩაიქნია ხელი „ცივი წყლით გვარიანად გაწუწულმა“ გაიოზმა და თავის ოთახში შეიკეტა.

ნუციკო კი, ისევ საყვარელ სარკეს დაუბრუნდა. ფენი უჯრაში ჩააგდო, თმა ცოტა მიიჩეჩ-მოიჩეჩა, პომადა აიღო და ტუჩები მიითხაპნ-მოითხაპნა. „ცოტა წავიფუფალებ, ალბათ“, — გაიფიქრა და ახლა საკუთარ ტანზე დაკვირვებას მიჰყო ხელი. ნუციკოს ყველაფერი მოსწონდა თავისი: სახე, ტანი, ფეხები და, რა თქმა უნდა, საჯდომი. „იდეალური საჯდომი მაქვს, რატომ უნდა დავამწნილო?!.“ — გაიფიქრა ამჯერადაც და ყურებზე „ბაღჩები“ დაიკიდა. რაღაცრაღაცები მოხიკა, ხელჩანთაში ჩაუძახა და ფეხსაცმლის ჩაცმაზე გადავიდა, ამ დროს, რამდენჯერმე წაიფორხილა, ხელები პიჯაკის სახელოებში გაყო და ის იყო, გასვლას აპირებდა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. ნუციკომ კარი გამოაღო. ზღურბლთან, ორი დიდი ჩანთით ხელში, მისი ძმა იდგა.

— ოჰ! — წამოსცდა ნუციკოს. — ეს კიდევ, ისე გამოგვეცხადება ხოლმე, თითქოს დოლარებით გატენილი ჩანთები მოჰქონდეს... — და მამას გასძახა: — გაიოზ, მეორე დრაკონიც მოვიდა!

— როგორ გაგიხარდება ხოლმე, ნუცო, ჩემი დანახვა!.. — უსაყვედურა ძმამ დას და ჰოლში შემოვიდა.

— რატომ არ უნდა გამიხარდეს?! — მთელი ირონია ჩააქსოვა ხმაში ნუციკომ. — წავა დღეიდან დიმპიტაური-დამპიტაური...

— თორემ, შენ აკლებ, რა! — მოკიდა ჩანთებს ხელი და მისაღებში შეიტანა თაზომ, სადაც გაიოზიც შემოვიდა და დოინჯი შემოიყარა.

— აკი, თქვენთან კიდევ მომსვლელის დედაო?!. — მიაშტერა თვალები საყვარელ შვილს მამამ.

— შენ უყურე, აბა, ორ სიდედრს ერთად... სად წავიდე მაშ?! — მწყრალად შეხედა მამას თაზომ. — შემოიყრის ამ დოინჯს და მიყურებს...

— როდემდე უნდა ირბინო აქეთ-იქით? — უსაყვედურა შემოსწრებულმა ნუციკომ. — ეს უკვე კომედიაც აღარ არის, ეს რაღაც ფარსს ემსგავსება...

— რა გინდათ, უკან წავიდე?.. კი, ბატონო, წავალ... — გამწარდა თაზო. — ჰო, რა იყო? მომეცით ჩემი წილი და წავალ. მომცემთ? — ეს კითხვა თაზოს ტუზ-კოზირი იყო, თუმცა, ძალიან ხშირად ამოსდიოდა პირიდან და კარგადაც იყენებდა, რადგან იცოდა, რომ ამ ბინას, სანამ გაიოზი ცოცხალი იყო, არავინ დაახურდავებინებდა. გაიოზი კი, ჯერაც ჯან-ღონით სავსე იყო და სიკვდილს სულაც არ აპირებდა.

— კაი, დამშვიდდი, — ისევ გაიოზმა დაიხია უკან. — ქუჩაში არავინ გაგდებს.

— იცოდეთ, წესიერად მოიქცევით! — ჩაერია ნუციკო. — რომც დახოცოთ ერთმანეთი, მე თქვენ არ გაგაშველებთ.

გაიოზმა თვალი ჩაუკრა თაზოს — კაი, არ უპასუხო, შეეშვიო, — და თაზომაც მოკეტა.

— მე წავედი. ნუ დამელოდებით, ამ საღამოს არ მოვალ, — თქვა ნუციკომ და კარი გაიკეტა.

— ღამე შინ აღარ მოდის, ვიღაც გაიჩინა, ალბათ... — ჩაუშვა და ძმასთან გაიოზმა.

— შენ კიდევ, მეტი საქმე არა გაქვს?! „მილიონ-ტრისტა“ „მთვარის ასული“ ცხოვრობს ამ ქალაქში... კაცი რომ არ უნახავთ თავის დღეში და ვერც ნახავენ ვერასოდეს. გაიჩინა და ძალიანაც კარგი!.. — უპასუხა თაზომ.

— არა... ესენი უკუღმა არიან დაბადებული, — ხელი ჩაიქნია გაიოზმა და თავის ოთახში შებრუნდა.

თაზომ კარადა გამოაღო და ჩანთიდან ამოღებული ტანისამოსის დახარისხებას შეუდგა. უეცრად, მისი ყურადღება ქვედა თაროზე დადებულმა წიგნმა მიიპყრო. ტოლსტოის „აღდგომა“ აღმოჩნ-

და. „ამას აქ რა უნდა?!“ — გაიფიქრა და წიგნი გადაშალა. გადაშალა და თვალებს არ დაუჯერა: წიგნის შიგნით ჭრილში იყო ამოკვეთილი და ასდოლარიანი კუპიურების დასტა იდო. თაზომ შეუსტვინა და ერთი დასტა აფურცლა. ჩვეულებრივი „კუკლა“ აღმოჩნდა, მხოლოდ ქვედა და ზედა იყო ასდოლარიანი, შუაში კი ცარიელი ფურცლები ჩაედოთ. თაზო რატომღაც დაეჭვდა და თავის ოთახში გასულ გაიოზს გასძახა. გაიოზი შემოვიდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა თაზომ და წიგნში ჩადებულ ფულზე ანიშნა.

— რატომ ახლე ხელი?! — იყვირა გაიოზმა და წიგნი გამოსტაცა. — წავლენ, წამოვლენ და ამ ფულს მიახტებიან!

— ვის რა ჯანდაბად უნდა შენი ფული?! მით უმეტეს — „კუკლები“, — ხელი აუქნია თაზომ.

— „კუკლები“? რა „კუკლები“? — ვერაფერს მიხვდა გაიოზი.

— რა „კუკლები“ და რაც გიჭირავს ხელში, — უპასუხა თაზომ.

გაიოზმა კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა „კუკლა“ და შეშინებულმა გადაშალა წიგნი. როცა ფული გასინჯა და მართლაც „კუკლა“ აღმოჩნდა, თვალებს კი დაუჯერა, მაგრამ ეგონა, თაზო აპამპულავებდა და სხვანაირად შეხედა.

— ჩადე ფული თავის ადგილზე! — უთხრა და ჭრილზე მიანიშნა.

— რა ფული უნდა ჩავდო? — გადაირია თაზო.

— რა ფული და რაც ამოიღე! — იხტიბარი არ გაიტეხა გაიოზმა.

— მე არაფერი ამომიღია! — ახლა თაზო დაეჭვდა გაიოზში — რას მიჰქარავსო! — გაიფიქრა.

— ჰა, კარგი, ახლა! — არ დაუჯერა გაიოზმა.

— რა კაი, ახლა, ტო?! — ახტა თაზო. — რად მინდოდა შენი ფული, შენ აზრობ, რას მაბრალებ?!

გაიოზს თავიდან ეჭვიც არ შეპპარვია, რომ თაზო „ათამაშებდა“, ახლა კი იფიქრა — ალბათ, მაწერს ეს ვირიშვილიო და ძალზე მრუდედ დაუწყო ყურება, რაც თაზოს შეუმჩნეველი არ დარჩენია და მთლად გაგიჟდა.

— რას ბრიცავ მაგ თვალებს, რა?! შენ გგონია, გატყუებ?! შენ ვიღაცამ „კუკლა“ შემოგატენოს, მე რა შუაში ვარ, ვერ გავიგე. ან რა ფულია ეს, ვინ მოგცა?

— რა ფულია და წეროვანი რომ გავყიდე, ის ფულია... სათითაოდ გადავთვალე და ისე ჩავდე, რა „კუკლა“, რის „კუკლა“?! — გაიოზს დაეჯერებოდა. — ჩადე, როგორც ამოიღე და მოვრჩეთ ამ ბაზარს.

— რა ბაზარს, ტო? რას მეძველბიჭები აქ?! არ ამომიღია-მეთქი!.. ჰო, ერთი ქურდობა იყო, რომ არ დაგიბრალებია არასოდეს და ახლა ქურდობასაც მაბრალებ?!

— მაშ, სად წავიდა?! — არ შეეშვა გაიოზი. — როგორ, ფაფუ, სამიათას ხუთასი დოლარი — შვიტ!.. იყო და აღარ არის?! — შეუსტვინა გაიოზმა.

— მე არ ამიღია... — კიდევ ერთხელ გაიმეორა თაზომ. გამოფატრა წიგნი და ჩადო. სხვა ვერაფერი მოტვინა...

— მაშ, ვინ აიღო, ნუციკომ? ნუციკო ჩემს ფულს თითს დააკარებდა?! — არ ჩერდებოდა გაიოზი.

— მე ვიცი, ვინც აიღო... — გამომცდელად შეხედა მამას თვალებში თაზომ.

— ვინ? — იკითხა გულუბრყვილოდ გაიოზმა, ვერ მიხვდა, საით უმიზნებდა თაზო.

— შენ!!! — მუშტი დასცხო მაგიდას თაზომ და გაიოზი მიხვდა, რომ ფული თაზოს აღებული არ იყო. ნუციკოს ხელს ვერ დაადებდა და...

— რა გამოდის, აორთქლდა?! — ისევ თაზოზე მიიტანა ეჭვი გაიოზმა.

— ჰო, აორთქლდა, — თვალებში მიაშტერდა მამას თაზო. — გამოუყვანა წირვა და ახლა ვის დააბრალოს და როგორ გამოძვრეს, აღარ იცის!..

— არა, თაზოს აღებული ნამდვილად არ არისო, — დარწმუნდა გაიოზი. ბასა თითს ვერ დაადებდა და ნუციკო და... მაშ, რა იქნა, აორთქლდა, მართლაც?.. ტვინი გადაეკეტა გაიოზს.

— დედაშენმა „ჩამიწყო“ ეს ყველაფერი... ჰო, ჰო — დედაშენმა!.. თვითონ მოკვდა, დაისვენა და მე ამ ჯოჯოხეთში დამტოვა... — დაახეთქა წიგნი იატაკზე გაიოზმა. წიგნი თითქოს მოიბღუნძა, ყდის „ფრთები“ ზემოთ აშალა, მერე, მკვდარივით, აქეთ-ექით გადაყარა და „გამოფატრული მუცელი“ გამოაჩინა.

— მიდი, რა, რამე ტრანკვილიზატორი დალიე, თორემ, შენი ამბავი რომ ვიცი, გადაჰყვები ამ ამბავს და ძალიან ჩქარა მოგიწევს მაგ შენი საყვარელი მეუღლის მონახულება. შედი და დალიე! გირჩევ, თუ მართლაც, სხვისი აღებულია... — ურჩია თაზომ.

— ტრანკვილიზატორი უშველის სამი ათას ხუთას დოლარს?! როგორ დავიჯერო, რომ ნუციკოს აღებულია?! — ვერ გამოსულიყო ტრანსიდან გაიოზი.

— სიგარეტს აბოლებს? აბოლებს, საყვარელი ჰყა-ავს? ჰყავს... ფულს რატომ ვერ აიღებდა ვითომ?! — ცეცხლზე ნავთი დაუსხა ისედაც გადარეულ მამას შვილმა.

— მართალი ხარ! — თქვა გაიოზმა და წამოდგა. — მოვკლავ! მოვკლავ და ამოვისუნთქავ!.. — მოძებნა გამოსავალი გაიოზმა.

— ვერც მოკლავ და ვერც ამოისუნთქავ... ყოფილიყო ის აგარაკი თავისთვის, რას გიშლიდა, რომ აიტეხე და ველარ გადაგათქმევინე! ვერ ვისვენებ, ვერ ვისვენებო, რომ გაიძახოდი. ხომ დაისვენე ახლა, ხომ კარგად დაისვენე?!

— მოვკლავ! — გაიმეორა გაიოზმა.

— მოკალი. მე ნებას გრთავ! იმას ახლა, შენ კი არა, ეშმაკიც ვერ მიაგნებს...

— ჰო, არა?! — გაგიჟდა გაიოზი. — მაშინ, მე წავალ და თუ ვერ ვიპოვე, მაგასაც ვნახავთ!

— სად წახვალ, მამა, გაგიჟდი?! — ირონიულად ჩაეცინა თაზოს.

— დიახ, გავგიჟდი. გავგიჟდი! — ტლინკი ყარა გაიოზმა. — შენ რა, არ გაგიჟდებოდი ჩემს ადგილზე?! შენც გაგიჟდებოდი, ყველა გაგიჟდებოდა... ჰო, წავალ და ორივეს მოვკლავ!..

— ორივეს მოკლავ, არა?.. ძალიან კარგი. ის მოკვდება, შენ დაგიჭერენ, ორივეს ერთად მოგიწყვეტთ თავიდან... გენიალურია! წადი, მოკალი, ორივე მოკალი, სხვებიც მიაყოლე, თუ ვინმე შეგხვდეს...

გაიოზი მიტრიალდა. სამზარეულოში შევიდა, კარადის უჯრიდან, ერთ დროს ეზოში ნაპოვნი, ლორის დასაკლავი, ფრლადისპირიანი დანა ამოიღო და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო. კარი გამოაღო და გარეთ გავარდა.

ბასას, რომელიც გამოსულიყო და მათ ჩხუბს უსმენდა, თვალები გაუფართოვდა და ენა ჩაუვარდა. თაზომ შეხედა და დაამშვიდა.

— არ იცი, რა არტისტია?! მოკლავს — არა, ფლავი! კაზინოში წააგებდა ან ტოტალიზატორში. ცხვირი უნდა ფიუუეოს კაცმა... გატყვრება ალბათ, სადმე და ამოვა... გადი შენ და იმეცადინე!

ბასამ, დიდი კაცივით, თავი გადააქნია და გავიდა.



მშვენიერი დილა იყო. ნუციკოს დაბადების დღე ჰქონდა. ოჯახს თავი დააღწია და ახლა ჩიტივით თავისუფალი იყო. იცოდა, რომ ხმის ჩამწერ სტუდიაში სიურპრიზს უმზადებდნენ, საღამოს კი, რომანტიკული ვახშამი ელოდა კაცთან, რომლის ძლიერ მკლავებშიც თავს მეცხრე ცაზე გრძნობდა და რომლის ბედიც დღეს ბევრად მეტად ადარდებდა, ვიდრე საკუთარი ოჯახის და ლამის შვილისაც კი...

მოკლედ, ნუცამ სტუდიის კარზე ზარი დარეკა.

ყელში ამოსული ინგლისური სიმღერით და ბნელ ოთახში ტორტში ჩაბნეული ანთებული სანთლებით დახვდნენ... ნუციკომ თვალები მოწკურა, რომ როგორმე სახეები გაერჩია, მაგრამ გაჩახჩახებული მზიდან შესულისთვის, კონტრასტი იმდენად დიდი იყო, რომ ვერავინ იცნო და მანაც მთელი ძალით შეუბერა სანთლებს. სანთლები ჩაქრა და სინათლეც აინთო. და ატყდა ერთი ურიამული — მილოცვები, ქათინაურები, კოცნა-პროშნა... გაგამ კი, მისკენ გაშვერილი ვარდით ხელში, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

— მითხარ, კარგო, ჩემი ხარ თუ სხვისი ხარ? — წამოიწყო საკუთარ სტილში „მუხამბაზი“ გაგამ.

— არ გეტყვი... — გაეპრანჭა ნუციკო.

— რად არ მეტყვი, რად არ მეტყვი, ვისი ხარ? — მთლად გადაირია გაგა.

— არ გეტყვი... — ბემბის დაემსგავსა ნუციკო.

— არ მეტყვი და ნუ მეტყვი... — ხმა დაიბოხა გაგამ. — აი, მე შენი დაბადების დღისთვის მამირთმევია... დუდუკი! — ხელი დირიჟორივით აიქნია დათოსკენ და იმანაც სასწრაფოდ წაუმღერა:

— ჰაი, ბალამ-ბალამ... ჰაი, ბალამ-ბალამ...

მის აკომპანიმენტზე კი, გაგამ ჩამოთვლა დაიწყო:

— დიბა-ატლასი, ასჯერ ათასი, ოქრო და ვერცხლი, ლალი და ზურმუხტი, ია და ვარდი, მოკლედ, აი ამ ვარდის კოკორივით ყვაოდე და იხარებდე-ე! — და გაგამ ნუციკოს ვარდი გაუწოდა.

— ახლა კი — ამბორი... წმინდა რომანტიკული ამბორი... — გამოაცხადა ხმამაღლა დათომ.

ნუციკომ თავი გვერდზე გადააგდო, თვალები დახუჭა და გაგას ლოყაზე საკოცნელი ადგილი თითით მიანიშნა.

— ო, არა, არ შემიძლია, გული წამივა, მოვკვდები!.. — უფრო მეტად გაინაზა გაგა.

— გამაგრდი, ბიჭო, არ შემარცხვინო! — მტევანი მომუშტა და ხელი მაღლა აღმართა დათომ.

— ეჰ, რაც არის — არის, ერთხელ გავჩნდი და ერთხელ უნდა მოვკვდე. მშვიდობით, ჩემო საყვარელო სამშობლოვ!.. — და გაგამ ნუციკოს ლოყაზე აკოცა. ხომ არაფრად ითვლება ასეთი კოცნა. ხშირად დღეში უამრავი ქალის ლოყას ვკოცნით. გაგას კი, მაგრად ეგემრიელა ნუციკოს თბილი, ბავშვის კანივით რბილი და შემკრთალი ლოყა. ნერწყვიც კი გადაყლაპა. ტუჩებსაც სიამოვნებით მიაყოლებდა, მაგრამ როგორ გაბედავდა?! თვალები გადაატრიალა და იატაკზე გაიშხლართა.

არ ვიცი, ვისთვის როგორ, გაგას კი ძალიან, ძალიან უყვარდა ნუცა. ბალზაკის წლოვანება თავისი სიყვარულის პლატონურ მოსავალს იმკიდა...

ნინიკომ კი, რომელსაც ამ სიყვარულისა არაფერი სჯეროდა და ვინ იცის, ოდნავ შურდა კიდეც ნუციკოსი, ფეხი უხეშად წაჰკრა გაგას:

— ადე, ბიჭო, რას გაიშხლართე! არც ისეთი ანგელოზია შენი დულსინეა, როგორიც შენ გგონია.

გაგამ თავი წამოსწია, თვალი გაახილა, წამწამები აახამხამა და უკანასკნელი ანდერძი დაიბარა.

— „საქართველოს ლამაზებო, საქართველოს მანანებო, დამაყარეთ თქვენი ცრემლის ყვავილები“...

მოკლედ, სუფრა ჯერ მხოლოდ ეშხში შედიოდა.

ბედისწერა, ელინური კულტურის ეს „უკვდავი, თანამდევი სული“ დღეს მხოლოდ მაშინ გვაგონდება, როცა მარადიულ საუფლოში მივემგზავრებით. უფრო სწორად, ჩვენი ცოდვილი სული მიემგზავრება. ის, რაც გაგამ ხმის ჩამწერი სტუდიის პატარა კაბინეტში გაითამაშა, ქალაქის ერთ-ერთ უბანში ნამდვილად მოხდა. ასე რომ, ნუციკოს რომანტიკული ვახშამი ჩაეშალა. მან კი ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა. დაბადების დღე ჰქონდა, მღეროდა, ცეკვავდა და გრიალებდა.

ნიკას უცხოეთში დაბრუნების მერე, ისეთი პანაშვიდური სიტუაცია იყო ბერიძეების ოჯახში, რომ ქმრის ბინაში გადაბარგება გაუხარდა კიდეც ანის... თუმცა, ჯერ თვითონ იქაურებს არ ხლებოდა, საღამოს აპირებდა მისვლას. ისიც კარგად ახსოვდა, რომ ნუციკოს დაბადების დღე იყო და საჩუქრის ყიდვასაც აპირებდა. მაგრამ ყველაფერი ცოტა სხვანაირად დატრიალდა.

ალბათ, უნდა ითქვას, რომ ანის, თუმცა ძალიან უყვარდა თავისი სამსახური, თავის დასამკვიდრებლად მაინც განუწყვეტელი ომი უხდებოდა. ბუნებით მებრძოლს, ფარ-ხმლის დაყრა არ სჩვეოდა და იყო ჩართული იმ ორომტრიალში, რომელიც ქართული ტელესტუდიებისთვისაა დამახასიათებელი, რომელსაც თავისი ვარდის სურნელებაც ახლავს და კაი გრძელი „ჩხვლეტელა“ ეკლებიც აყრია.

„ელიტ-ქრონიკის“ რედაქცია, სადაც ანი მუშაობდა, ოთხი კაცით იყო დაკომპლექტებული. პირველი — მთავარი რედაქტორი, რომელსაც სხვა რედაქტორი არ ჰყავდა, მაგრამ რატომღაც, მაინც მთავარი რედაქტორი ერქვა, ნიკოლოზ ანუ ნიკო მიქაძე იყო. ორი ჟურნალისტი — ლოლა და ანი და ერთიც ოპერატორი — ვასიკო ჟივიძე. კონკურენცია ძირითადად, ლოლასა და ანის შორის მიდიოდა. ნიკო ანის უფრო შავ სამუშაოს ავალებდა, რადგან ლოლას ვერც სილამაზით შეედრებოდა და ვერც მეტყველების კულტურით. მაგრამ სიუჟეტებიც მიჰყავდა და თავისი საავტორო გადაცემაც ჰქონდა. ასე რომ, საზოგადოება ანის ცნობდა და ანიც იფერებდა.

მოკლედ, იმ დილას თავის რედაქციაში მისულ ანის, რომლის კედლებიც შოუბიზნესის ვარსკვლავთა სურათებით იყო გადაჭრელებული და სადაც სულ რამდენიმე მაგიდა იდგა, მხოლოდ მთავარი რედაქტორი ნიკო დახვდა, რომელიც კომპიუტერს მისჯდომოდა და რაღაც ტექსტზე მუშაობდა. ის ზოგჯერ, ცალი თვალით, მოპირდაპირედ მდგარი ტელევიზორისკენ იმზირებოდა, სადაც „უჟასების“ მსგავსი ფილმი მიდიოდა. ანიმ ჩანთა დივანზე მიაგდო და თვითონაც ზედ მიესვენა. ნიკომ პულტი მოიმარჯვა და ტელევიზორის ხმას ჩაუწია.

— ხომ ვიცი, არა, ყველაფერი ისევ მე უნდა დამბრალდეს... — ნიკოს ყურადღების მიპყრობას შეეცადა ანი.

— რა? რამე მოხდა კიდევ? — ბეჭდვას თავი ანება ნიკომ.

— თორემ არ იცით, რა! ნუ გიყვართ ხოლმე, ანგელოზის ფრთების გამობმა!.. — ირონიულად გაელიმა ანის.

— გამოსხმა, — გაუსწორა სიტყვა ნიკომ.

— გამობმა და გამოსხმა, მე მგონი, ერთი და იგივე სიტყვებია... — არ მიიღო ჩასწორება ანიმ.

— რა-ა? როგორ გეკადრებათ?! —

გაბრაზდა ნიკო. — მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. დღეს უამრავი საქმე მაქვს. ქვეყანა ხელიდან გვეცლება, იღუპება... — სრული სერიოზულობით მიაყარა შეფმა.

— ო, თქვენ კიდევ, სულ ხუმრობის ხასიათზე როგორ უნდა იყოთ! — მაგიდასთან გადაჯდა ანი, სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გააბოლა.

— ეს მე ვარ ხუმრობის ხასიათზე?! — განცვიფრდა ნიკო. — მე წუთი წუთზე სასიკვდილო განაჩენს ველოდები...

— ისევ აურიეთ, ხომ, ოჯახში? — გავცინა ანის.

— ოჯახში? ვინ მოგახსენა?! — გაცხარდა ნიკო. — ოჯახში ყველაფერი საათივით მაქვს აწყობილი. აქ, აქ არის, აი, ამ ოთახში ძაღლის თავი დამარხულ! მე დავალაგებ, თქვენ — თავდაყირა დააყენებთ, მე დავალაგებ, თქვენ — ისევ თავდაყირა დააყენებთ. შენ ხომ, პირადად, რაც მიწაზე ხარ, ცხრა იმდენი მიწაში ხარ, გენაცვალე!..

— დიახ, მართალია, სხვანაირად თქვენ და თქვენისთანები კარგა ხანია, შემჭამდნენ და შემახრამუნებდნენ... — სიგარეტის კვამლის რამდენიმე რგოლი ერთმანეთში გააძვრინა ანიმ და მშვიდად დაასკვნა: — ჩემგან დღეს პა-ატარა, ნეკის ძვალიც აღარ იქნებოდა დარჩენილი.

— იცი, რას გეტყვი, ანი?.. ეს უკვე ფემინიზაცია კი არა... რაღაც... — ვერ მონახა სიტყვა ნიკომ. — რაღაც დედაკაციზაციაა...

— ჰოდა, ფრთხილად უნდა იყოთ, — გააფრთხილა ფილოსოფიაში გადაჭრილი მთავარი რედაქტორი ანიმ და წამოდგა: საშასთან ჩავალ, ცოტა თავს მოვიწესრიგებო, — და გავიდა.

„არა, ამათი ტვინი მუდამ სწორხაზოვნად მუშაობს“, — გაიფიქრა ნიკომ და მუშაობა განაგრძო.

როცა ანი საგრიმიოროში შევიდა, საშას სარკის წინ „ნიუსების“ დიქტორი ლუბა მეგრელიშვილი ეჯდა და ალამაზებდა. მას ანის დანახვა გულწრფელად გაუხარდა.

— ოჰ, „პრივეტ“, ანიკო, როგორა ხარ? — წამოიძახა საშამ და მაკრატელი ააკრიჭინა.

— ისე, რა, ნელ-თბილად... — გულგრილად უპასუხა ანიმ და თვალები გაუფართოვდა. — ლუბა, შენ რა, თმა დაიმოკლე?

— არ უხდება, მერე?.. ხომ უხდება?! — დაასწრო ლუბას საშამ.

— მთელი კვირა ვტიროდი, ახლა ცოტა წამომეზარდა და გავჩუმდი... თიკომ შემაცდინა, შურდა, რა, დედას გეფიცები და იმიტომ... — შესჩივლა სარკიდან ლუბამ.

— შენც სხვას რას უჯერებდი?! ჩვენთან, ხომ იცი, როგორ უნდა მოიქცე — პირიქით, უკულმა!.. — დაუწყო დარიგება ანიმ. — ჰო, ჰო. აქეთ წადიო, — თუ გითხრეს, საპირისპირო მხარეს უნდა წახვიდე, თორემ, თუ იქით წახვალ საითაც მიგანიშნე-ეს... ან მანქანა გაგიტანს, ან ბანდიტი გამოგჭრის ყელს, ან მეხი დაგეცემა, ბოლო-ბოლო, ვერ გადარჩები, ვარიანტი არ არის... — ჩაამთავრა თავისი ტირადა ანიმ.

— არ მერჩია, მეხი დამცემოდა, ვიდრე ეს თმა ასე მქონოდა?! — ნერვიულად აირტყა შუბლზე ხელი ლუბამ.

— სულ ტყუილად, ლუბაჩკა, სულ ტყუილად... — გაინაზა საშა. — გადასარევად გაქვს, დედას გეფიცები-ი...

— კაი, რა, საშა, რა! რა მაქვს გადასარევად, მაბრმავებ?! — გრძელი, ხელოვნური შავი წამწამები ააფახულა ლუბამ.

— არა, რატომ გაბრმავებ, ლუბკა?! რატომ ამბობ მაგას?! — ახლა საშამაც ააფახულა წამწამები. — მე, მაგალითად, შემიძლია, საიდუმლოდ გითხრა, რომ შენ ბევრად უკეთესი „პრიჩოსკა“ გაქვს, ვიდრე მაკას...

— გესმის, ანი, ვის შემადარა?! — გადაიხარხარა ლუბამ და სკამიდან წამოდგა. — ახლა წავედი, თორმეტიანი მიმყავს და მერე ჩამოდი, რა, ანი, ჩემთან. არ გაინტერესებს? მაგარ ამბავს მოგიყვები, მთლად ცხელ-ცხელს... — მიუბრუნდა ლუბა ანის.

— ჰო-ო? ვისზე? — დაინტერესდა ანი.

— როცა ჩამოხვალ, მაშინ გეტყვი... — უკვე გარედან უპასუხა ლუბამ.

— კარგი-ი! — ისე დაადევნა ანიმ, თითქოს მომავალი ჭორაობის თემას მიუხვდაო და სარკის წინ დაჯდა. დაჯდა და იმწამსვე დასერიოზულდა — როგორც საპარიკმახერო სავარძელზე მიჯაჭვულთა უმრავლესობა.

— ზოგი, იცი, რა უმადურია?! — ნაწყენი კილოთი დაიწყო საშამ. — მადლობის თქმაც კი არ იციან. ჰო, ჰო, მთლად რომ გადააკვდე, მადლობაც კი ენანებათ. ეს რომ ჩემი სალონი იყოს... აი, ამ ლუბკას არ მივიღებდი, დედას გეფიცები!.. როგორ შეგკრიჭო, „ბარანკა“ არ გინდა? — სუფთა ზეწარი ლამაზად მოაფრიალა და საყელოში ჩაუკუჭა.

— მე მინდა ზუსტად ისე, როგორც დარეჯანს აქვს, — სერიოზული ტონით თქვა ანიმ.

— დარეჯანს? — ისევ ააფახულა საშამ წამწამები. — როგორ, შენც ნულზე გადაგიღო?

— დარეჯანს ნულზე არა აქვს... — გაიხსენა ანიმ.

— შენ ეტყობა, არ გინახავს: გუშინ გადავხოტრე. შენ რომ გადაიხოტრო, არ მოგიხდება, არ გირჩევ... დედას გეფიცები-ი... — ისევ გაინაზა საშა.

— გადართე, რა, თორმეტი ხდება, ლუბაჩკას შევხედოთ! — ტელევიზორზე ანიშნა ანიმ.

საშამ ტელევიზორი გადართო. ეკრანზე ჯერ საინფორმაციოს ტიტრები გამოჩნდა, შემდეგ კი — ლუბა.

— აი, შეხედე, ცუდად აქვს? — ჰკითხა საშამ ანის.

— ცოტა აუწიე, რა, არაფერი მესმის... — სთხოვა ანიმ.

— მოგესალმებით! თორმეტ საათზე ახალ ამბებს ლუბა მეგრელიშვილი გაგაცნობთ... იდუმალებით მოცული მკვლელობა თბილისში: დღეს, დილის შვიდ საათზე, საკუთარი სახლის ეზოში მკვდარი იპოვეს „ივერკომის“ ყოფილი პრეზიდენტი ლევან იაშვილი.

— ვაიმე! ვაიმე! — წამოიკივლა და სკამიდან წამოხტა ანი.

ლევან იაშვილი მისი მულის, თაზოს დის საყვარელი იყო. რა თქმა უნდა, ანიმ ეს მშვენივრად იცოდა, ისევე, როგორც ალბათ, ნახევარმა ქალაქმა. ერთადერთი, ვინც არ იცოდა, ვისი საყვარელი იყო მისი ქალიშვილი, — ეს გაიოზი იყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სესილია თაყაიშვილის ხიბლი სცენაზე და ცხოვრებაში

რასტომ ჩხუბობდა რეპეტიციებზე და რა დაწერა „ანდერძში" დიდმა მსახიობმა

თამუნა კვინიკაძე

„თუ ანდერძს არ ამისრულებ, იცოდე, მეორე დღესვე უკან გაგიყოლებო..."

გიგა ლორთქიფანიძე, *რეჟისორი:*

— სესილია თაყაიშვილი ცხოვრებაში, სცენაზე, გადასაღებ მოედანზე — ყველგან ექსტრავაგანტურობით გამოირჩეოდა. ის რთულად მოსათვინიერებელი პიროვნება იყო. როცა სცენაზე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" ვდგამდით, მაშინ ახალი შემოსული იყო პირობითი, არანატურალური დეკორაციები. მე და მხატვარმა ოთარ ლითანიშვილმა ამ დეკორაციების გამოყენება გადაწყვიტეთ. ერთ დღეს, როცა ოთარი განათებისა და დეკორაციის მონტაჟს აკეთებდა, პარტერში სესილია შემოვიდა. ეს რა არისო? — მკითხა. — სესილია, ეს დეკორაცია არის-მეთქი, — ვუპასუხე. — მე მანდ ვერ ვითამაშებ, — მომახალა კატეგორიული ტონით, — დამიდგით ბუხარი, ქვასანაყი, დაკიდეთ ზაფრანის აკიდოები, მე უკან უნდა მქონდეს მყარი კედელი, რომელსაც მივეყრდნობიო... ის საოცრად მართალი და რეალისტი მსახიობი იყო. ბედნიერი ვარ, რომ მასთან მუშაობის საშუალება არაერთხელ მომეცა. სესილიამ დიდი პროფესიონალიზმით ითამაშა ევას როლი „უფსკრულში". ერთხელ სცენაზე გასვლის წინ, მასთან მივიდა ლილი იოსელიანი, რომელსაც ხელში ეჭირა, ემიგრაციაში მყოფი ნათესავის მიერ გამოგზავნილი ფრანგული სუნამო, რომელიც მაშინ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ლილიმ ეს სუნამო, სხვებთან ერთად, სესილიასაც აპკურა. გადაირია ამაზე — ეს რა მიქენითო?! აყვირდა: ახლა მე ფრანგული სუნამოს კი არა, ცერეცოს სუნი უნდა ამდიოდეს, ასე ვერ ვითამაშებო! ონკანთან მივიდა და სანამ სურნელი არ მოიშორა, ცოცხალი თავით არ გავიდა სცენაზე. მას ყოველთვის სჭირდებოდა ყოფითი შეგრძნება თავისი როლისა და ხასიათის განსასახიერებლად. როდესაც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" რეპეტიციები დავიწყეთ, პირველსავე დღიდან სესილია გურული გლეხის ქალის შავი ტანსაცმლით, თავწაკრული მოვიდა რეპეტიციაზე. მაშინ 52-53 წლის იქნებოდა, ენერგიის მოლოდინში, საშინლად აღელდა, მადა დაეკარგა და თამაშსა და გართობას თავი სულ მიანება. სპექტაკლის წინაღამეს მის თვალს ძილი არ მიჰკარებია. აგზნებული ბავშვის დასამშვიდებლად ექიმის დახმარება გახდა საჭირო. შემდეგ „ჰანელეში" მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთი ანგელოზი განასახიერა დანარჩენ 6 ბავშვთან ერთად. ასე შეიჭრა თეატრი დიდ მსახიობად დაბადებული ბავშვის ცხოვრებაში. დარბაზიდან მომდინარე უცნაური სითბო, სულგანაბული სიჩუმის წუთები, მქუხარე ტაში... ვინ იცოდა მაშინ, რომ ერთი იმ შვიდი ანგელოზთაგანი ჰანელეს შუშის კუბოსთან რომ იდგა, მომავალი დიდი ქართველი მსახიობი სესილია თაყაიშვილი იყო?!

სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი და მათი შვილი დათო

ასმათ გყაბლაძესთან ერთად

დაარიგებდა... გაიხსენეთ „ცისფერი მთები“ — რაოდენ გენიალურად შეასრულა მან ბუღალტერი ქალის როლი. დიდი ძალისხმევა დასჭირდა ელდარს *(შენგელაიას. — ავტ.)*, სესილია ამ როლის შესრულებაზე რომ დაეთანხმებინა. ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე აკითხავდა სახლში და ყოველდღე უარით ისტუმრებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გატყდა და ელდარმაც იმწუთასვე გადასაღებ მოედანზე წაიყვანა. როლზე უარის თქმა — ეს თვისება სესილიას ახასიათებდა. გამორიცხული იყო, რომ მისგან თავიდანვე თანხმობა მიგეღო. — არ შემიძლია მე მაგი, მე ვერ ვითამაშებო, — იტყოდა და ზურგს შეგაქცევდა... ერთხელ ლევან შატბერაშვილი დგამდა სპექტაკლს, სადაც სესილია და შალვა ღამბაშიძე პარტნიორები იყვნენ. სესილიას შეთავაზებული როლი არ მოსწონებია და ლანძღვა-გინება დაუწყია: არც როლი ვარგა, არც სპექტაკლი, არ ვითამაშებო — უთქვამს. მოგვიანებით შალვა ღამბაშიძე ჰყვებოდა: თავიდან სესილიას თითქოს ჩვენც ავყევით, მაგრამ ბოლოს ეს სპექტაკლი მაინც დაიდგა, თვითონ შესანიშნავად ითამაშა, ჩვენ კი რას ვბჟუტურობდით, კაცმა არ იცოდაო. მას შემდეგ, როცა „უფსკრულისთვის“ დავიწყეთ მზადება, პარტნიორები კვლავ სესილია და შალვა აღმოჩნდნენ. სესილიამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უკმაყოფილება მოურიდებლად გამოხატა. დუტ, სესილია, უთხრა შალვამ, — მაგას ვინღა ჭამსო?! სესილიას ეტყობა, დაცდილი ჰქონდა — რეპეტიციაზე უნდა ეჩხუბა, რომ შემდეგ კარგი სპექტაკლი გამოსულიყო... ნამდვილი ფურორი მოახდინა „დათა თუთაშხიაშიც“. ასინეთას სახით, მან შექმნა ფილოსოფიური სახე დაბეჩავებული ადამიანისა, რომელიც მზად არის, თავისი პატრონისთვის ნებისმიერი რამ ჩაიდინოს. სესილია საგრძნობლად ოსტატობის საიდუმლოსაც ფლობდა. ამ საქმეს სხვას არ ანდობდა. მსუბუქი გრიმით ქმნიდა განსხვავებულ სახეებს. საოცარი მოწიწება ჰქონდა უფროსების მიმართ. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ვერიკოსა *(ანჯაფარიძის. — ავტ.)* და მისი ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ მეგობრობდნენ და ბევრ დროსაც ატარებდნენ ერთად, ვერიკოს ყოველთვის თქვენობით მიმართავდა... სესილია თაყაიშვილმა ისე იცხოვრა, რომ კომპრომისზე არასოდეს წასულა — არც სცენაზე და არც ცხოვრებაში. შეიძლება, ეს მხოლოდ პირადად მას ეხება, მაგრამ მაინც გეტყვით: როდესაც მარჯანიშვილის თეატრში განხეთქილება მოხდა და ახალგაზრდები რუსთაველში წავედით, სესილიამ წერილი მისწერა სამხატვრო საბჭოს, სადაც აღნიშნავდა: ჩემთვის უკვე გვიანია, ახალგაზრდებს გავყვე, მაგრამ თქვენთან დარჩენაც არ შემიძლიაო, — და ჯან-ღონით სავსემ, თეატრი დატოვა. გასაოცარი ადამიანი იყო. სიცოცხლის ბოლო დღეებში, ყოველდღე მივდიოდი მის სანახავად. რომ არ მივსულიყავი, თურმე, მკითხულბდა — სად არის? რატომ არ მოვიდაო? ერთ-ერთი მონახულების დროს, კედელზე დაკიდებულ სურათზე მიმითითა და მითხრა: იმ სურათის უკან ჩემი ანდერძი დევს. იცოდე, თუ მასში დაწერილს არ ამისრულებ, მეორე დღესვე უკან გაგიყოლებო. არ სურდა, დაეკრძალათ დიდუბეში, არ სურდა, მისი ნეშტი თეატრში გადაესვენებინათ. „რა საჭიროა საპატიო ყარაული? ნუ დაღლით ხალხს. არავითარი სიტყვები! ვიყავი, ვშრომობდი და დასრულდა ჩემი ცხოვრება. იმედია, ასე მშვიდად და წყნარად მიაბარებთ ჩემს ნეშტს ცივ მიწას“, — ეს სიტყვები დაგვიტოვა ანდერძად დიდმა სესილიამ. ასეთი ანდერძით იშვიათად წასულან იმ ქვეყნად დიდი ადამიანები... მე განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა ამ მსახიობის მიმართ, სცენაზეც და ცხოვრებაშიც. ამიტომ, ღამით რომ გამაღვიძო და მკითხო — ვინ არის მსოფლიოში ყველაზე კარგი მსახიობიო? გიპასუხებ — სესილია თაყაიშვილი-მეთქი.



„მე „შუამავალი“ აღმოვჩნდი სესილიასა და თეატრს შორის“

ᲐᲡᲛᲐᲗ ᲢᲧᲐᲑᲚᲐᲫᲔ, *მსახიობი:*

— სესილია თაყაიშვილზე ძალიან ბევრის თქმა და გახსენება შემიძლია. ჩვენ მეგობრები ვიყავით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო. ხუმრობით ვეტყოდი ხოლმე, — მე ჯერ იმდენი წლისაც არა ვარ, რამდენითაც თქვენ ჩემზე უფროსი ბრძანდებითმეთქი. მეამაყება, რომ მასთან დიდი სიახლოვე მაკავშირებდა, ერთად დავდიოდით შეხვედრებზე, პრემიერებზე, დასასვენებლადაც კი, ერთად გვეძინა. თავდაპირველად ვიცნობდი, როგორც მსახიობს და თაყვანს ვცემდი. გავგიჟდი, როდესაც მის მიერ განსახიერებული ბებია ვნახე. ჩემი ახლობელი, მარჯანიშვილის თეატრის კომპოზიტორი, არჩილ ჩოგოლაშვილი სესილიას მეზობლად ცხოვრობდა. პირველად, როდესაც მათ ოჯახში სესილიასთან ერთად მოვხვდი სუფრაზე და თეატრზე დავიწყე ლაპარაკი, სესილია ჩემით დაინტერესდა. მერე ნახა სპექტაკლი ჩემი მონაწილეობით. თანდათან აეწყო ჩვენი ურთიერთობა. ეს ის პერიოდი იყო, როცა სესილია მარჯანიშვილის თეატრიდან წამოვიდა. მე „შუამავალი“ აღმოვჩნდი მასა და თეატრს შორის: ყოველ საღამოს მეკითხებოდა — გოგო, რა ხდება თეატრშიო? იმ პერიოდში მის მეზობლად გადავედი საცხოვრებლად. ყოველ საღამოს, ზარის ხმას ოჯახის წევრები რომ არ გაეღვიძებინა, კარს ღიას ტოვებდა, არ იძინებდა, მელოდებოდა, რათა თეატრის ამბები მომეყოლა. თუ ფიზიკურად მისვლას ვერ შევძლებდი, მაშინ ტელეფონით ვლაპარაკობდით. ასეთი იყო ჩემი „შუამავლობა“ სესილიასა და თეატრს შორის. მას თეატრის გარეშე ცხოვრება ერთი დღეც კი ვერ წარმოედგინა. აზრით, გაგებით, ფიქრით — სულ იქ იყო. მოგვიანებით გიგა ლორთქიფანიძემ პენსია — 120 მანეთი დაუნიშნა. ამაზე ხუმრობდა კიდეც: პენსია 120 მაქვს წნევა — 220; გაცვლა რომ შეიძლებოდეს, რა კარგი იქნებოდაო!.. სესილია გენიალური იყო, არა მარტო როგორც მსახიობი, არამედ პიროვნებაც. სხვისი გაჭირვების გულთან მიტანა იცოდა. ეზოში თუ ვინმეს რამე წამოსტკივდებოდა ან რაიმე პრობლემა შეექმნებოდა, სესილია იმ ადამიანის გვერდით გაჩნდებოდა. ერთხელ მახსოვს, ერთიორჯერ ზედმეტად დამახველა, თან ჭვალიც მქონდა და ავიჩემე, კიბო მაქვს-მეთქი. ყველაფერმა მალე გამიარა. დამავიწყდა კიდეც ჩემი ნათქვამი. ერთ დღეს მირეკავს სესილია და მეუბნება — გოგო, არ გცალია? „ლეჩკომბინატში“ გამყევიო. ასე, მოტყუებით წამიყვანა ექიმთან, ჩემი თავი გაასინჯა და როდესაც უთხრეს, რომ არაფერი მჭირდა, მერე დამშვიდდა... მარჯანიშვილის თეატრში მსახიობებს ბინებს გვაძლევდნენ. მე ნუცუბიძის პლატოზე შემხვდა, ირაკლი უჩანეიშვილს კი — ყიფ-

შიძის ქუჩაზე. მერე ირაკლიმ რატომღაც უარი თქვა თავის ბინაზე და ნუცუბიძის პლატო აირჩია. მე ყიფშიძეზე მინდოდა. ერთხელ სესილიასთან და ვერიკო ანჯაფარიძესთან დავიწუწუნე — აბა, მე ყიფშიძეზე იმ ბინას ვინ მომცემს-მეთქი?! სესილიას დაურეკავს გიგასთან და უთქვამს: გიგა, შენ ახლა ეგ ბინა ასმათს რომ არ მისცე, აგაფეთქებ, იცოდეო!.. ცალკე დაურეკავს ვერიკოსაც. მერე, გიგა იცინოდა — ორი ბომბი შემომიგდე და მეტი რაღა გზა მაქვს, ეგ კი არა, ლამის ჩემი ბინაც დაგითმოო. სესილია დიდი იუმორის გრძნობითაც იყო დაჯილდოებული. ერთი პერიოდი მის ოჯახს მატერიალურად გაუჭირდა, ეს არც დაუმალავს. ყველას უყვებოდა, როგორ ყიდდნენ ის და მერი დავითაშვილი ზეწრებს და სახლიდან გატანილ ნივთებს თელავის ბაზარში. განსაკუთრებით უყვარდა ვასო გოძიაშვილზე ხუმრობა. ჰყვებოდა: სანამ დავქორწინდებოდით, ერთ საღამოს, ვასო თეატრიდან სახლში მაცილებდა. საიდანღაც ფინია ძაღლი გამოვარდა და ყეფა დაიწყო; ვასოს ისე შეეშინდა, ძაღლის მხარეს მე დამაყენა, თვითონ ამომეფარა და სულ ვაი, დედა! ვაიმე დედას! იძახდაო... სესილიას უთქვამს — არ გრცხვენია? ორი წუთის წინ ცას და ქვეყანას მპირდებოდი და ახლა რას ჰგავს შენი საქციელიო? — სესილია ახლა ლომი რომ გამოვიდეს, არ შემეშინდება, ძაღლის მეშინია და რა ვქნაო, — უმართლებია თავი შეყვარებულთან. მაგრამ ეს ამბავი სესილიამ ყველას მოუყვა. თან დასძენდა — რა უნდოდა იმ შუაღამისას ლომს ჯავახიშვილის ქუჩაზეო?! ვასოზე ამბობდა — ჩხუბს წამოიწყებს, მერე, თვითონ კუთხეში დაჯდება და ჟორა შავგულიძე ჩხუბობსო... ვასოს და სესილიას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მიუხედავად იმისა, რომ მათი ოჯახი დაინგრა, სიცოცხლის ბოლომდე პატივს სცემდნენ და აფასებდნენ ერთმანეთს. ვასო სხვაგვარად თამაშობდა, ღელავდა, თუ მის სპექტაკლს სესილია ესწრებოდა. იგი არაჩვეულებრივი შემმოწმებელი იყო, არ შეცდებოდა. როდესაც პირველად დაიდგა „ყვარყვარე“, ბევრი ცუდი რამ თქვეს ამ სპექტაკლზე. სესილიას კი ძალიან მოეწონა და ბრწყინვალე ნამუშევარი უწოდა. მისი ასეთი შეფასების შემდეგ, ზოგი ხელმეორედ მივიდა თეატრში. ვასოს ნანახი არ ჰქონდა ეს სპექტაკლი, რუსთაველის თეატრის რომელიღაც მსახიობს მასთან უძაგებია; შემდეგ ვასოს მისი სიტყვები ერთ-ერთ ჟურნალისტთან გაუმეორებია. ეს სესილიამ გაიგო, დაურეკა და ჰკითხა — შენ ნახე სპექტაკლიო? — არაო, — უთქვამს ვასოს. — აბა რას აძაგებ, შენიო!.. — და შეუგინებია... სესილიას ეს თვისება ჰქონდა, თუ ვინმეზე გაბრაზდებოდა, „ქალურად“, „რბილად“ შეაგინებდა ხოლმე. არ დამავიწყდება — ერთხელ, მასთან ვარ სტუმრად. დაურეკეს და უთხრეს: თქვენ დაგელაპარაკებათ ედუარდ შევარდნაძეო. სესილიამ არ დაიჯერა, ეგონა, ვინმე ეხუმრებოდა და შეაგინა. უეცრად ესმის შევარდნაძის ხმა — ქალბატონო სესილია! გილოცავთ ლენინის ორდენის მიღებასო!.. ყურმილი რომ დადო, გაფითრებული იყო — ნეტავ, გაიგონა ჩემი გინებაო?.. ვერ იტანდა პოლიტიკას, არც ერთ აღლუმზე არ გასულა, არც ერთ სამთავრობო კონცერტში მონაწილეობა არ მიუღია — ამითაც კი გამორჩეული იყო. არც ერთ როლზე არ უთქვამს — კარგად ვითამაშეო. როცა ასინეთას როლის მისცეს, დილით დამირეკა და მითხრა, ჩემთან გადმოდიო. მივედი. გამიღო კარი და რას ვხედავ? — ჩემ წინ ასინეთა დგას!.. დამხვდა ისეთსავე ფორმაში, როგორშიც ფილმშია გადაღებული... თუ სადმე გამოსვლა მქონდა ან ლექსი უნდა წამეკითხა, ყოველთვის თავისთან მიმიყვანდა, წამაკითხებდა. მერე, ჭკუის დარიგებას კი არ დაგიწყებდა, რაღაცას მოკლედ ისე გეტყოდა — მარილს მოგიყრიდა და ისე „შეზავებულს“ გაგიშვებდა, რომ იმ დღეს აუცილებლად შეგაქებდნენ... სესილია საოცრად მოწესრიგებული ადამინი იყო. დაგვიანება არ უყვარდა, თუ სადმე მატარებლით მოუწევდა წასვლა, სადგურში 3 საათით ადრე მივიდოდა; თუ სპექტაკლი 8 საათზე იწყებოდა, 4 საათიდან თეატრში იყო. ერთხელ აკაკი კვანტალიანის იუბილეზე სიტყვით უნდა გამოსულიყო. მაშინ ყველაფერი 8 საათზე იწყებოდა. მოსაწვევს არც კი დავხედე, 7 საათისთვის სესილიას გავუარე, მერე მანქანით ქალაქში გავასეირნე, თან ვეუბნები — რა გინდა, ნახევარი საათით ადრე მაინც მოგიყვანე-მეთქი!.. თეატრთან რომ მივედით, ხალხი არ ჩანდა. ამან დამაეჭვა, დავხედე მოსაწვევს და რას ვხედავ? — თურმე საღამო 7 საათზე დაწყებულა! დეიდა სესილია ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრა, საღამო 7 საათზე დაწყებულა, დაგვაგვიანდა-მეთქი. ერთი გადმომხედა — „დურაო!“ — მითხრა. მერე სცენაზე სინათლე ჩააქრეს და სიბნელეში ჩუმად შევიპარეთ. ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე... მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები სამედიცინო შემოწმებაზე „ლეჩკომბინატში“ დადიოდნენ. ერთ დღეს წავიდა სესილია, შემოიარა ყველა ექიმის კაბინეტი, ბოლოს დაღლილი, დერეფანში სკამზე ჩამოჯდა. ამ დროს მასთან ექთანი გოგონა მივიდა და უთხრა: — ქალბატონო სესილია, სტომატოლოგთან შესვლა დაგავიწყდათო. — „სალფეთქი“ ხომ არ გექნებათო?“ — ჰკითხა. როდესაც მოუტანეს, პროთეზი მოიხსნა, ხელსახოცში გაახვია, ექთანს გაუწოდა და უთხრა — შვილო, ბოდიშს კი გიხდი, მაგრამ დაღლილი ვარ, ეს შეუტანეთ სტომატოლოგს, შეამოწმოსო... სესილია მეგობრობდა ეროსი მანჯგალაძესთან. ეროსის ჰყავდა ძაღლი, რომელსაც ტანგო ერქვა. სესილია კი მეგობრულად ურჩევდა — მაგ ტანგოს ნაცვლად, ბიჭო, მარგო მოიყვანე, რად გინდა ტანგოო?.. ბოლოს კი, როცა ტანგო მოკვდა, სესილიამ დეპეშა გაუგზავნა ეროსის — მიუსამძიმრა... საოცარი დედამთილი გახლდათ სესილია, „ზღაპარი“ დედა და ბებია, ზოგჯერ შვილიშვილს — ნატას გაებუტებოდა და ჩემთან გამორბოდა. იმ დღესვე მეტყოდა: დაურეკე ნატას, უთხარი, რომ ბოდიში მომიხადოს, მთხოვოს, ვაპატიო, ოღონდ, მე თუ გავალებ, არ დაგცდესო. როგორც მეტყოდა, ისე მოვიქცეოდი. მერე ნატა ურეკავდა — ბებო, ბოდიშს გიხდი, დამნაშავე ვარო — ეტყოდა. — ჰოო! გაპატიოო?.. — მაპატიეო, — ეტყოდა ნატა და სიტყვები დასრულებული არ ჰქონდა, იმ წუთშივე გარბოდა. სულ მეუბნებოდა — მე რომ მოვკვდები, ვიცი, შენ ძალიან ბევრს იტირებ, ჩემს შვილებთან დაჯექიო... საოცრად ნაკითხი და განათლებული გახლდათ, სიახლე აინტერესებდა. არ გამოტოვებდა არც ერთი სპექტაკლის პრემიერას. არასოდეს იცრუებდა, არ იმლიქვნელებდა. თავშეკავებულიც იყო. ბევრი რამ არ ჰქონდა, ბევრ რამეს განიცდიდა. ასეთ ბუმბერაზ მსახიობს, სახელმწიფო პრემია გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მიანიჭეს. მან ყველაზე დიდი ჯილდო — ხალხის სიყვარული დაიმსახურა. ის დღესაც ძველებურად უყვართ. ■

შვილიშვილ ნაგასთან ერთად

ეროსი მანჯგალაძესთან ერთად

ფილტვები — ორგანიზმის ფილტრი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

საკვების გარეშე ადამიანს შეუძლია, ერთი თვე იცოცხლოს, წყლის გარეშე — ხუთი დღე, ჰაერის გარეშე კი — მხოლოდ რამდენიმე წუთი. ადამიანის ორგანიზმის ვერც ერთი ორგანო ვერ იარსებებს უჟანგბადოდ, რომელსაც გარემოდან მათ ფილტვები აწვდის.



სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სასუნთქ ორგანოთა დაავადებები — ყოველი მეხუთე ადამიანის ხვედრია. სუნთქვის სისტემას შეადგენს: ცხვირი, პირი, ხახა, ხორხი, ტრაქეა და ფილტვები.

ზედა სასუნთქ გზების მწვავე ანთება. დაავადების მიზეზია ვირუსები, ბაქტერიები და ორგანიზმის გადაცივება, რომელიც ააქტიურებს მიკროორგანიზმების ზრდას. დაავადება ვლინდება ტემპერატურის მატებით, თავის ტკივილით, ძილის დარღვევით, სისუსტით, კუნთების ტკივილით, მადის დაქვეითებით, გულისრევითა და პირღებინებით.

ბრონქიტი (მწვავე, ობსტრუქციული, მორეციდივე, ქრონიკული) — ბრონქების ანთებითი პათოლოგიაა. განასხვავებენ ინფექციურ, ალერგიულ, ქიმიურ და ობსტრუქციულ ბრონქიტს. ბრონქიტის „სავიზიტო ბარათი“ შემაწუხებელი ხველაა.

პნევმონია — ფილტვის ქსოვილის ანთება. პნევმონია შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დაავადება ან სხვა დაავადების გართულებას წარმოადგენდეს. პნევმონია საშიშია თავისი გართულებებით, უპირველეს ყოვლისა, სუნთქვის უკმარისობით, რომლის დროსაც სასუნთქი სისტემა ვერ უზრუნველყოფს აირთა ნორმალურ ცვლას.

ბრონქული ასთმა — ქრონიკული მორეციდივე დაავადებაა, რომელიც აზიანებს სასუნთქ გზებს. დაავადების მახასიათებელი ნიშანია მოხრჩობის შეტევები.

სასუნთქ ორგანოთა ტუბერკულოზი — ინფექციური დაავადებაა, რომელიც ფილტვის ქსოვილებს აზიანებს. დაავადების გამომწვევია ტუბერკულოზის მიკრობაქტერია, რომელიც ჰაერწვეთოვანი გზით გადაეცემა.

ბრონქოექტაზები (ბრონქტოექტაზური დაავადება) — ბრონქების ფორმის ცვლილებაა — ისინი ცილინდრის ან ტომრისმაგვარად ფართოვდება. განასხვავებენ პირველად ბრონქოექტაზებს, რომლებიც ბრონქების თანდაყოლილი მანკის შედეგად ვითარდება და მეორეულს, რომელიც პნევმონიისა და ფილტვის ტუბერკულოზის გადატანის შემდეგ ანდა ბრონქის სანათურში უცხო სხეულის მოხვედრის შედეგად ვითარდება. ბრონქოექტაზებს ექიმები რადიკალურად — ოპერაციული ჩარევის გზით მკურნალობენ.

ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება — ბრონქების გამავლობის დარღვევაა. დაავადებას თან ახლავს შეტევითი ხველა, ქოშინი, მოხრჩობის შეტევები. გამოკვლევისას დგინდება აირთა ცვლის დარღვევა და გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მაჩვენებლის დაქვეითება.

ობსტრუქციული დაავადების დროს სასუნთქ გზებში ცვლილებები ბრონქების კედლების გასქელებისა და მათში სეკრეტის დაგროვების შედეგია. აღნიშნული ცვლილებები თანდათანობით ავიწროებს ბრონქების სანათურს. ობსტრუქციული დაავადება იწვევს ემფიზემას — ფილტვების გაფართოებას. ფილტვების ემფიზემის ძირითადი ნიშნებია მუდმივი ქოშინი, ხველა, ძნელად ამოსალები ნახველით, სუნთქვის შესუსტებით (ფილტვების მოსმენისას). ზოგჯერ ემფიზემის დიაგნოზის დასმა თვალითაც შეიძლება — გულმკერდი ამ დაავადებისას საკმაოდ გაფართოებულია.

პნევმოკონიოზი — ფილტვების პროფესიული დაავადებაა. იგი მტვრის ხანგრძლივად შესუნთქვის შედეგად ვითარდება და მავნე წარმოების მუშაკებში გვხვდება. პნევმოკონიოზის ნიშნებია — ქოშინი, რომელიც მოსვენების მდგომარეობაშიც კი არ ეხსნება პაციენტს, ტკივილი მკერდში, გულმკერდზე ზეწოლის შეგრძნება, ნახველიანი ხველა.

თქვენ გამოგიკვლევენ

ყველასათვის ცნობილია, რომ ადეკვატური მკურნალობა ზუსტი და დროული დიაგნოსტიკით იწყება. პულმონოლოგიაში განასხვავებენ კვლევის ლაბორატორიულ და ფუნქციურ მეთოდებს.

ერთ-ერთ ძირითად ლაბორატორიულ მეთოდს წარმოადგენს **რენტგენოგრაფია,** რომელიც იძლევა ინფორმაციას ანთებითი პროცესის ლოკალიზაციისა და ხანგრძლივობის შესახებ. რენტგენოსკოპიით ვიზუალურად განვსაზღვრავთ ფილტვის ქსოვილის გამჭვირვალობას, აღმოვაჩენთ გამკვრივებულ უბნებს თუ ღრუებს, ვადგენთ სითხის თუ ჰაერის არსებობას პლევრის ღრუში. რენტგენოსკოპიის უპირატესობა ის არის, რომ იგი სუნთქვის ორგანოებს მუშაობის პროცესში იკვლევს.

ტომოგრაფია — რეტნგენოგრაფიის განსაკუთრებული მეთოდია, რომელიც ფილტვების შრეობრივი გამოკვლევის საშუალებას იძლევა. ტომოგრამა ბრონქების და ფილტვების სიმსივნის დიაგნოსტირებისთვის გამოიყენება.

ულტრაბგერითი გამოკვლევა ინფორმაციას გვაძლევს პლევრისა და პლევრის ღრუს შესახებ.

ბრონქოგრაფია — ბრონქების გამოკვლევისთვის გამოიყენება. ავადმყოფს წინასწარ უტარდება სასუნთქი გზების ანესთეზია, შემდეგ კი ბრონქების სანათურში შეჰყავთ საკონტრასტო ნივთიერება, რომელიც აკავებს რენტგენის სხივებს და აკეთებენ რენტგენოგრაფიას. შედეგად იღებენ ბრონქული ხის მკვეთრ გამოსახულებას. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, დავსვათ ბრონქების გაფართოების (ბრონქოექტაზიის), აბსცესის და კავერნის, მსხვილი ბრონქების სიმსივნური შევიწროების დიაგნოზი.

ფლუოროგრაფია — ფილტვების მასობრივი კვლევისას გამოიყენება. ესეც რენტგენოგრაფიის ერთ-ერთი სახეობაა.

პულმონოლოგიაში ფართოდ გამოიყენება კვლევის ენდოსკოპიური მეთოდებიც.

ბრონქოსკოპია ტრაქეისა და ბრონქების ლორწოვანი გარსის დასათვალიერებლად გამოიყენება. იგი სპეციალური ხელსაწყოთი — ბრონქოსკოპით ტარდება, რომელიც ადგილობრივი ანესთეზიის შემდეგ შეჰყავთ პირიდან ტრაქეაში. ბრონქოსკოპიას იყენებენ ბრონქების ლორწოვანი გარსის ეროზიის, წყლულის და სიმსივნის სადიაგნოსტიკოდ, პოლიპების მოსაშორებლად.

ნახველის გამოკვლევა საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ სუნთქვის ორგანოების პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობას.

ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდები კომპლექსური გამოკვლევისას გამოიყენება. მისი მეშვეობით, სუნთქვის უკმარისობა ადრეულ სტადიაზე, კლინიკური ნიშნების გაჩენამდე შეიძლება დავადგინოთ.

რაზეა დამოკიდებული სუნთქვის სისტემის სიჯანსაღე

- **ეკოლოგიაზე**

ცნობილია, რომ ყოველ 10 წელიწადში ფილტვებისა და ბრონქების დაავადებათა მქონე ადამიანების რაოდენობა ორმაგდება. დაავადებულნი გაცილებით მეტნი არიან ქალაქად, ვიდრე სოფლად.

- **მემკვიდრულობაზე**

ცნობილია, რომ თუ მშობლები ასთმიანები არიან, შვილებში ამ დაავადების განვითარების ალბათობა 70-80%-ია.

- **მავნე ჩვევებზე**

სუნთქვის სისტემა ვერ იტანს სიგარეტის კვამლს და ხანგრძლივად გაუნიავებელ შენობაში ყოფნას.

- **არჩეულ პროფესიაზე**

მავნე წარმოების მუშაკები პულმონოლოგთან მიღებაზე უფრო ხშირად ხვდებიან, ვიდრე ოფისში მომუშავენი.

ჭირვეულის მორჯულება

რა მოვუხერხოთ პატარას, რომელიც ერთი წუთითაც კი არ ჩერდება? როგორ აღვზარდოთ?.. თანამედროვე მედიცინა მიიჩნევს, რომ ჰიპერაქტიურობას მკურნალობა სჭირდება!

ასეთი ბავშვების პრობლემა უმთავრესად, პირველ კლასში იჩენს ხოლმე თავს. მანამდე მშობლები ფიქრობენ, რომ ასაკის მატებასთან ერთად, მათი შვილი დადინჯდება. მაგრამ სწავლის დაწყებისთანავე აღმოჩნდება, რომ პატარას საერთოდ არ შეუძლია თავის გაკონტროლება, გაკვეთილის მსვლელობისას საკლასო ოთახში სეირნობს, ბევრ შეცდომას უშვებს უყურადღებობის გამო, თავისი ქცევით სხვებსაც უშლის ხელს... და უკვე იმსახურებს იარლიყებს: ხულიგანი, უუნარო, უნიჭო.

სინამდვილეში ის ავადაა. მისი დიაგნოზია „ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი“ (ყდჰს) და ასეთი ბავშვი დღეს მსოფლიოში მილიონობითაა. რა მოვუხერხოთ მათ, ხშირად ექიმებმაც არ იციან.

ვინ არის დამნაშავე

ჩვილობისას პატარას მოუსვენრად ეძინა, ბევრს ტიროდა, შემდეგ საბავშვო ეტლიდან და სკამიდან გადმოხტომას ლამობდა, ძალიან ადრე დაიწყო ლაპარაკი; რომ წამოიზარდა, ისე გააქტიურდა, რომ მისი დამორჩილება შეუძლებელი იყო... სულ მოძრაობდა, დახოხავდა, მაგიდებსა და კარადებზე ადიოდა. 5 წლისა რომ გახდა, მისმა მოუსვენრობამ კიდევ უფრო იმატა. ეზოში სხვა ბავშვები მისგან შორს მიჰყავდათ დედებს სათამაშოდ. ის კი ყვირილით გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას. როცა დედამ სიმკაცრის გამოჩენა სცადა, კიდევ უფრო ცუდად იქცეოდა.

ახლა პატარას სკოლაში წასვლა უნევს. კითხვაც იცის და თვლაც, მაგრამ როგორ მოიქცევა გაკვეთილებზე? ის ხომ თავის ქცევას ვერ აკონტროლებს, მას რაღაც უხილავი ძალა მართავს.

ექიმის აზრით

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული სინდრომი ბავშვების 5%-ს აქვს, ამასთან, ბიჭებში 3-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებში. პრობლემა უფრო სერიოზულია, ვიდრე გვეჩვენება: ჰიპერაქტიური ბავშვები, თანატოლებთან შედარებით, უფრო ხშირად იღებენ ტრავმას, გარბიან შინიდან. ისინი ნიჭიერებიც არიან, მაგრამ ცუდად სწავლობენ, რადგან არ შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება; როგორც წესი, გადაჭარბებული თვითშეფასების გრძნობით გამოირჩევიან. ისინი ჯიუტები და აგრესიულები არიან. მათთვის არ არსებობს ავტორიტეტი, არ შეუძლიათ გუნდური პრინციპით მუშაობა და ძალიან იშვიათად განიცდიან დანაშაულის გრძნობას.

რა იწვევს ყურადღების დეფიფიტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომს? ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს დარღვევა რამდენიმე გენის დეფექტითაა გამოწვეული. ამის შედეგად ტვინში ნაკლები რაოდენობით გამომუშავდება დოფამინი (ნივთიერება, რომელიც მართავს შეკავების პროცესებს) და მეტი რაოდენობით — ნორადრენალინი, რომელიც ჭარბ აგზნებას იწვევს.

გარდა ამისა, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჰიპერაქტიურობა შეიძლება გამოიწვიოს ორსულობისას დედის მიერ სიგარეტის მოწევამ და ალკოჰოლის მიღებამ, ახალშობილობისას ტვინში სისხლჩაქცევების არსებობამ, ორსულობის გართულებებმა. სხვა მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ განმსაზღვრელი, სოციალური პირობებია: საზოგადოების აგრესიულობა, მშობლების პედაგოგიკური მოუქნელობა ხელს უწყობს ბავშვებში მემკვიდრული ჰიპერაქტიურობის გამოვლენასა და გაფურჩქნას.

არ დადასტურდა მოსაზრება, რომ ჰიპერაქტიურობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს შაქრის ჭარბად მიღება და ტელეგადაცემების საათობით ყურება.

როგორ ვუმკურნალოთ

განვითარებულ ქვეყნებში ჰიპერაქტიურობის სინდრომს დიდი ხანია, წარმატებით მკურნალობენ მედიკამენტებით, რომლებიც ასტიმულირებს დოფამინის გამოყოფას. მდგომარეობის გაუმჯობესება 70-90%-ში აღინიშნება, განსაკუთრებით — სკოლამდელი ასაკისა და დაწყებითი კლასის ბავშვებში.

ჩვენში კი ეს პრეპარატები არ შემოდის. ბევრ ექიმს მიაჩნია, რომ მათ მიმართ სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რადგან დოზის არასწორად შერჩევისას, შეიძლება შეჩვევა განვითარდეს. ჰიპერაქტიურობა ჩვენში ცალკე დაავადებად არც არის გამოყოფილი და მას სხვა ნევროლოგიურ პრობლემებთან ერთად განიხილავენ. ასეთ ბავშვებს ზოგჯერ ნოოტროპებით და დამამშვიდებელი საშუალებებით მკურნალობენ. უცხოელ სპეციალისტებს კი მიაჩნიათ, რომ ასეთი მკურნალობა არაკორექტულია.

როგორ ვასწავლოთ

ძალიან მნიშვნელოვანია ჰიპერაქტიური ბავშვის ინტელექტუალური განვითარება, მისთვის განათლების მიცემა, რათა, როცა გაიზრდება, მიხვდეს, რაც ხდება მის თავს და შეძლოს თავის გაკონტროლება. აშშ-ში დიდი ხანია მუშაობენ ჰიპერაქტიური ბავშვების პრობლემაზე — იქ მასწავლებლებს ასწავლიან ასეთ ბავშვებთან ურთიერთობის სპეციალურ ხერხებს.

მთავარია, რომ ჰიპერაქტიური ბავშვი ხშირად შეაქოთ — 5-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე შენიშვნას აძლევთ. შექება მიზანმიმართული უნდა იყოს — ბავშვს უნდა განუმარტოთ, რისთვის აქებთ.

უნდა ჩამოუწეროთ ყოველი დღის რეჟიმი: როდის რას გააკეთებს, როგორ დაისვენებს.

როგორც არ უნდა გაგაბრაზოთ ბავშვმა, ეცადეთ, დაიოკოთ ემოციები. თქვენი რეაქცია მას უფრო აღაგზნებს.

თქვენი მოთხოვნები და თხოვნები გარკვევით და გასაგებად ჩამოუყალიბეთ. ნუ შეეკითხებით: „რატომ არ უსმენ მასწავლებელს არასოდეს?“ უთხარით ამგვარად: „შენ უნდა მოუსმინო მასწავლებელს, როცა გაკვეთილს გიხსნის!“

ასეთ ბავშვებზე კარგად მოქმედებს წახალისება, დასაჩუქრება კარგი ქცევისთვის სულ უბრალო რამითაც კი, მაგალითად — მასწავლებლის დამხმარის როლით, მერხის არჩევის უფლებით, დღიურში შექების ჩანაწერის გაკეთებით...

ამერიკელ მასწავლებლებს მუდმივი კავშირი აქვთ ჰიპერაქტიური ბავშვების მშობლებთან — ყოველდღიურად ატყობინებენ მათ, როგორ იქცეოდა პატარა. მშობლები კი სისტემატურად იღებენ ფსიქოლოგიურ კონსულტაციებსა და რჩევებს, რათა გაუიოლდეთ ასეთი ბავშვის აღზრდის მეტისმეტად რთული პროცესი.

რას ამბობენ მეცნიერები

რასელ ბარკლი — *ფსიქიატრიის ფაკულტეტის პროფესორი (ნიუ-იორკი):*

— თუ ეს გენეტიკური დარღვევაა, ბავშვს მკურნალობა სჭირდება. ჩვენი მშობლები იოლად არ თანხმდებიან მედიკამენტურ მკურნალობაზე, მაგრამ სტიმულატორებით მკურნალობის შემუშავებული სქემა უსაფრთხოა — ეს უკვე დადგენილია. წამლის მიღება შეიძლება წლობით, უფროს ასაკშიც კი.

ჰანს ქრისტოფ შტაინჰაუზენი — *პროფესორი, ფსიქიატრი (ციურიხი):*

— შვეიცარიაში ჰიპერაქტიური ბავშვების სამკურნალოდ, იგივე მეთოდები გამოიყენება, რაც ამერიკაში. ევროპელ სპეციალისტთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ სინდრომის მედიკამენტური მკურნალობის შესახებ. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სტიმულატორებს სხვა პრეპარატებზე მეტი გვერდითი ეფექტი არ გააჩნია.

რობერტ კიტ მაკბერნეტი — *პროფესორი, ფსიქიატრი (სან-ფრანცისკო):*

— რაღა თქმა უნდა, ჰიპერაქტიურობისაგან არავინ დაიღუპება. ჰიპერაქტიურ ბავშვთა უმრავლესობა, ასე თუ ისე, ეგუება გარემოს და იკვალავს გზას ცხოვრებაში, მაგრამ მათ უამრავი სირთულე ხვდება და დახმარება სჭირდებათ. მკურნალობის დაწყება 6 წლის ასაკში გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ვთქვათ, 11 წლის შემდეგ. ■

ქართული ჩოგბურთის ისტორიაში უპრეცედენტო წინსვლა

ლაშა თაბაგარი

საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრებმა, თავისი არსებობის მანძილზე უპრეცედენტო წარმატებას მიაღწია და დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ეს ჩვენმა ვაჟებმა 22, 23 და 24 სექტემბერს ბუდაპეშტში, „რომაი ტენისაკადემიის“ კორტებზე შეძლეს. გელა ელერდაშვილის შეგირდებმა აღნიშნული ტურნირის ევრო-აფრიკული ზონის ნახევარფინალში უნგრეთის ნაკრებს 3:2 სძლიეს და წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. აქვე დავძენთ, რომ პირველი ჯგუფიდან ელიტურ 8 გუნდში მოსახვედრად უკვე ერთი ნაბიჯია დარჩენილი და ამის მიღწევა, ადრინდელის მსგავსად, უტოპია აღარ არის. ანგარიშის მიხედვითაც მიხვდებით, რომ ქართველებმა მეტისმეტად დაძაბული ორთაბრძოლა ჩაატარეს და საერთო გამარჯვება უკანასკნელ დღეს, ლადო ჩიხლაძის მიერ მოგებული გადამწყვეტი მატჩის შემდეგ მოიპოვეს. სხვათა შორის, მიმდინარე წელს ლადომ ასეთი რამ სამხრეთ აფრიკისა და პოლონეთის ნაკრებებთანაც შეძლო. ნახევარფინალის დაწყებამდე ფავორიტებად ქართველები მიიჩნეოდნენ, რაზედაც მათი სარეიტინგო მაჩვენებლები მეტყველებს. ამჟამად, ჩვენი გუნდის ლიდერი ირაკლი ლაბაძე მსოფლიო მასშტაბით 166-ე ჩოგანია, ხოლო ჩიხლაძე — 466-ე. რაც შეეხება ნაკრების მესამე წევრს, გიორგი ჭანტურიას, იგი რეიტინგში საერთოდ არ ფიგურირებს და აქედან გამომდინარე იყო, რომ ბუდაპეშტში კორტზე საერთოდ არ გამოსულა. შედარებისთვის, მასპინძელთა პირველი ჩოგანი, კორნელ ბარდოჩკი რეიტინგში მხოლოდ 550-ეა, ხოლო უნგრელთა მეორე ნომერს — სებო კიშის მსოფლიო კლასიფიკაციაში 820-ე ადგილი უკავია. უნგრელთა მესამე ჩოგბურთელი გიორგი ბალაში 1277-ეა, გერგელ კიშ-გიორგი კი რეიტინგში საერთოდ ვერ ხვდება.

მიუხედავად ამისა, პირველ დღეს ლაბაძემ კიშთან 1:6, 3:6, 6:2, 4:6 წააგო, ხოლო ჩიხლაძე ბარდოჩკისთან 4:6, 7:6, 1:6, 2:6 დამარცხდა. ქართველებმა მდგომარეობის გამოსწორება მეორე დღეს შეძლეს, როდესაც წყვილთა თანრიგში ლაბაძემ და ჩიხლაძემ 4:6, 6:0, 6:3, 6:2 ბარდოჩკი-კიშგიორგის დუეტს სძლიეს. მესამე დღეს, პირველი კორტზე ერთმანეთის პირისპირ ირაკლი და ბარდოჩკი წარდგნენ. ჩვენებურმა ხუთსეტიან დაძაბულ ორთაბრძოლაში 7:6, 6:1, 6:2, 1:6, 6:4 გაიმარჯვა. ლაბაძის დაწყებული საქმე ასევე წარმატებით, ჩიხლაძემ გააგრძელა, რომელმაც არანაკლებ რთულ ორთაბრძოლაში კიშის 7:6 (7:3), 7:6 (7:4), 6:7 (4:7), 6:2 სძლია.

ლეილა მესხი: „ბიჭებმა სასწაული მოახდინეს“

ნაჩვენები შედეგიდან გამომდინარე, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ქალბატონ **ლეილა მესხს** *ვესაუბრეთ.*

— დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში ასეთ წარმატებას თუ ელოდით?

— მართალი გითხრათ, წლის დასაწყისში ამის იმედი ნაკლებად გვქონდა. თუმცა თბილისში სამხრეთ აფრიკის ნაკრების დამარცხების შემდეგ, როდესაც ლაბაძემ და ჩიხლაძემ მაღალ დონეზე იასპარეზეს, მივიჩნიეთ, რომ პირველ ჯგუფში გადასვლის შანსი გვქონდა. მაშინ გამოჩნდა, რომ ჩვენ უკვე გვყავდა გუნდი, რომელიც შედეგის მიღწევას შეძლებდა. თავად ბიჭებიც ემოციურად თამაშობდნენ და სჯეროდათ, რომ უფრო მაღალ დონეზე გასასვლელად მზად იყვნენ.

— ბუდაპეშტში პირველი სათამაშო დღის შემდეგ, ალბათ იმედგაცრუებული იყავით...

— მსგავს შედეგს არავინ ველოდით და ჩვენი გათვლით ყველაზე ცუდი ანგარიში, რაც შეიძლება დაფიქსირებულიყო — 1:1 გახლდათ. იმ დღეს ჩოგბურთელებისთვის არ დამირეკავს და ლაბაძეს პირველად, წყვილთა თანრიგში გამარჯვების შემდეგ ვესაუბრე. მან მითხრა კიდეც, — კარგი ქენი, მაშინ რომ არ შემეხმიანეო და შემპირდა, უნგრელების დასამარცხებლად ყველაფერს გავაკეთებთო.



ლაბაძეს პირველად, წყვილთა თანრიგში გამარჯვების შემდეგ ვესაუბრე

— რით ახსნით, რომ შეჯიბრების დასასწყისში საკუთარი შეხვედრა ლაბაძემაც წააგო და ჩიხლაძემაც?

— ჩემი აზრით, ირაკლის ეგონა, მეტოქეს ადვილად მოუგებდა და თამაშისთვის სათანადოდ ვერ განეწყო, რაც საბოლოოდ, მისთვის ცუდად დამთავრდა. ეტყობა, ჩიხლაძე ლაბაძის ასეთ თამაშს არ ელოდა და თავადაც სუსტად გამოვიდა. თუმცა მომდევნო შეხვედრებში ორივეს კონცენტრაცია უფრო და უფრო მაღალი გახლდათ და მათ სასწაულის მოხდენა შეძლეს. ჩვენ უნგრელებისთვის აუცილებლად უნდა მოგვეგო და კარგია, რომ ყველაფერი ასე მოხდა.

— ჩვენმა გუნდმა თამაშის შემოტრიალება რის ხარჯზე შეძლო?

— ვფიქრობ, ჩვენს ჩოგბურთელებს სჯეროდათ, რომ საბოლოო ჯამში გამარჯვებულები დარჩებოდნენ და ასევე გადამწყვეტი როლი ითამაშა. თუმცა უნგრეთის ნაკრები იოლად დასამარცხე-

ბელი გუნდი ნამდვილად არ იყო, რაც გამოჩნდა კიდეც. ცხადია, ლაბაძისა და ჩიხლაძის მაღალმა სათამაშო დონემაც დიდი როლი ითამაშა...

— რას იტყვით ჩიხლაძეზე — რომელიც, დაგვეთანხმებით, კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს?

— წელს ლადომ ფანტასტიკური შედეგი აჩვენა და თამაშის ხარისხი ათმაგად გააუმჯობესა. იმედი მაქვს, ძალიან მალე, მას სერიოზულ ტურნირებზე ვიხილავთ. ამის თქმის საშუალებას ჩიხლაძის პოტენციალი მაძლევს. მან უკანასკნელ ერთ წელიწადში დიდი ნახტომი გააკეთა და ამჟამად, საკუთარ შესაძლებლობებში, ადრინდელზე ბევრად უფრო დარწმუნებულია.

— საქართველოს ნაკრებისთვის პირველ ჯგუფში თამაში რამდენად მნიშვნელოვანია?

— დევისის თასის გათამაშების უმაღლეს ლიგაში რვა გუნდია, ჩვენ კი საუკეთესო 24 ნაკრებს შორის მოვხვდით, რომელთა შორის ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები ფიგურირებენ, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, იტალია, ჰოლანდია... მათთან შედარებით საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საჩოგბურთო ქვეყანა ვართ. პირველ ჯგუფში საპრიზო ფონდი გაცილებით სერიოზული იქნება და ბიჭებიც მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებენ. თან თანხა, რომელიც ფედერაციაში შემოვა, ახალი თაობის აღზრდას მოხმარდება. საერთო ჯამში, იქ თამაში საქართველოში ჩოგბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს.

— მიღწეულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჩოგბურთი პროგრესირებს?

— საქართველოსთვის ეს მართლაც მნიშვნელოვანი შედეგია, რომლისკენაც დიდხანს ვისწრაფოდით. ჩვენი ჩოგბურთი რომ ვითარდება, ამას წელს იუნიორებში, სამ საუკეთესო სპორტსმენს შორის ეკა გორგოძის მოხვედრაც მოწმობს. იგივე ოქსანა კალაშნიკოვამ, რომელიც 16 წლის გახლავთ, 18-წლამდელთა ამერიკის ღია პირველობაზე იასპარეზა. მაკა ჩახნაშვილი წლის დასაწყისში მე-400 ადგილზე იმყოფებოდა და ამჟამად 153-ეზეა.

— ქართული ჩოგბურთის წინსვლას, ცხადია, იან ჰომერის სახელობის ახალგახსნილი საჩოგბურთო კომპლექსიც შეუწყობს ხელს...

— რა თქმა უნდა. ამხელა კომპლექსი საქართველოში აქამდე არ ყოფილა. იქ მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირების ჩატარება შეიძლება, რაც ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვის ერთობ ხელსაყრელი იქნება.



ლადომ ფანტასტიკური შედეგი აჩვენა და თამაშის ხარისხი ათმაგად გააუმჯობესა

■

ნათელმხილველი, რომელმაც დანგრევას არამრთი ოჯახი გადაარჩინა

დედა მარიას ლოცვების შემდეგ, გოგონები რამდენიმე კვირაში თხოვდებიან

ნათელმხილველმა ლია ხუციშვილმა ეს ნიჭი შთამომავლობით მიიღო. მისი ბებია, ასევე ცნობილი ნათელმხილველი ყოფილა. ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც საკუთარი მომავლის წინასწარ განჭვრეტა არ სურს, თუმცა, ბევრ მათგანს არ სჯერა მკითხაობის, მისნობის, ნათელმხილველობის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონ ლიას ბევრი ადამიანი ემადლიერება. ის ხსნის ჯადოს, ავ თვალს, ჩაკეტილ ბედს, ამზადებს დამცავ თილისმებს და ხშირად, მოსალოდნელ სიკვდილსაც აშორებს ადამიანს. მან, თავისი ნიჭის წყალობით და შელოცვებით, არაერთი ოჯახი გადაარჩინა დანგრევას. ქალბატონ ლიას უამრავი ადამიანი ემადლიერება — პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები მასთან რჩევის საკითხავად მიდიან და მას, ზოგიერთი მათგანი — პარაფსიქოლოგს, ზოგი კი, დედა მარიას ეძახის.

— ქალბატონო ლია, ხალხი ძირითადად, რა პრობლემებით მოდის თქვენთან?

— მოდიან ათასი პრობლემის გამო — ზოგს ჯადო აქვს გაკეთებული, ზოგს ბედი აქვს ჩაკეტილი და ა.შ. მაგრამ ამ ბოლო დროს, მოდიან ადამიანები, რომლებსაც ნევროზი აქვთ. ისინი ძირითადად ახალგაზრდები არიან და მინდა გითხრა, რომ მათ ლოცვების გარდა ვერაფერი უშველის, ამ ნევროზს ვერანაირი ექიმი ვერ განკურნავს, იმიტომ, რომ ამ ახალგაზრდებზე ეშმაკი ბატონობს.

— ჯადოს და ჩაკეტილ ბედსაც ლოცვებით ხსნით?

— რა თქმა უნდა. ეს არის ქრისტიანული ლოცვა, რომელიც წმინდა ბარბარეს გამოცხადების შემდეგ ვისწავლე. ხშირად ახალგაზრდებს 3-4 წლის განმავლობაში ჰყავთ შეყვარებულები, მაგრამ მათ ქორწინებას ხელს რაღაც უშლის, ბედი აქვთ ჩაკეტილი.

— ასეთ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდებს როგორ ეხმარებით?

— მათთვის ვლოცულობ და შედეგიც არ იგვიანებს. ამას წინათ, ჩემთან მოვიდა ქალბატონი, რომელსაც გასათხოვარი შვილი ჰყავდა. მართალია, გოგონა ძალიან ლამაზი იყო და თაყვანისმცემლები არ აკლდა, მაგრამ მას გათხოვებაში ხელს რაღაც უშლიდა. მე მისთვის ვილოცე და რამდენიმე დღის წინ, დედამისი ჩემთან გახარებული მოვიდა — დიდი მადლობა, თქვენი ლოცვების დახმარებით შვილი გამიბედნიერდაო.

— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ჯადო გვაქვს გაკეთებული?

— ამის შემჩნევა ადვილია — ამ დროს, ადამიანი სახლიდან უმიზეზოდ გარბის, ჩხუბობს, ოჯახის წევრები ეზიზღება. ამასთან ერთად, ხშირად ავადმყოფობს — აქვს გულის რევის შეგრძნება, ეწყება თავის ტკივილი და ა.შ. ასეთ ადამიანებს ვაძლევ თილისმას, რის შემდეგაც, ყველაფერი თავის ადგილას დგება... ხშირ შემთხვევაში, ჯადო ჩვენზე წინაპრებიდან გადმოდის და ის 5 წელიწადში ერთხელ მაინც, ვიღაცას შეიწირავს ხოლმე. ერთხელ ჩემთან ახალგაზრდა კაცი მოვიდა, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა. მას ვთხოვე — სახლში რომ მიხვალ, დიდი ხის ქვეშ მიწა ამოთხარეთ, იქ ჯადოს იპოვით და ამას თუ არ გააკეთებ, ის ვიღაცას აუცილებლად შეიწირავს-მეთქი. მას ეტყობა, რუსეთში წასვლა ეჩქარებოდა და არ დამიჯერა. რამდენიმე კვირის შემდეგ მომადგა და მითხრა: რატომ არ დაგიჯერეთ, მამაჩემი გარდაიცვალა და რომ ჩამოვედი, იმ ხის ძირას მართლაც ვიპოვეთ რაღაცებიო.

— თქვენთან ცნობილი ადამიანებიც დადიან?

— დადიან პოლიტიკოსები, ექიმები, ბიზნესმენები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც სხვადასხვა პრობლემა აქვთ. ისინი პროგნოზების გაკეთებას მთხოვენ და რჩევებს იღებენ... ამ ბოლო დროს, ხალხი ძალიან გაბოროტდა, თითქოს, ყველას ერთად დაეუფლა ეშმაკი. გოგონები ცოლშვილიან მამაკაცებზე „ნადირობენ", იმას კი არ ფიქრობენ, რომ ასეთი საქციელის გამო დაისჯებიან. სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება ყოველთვის ხანმოკლეა და ამისთვის სინდისის დამძიმება ნამდვილად არ ღირს.

— როგორ ფიქრობთ — რა გადაგვარჩენს?

— გადავრჩებით იმ შემთხვევაში, თუ ვიქნებით კეთილები, არ ვიქნებით შურიანები, უნდა ვიყოთ ეკლესიურები და ვილოცოთ.

მის: დ. გურამიშვილის №48 (მ. „ღრმაღელესთან"), II სად, V სართ. ბ. №40, ტელ: 69-60-00; 61-87-21; 8(93) 21-52-33.

R

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-38

სამართალდამცველებთან შეხლა-შემოხლისას, ნაპატიმრალი ზაზა გორგაძის მკვლელობის დასაფარავად, კრიმინალური პოლიციის უფროსი მერაბ მესხი მის ძმას ვახოს და ინციდენტის მომსწრე მის მეგობარს გიო ჭელიძეს აპატიმრებს. მკვლელობის გამოაშკარავებამდე, მესხი ცდილობს, დაარწმუნოს გიო, რომ ხელი აიღოს კრიმინალ მეგობართან ურთიერთობაზე, ყველაფერი, რაც იმ საღამოს ნახა, დაივიწყოს და მშვიდად იცხოვროს. მაგრამ ცოტა ხანში, მკვდარ ზაზას იპოვიან და გიო ცდილობს, მესხი ამხილოს. მას დაუყოვნებლივ დააკავებენ, მეორე დღეს კი, ბინის ჩხრეკისას, მისი საწოლის ლეიბქვეშ ნარკოტიკს „აღმოაჩენენ“...

— რა გაკავშირებს ჭელიძესთან?! — მერამდენედ დასმული კითხვა გაიმეორა მესხმა და ამასთან ერთად რეზინის ხელკეტი მთელი ძალით დაჰკრა მაგიდას.

ვახო ინსტინქტურად გაერიდა დარტყმას, უკან გადაქანდა და მერაბს ბრაზით სავსე მზერა მიაპყრო.

— თვალებს ნუ მიბრიალებ, ახვარო! — გაღიზიანდა მესხი. — მიპასუხე, რა გაკავშირებს ჭელიძესთან?

— არაფერი... — ჩახლეჩილი ხმით ჩაილაპარაკა ვახომ.

— არაფერი?! — საუბარში მაგიდის საპირისპირო მხარეს მყოფი ომარ ბრეგვაძე ჩაერთო. — შენ რა, იმის თქმა გინდა, რომ საერთოდ არ იცნობ მას?

— ვიცნობ... უბრალოდ, მეზობელია და მეტი არაფერი. ასე მე მთელ უბანს ვიცნობ... — მხრები აიჩეჩა ვახომ.

— მე უბანი არ მაინტერესებს. ჭელიძეზე გეკითხები, — განაგრძო მესხმა, — რა, შენი ძმაკაცი არ არის?

— არა, — თავი გააქნია ვახომ.

— მაშ ვინ არის, დაქალი?! — ჩაიცინა მესხმა. — ბიჭო ცისფრები ხომ არ ხართ?.. თუ ხართ, თქვი. ეგ „გრეხი“ აღარ არის, პირიქით მაგარი მოდურიც კია!..

ვახომ პასუხად მხოლოდ ზიზღით სავსე მზერა დაუბრუნა.

— დავიწყოთ თავიდან... — მესხმა საქმიანი იერით შეათამაშა ხელკეტი. — რა გაქვთ საერთო შენ და ჭელიძეს?

— უკვე გიპასუხე, რომ უბნელია და მეტი არაფერი, — დაღლილი ხმით უპასუხა ვახომ, — ჩემს ძმასთან მეგობრობს და ამიტომაც, დროდადრო გვიწევს შეხვედრა...

— ა-ა, ესე იგი, შენი ძმის „პადელნიკია“!.. — კმაყოფილი ხმით აღნიშნა ბრეგვაძემ.

— „პადელნიკი“?.. — გაოცებული სახით შეხედა ვახომ.

— და შენი „პადელნიკიცაა“, — დაამატა მესხმა.

— რა გინდათ? რაში გვადანაშაულებთ მე და ჩემს ძმას? — იკითხა ვახომ.

— თვითონ ვერ ხვდები? — გაწელა მესხმა.

— ვერა, — თავი გააქნია ვახომ.

— ბიჭო, სულელები ხომ არ გგონივართ?! — იფეთქა ბრეგვაძემ. — ეგ შენ და შენს ახვარ ძმას გგონიათ, რომ არაფრის აზრზე არა ვართ. არა, ძმაო! ჩვენ ყველაფერი ვიცით — ვინ რით სუნთქავს ამ უბანში!..

— მერედა, რა?

— შენი და შენი ძმის თაობაზე ყველაფერი „გაიასნებული“ გვაქვს. ახლა მხოლოდ ერთი რამ გვაინტერესებს, — განაგრძო მესხმა, — გეხმარებოდათ თუ არა ჭელიძე „ბარიგობაში“?

— რაში?! — გაოგნდა ვახო.

— „ბარიგობაში“! რა, პირველად გესმის ეს სიტყვა?!. — ბრაზით ისროლა მესხმა.

— რა გინდათ ჩემგან?! — დაიძაბა ვახო.

— შენმა ძმამ უკვე აღიარა, რომ ერთად „ასოხარებდით“ წამალს. ახლა შენი ჯერია, — უპასუხა მესხმა.

— არაფერი მაქვს სათქმელი, — ცივად მიუგო ვახომ.

— შენ რა, იმის თქმა გინდა, რომ შენმა ძმამ „ტრუხა“ ჩვენება შემოგვტენა და შენ და ჭელიძეს არაფერი გაკავშირებთ ამასთან?! — ამ სიტყვებთან ერთად, მესხმა მაგიდაზე პოლიეთილენის შეკვრა დადო.

— ეს რა არის? — ვახომ დაძაბული მზერა მიაპყრო შეკვრას.

— ეს შეკვრა ჭელიძის ბინიდან ამოვიღეთ. იცნობ ამ აბებს? — ჩაერთო ბრეგვაძე.

— არა, — იუარა ვახომ.

— სუბუტექსია, — დააზუსტა ბრეგვაძემ, — არ გაინტერესებს, ვისი მითითებით გავჩხრიკეთ ჭელიძის ბინა?..

— არა, — ცივად მოუჭრა რეზომ.

— თვითონაც კარგად ხვდები, ვინც ჩაუშვა ჭელიძე და შენც ვისი წყალობით აღმოჩნდი აქ... — ჩაიცინა მესხმა. — შენმა ძმამ „ჩაგაგირავათ“, ჯიგარო!..

— ტყუილია! — ხმას აუწია ვახომ.

— რა არის ტყუილი? — ჩაეძია მესხი.

— ჭელიძეს არაფერი აკავშირებს სუბუტექსთან!.. და ჩემი ძმაც არასოდეს მისცემდა ასეთ ჩვენებას!..

— შენ?

— რა, მე?

— შენ რა გაკავშირებს ამ საწამლავთან?

— არაფერი.

— მაშინ რა გამოდის — შენმა ძმამ შეცდომაში შეგვიყვანა?! — მესხმა ავად დააკვესა თვალები.

— ჩემს ძმას ასეთი ჩვენება არ მოუცია!..

— მაშ, ეს რა არის?.. — თქვა მესხმა და საქაღალდიდან დაკითხვის ოქმი ამოიღო.

— რა არის? — ოქმს დააკვირდა ვახო.

— შენი ძმის ჩვენებაა. აჰა, შენი თვალით წაიკითხე, — მესხმა ოქმი ვახოს გადასცა.

ვახომ სწრაფად გადახედა ოქმის ზედა ნაწილს, სადაც დასახელებული იყო ჩვენების ავტორის ვინაობა და როდესაც დარწმუნდა, რომ ეს სწორედ მისი ძმის ჩვენება იყო, ტექსტის კითხვას შეუდგა.

„თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე და ჩემი ძმა, რეზო გორგაძე სისტემატურად ვეწეოდით სუბუტექსით ვაჭრობას, რაშიც ჩვენს მეზობლად მცხოვრები გიორგი ჭელიძეც გვეხმარებოდა. ასევე გიპასუხებთ, რომ ორი დღის წინ მე რეალიზაციისთვის გიორგი ჭელიძეს გადავეცი ათი აბი სუბუტექსი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აღნიშნულ სუბუტექსს ჭელიძე თავის საცხოვრებელ ბინაში ინახავს...“

— რას იტყვი?.. სიმართლე გვითხრა შენმა ძმამ თუ არა?.. — მესხი საქმიანი გამომეტყველებით წაეტანა დოკუმენტს.

— ეს ჩემი ძმის ჩვენება არ არის. ზაზას არაფერი აკავშირებს სუბუტექსთან!.. — აღელდა ვახო.

— შენს ძმას შეეშვი და საკუთარ „გრეხებზე“ ილაპარაკე!.. — ცივად მოსხიპა მესხმა. — ოქმი მომეცი.

პასუხად ვახო უკან გადაქანდა და ოქმი ხელის სწრაფი მოძრაობით ნაფლეთებად აქცია.

— ა-ა... ასე, არა, ნაბიჭვარო!.. — გააფთრებულმა შეჰყვირა მესხმა და ხელკეტი მოიქნია. მხარში მოხვედრილმა დარტყმამ ვახო ოთახის საპირისპირო მხარეს მოისროლა, მაგრამ მესხი ამის შემდეგაც არ შეჩერებულა. ერთი ნახტომით აღმოჩნდა წაქცეულ ვახოსთან და ხელკეტი კიდევ რამდენჯერმე ჩაარტყა.

— კარგი... კარგი... საკმარისია!.. — ბრეგვაძე მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ წამოდგა. მან მესხი ხელის კვრით მოაშორა ვახოს და შემდეგ, წაქცეულს ადგომაში დაეხმარა.

— შენ აზრზე არა ხარ, რა მაგრად გაიჩალიჩე! — მესხმა ოქმის ნაფლეთები აუჩქარებლად წამოკრიბა იატაკიდან და მერე დაამატა: — როგორ გგონია, ნაბიჭვარო, შენი ძმა აღარ გაიმეორებს უკვე მიცემულ ჩვენებას?!

— დამაპირისპირე ჩემს ძმას. მინდა, საკუთარი ყურით მოვისმინო მისი აღიარება! — კატეგორიული ტონით მოითხოვა ვახომ.

— აქ შენ არ იძლევი განკარგულებებს. როცა საჭირო იქნება, დაგაპირისპირებ!.. აღიარებ თუ არა, რომ შენს ძმასთან ერთად „ბარიგობდი“?

— არა, — თავი გააქნია ვახომ.

— კეთილი... ჯერ შენს ძმას გავესაუბრები და ახალი ჩვენების მიღების შემდეგ, ყველაფერს ბოლომდე „გაგიიასნებ“! — მუქარით ისროლა მესხმა. შემდეგ ბრეგვაძეს ანიშნა, გამომყევიო და კარისკენ წავიდა.



მესხისა და ბრეგვაძის გასვლის შემდეგ, დაკითხვის ოთახში მათი თანამშრომელი კახა რევიშვილი შემოვიდა.

— რით გააცოფე ბიჭები?.. — მეგობრული იერით ჰკითხა ვახოს და მის პირისპირ სკამზე ჩამოჯდა.

— არაფრით, — უხალისოდ მიუგო მან.

— შენ აგიყვანეს ჭელიძის საქმეზე? — განაგრძო რევიშვილმა..

— არ ვიცი, რისთვის ამიყვანეს, — პასუხს თავი აარიდა ვახომ.

— მოსწიე... — კახამ სიგარეტი და სანთებელა გაუწოდა ვახოს, შემდეგ ახლოს მიიწია და ჩურჩულით დაამატა: — არ გინდა, მერაბს ნუ დაუპირისპირდები. ახალგაზრდა კაცი ხარ. თუ გაჯიქდი, აღარ დაგინდობს, „გაგაფუჭებს“!..

— მე არავის ვუპირისპირდები და საერთოდ, აზრზეც არა ვარ, რა უნდათ ჩემგან.

— მომისმინე... — ჩურჩულით განაგრძო რევიშვილმა. — ეს საქმე პირადად მე არ მეხება, მაგრამ რაღაცრაღაცები ვიცი, შენც გიცნობ, უბნიდან და არ მინდა, რომ ცუდი რამ შეგემთხვას...

— მაშინ, შენს ძმაკაცს უთხარი, მე და ჩემს ძმას თავი დაგვანებოს...

— დაგანებებს. შენი „გაფუჭება“ მართლაც, არ უნდა, მაგრამ შენც უნდა დაეხმარო.

— დავეხმარო?!. — გაუკვირდა ვახოს. — რაში უნდა დავეხმარო?..

— დაეხმარე შენს აქედან გაყვანაში, — სწრაფად უპასუხა რევიშვილმა.

— რა უნდა გავაკეთო?

— არ დაგიმალავ... შენმა ძმამ მართლაც, შორს შეტოპა. ჭელიძეც აჰყვა. მათი საკითხი უკვე გარკვეულია, მაგრამ შენ რისთვის უნდა „გაიტისკო“?..

— რას ნიშნავს, შეტოპა?.. — ჰკითხა რეზომ.

— სუბუტექსით „ბარიგობა“, შეტოპვაცაა და უფრო მეტიც!..

— ჩემი ძმა „ბარიგა“ არ არის!..

— ახლა ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. მთავარია ჩვენება, რომელიც მესხმა მიიღო... — მკაფიოდ წარმოთქვა რევიშვილმა.

— როგორ თუ არა აქვს?! — ბრაზი მოერია ვახოს. — რა, შეტენილი საქმით უნდა წავიდეს „სროკზე“?!

— რასაც ახლა გეტყვი, ჩვენ შორის უნდა დარჩეს, — კახამ პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო: — მესხმა შენი ძმა და ჭელიძე ბევრჯერ გააფრთხილა, მაგრამ ვერაფერი შეაგნებინა. აქედან წამოვიდა ეს საქმეც: სხვანაირად თუ ვერა, ასე მაინც მოაშორებს უბანს!..

— ჩემი ძმა არაფერს აშავებს!.. ჭელიძე კი, საერთოდ, შორს დგას ასეთი საქმეებისგან!..

— ასეა თუ ისე, მათ მესხი შეაწუხეს და შენც ჩაგითრიეს ამ უსიამოვნებაში!.. — ჩაილაპარაკა რევიშვილმა. — საქმე ცუდად არის, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს შენი გადარჩენის შანსი. ხვდები, როგორ „დაპრესეს“ შენი ძმა ამ ჩვენების მისაღებად?.. ამის შემდეგ, ზაზა ყველაფერს დაწერს, რასაც მესხი მოსთხოვს!..

ვახომ უნდობლობით სავსე მზერა მიაპყრო. მართალია, მესხისგან განსხვავებით, რევიშვილი მშვიდი ტონით ლაპარაკობდა, არაფერს სთხოვდა და თავი მეგობრულადაც კი ეჭირა, მაგრამ მას მაინც არ სჯეროდა პოლიციელის, თუმცა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ სულ ცოტა ხნის წინ, რევიშვილი გვერდით ოთახში სწორედ ასე ელაპარაკებოდა გიოს.

— ნუ მიყურებ გაოცებული, — მშვიდად განაგრძო რევიშვილმა, — მესხმა თუ მოინდომა, ზაზასგან ისეთ ჩვენებასაც მიიღებს, რომელშიც შენი გვარი აღარ იქნება!..

— აღარ იქნება? — ჩაილაპარაკა ვახომ.

— აღარ იქნება... ხვდები, რაზე ვლაპარაკობ?.. — რევიშვილმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი. — მაგრამ ამაში შენ უნდა დაეხმარო...

— როგორ? — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ვახომ.

— დაუდასტურე, რომ ჭელიძე მართლაც, ყიდდა შენი ძმის სუბუტექსს!..

— ჩემს ძმას სამარე გავუთხარო?! — ხმას აუწია ვახომ.

— არიფივით მსჯელობ, — შენიშნა რევიშვილმა.

— რა შუაშია არიფივით მსჯელობა?

— შენ რა გგონია, მესხი მართლა „ბარიგობის“ მუხლით გაუშვებს „სროკზე“?..

— მაშინ რისთვის აგვიყვანა? — გაუკვირდა ვახოს.

— არა, ძმაო... — თავი გააქნია რევიშვილმა. — მესხი პირდაპირი და უხეში კაცია, მაგრამ „ბესპრედელი“ თვითონაც არ უყვარს. ახლა შენმა ძმამ იცის, რომ ორივე ფეხითაა გაბმული ხაფანგში და მესხის ყველა პირობას მიიღებს. ის ჩვენება კი, ისევ შეიცვლება. შენი სახელი ჩვენებიდან ამოვარდება. ამოვარდება წამალიც და დარჩება რომელიმე უმნიშვნელო საქმე... ბინის ქურდობა ან რაიმე ამდაგვარი... ხვდები, რაზეა ლაპარაკი?..

— დაახლოებით, — პაუზის შემდეგ მიუგო ვახომ.

— კარგია, ერთმანეთის რომ გვესმის. თანაც, „სროკზე“ ჭელიძეც არ წავა. რაც არ უნდა იყოს, ახალგაზრდაა. რა მოხდა, შეცდომა დაუშვა ბიჭმა. ეს მის-

თვის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იქნება...

— ჩემი ძმა?.. — შეაწყვეტინა ვახომ.

— შენი ძმა კარგად იცნობს სისტემას. ის ჩამოყალიბებული „პრისტუპნიკია“ და იცის, რომ გარეთ არავინ გააჩერებს. „წაიღებს“ ერთ-ორ საქმეს და სამი-ოთხი წლით ჩაჯდება...

— ესე იგი, შენ მესხის წესებით თამაშს მირჩევ?.. — ვახომ თვალი გაუსწორა თანამოსაუბრეს.

— გირჩევ... — დაუდასტურა მან. — თუ გინდა, ახლავე დავუძახებ და გავაგრძელოთ საქმეზე ლაპარაკი... მერაბი კაი ტიპია, პატივისცემის ფასი იცის...

— არა! — ცივად შეაწყვეტინა ვახომ.

— რა, არა? — დაიძაბა კახა.

— ვიდრე ჩემს ძმას არ დამაპირისპირებს, ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი! — კატეგორიული ტონით თქვა ვახომ.

— დაფიქრდი, რას ამბობ!.. შენ არა ხარ იმ მდგომარეობაში, როდესაც შეგიძლია, მესხს იქით წაუყენო პირობები...

— მაინც უარს ვეტყვი!

— შენი საქმისა შენ იცი, მე ყველაზე კარგი რჩევა მოგეცი, მაგრამ... — რევიშვილმა აღარ დაასრულა, გულგრილი იერით ჩაიქნია ხელი და სიგარეტს მოუკიდა.

ორიოდე წუთში მესხი დაბრუნდა. ვახო ყურადღებით ადევნებდა თვალს კრიმინალური პოლიციის უფროსსა და მის თანამშრომელს და შეუმჩნეველიც არ დარჩენია რევიშვილის ჟესტი. მან, უარყოფის ნიშნად, მძიმედ გააქნია თავი, რითიც მესხს მიახვედრა, რომ შედეგს ვერ მიაღწია.

— ისევ ძველ ტალღაზე ხარ? — მიუბრუნდა მესხი ვახოს.

— ჰო, — დაუდასტურა მან.

— კეთილი... ესე იგი, ამტკიცებ, რომ ეს შეკვრა ადრე არასოდეს გინახავს და არც შეხებიხარ? — განაგრძო მესხმა.

— ვადასტურებ, — უყოყმანოდ უპასუხა ვახომ.

— ამაზე შენი თითების ანაბეჭდი რომ აღმოჩნდეს, რას იტყვი?.. — მზერა გაუსწორა მესხმა.

— საიდან აღმოჩნდება, როდესაც არასოდეს შევხებივარ?!. — გაიკვირვა ვახომ.

— მაინც რომ აღმოჩნდეს?!.

— არ აღმოჩნდება!

— დარწმუნებული ხარ?..

— დარწმუნებული ვარ!

— კეთილი. მაგრამ გაფრთხილებ, ამ შეკვრაზე შენი ტურტლიანი თითების კვალი რომ აღმოვაჩინო, ვეღარაფერი გიშველის!.. — ბრაზიანად ჩაილაპარაკა მესხმა, შემდეგ, ბრეგვაძეს უბრძანა: თითის ანაბეჭდები აუღეო.

ბრეგვაძე ორიოდე წუთით გავიდა ოთახიდან. უკან დაბრუნებულმა, მაგიდაზე საშუალო ზომის ხელჩანთა შემოდო, საიდანაც რაღაც შავი ნივთიერებით სავსე ქილა ამოიღო და ვახო თავისთან მიიხმო.

ჭელიძე უხმოდ მიუახლოვდა პოლიციელს და მის გვერდით დადგა.

— ხელები!.. — განკარგულება გასცა ბრეგვაძემ.

ვახომ ხელები გაუშვირა. ბრეგვაძემ



თითებზე შავი ნივთიერება წააცხო და ქაღალდის ფურცელზე მიუთითა: ქვედა ნაპირს თითები დააბჯინეო. ვახომ ეს განკარგულებაც შეასრულა და ფურცელის ქვედა ნაწილზე დააჭირა თითები. ფურცელზე მისი თითის ანაბეჭდების მკაფიო გამოსახულება დარჩა.

— ეს ხომ შენი თითის ანაბეჭდებია?! — ჰკითხა მესხმა.

— ჰო, — მოკლედ დაუდასტურა ვახომ.

— რამეში ეჭვი ხომ არ გეპარება?

— არა.

— მაშინ, ანაბეჭდების ზემოთ ხელი მოაწერე, — უბრძანა მესხმა.

ვახომ უნდობლობით სავსე მზერა მიაპყრო და ჰკითხა:

— რისთვის?..

— ასეთი წესია... შემდეგ, საჩივრებით რომ არ აიკლო პროკურორი: ეს ჩემი თითის ანაბეჭდები არ არისო!.. დაადასტურე, რომ ანაბეჭდები ნამდვილად შენ გეკუთვნის. მერე ამ შეკვრას გამოვიკვლევთ და თუ ზედ შენი ანაბეჭდები აღმოვაჩინე, მაგრად დაგერხევა, თუ არა და — მე შენთან არანაირი პრეტენზია აღარ მექნება. თანახმა ხარ?..

— თანახმა ვარ, — თავი დაუქნია ვახომ და ფურცელს ხელი მოაწერა, მაგრამ იმავე წამს იგრძნო, რომ რაღაც შეცდომა დაუშვა: ამას მესხის კმაყოფილმა მზერამ მიახვედრა. მერაბმა სწრაფად დაავლო ხელი ფურცელს, კაბინეტის კარისკენ დაიხია, ფურცელს ნათურის სინათლეზე გახედა, შემდეგ კი ვახოს მიუბრუნდა და დამცინავად მიუგდო:

— ესე იგი, არაფერი გაკავშირებს სუბუტექსით „ბარიგობასთან“, არა?..

ვახომ უპასუხოდ დატოვა კითხვა.

— ამასაც ვნახავთ... — ჩაილაპარაკა მესხმა და რაღაც ანიშნა ბრეგვაძესა და რევიშვილს.

ისინი სწრაფად მიუახლოვდნენ ვახოს, მკლავებში ჩაავლეს ხელები და ოთახის საპირისპირო მხარეს გადაიყვანეს.

როგორც კი ვახო მისგან საკმაო მანძილზე აღმოჩნდა, მესხი მაგიდას მიუჯდა, ფურცელი წინ დაიდო და ზედ დაიხარა. რას საქმიანობდა მესხი, ვახოსთვის გაურკვეველი იყო. მისი ფართო ბეჭები მაგიდის ნაწილსა და ფურცელს ფარავდა. მან მხოლოდ ქაღალდის გახევის ხმა გაიგონა, რის შემდეგაც, მესხი ისევ ადგა და მისკენ შებრუნდა. სწორედ მაშინ მოჰკრა თვალი ვახომ ორ ნაწილად გახეულ ფურცელს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ მოაწერა ხელი. მესხს ცალ ხელში მხოლოდ ფურცლის ის ვიწრო ნაწილი ეჭირა, რომელზეც ვახოს თითების ანაბეჭდები იყო, მეორეში კი — ფურცლის ის ნაწილი, რომელზეც მისი ხელმოწერა მოჩანდა.

— რას ნიშნავს ეს?! — დაძაბული სახით იკითხა ვახომ.

— იმას, რომ მაგრად დაგერხა, ახვარო!.. — ამ სიტყვებთან ერთად, მესხმა ქაღალდის ანაბეჭდებიანი ნაჭერი ნაკუწებად აქცია და ოთახის კუთხეში მოისროლა, ხოლო ის, რომელზეც ხელმოწერა იყო, საქაღალდეში შეინახა.

იმის შეგნებამ, რომ ახლა მესხს მისი ხელმოწერიანი, სუფთა ფურცელი ჰქონდა, ვახოს შიში მოჰგვარა.

— რას აკეთებ?! — აკანკალებული ხმით დაადევნა მესხს, რომელმაც საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა და კარისკენ დაიძრა.

— შენ როგორ გგონია?.. — ცივად ჰკითხა მან.

— რატომ დახიე ჩემი თითის ანაბეჭდები?

— დავხიე?.. — გაიკვირვა მესხმა.

— ჰო, დახიე!

— თქვენ მსგავსი რაიმე დაინახეთ?.. — გახედა თანამშრომლებს მესხმა.

— არა, — მშვიდად უპასუხეს მათ.

— ესე იგი, მოგჩვენებია, — მიუგდო მან ვახოს და კარის სახელურს წაეტანა.

— რას აპირებ-მეთქი?! — იყვირა ვახომ და პოლიციელებისგან თავის დასახსნელად გაიბრძოლა. მაგრამ მათ განძრევის შესაძლებლობა არ მისცეს. სწრაფად ამოუგრიხეს მკლავები და თავი იატაკისკენ დაახრევინეს. მესხი მხოლოდ ამის შემდეგ მოშორდა კარს. ის აუჩქარებლად მიუახლოვდა ვახოს, მის წინ ჩაიმუხლა, სახეში ჩააშტერდა და თქვა:

— პროკურორთან მივდივარ, რათა შენი აღიარება გავაცნო და სასამართლოზე წარსადგენი მასალები მოვამზადო...

— რომელი აღიარება?! მე არაფერი მიღიარებია!.. — დაიყვირა ვახომ.

— მართლა?!. — არტისტულად გაიკვირვა მესხმა. — მაშინ, საიდან გაჩნდა ჩემს საქაღალდეში შენი აღიარება?..

— შენი დედაც, ნაბიჭვარო!.. — ვახომ კბილები გააღრჭიალა და კიდევ ერთხელ გაიბრძოლა. პასუხად, მესხი სწრაფად გაიმართა წელში და ვახოს მთელი ძალით დაჰკრა მუშტი. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვახოს თვალთ დაუბნელდა და მოშვებული, ჩაიკეცა.

— მიათრიეთ საკანში ეს ახვარი! — უბრძანა თანამშრომლებს მესხმა, მერე შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით დატოვა ოთახი.

რეზო იმედოვნებდა, რომ ადვოკატს ოციოდე წუთი დასჭირდებოდა მესხთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა. მან თითქმის ორი საათი გაატარა სამმართველოს შესასვლელთან, ვიდრე ხელმეორედ შეხვდებოდა კოტე შიოშვილს.

როგორც იქნა, ადვოკატი ალაყაფს გამოსცდა. მისი მოახლეობისთანავე, რეზოს ცუდად ენიშნა მისი დაძაბული მზერა.

— რა მოხდა? უარი თქვა გიოს მონახულებაზე?.. — შეაგება ადვოკატს.

— არა. საქმე ბევრად უარესადაა... — მიუგო ადვოკატმა.

— რა მოხდა? — დაიძაბა რეზო.

— აქ ვერაფერს აგიხსნი, — ადვოკატმა სწრაფად მიმოიხედა. — იქით გავიდეთ...

— გავიდეთ, — დაეთანხმა რეზო და უკან მიჰყვა დაწინაურებულ შიოშვილს. ოციოდე მეტრის გავლის შემდეგ, ადვოკატი შედგა, შემობრუნდა და რეზოს უთხრა:

— მესხი იმაზე კარგად ყოფილა ინფორმირებული, ვიდრე მე ველოდი...

— ვერაფერს ვხვდები... — დაიბნა რეზო. — რომელ ინფორმაციაზეა ლაპარაკი?

— მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ...

— ვილაპარაკოთ, — მექანიკურად უპასუხა რეზომ.

— მართლა არაფერი იცოდი შენი ძმის საქმიანობის შესახებ?..

— რომელ საქმიანობას გულისხმობთ? ჩემი ძმა სტუდენტია და სხვა საქმიანობას არ ეწევა.

ადვოკატმა გამომცდელად შეხედა რეზოს და დაამატა:

— ასეთი რამ არ უნდა გამოგრჩენოდა. შენ ვერ მიაქციე ყურადღება... ვერც დედათქვენმა... მესხს კი არაფერი გამოჰპარვია და... მოკლედ რომ ვთქვა, ვიდრე ჩვენ მოქმედების გეგმას ვადგენდით, მესხმა თქვენს სახლში ჩხრეკა ჩაატარა და გიორგის ოთახიდან ათი აბი სუბუტექსი ამოიღო!

— რა ამოიღო?! — თვალები გაუფართოვდა რეზოს.

— ათი აბი სუბუტექსი!..

— ეს შეუძლებელია! ჩემს ძმას არასოდეს ჰქონია საქმე ნარკოტიკებთან. ეს არასოდეს გამომეპარებოდა! — ხმა ჩაეხლიჩა რეზოს.

— მაშინ, ერთ კითხვას დაგისვამთ: რა იცით ნარკოვაჭრების შესახებ?.. გაქვთ რომელიმე „ბარიგასთან“ ურთიერთობა?

— არა... — დაიბნა რეზო.

— მთელი უბედურება კი ისაა, რომ ამ კატეგორიის ადამიანები არაფრით გამოირჩევიან დანარჩენებისგან. ყველა ნარკოვაჭარმა იცის, რა საწამლავით ვაჭრობს და ამიტომაც, მათ შორის, ძალზე მცირეა ნარკოტიკის მომხმარებელთა რიცხვი...

— არა... არა.. რა სისულელეა!.. — არ დაასრულებინა რეზომ. — ჩემი ძმა არასოდეს ჩაიდენდა ამას!

— ფაქტები სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს, — ამოიოხრა ადვოკატმა, — ჩხრეკა თქვენი მეზობლების თანდასწრებით ჩატარდა და ისინი ადასტურებენ, რომ სუბუტექსი გიორგის ოთახიდან ამოიღეს.

— ამას ჩვენი მეზობლები ადასტურებენ?! — დაიბნა რეზო.

— დიახ, — თავი დაუკრა კოტემ. — რამდენიმე წუთის წინ, მე თავად ვიხილე ამის დამადასტურებელი ოქმი.

— გიო... რას ამბობს გიო?..

— ის უარს აცხადებს, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, — უპასუხა ადვოკატმა.

— რატომ? — გაუკვირდა რეზოს.

— იმიტომ, რომ მესხს სხვა ჩვენებაც აქვს!..

— რომელი ჩვენება?

— ვახტანგ გორგაძის ჩვენება. ის ადასტურებს, რომ თავის ძმასთან ერთად ამარაგებდა გიორგის სუბუტექსით. ის კი, თავის მხრივ, მათ ნარკოტიკს ყიდდა...

— არა... არა... ეს არ შეიძლება იყოს სიმართლე! — რეზომ უკან დაიხია, ბორდიურზე ჩამოჯდა და სახე ხელებში ჩარგო.

— როგორ გრძნობთ თავს? — მზრუნველი ტონით ჰკითხა ადვოკატმა.

— არა, ეს რაღაც საშინელი სიზმარია! კოშმარი!.. — ყრუ ხმით თქვა რეზომ.

— ეს რომ მცოდნოდა, სულ სხვანაირად ავაგებდი დაცვის გეგმას. ახლა კი... — ადვოკატმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დასძინა: — საერთოდ, რა პიროვნებაა ვახტანგ გორგაძე და რა აკავშირებს თქვენს ძმასთან?

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი...

— მაგრამ ეს პიროვნება გიორგის თანამზრახველობაში ადანაშაულებს!..

— ვერაფერს გეტყვით... მე გიოს უნდა შევხვდე!.. — რეზომ სწრაფად ასწია თავი და მზერა გაუსწორა ადვოკატს. მაგრამ პასუხის ნაცვლად, მან უკან დაიხია, შემდეგ შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა სამმართველოს შენობისკენ... რეზო რამდენიმე წამი გაოგნებული გასცქეროდა ადვოკატს. შემდეგ ადგა, რომ უკან დასდევნებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს, თავისი სახელი ჩაესმა.

— რეზო, რეზო!

ის სწრაფად შებრუნდა და თვალი მოჰკრა ნელის, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მოემართებოდა მისკენ.

— დედა! — თავადაც წამოიძახა რეზომ და ადგილს მოსწყდა.

წამის შემდეგ რეზომ მკლავებში მოიქცია ღონემიხდილი დედა.

— ჩემი გიო... გიო... პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა... არა... არ მჯერა... — მექანიკურად იმეორებდა ნელი.

— ვიცი. ყველაფერი ვიცი... ეს რაღაც გაუგებრობაა... — უპასუხა რეზომ.

— იცი?! — ნელიმ გაოცებული მზერა მიაპყრო რეზოს. — საიდან?

— ადვოკატმა მაცნობა.

— ადვოკატმა?

— ჰო, ამწუთას აქ იყო. მან მითხრა, რომ მეზობლებმაც დაადასტურეს ნარკოტიკის აღმოჩენა...

— ის იქ იყო... იქ იყო...

— ვინ? — ჰკითხა რეზომ.

— ადვოკატი!..

— ის ჩხრეკას ესწრებოდა?! — სუნთქვა შეეკრა რეზოს.

— ჰო, — დაუდასტურა ნელიმ, — პოლიციელებს მოჰყვა!..

— მე მითხრა, აქ დარჩიო და ამ დროს, ჩვენს სახლში გამოჰყვა პოლიციას?! — ამ სიტყვების თქმაზე, რეზომ ხელი უშვა დედას, სწრაფად შებრუნდა და ადგილს მოსწყდა, რათა შიოშვილს დასწეოდა. მაგრამ უკვე გვიან იყო. ვიდრე ნელის ელაპარაკებოდა, კოტე შიოშვილს სამმართველოს შენობაში მიმალვა მოესწრო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ᲓᲐᲬᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“

რეჟისორმა ნეილ ლაბიუტმა („დაიკო ბეტი“, „შეპყრობილი“) 1973 წელს გადაღებული საკულტო ფილმის — „დაწნული ადამიანი“ — რიმეიქი გადაიღო. სურათი საკულტო ნაწარმოებად იმიტომ მიიჩნევა, რომ ის ერთ-ერთი პირველთაგანია იმ ფილმებს შორის, რომელშიც მონსტრებს ვერსად ნახავთ, მაგრამ სურათის ერთი შეხედვით წესიერი, უბრალო პერსონაჟები ფრანკენშტეინზე ნაკლებად თავზარდამცემნი როდი არიან.

1973 წელს გადაღებულ სურათში, ირლანდიის კუნძულის ბინადართ ვაშლები მოყავთ, საკუთარ კერპებს ეთაყვანებიან და წინამძღოლ სამერსაილს ემორჩილებიან. რიმეიქში რეჟისორმა მოქმედება ამერიკის კუნძულზე გადაიტანა, უცნაური საზოგადოების წინამძღოლობა კი, ქალბატონ სამერსაილს (ელენ ბერსტინი) ჩააბარა. კერპთაყვანისმცემლობისა და კათოლიციზმის დაპირისპირება ოცი წლის წინ, იქნებ აქტუალურიც იყო, მაგრამ XXI საუკუნემ იდეოლოგიური აპდეიტი მოითხოვა. ნეილ ლაბიუტმა უფრო მტკივნეული პრობლემა მოიძია და სურათში გენდერული კონფლიქტის თემა წამოსწია წინ. ახალ „დაწნულ ადამიანში“ კუნძულზე მატრიარქატი სუფევს, ქალები ბატონობენ, მამაკაცები კი მათ უსიტყვოდ ემორჩილებიან. ამ ზღაპრული სამყაროს მყუდროებას გამომძიებელი ედუარდ მელასი (ნიკოლას კეიჯი) არღვევს, რომელიც კუნძულზე ძველი სატრფოს, ვიოლას (კეიტ ბიხენი) მიწვევით ჩადის, რომელმაც გამომძიებელს წერილით აცნობა, რომ მისგან ქალიშვილი შეეძინა. წერილი კი მხოლოდ იმიტომ გაუგზავნა, რომ გოგონა უგზო-უკვლოდ გაქრა და ახლა მას მამის დახმარება სჭირდება. კუნძულელი ქალები მელასის გამოჩენას ამრეზით ხვდებიან. ასე რომ, მათგან ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. მამაკაცებს კი, ედუარდის გასაოცრად, საერთოდ პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. გამომძიებელი იძულებულია, ქალებს უთვალთვალოს. თვალთვალის დროს, მელასი შემთხვევით საიდუმლო წარმართული რიტუალის შემსწრე აღმოჩნდება. მდელოს ცენტრში ჩალისგან დაწნული ადამიანის ფიგურა დგას, რომელიც ერთი შეხედვით „ზურმუხტის ქალაქის ჯადოქრის“ საფრთხობელას მოგაგონებთ, მაგრამ ასოციაცია აქ სრულდება — ახალი ფილმის სიუჟეტი საბავშვო სულაც არ არის! ■

„ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ!“

რეჟისორ რენი ჰარლინის („კერკეტი კაკალი“) ახალი ფილმის სიუჟეტური ხაზი შიშის მომგვრელი ამბით იწყება: მრავალი წლის წინ, ზებუნებრივი ძალით დაჯილდოებულმა ხუთმა ოჯახმა გარკვეული პირობა დადო, მაგრამ ერთმა ოჯახმა სხვებზე მეტის მიღება მოისურვა, ამიტომ ისინი გააძევეს. გვარი 300 წლის განმავლობაში იმისთვის გაუჩინარდა, რომ ერთხელაც უკან დაბრუნებულიყო და შური ეძია.

ფილმის მოქმედება ჩვენს ეპოქაში გადმოდის. ეკრანს ოთხი მომხიბვლელი ახალგაზრდის (სტივენ სტრეიტი, ტობი ჰემინგუეი, ჩეის კროუფორდი, ტეილორ კიტში) გაუთავებელი ორგიები, ძვირად ღირებული მანქანები და ულამაზესი გოგონები იკავებენ. ახალგაზრდებმა წინაპართაგან მემკვიდრეობით ზებუნებრივი ძალა მიიღეს — ისინი ყოვლისშემძლენი არიან, მაგრამ რაც უფრო ხშირად იყენებენ იდუმალ ძალას, მით უფრო სუსტდებიან. ბუნებრივია, ბიჭები ამ ძალას გოგონების გულების დასაპყრობადაც იყენებენ. ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ ჰორიზონტზე მეხუთე (სებასტიან სტენი) ჩნდება, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ეშმაკის წარგზავნილია. ყმაწვილის მიზანი განდევნილი ოჯახისთვის შურისძიებაა — და ეკრანზე საშინელება იწყება — სცენა სააბაზანო ოთახში და მარადიული კითხვა: „აქ ვინ არის?“ ჯოჯოხეთიდან მომავალი სისინი: „შენი ძალა მე მჭირდება!“ და უკვდავი ბიჭები, რომლებიც ცეცხლწაკიდებული მანქანებიდან უვნებლად გადმოდიან!.. ■





„უსუნო კაცი“

მალე ეკრანებზე პატრიკ ზიუსკინდის ცნობილი რომანის — „პარფიუმერის“ ეკრანიზაცია გამოვა. ამ ნაწარმოების გადაღების უფლების მოპოვებას კინემატოგრაფისტები წიგნის გამოქვეყნების დღიდანვე (1985 წ) ცდილობდნენ. მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ცდუნებას დიდხანს გაუძლო და მხოლოდ 2001 წელს, 10 მლნ ევროს შეთავაზების შემდეგ გადაულოცა სურათის გადაღების უფლება პროდიუსერ ბერნდტ აიჰინგერს...

პრაგმატული გერმანელი პატრიკ ზიუსკინდი „პარფიუმერის“ სულის ეკრანზე გადატანის შესაძლებლობას სკეპტიკურად აფასებდა. მან ბესტსელერის ორიგინალური პიარკამპანია ჭკვიანურად წარმართა. ათი წლის წინ, სატირული ფილმის — „როსინი“ — სცენარში ერთ-ერთ პერსონაჟად ჭირვეული მწერალიც შეიყვანა, რომლის გულის მოგებას უამრავი პროდიუსერი ცდილობს. ბერნდტ აიჰინგერი მეგობარ მწერალს 15 წლის განმავლობაში არწმუნებდა. მისი სიჯიუტე გამართლებული იყო: „და ვინჩის კოდისგან“ განსხვავებით, „პარფიუმერი“, რომელშიც XV საუკუნის საფრანგეთის ყოფაა ასახული, საკმაოდ ნიჭიერადაა დაწერილი და სულმოუთქმელად იკითხება. სწორედ ამიტომ, ეს წიგნი მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებთა რეიტინგში დღემდე მაღალ ადგილს იკავებს. აიჰინგერის კიდევ ერთი პროექტის, უმბერტო ეკოს საკულტო წიგნის — „ვარდის სახელი“ — ეკრანიზაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ამ ნაწარმოების კინოადაპტაციის შექმნას მხოლოდ ძალზე თავდაჯერებული ადამიანი თუ გაბედავდა), „პარფიუმერი“ წარმატებული, დახვეწილი ფილმი უნდა იყოს. რეჟისორის კანდიდატურებს შორის, ყველაზე ხშირად რიდლი სკოტისა და ტიმ ბერტონის სახელები ფიგურირებდა. ფილმის გადაღებით მარტინ სკორსეზე და მილოშ ფორმანიც იყვნენ დაინტერესებულნი. „პარფიუმერთან“ შეჭიდება ან გარდაცვლილ სტენლი კუბრიკსაც სურდა, მაგრამ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, რომანის ადეკვატური ეკრანიზაციის შექმნა მეტისმეტად რთულ ამოცანად მიიჩნია და უკან დახევა ამჯობინა. გერმანელმა რეჟისორმა ტომ ტიკვერმა კი გარისკა. გახმაურებული ჰიტის — „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი!“ გადაღების შემდგომ, რეჟისორმა გულადი ადამიანის სახელი მოიხვეჭა. მაგალითად, მისი წინა ნამუშევრის — „სამოთხე“ — გადაღებისას, ტიკვერი კშიშტოფ კესლევსკის გარდაცვალების შემდგომ დარჩენილ სცენართან შეჭიდებას არ შეუშინდა, არც ლეგენდარულ პოლონელთან შედარებამ დააფრთხო და სამუშაოს ყოველგვარი კომპლექსის გარეშე, ჩინებულად გაართვა თავი. როგორც ჩანს, ცივსისხლიანი ტომ ტიკვერი ღვთაებრივ თრთოლას არც ზიუსკინდის წინაშე განიცდის.

ფილმში მთავარ როლს 25 წლის, ნაკლებად ცნობილი, ინგლისელი თეატრის მსახიობი ბენ უიშოუ თამაშობს. მის გმირს — ჟან-ბატისტ გრენუის უნიკალური ყნოსვა აქვს, მაგრამ მორალურ-ეთიკურ საკითხში ძლიერ მოიკოჭლებს. ახალგაზრდა გოგონების არომატი მასზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს. გრენუი მხოლოდ გოგონების სურნელით როდი ტკბება, ის მათ კლავს და ამ გზით, მათი სუნის მითვისებას და საკუთარი სუნის შევსებას ცდილობს; იდეალური „ქალის სურნელის“ შექმნის იდეით შეპყრობილი გმირი სერიულ მკვლელად გადაიქცევა და თითოეული მსხვერპლის სურნელის რამდენიმე ეთერზეთის წვეთად გადამუშავების ტექნოლოგიას სრულყოფს. იდეალური სურნელის შესაქმნელად გრენუი თორმეტ გოგონას შეიწირავს, მაგრამ გრძნობს, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად კიდევ ერთი, მეცამეტე მშვენიერი გოგონა აკლია, რომლის როლს ახალგაზრდა ამომავალი ვარსკვლავი რეიჩელ ჰერდ-ვუდი თამაშობს. გოგონას მამის როლში ალან რიკმანს ვიხილავთ, რომელმაც პოპულარობა „ჰარი პოტერში“ ნათამაშები შიშის მომგვრელი პროფესორ სნეგის პერსონაჟის განსახიერებით მოიპოვა. ზრდასრული მაყურებელი კი მას დიდი ხანია იცნობს, როგორც შესანიშნავ მსახიობს. გრენუის მასწავლებელს, მოხუცი პარფიუმერის ჯუზეპე ბალდინის როლის შემსრულებელს — დასტინ ჰოფმანს მაყურებლისა და მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ფილმი ისეთი სასტიკი და ნატურალისტური არ იქნება, როგორიც ლიტერატურული პირველწყაროა. სცენარისტთა ინტერპრეტაციით, გმირის მხეცური საქციელი ფსიქოპათის გარდა, ადამიანური ურთიერთობისადმი ლტოლვითაც არის განპირობებული. ამიტომ ავტორებმა ფინალში ვერ გაბედეს იმის ჩვენება, თუ როგორ ფლეთენ თანაქალაქელები გრენუის სხეულს. სცენარი იმით იწყება, რომ ბორკილებდადებულ მანიაკს სასიკვდილო განაჩენს უცხადებენ. ფინალურ ეპიზოდში კი, სიკვდილმისჯილი გრენუი ჯადოსნური სუნამოს ფლაკონს ამოიღებს, რომლის სურნელება მთელ მოედანს მოეფინება. მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ბრბოში საყოველთაო დაძმობილება იწყება. ■

რასელ ქროუ მეგობრის ხსოვნას პატივს მიაგებს

რასელ ქროუ და მისი ჯგუფი The Ordinary Fear of God ცნობილი ავსტრალიელი ტელეჟურნალისტისა და ნიანგებზე მონადირე სტივ ირვინის ხსოვნის პატივსაცემად კონცერტს გამართავს. სტივ ირვინი 4 სექტემბერს დაიღუპა, როდესაც ზღვის ფაუნის გადაღებისას, შემთხვევით მკერდის არეში სკაროსის (თევზის ერთ-ერთი ნაირსახეობა) კუდით დარტყმა მიიღო. რასელ ქროუს ამჟამად ფილმში — „ამერიკელი განგსტერი“ იღებენ. მსახიობმა ფილმის პროდიუსერებს სამდღიანი შვებულება სთხოვა, ამ დღეებს კი პროგრამის რეპეტიციისა და თავად კონცერტისთვის გამოიყენებს, რომელიც მომავალ კვირას, ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში ჩატარდება. „ის ჭეშმარიტი მებრძოლი იყო. მისი მეჯეროდა და ძლიერ მომენატრება“, — განაცხადა ქროუმ, რომელსაც დაღუპულ ჟურნალისტთან ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა. ■

ავრილ ლავინი უკვე გაიზარდა

ბოლო წლებში, მსახიობი ავრილ ლავინი ძლიერ შეიცვალა. 2004 წლის შემდეგ, როდესაც მაყურებელმა არაჩვეულებრივი ვარცხნილობით და ძვირად ღირებულ კაბაში გამოწყობილი ავრილ კლიპში Nobode's Home იხილა, მსახიობმა კედებისა და მაისურების ჩაცმაზე ხელი აიღო და მაღალი საზოგადოების შეკრებებზე ძვირად ღირებულ კაბებში გამოწყობილი ცხადდება. ცოტა ხნის წინ კი, Ford Models-თან კონტრაქტს მოაწერა ხელი... რა ხდება, რამ შეცვალა ნორჩი ვარსკვლავი? „სკეიტერული სამოსი და ჩაფართხუნებული შარვლები, დიდი ხანია, აღარ ჩამიცვამს... ჩემს საყვარელ ჰალსტუხებს აღარ ვიკეთებ... არა, ეს ტანსაცმელი კარადაში ისევ მიწყვია, მაგრამ უკანასკნელ ხანებში, გოგონებისთვის შექმნილ მოწესრიგებულ სამოსს ვანიჭებ უპირატესობას. ალბათ იმიტომ, რომ გავიზარდე. ადრე ამაზე არ ვფიქრობდი. მეგონა, ყოველთვის ასეთი ვიქნებოდი, მაგრამ არა... დრო მიდის, ადამიანები და მათი ჩაცმის სტილი სწრაფად იცვლება. მე გავიზარდე!“ — ამბობს მსახიობი, რომელსაც ცოტა ხნის წინ 22 წელი შეუსრულდა. ■

ძალზე გამხდარი მოდელების წინააღმდეგ აგორებული კამპანია ისევ გრძელდება

გასულ კვირას, მადრიდში დაწყებული მოდის კვირეულის — Pasarela Cibeles ორგანიზატორებმა 68 მოდელიდან, ხუთს პოდიუმზე გასვლაზე უარი განუცხადეს. მიზეზი — მათი მეტის-მეტი სიგამხდრეა! ესპანეთის ეროვნული ენდოკრინოლოგიური საზოგადოების წარმომადგენელმა — სუსანა მონერეომ განაცხადა, რომ დაახლოებით 170 სმ სიმაღლის მოდელების წონა 55 კილოგრამზე ნაკლები იყო. „მათი სხეულის მასის ინდექსი ნორმაზე ბევრად ნაკლები იყო. ეს ნორმები მხოლოდ ესპანეთის ენდოკრინოლოგიური საზოგადოების სტანდარტი როდია. ჩვენ მიერ დაწესებული შეზღუდვები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებსაც შეესაბამება“. მოდის კვირეულში ჩვეულებრივ, სამასამდე მოდელი მონაწილეობს ხოლმე, წელს კი, განაცხადი მხოლოდ 68 მოდელმა შეიტანა. ღონისძიების ორგანიზატორმა კუკ სოლანამ განაცხადა, რომ ამჯერად აკრძალვები მაკიაჟსაც შეეხო, რომლის გამოც გოგონებს არაჯანსაღი იერი აქვთ. „ზუსტად ვიცით, რომ მოარული ჩონჩხები არაფრად გვჭირდება“, — ამბობს სოლანა.

დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა ლონდონის მოდის კვირეულის ორგანიზატორებს მოუწოდა, რომ მათ ესპანელი კოლეგების მაგალითს მიჰბაძონ. ამ მოწოდების პასუხად, ბრიტანეთის მოდის საბჭომ (British Fashion Council) განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ საბჭო ცალკეული ჩვენებების ესთეტიკაში ჩარევას არ აპირებს. მიუხედავად ამისა, დაგეგმილი ფოტოგადაღება მაინც გადაიდო, რადგან საბჭოს ხელმძღვანელობას ისედაც რთულ საკითხში ზედმეტი ალიაქოთის შეტანა არ სურს. ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას, ინდოეთის ჯანდაცვის მინისტრმა — ანბუმანი რამადოსემ სოლიდარობა გამოუცხადა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტანდარტის მიხედვით, ქალები, რომელთა სხეულის მასის ინდექსი 18,5-24,9 ფარგლებშია, ზედმეტად გამხდრები არიან. იმ 5 მოდელის სხეულის მასის ინდექსი კი, რომლებმაც მადრიდის მოდის კვირეულის კასტინგი ვერ გაიარეს, 18 ერთეულზე ნაკლებია. ■

მოჩხუმარი ჯეი კეი

Jamiroquai-ს ფრონტმენმა — ჯეი კეიმ ლონდონის ერთ-ერთ კლუბში ფოტოგრაფს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა. ჯეის ზედმეტად აგრესიული ქცევის გამო, კლუბის მეპატრონეებმა პოლიციას მიმართეს. ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე დაპატიმრებულია, მუსიკოსმა კი ადმინისტრაციული გაფრთხილება მიიღო. აღსანიშნავია, რომ ჯეი კეი ამ აურზაურში სრულიად შემთხვევით გაეხვა. პაპარაცის სამიზნე ლინდსეი ლოხანი იყო, რომელიც დროს ამავე კლუბში ატარებდა. ■

პამელა ანდერსონი თმის დავარცხნას სწავლობს

პამელა ანდერსონი მაკიაჟისა და ვარცხნილობის გასაკეთებლად ყოველდღიურად 9.000 დოლარის დახარჯვას ახერხებს! სექსსიმბოლომ გულწრფელად აღიარა, რომ უამრავ ფულს ქარს მხოლოდ იმიტომ ატანს, რომ თავად თმის დავარცხნა და მაკიაჟის გაკეთება არ იცის. „როდესაც კანადაში ვცხოვრობდი, იოლად გავდიოდი, ხოლო შემდეგ, როდესაც საცხოვრებლად ლოს-ანჯელესში გადავედი და „პლეიბოის“ მოდელი გავხდი, ჩემ მაგივრად ყველაფერს სტილისტები აკეთებდნენ. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ თმის დავარცხნა და გრიმის გაკეთება არ ვიცი. მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნება — კოსმეტოლოგებისთვის უამრავი ფულის გადახდა მომბეზრდა. საკუთარ თავზე თავად ვიზრუნებ. უკვე ვცადე და მივხვდი, რომ ეს იოლი ყოფილა. ასე გავაგრძელებ და ყოველდღიურად 9.000 დოლარს დავზოგავ!“ — ამბობს ანდერსონი. ■

„სიგარეტის მოწევა 12 წლის ასაკში დავიწყე და ამისკენ ერთმა გოგონამ მიბიძგა“, — მითხრა მომღერალმა დათო ძიძიგურმა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თმაში ჭაღარა შეერია, ფიქრობს, რომ დღესაც თინეიჯერია და თავი 19 წლის მოზარდი ჰგონია. დათო მართლაც, საოცრად მხიარული, ენერგიული ადამიანია და ალბათ ამიტომაც ამბობენ: ძიძიგური არასდროს დაბერდებაო.

ბოგონას ბიჭო შეცდენილი ბოძლეჭალი, შეღებილი თმა და ლოყაზე „ბისაცული“ ხუთი თითი

„უმეშვსადმ, ჩემით მესწავლა ის, რაც მამაკაცმა უნდა იცოდეს“

ლიკა ქაჯაია

— სიტყვა „თინეიჯერი“ ჩემთვის გარკვეულ ასაკთან და იმ წლებთან ასოცირდება, რომლის დავიწყება შეუძლებელია. ისე, მინდა გითხრა, რომ მე დღესაც თინეიჯერი ვარ.

— ეს რაში გამოიხატება?

— თავი ისევ 19 წლის მოზარდი მგონია. ახლობლები მეუბნებიან: შენ არასდროს დაბერდებიო. მართალია, ამ ბოლო დროს თმაში ჭაღარა „შემომეპარა“, მაგრამ ამასაც ეშველება — რამდენიმე დღის წინ თმა შევიღებე, ოღონდ არავის ეგონოს, რომ ამისთვის ქალებისთვის განკუთვნილი საღებავი გამოვიყენე. არსებობს სპეციალური თმის საღებავი მამაკაცებისთვის, რომელიც თავზე დაბანის შემდეგ უნდა დაისხა.

— სხვა შენს ადგილას, ამას ასე ხმამაღლა არ იტყოდა...

— რატომ უნდა დამალო ის, რასაც აკეთებ? — ეს ჩემთვის ცოტა არ იყოს გაუგებარია. არასდროს არაფერი და არავისთვის დამიმალავს. სულაც არ მიმაჩნია სასირცხვილოდ ის ფაქტი, რომ მამაკაცი თავს უვლის.

— და მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მამაკაცების უმრავლესობა ვერ გაგიგებს.

— ალბათ, იმათ გულისხმობ, ვინც თავს კვირაში ერთხელაც არ იბანს... ისე, გეთანხმები, შეიძლება, ბევრმა სხვა რაღაც იფიქროს, მაგრამ ეს არ მანაღვლებს. მართალია, დედაჩემსაც არ მოეწონა, როცა თმა შევიღებე და მითხრა — ეს რა კაცის საქმეაო?! — მაგრამ მერე დარწმუნდა, რომ ამაში ცუდი არაფერი იყო და ამ ამბავს შეეგუა.

პაგარა ვიყავი, როცა მამა გარდაიცვალა და მის მაგივრობასაც დედა მიწევდა

— დედაშენს აზრს ხშირად ითვალისწინებ?

— რა თქმა უნდა. არ მითხრა ახლა, ესეც სამარცხვინოაო. პატარა ვიყავი, როცა მამა გარდაიცვალა და მის მაგივრობასაც დედა მიწევდა, ამიტომაც, მასთან ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ჩემს შესახებ ყველაფერი იცის და როცა საჭიროა, რჩევასაც ვეკითხები.

უფრო სამარცხვინო ის ამბავია, როცა მამაკაცი თავს არ უვლის, წვერს ათასში ერთხელ იპარსავს, გაბურძგნილი, დაუვარცხნელი და „სუნიანი“ დადის.

— ეი. თავის მოვლა შენთვის სიამოვნებასთან ასოცირდება?

— რა თქმა უნდა. ნებისმიერ დროს, რომ გამხადოთ და შემამოწმოთ, სულ ფორმაში ვარ. წესრიგი ძალიან მიყვარს და ვერც იმ ქალების გვერდით გავივლი, რომლებიც ფეთხუმები არიან, თავს არ უვლიან.

— დათო, როგორი თინეიჯერი იყავი?

— აქტიური. ყოველთვის მიზიდავდა გართობა და დროს ტარება. მართალია, ძველი ბიჭი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ყველა პატივს მცემდა და დღესაც ასეა.

— მაშინდელი ძველი ბიჭები დღევანდელებისგან რითი გამოირჩევიან?

— კარგი ბიჭები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, მაგრამ ჩემი თინეიჯერობის დროს, ისინი უფრო „დასტოინები“, რაღაც სხვანაირები იყვნენ.

— თინეიჯერობის ასაკში ბიჭებს თვალი ქუჩისკენ გაურბით. შენ ასეთი არ იყავი?

— თავის დროზე ყველგან მივდიოდი, მაგრამ რომ გითხრა: 24 საათის განმავლობაში ქუჩაში ვიდექი-მეთქი, მოგატყუებ.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— არა მიშავდა რა, „შერეული“ ნიშნები მქონდა. ზოგიერთი მასწავლებელი ნიშანს მხოლოდ იმის გამო მიწერდა, რომ მისთვის დღესასწაულებზე ყვავილები ან რაღაც საჩუქარი მიმქონდა.

— ეი. მასწავლებლებს ქრთამს აძლევდი?

— არა, ეს ქრთამი არ იყო, უბრალოდ, ამით მათდამი პატივისცემას გამოვხატავდი.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— როგორ არა?! ერთხელ, ერთი მასწავლებელი გავაბრაზე და იმან იცი, რა მომაძახა?.. — დებილოო! ამაზე ისე გავბრაზდი, რომ უკან არ დავიხიე და თავში წიგნი ვთხლიშე. მიუხედავად ამისა, ის მასწავლებელიც და სხვებიც რატომღაც, ყოფაქცევაში ყოველთვის კარგ ნიშანს მიწერდნენ.

— ამის მიზეზი ხომ არ იცი, რა იყო?

— ვერ გეტყვი. დღეს ჩემი ყოფილი პედაგოგები რომ მხვდებიან, იმას კი არ მეუბნებიან — რა კარგი და ჭკვიანი მოსწავლე იყავიო, არამედ იმას — რა ლამაზი და საყვარელი ბავშვი იყავი, ამიტომაც ყველას ძალიან გვიყვარდიო.

— „შატალოზეც“ ხშირად დადიოდი?

— აბა, რა და მერე, ერთმანეთის სახლში მივდიოდით, იქ ვერთობოდით.

— მთელი კლასი ერთი მეგობრის სახლში მიდიოდა?

— არა, სკოლიდან რომ გამოვიდოდით, მერე „სასტავებად“ ვიყოფოდით და ყველა თავ-თავისი გზით მიდიოდა ხოლმე.

— სკოლას რომ აცდენდით, ამის გამო, მასწავლებლები არ გსჯიდნენ?

— ყველაზე სასაცილო ისაა, რომ მხოლოდ ერთხელ დამსაჯეს და ისიც იმის გამო, რაც არ ჩამიდენია — ერთ დღეს ყველა „შატალოზე“ წასულა, ეს არც კი ვიცოდი, რადგან სკოლაში დაგვიანებით მივედი. მასწავლებელი კიბეზე დამხვდა და საშინლად გამომლანძღა...

— შენ და შენი „სასტავი“ როგორ ერთობოდით?

— დავდიოდით სხვადასხვა კაფეში, მაგრამ ყველაზე ხშირად მივდიოდით ბარში — „ჩხირები“, რომელიც თეატრალური ინსტიტუტის გვერდით მდებარეობდა. ასევე, დავდიოდით თეატრში, არც ერთ სპექტაკლს არ „ვმაზავდით“. თუ რომელიმე თეატრში პრემიერა იყო, იქ უსიკვდილოდ უნდა წავსულიყავით, თუნდაც, ბილეთი სისხლის ფასად გვეშოვა. ახლა კი თეატრში აღარავინ დადის და ეს ძალიან მაწუხებს.

— დედაშენი არაფერს გიკრძალავდა?

— როგორ არა. მაგალითად, სიგარეტის მოწევას მიკრძალავდა.

— მოწევა რა ასაკში დაიწყე?

— 12 წლის ვიყავი.

— ნაადრევად დაგიწყია...

— ჰო, მაგრამ ხომ იცი, ქალი რომ შეგიჩიჩხინებს...

— არ მითხრა, სიგარეტის მოწევა გოგომ დამაწყებინაო.

— რატომ გიკვირს? მაშინ მუსიკალურ სასწავლებელში დავდიოდი. ჩემთან ერთად სწავლობდა ერთი გოგო, რომელიც მეხვეწებოდა, რომ მასთან ერთად გამებოლებინა და მე სულელიც, ვემორჩილებოდი. ერთხელ, მასწავლებელთან სიგარეტის სუნით აყროლებული შევედი, მან კი დედაჩემთან ჩამიშვა. სახლში რომ მივედი, დედამ „სიფათში“ ისე მგლიჯა, რომ ლოყაზე მისი

ფანჯრის ქვეშ დიდხანს ვიდექი და ვუთვალთვალებდი, როდის გამოჩნდებოდა მისი სილუეტი

ხუთი თითი დიდი ხანი მეტყობოდა. მას შემდეგ, სანამ სრულწლოვანი არ გავხდი, აღარ მომიწევია.

— თინეიჯერობის ასაკში შეყვარებული არ გყავდა?

— კი, მიყვარდა ერთი გოგონა, რომელსაც სიყვარული ვერ ავუხსენი — მისი მერიდებოდა და სახლში ჩუმად მივყვებოდი, მერე მისი ფანჯრის ქვეშ დიდხანს ვიდექი და ვუთვალთვალებდი, როდის გამოჩნდებოდა მისი სილუეტი. თურმე, ის ამ საქმეში (თვალთვალს ვგულისხმობ) ჩემზე მაგარი იყო და ვერც კი ვხვდებოდი იმას, რომ თვითონაც მითვალთვალებდა.

— ეს ამბავი საიდან გაიგე?

— მას თავისი მეგობრისთვის უთქვამს, იმან კი მე მითხრა... იყო კიდევ ერთი გოგონა, რომელსაც ყოველთვის უცნაური, „რუშებიანი“ კოლჰოტები ეცვა. ის სხვანაირ პონტში მომწონდა *(იცინის).*

— მაინც, რა პონტში მოგწონდა?

— ეს მაშინ არც მე ვიცოდი, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ მისკენ მიეჭრიდებოდი, ფეხს ფეხზე გავუხახუნებდი, მერე ორივენი ვწითლდებოდით და ამ დროს თავი უბედნიერესი ადამიანი მეგონა... სხვათა შორის, ბევრი რამ დამაკლდა იმით, რომ მამა არ მყავდა. ისიც კი არ ვიცოდი, წვერი როგორ უნდა გამეპარსა და ამასაც დედას ხომ არ ვკითხავდი! შევეცადე, ჩემით მესწავლა ყველაფერი ის, რაც მამაკაცმა უნდა იცოდეს.

— წვერის გაპარსვა რა ასაკში დაიწყე?

— არ მახსოვს, მაგრამ ვერასდროს ვიტანდი ულვაშს.

— მაგრამ ბიჭების უმეტესობა წვერ-ულვაშს მამაკაცურ ღირსებად მიიჩნევს...

— მეც მქონდა ისეთი მომენტები, როცა ასაკს ვიმატებდი. მინდოდა, უფრო დიდი ვყოფილიყავი, რადგან ყოველთვის, ჩემს ასაკთან შედარებით, უფრო პატარა ბიჭის შთაბეჭდილებას ვტოვებდი. მახსოვს, ინსტიტუტში რომ ჩავაბარე, ერთმა ლექტორმა მითხრა: შენ აქ რა გინდა, სასწრაფოდ წადი სკოლაშიო. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და ამის გამო, იმ კაცს ლამის საქმეც გავურჩიე. ვცდილობდი, ისე მევლო, როგორც ასაკოვანი მამაკაცები დადიოდნენ, მათ რაღაც-რაღაცებში ვბაძავდი და ეს გამომდიოდა კიდეც. ახლა ვფიქრობ, ასე რა ჯანდაბად ვიქცეოდი-მეთქი?! ადამიანს ასაკი არ გეტყობოდეს და ეს გაბრაზებდეს — რა სისულელეა!

— ამბობენ, როცა თინეიჯერი აღარ ხარ და მაინც მისი ასაკისთვის შესაფერისად იქცევი, ეს იმიტომ ხდება, რომ 19 წლის ასაკში რაღაც სურვილები ვერ დაიკმაყოფილე...

— არ ვიცი, ამას ვინ ამბობს, მაგრამ ეს აბსურდია. მთავარია, სასაცილო არ გახდე, თორემ ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ ასაკში ახალგაზრდულად უნდა გამოიყურებოდეს. ხშირად მეკითხებიან: როგორ ახერხებ, რომ ამ ასაკში ასეთი ენერგიული ხარ, თან შენი ასაკისთვის შესაფერის ზღვარსაც არ სცილდებიო? სიმართლე გითხრა, ეს თავადაც არ ვიცი, ბუნებით ვარ ისეთი, როგორიც ვარ და თავის კონტროლიც არ მჭირდება.

— შენ თაობის თინეიჯერები დღევანდელებისგან რითი განსხვავდებიან?

— ჩვენ რაღაც ისეთ ჩარჩოებში ვიყავით მოქცეულნი, რომლის ფარგლების გადალახვა არ შეიძლებოდა. ახლა უფრო თავისუფლები არიან და ეს მომწონს კიდეც. არ მიყვარს, როცა უფროსი თაობა პატარებს ლანძღავს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ისე არ იქცევიან, როგორც თვითონ უნდათ, მაგრამ თავის დროზე ხომ მათი საქციელი მათ მშობლებსაც არ მოსწონდათ?

— შენ დღევანდელი თინეიჯერების ნებისმიერი საქციელი მოგწონს?

— შეიძლება, ყველაფერი არ მომწონდეს, მაგრამ როცა უმცროს თაობას ვაკრიტიკებთ, სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რათა მათი გაღიზიანება არ გამოვიწვიოთ. ისინი ძალიან „სტრანნები“, მაგრამ საყვარლები არიან და როგორც მათ მიუდგები, ისევე გიპასუხებენ.

— თინეიჯერი დათო ვისი ფანი იყო?

— ძალიან მიყვარდა და მიყვარს: სტივ უანდერი, „პინკ ფლოიდი“, ფრედი მერკური. ჩემი თაობა ქართულ ხალხურ მუსიკასაც დიდ პატივს სცემდა და იმედია, ის თინეიჯერთა გარკვეულ ნაწილს დღესაც მოსწონს.

— და ფანობა რაში გამოიხატებოდა?

— მართალია, ჩვენ იმის საშუალება არ გვქონდა, რომ საყვარელი მომღერლების კონცერტებს დავსწრებოდით, მაგრამ მათ სიმღერებს კასეტების, დისკების მეშვეობით ვისმენდით. რაც შემეხება მე, ვცდილობდი, მათთვის სიმღერაში მიმებაძა, რაც ცოტა არ იყოს რთულია, არა *(იცინის)?..*

— თუ ცდილობდი, რომ სხვებისგან რაიმით გამორჩეული ყოფილიყავი?

— ყოველთვის კარგად ვიცვამდი — განსხვავებულად და დახვეწილად. ჩემს „სასტავში“ ყველა ბიჭს შარფი ეკეთა, რომელიც კისერზე გვქონდა შემოხვეული და ბოლოში განასკვული გახლდათ, რაც იმ დროს, ბევრისთვის შოკის ტოლფასი იყო... მთელი ცხოვრება თმაზე მქონდა გართულება — მას ყოველთვის „სტრანნად“ ვიკეთებდი, მაგრამ არ გეგონოს, რომ უშნოდ გაწეწილი დავდიოდი. ჩემი უცნაური ვარცხნილობის გამო, მეგობრები ყოველთვის მეჩხუბებოდნენ — ეს რა უბედურებაა?! მაგრამ ვერ ვხვდებოდი, ამას რატომ მეუბნებოდნენ, როცა ის მართლაც ძალიან მომწონდა და მიხდებოდა კიდეც... შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დროს ვუსწრებდი და ცოტა ხანში, ის, რასაც პირველი ვაკეთებდი, მოდაში შემოდიოდა.

— როგორ ფიქრობ — რითი განსხვავდებიან ქართველები უცხოელი თინეიჯერებისგან?

— ისინი უფრო თავისუფლები არიან. ჩვენები ცდილობენ, მათ რაღაცაში მიჰბაძონ და ეს გამოსდით კიდეც.

— მიმბაძველობა კარგია?

— გააჩნია, რა შემთხვევაში: თუ ვიღაცას კარგ რამეში ვბაძავთ, ეს კარგია, მაგრამ სასაცილოები არ უნდა გავხდეთ, ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო.

— იქნებ გაიხსენო ყველაზე დიდი სიგიჟე, რომელიც თინეიჯერობის ასაკში ჩაიდინე?

— შეიძლება, არ დამიჯერო, მაგრამ 17 წლის ვიყავი, როცა ჩემი ერთ-ერთი მეგობარი მშობლებთან ერთად, ლენინგრადში წავიდა. რამდენიმე თვის შემდეგ შემომითვალა: ჩამოდი და მაგარ დროს გავატარებთო. დედაჩემი მოვატყუე: რთველში მივდივარ-მეთქი და აეროპორტში წავედი. ბილეთის აღებაზე ბევრი ვიწვალე, მაგრამ ამას რას დავეძებდი და მალე თავი ლენინგრადში ამოვყავი, სადაც მეგობარი დამხვდა.

— დედაშენმა ეს ამბავი ვერ გაიგო?

— როგორ არა. ლენინგრადში რომ ჩავედი, იქიდან დავურეკე და ყველაფერი მოვუყევი. გამიბრაზდა, მაგრამ რას გააწყობდა?.. ამ ქალაქიდან მოსკოვში გადავფრინდით, რამდენიმე დღე იქ გავატარეთ, მერე კი ტალინში ჩავფრინდით, სადაც წამოსვლის წინადღეს, რაღაც ფილმში (მასობრივ სცენაში) გადამიღეს კიდეც. მაშინ გავიცანი იგორ კოსტოლევსკი, რომელსაც ავტოგრაფი ვთხოვე (სხვათა შორის, ის დღემდე შენახული მაქვს) და მერე მასთან ერთად კაფეში წავედი. ამ დროს კი, ჩემი მეგობარი ბილეთების საშოვნელად დარბოდა და როცა გაიგო, რომ მე „ვგულაობდი“, კარგად გამომლანძღა *(იცინის).*

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— მოიქცნენ ისე, როგორც „გაუსწორდებათ“. მთავარია, ცუდი რაღაცები არ ჩაიდინონ. იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან, რადგან სიყალბეს ყველაფერი ჯობია.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

პასუხმაურება

რუბრიკის მრავალრიცხოვან რესპონდენტთაგან უმეტესობა ან ჩვენ, ან ჩვენს რესპონდენტებს რჩევას გვთხოვს. ზოგჯერ კითხვას „კონკრეტული მისამართი“ აქვს, მაგრამ ხშირად — არა. იქიდან გამომდინარე, რომ თინეიჯერები საკმაოდ ყურადღებით ეკიდებიან ცნობილ ადამიანთა შეხედულებებს, მესიჯების ავტორთა კითხვებზე პასუხების გაცემა სწორედ მათ ვთხოვეთ. ზოგიერთ რჩევას კი, ფსიქოლოგი მაია სულაკაური მოგცემთ.

შეყვარებული, 15 წლის:

„გამარჯობათ. ყველანი ძალიან მიყვარხართ. გთხოვთ, დამეხმარეთ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ვარ 15 წლის, 4 წლის ასაკიდან სიგიჟემდე მიყვარს ერთი ბიჭი, მასაც ვუყვარვარ (ის 20 წლისაა). 2 თვის წინ ცოლად გავყევი და არ იფიქროთ, რომ ეს ბავშვური თამაში მეგონა, არა, ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მშობლებმა უკან მომაბრუნეს. მართალია, ჩემებს ის მოსწონთ, მაგრამ მეუბნებიან: ბავშვი ხარ და ვერ გაგათხოვებთო. მირჩიეთ, რა ვქნა. ჩემს ასაკში გათხოვება მართლაც სისულელეა?“

ნინა წკრიალაშვილი, *მომღერალი:*

— თავი არ დაიღუპო და არ გათხოვდე, რადგან საამისოდ ჯერ მართლაც პატარა ხარ. იყავით შეყვარებულები და თავის დროზე ყველაფერს მოესწრები. გირჩევ, ჯერ ისწავლო, ცხოვრების მიზანი დაისახო, თორემ მერე, შენი რჩეული რომ „გადაგიყვარდეს“, თავს უბედურად იგრძნობ — არც ქმარი გეყოლება, არც განათლება გექნება, რომ სადმე იმუშაო და ჰაერში გამოკიდებულივით იქნები.

პრანჭო, 16 წლის:

„ძალიან გთხოვთ, მირჩიოთ რამე. მიყვარს 26 წლის ცოლიანი კაცი. ის თვითონაც მეფიცება სიყვარულს და მეუბნება, რომ სიგიჟემდე ვუყვარვარ. მე კი არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რადგან მეც ძალიან მიყვარს“.

ბედინა, *რეპერი:*

— ხალხნო, რა გჭირთ? ამ ქვეყანაზე ბიჭები დაილია, რომ ცოლშვილიან კაცს არ დაუწყოთ ყურება?! ჩემო კარგო, შეიძლება, ის მართლაც, ძალიან გიყვარს, მაგრამ ნუთუ არ ფიქრობ, რომ შენი ბედნიერების მისაღწევად, სხვისი ოჯახის დანგრევა მოგიწევს?! თქვენ შეიძლება, ერთმანეთი მიუღწეველი სიყვარულით გიყვარდეთ — მეც მომწონს სოფი ლორენი, მაგრამ ამით რა, მერე? არაფერი, ხომ? ჰოდა, შენც შეეცადე და შეეშვი იმ კაცს, თორემ ბედნიერი ვერასდროს იქნები.

დებილი პრინცესა, 17 წლის:

„ხალხო, მირჩიეთ რამე: მყავს შეყვარებული, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, მაგრამ ყველა კაბიანს დასდევს, ამბობს — ვერ შევიცვლებიო და ამის გამო ვიჩხუბეთ. რა ვქნა, შევურიგდე? P.S. მაგრად მიყვარს“.

მაია სულაკაური, *ფსიქოლოგი:*

— ბიჭი ყველა კაბიანს რომ დასდევს, ეს გასაკვირი სულაც არაა, მაგრამ ამას შენ არ უნდა გაგრძნობინებდეს, შენი თანდასწრებით სხვებისკენ არ უნდა გაურბოდეს თავალი (თუ, რა თქმა უნდა, უყვარხარ). ჯერ გაარკვიე, რამდენად გულწრფელია შენთან ურთიერთობისას და ამისდა მიხედვით იმოქმედე.

ანა, 13 წლის:

„აუ, მართლა მაგრები ხართ, მესიჯი რომ დამიბეჭდეთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი სიამოვნებით და გაკვირვებულიც (რადგან არ მეგონა, რომ დაბეჭდავდით) კი ვკითხულობდი წინა ნომრის გამოხმაურებას... ახლა კი, რჩევა მინდა გკითხოთ. ერთი ტიპი გადამეკიდა, მისი მოშორება მინდა და ამას ვერაფრით ვახერხებ. კითხვებზე ძალიან ცივად ვპასუხობ, მაგრამ მაინც ვერ ხვდება, რომ უნდა შემეშვას. ნერვებს მიშლის და ძალიან გამიხარდება, თუ ეს მის ტვინამდეც დავა, ტვინამდე თუ არა, ტვინის ქერქამდე მაინც. როგორ უნდა მოვიქცე?“

ბედინა:

— თუ ის ბიჭი შეურაცხყოფას გაყენებს, მაშინ ამ ამბავში ძმაკაცები ან ახლობლები ჩარიე, თუ არა და — შეეშვი, უყვარხარ, ხომ არ სძულხარ! ნუ აწყენინებ და ნუ დაჩაგრავ მხოლოდ იმიტომ, რომ გაღმერთებს. იმედია, ჩემს რჩევას გაითვალისწინებ.

უცნობი, 16 წლის;

„ლიკა, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდო. რჩევა მინდა ვკითხო ექიმს. პატარას მესიჯი წავიკითხე და მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, რომ ქალთან ურთიერთობით ქალიშვილობა დაკარგო? თქვენს პასუხს სულმოუთქმელად ველი და კიდევ, პატარას თუ ექნება სურვილი, იქნებ, დამიკავშირდეს“.

მაია სულაკაური, *ფსიქოლოგი:*

— ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემ, რადგან არ ვიცი, გოგონასთან როგორი ურთიერთობა გქონდა. ამის გასარკვევად გირჩევ, გინეკოლოგს მიმართო. ისე, ყველაფერია შესაძლებელი.

ჩაჩი, 17 წლის:

„სალამი „გზის“ ყველა მკითხველს. მე ერთი პატარა და ცხოვრებასთან მებრძოლი გოგო ვარ, ჩემი სტილი მაქვს — რეპის ფანი გახლავართ და მეც ვრეპავ. ქუჩაში ბევრი, ირონიით სავსე თვალს მაყოლებს, თავიანთი ჭკუით — მეკაიფებიან. ამის გამო ძალიან „ნაგლი“ გავხდი, თავზე არავის „ვიტარეებ“. მითხარით, არა მაქვს იმის უფლება, რომ ჩემი გზით ვიარო?“

ნინა წკრიალაშვილი:

— საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ნებისმიერ საქმეში აუცილებელია. სხვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, რადგან ისეთს მაინც ვერაფერს გააკეთებ, რომ ყველას მოწონება დაიმსახურო. იყავი ისეთი, როგორიც ხარ და რაღაც-რაღაცები ნუ დაგაკომპლექსებს. და კიდევ, ზედმეტად „ნაგლიც“ ნუ იქნები იქ, სადაც ეს საჭირო არ არის. წარმატებებს გისურვებ!

ნატა, 18 წლის:

„ლიკა, შენს რუბრიკას მუდამ ვკითხულობ, მაგრამ მესიჯს პირველად გწერ. მინდა, რჩევა გკითხოთ. ცოტა ხნის წინ 2 ბიჭი გავიცანი. თავიდან, ორივეს დავუმეგობრდი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ოთოს მიმართ სხვა გრძნობა მქონდა. ის ისეთია, როგორზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მისთვის მხოლოდ და ვარ, თავის საცოლეზე მიყვება და მეუბნება: ბავშვი უნდა მოგანათვლინოო. 2 დღის წინ კი გიომ (მეორე მეგობარმა) მითხრა: მგონი, მიყვარხარო. კოშმარია. მირჩიეთ რამე. არ მინდა, გიოს გული ვატკინო, მაგრამ ოთო მიყვარს“...

ბედინა:

— ახლა მართლა გავგიჟდები... შეეშვი ოთოს, თუ არ გინდა, რომ „მურმანის ეკალი“ გახდე. შეეცადე, იმაზე იფიქრო, ვისაც მართლა უყვარხარ. გიოს კი ვურჩევ, იმოქმედოს და სანამ ამ გოგონამ მის მეგობარს სიყვარული არ დაუნგრია, თავი შეაყვაროს. წარმატებებს გისურვებთ!

უცნობი რუსთავიდან, 18 წლის:

„ერთი თვეა, ქმარს გავშორდი, რადგან ღამეები სახლში არ მოდიოდა, ვიღაც-ვიღაცებს გადაეკიდა და მითხრა: შემზიზღდი, ჩვენს ერთად ყოფნას აზრი არა აქვსო. ახლა კი დედაჩემს აბრალებს: მაგან დაგინგრია ოჯახი, არ უნდა წაეყვანე სახლში, ყველაფერი უნდა მოგეთმინაო. მირჩიეთ, რა ვქნა. ის ისევ მიყვარს. მამაჩემიც ხელს არ მიწყობს იმაში, რომ ეს პრობლემა გადავიტანო... ძალიან მტკივა გული და ხანდახან თავის მოკვლაზეც ვფიქრობ“.

ნინა წკრიალაშვილი:

— პირველ რიგში, გირჩევ, თავიდან ამოიგდო თვითმკვლელობაზე ფიქრი. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ის სიურპრიზებს გვიწყობს. ეტყობა, შენი ყოფილი მეუღლე შენი ღირსი არ იყო და ბედმა ამიტომაც გაგყარათ. შენ აუცილებლად იქნები ბედნიერი, ოღონდ ამისთვის ბრძოლაა საჭირო.

ნატა, 20 წლის:

„გამარჯობა. უკვე საკმაოდ დიდი ვარ, მაგრამ დედიკოს ამის დანახვა არ უნდა: ყოველთვის მაკონტროლებს, ჩემს მესიჯებს და ჩანაწერებს კითხულობს, სახლში მისვლა 10 წუთით მაინც თუ დამაგვიანდება, ეს ამბავი მთელმა კურსმა იცის. როცა წვეულებებზე ვიკრიბებით, 10 საათზე სახლში უნდა ვიყო. ყველგან თან დამყვება, მარტო არსად მიშვებს, ასე ხომ ვერასდროს გავიზრდები?! როგორ ავუხსნა, რომ უკვე დიდი ვარ და ამდენი ყურადღება მთრგუნავს?“

ბედინა:

— გირჩევ, დედას, როგორც მშობელს კი არა, არამედ როგორც მეგობარს, ისე დაელაპარაკო, ყველაფერი გაუზიარე, არაფერი დაუმალო და ისიც დამშვიდდება, ზედმეტად აღარ გაგაკონტროლებს.

ნინი, 16 წლის:

„თქვენი აზრით, ბიჭს თავი როგორ უნდა შეაყვაროს გოგომ?.. მიყვარს ბიჭი, რომელიც მეგობარივით მიყურებს, მე კი არ ვიცი, რა ვქნა“.

ნინა წკრიალაშვილი:

— ბიჭისთვის თავის შეყვარების რაიმე რეცეპტს ვერ შემოგთავაზებ, რადგან ასეთი რამ ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა. თუ ის ბიჭი, როგორც მეგობარს, ისე გიყურებს და შენ მიმართ სხვანაირი გრძნობა არა აქვს, რაც არ უნდა იჩალიჩო, მაინც არაფერი გამოგივა. შემიძლია, მხოლოდ ის გირჩიო, რომ გრძნობებს არ უნდა ეთამაშო — იყავი ბუნებრივი და სიყვარულს აუცილებლად დაიმსახურებ. ■

იტალიური კატენაჩოს ლეგენდა

ცოტა ხნის წინ, საფეხბურთო სამყარო ლეგენდარულ ჯაჩინტო ფაკეტის გამოეთხოვა, რომელიც 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. მილანის „ინტერისა“ და საერთოდ, იტალიური კალჩოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა ფეხბურთის ისტორიაში, კატენაჩოს ეპოქის თვალსაჩინო მაგალითად დარჩება, ხოლო ადამიანური ღირსებები და ნიჭი მომავალი თაობებისათვის მისაბაძი იქნება.

„ის უდიდესი პიროვნება იყო და მისი სიდიადე ფეხბურთის საზღვრებს გასცილდა“, — ეს სიტყვები ან გარდაცვლილი ჯაჩინტო ფაკეტის მიმართ „ინტერის“ პრინციპული ოპონენტის, „მილანის“ ერთ-ერთმა ლეგენდამ ჯანი რივერამ თქვა. ფაკეტის გარდაცვალება მთელი იტალიისთვის მოულოდნელ დარტყმად იქცა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ლეგენდა არ შეიძლება ერთი რომელიმე კლუბის კუთვნილება იყოს — ის მთელ ერს ეკუთვნის.

როგორც ცნობილია, „ტოტალური ფეხბურთი“, როგორც გუნდური სტილი, ევროპაში გასული საუკუნის 70-იან წლებში დამკვიდრდა, თუმცა უფრო ადრე გამოჩნდნენ ცალკეული ოსტატები, რომელთა სათამაშო მანერაც იმ დროისათვის მიღებულ დოგმებსა და სტერეოტიპებს ანგრევდა. მაგალითად, მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი ალფრედო დი სტეფანო შეიძლება, მისთვის ჩვეული — ცენტრფორვარდის პოზიციიდან, ნახევარდაცვაში გადანაცვლებულიყო, გარკვეულ მომენტებში მას მცველის ამპლუაშიც იხილავდით, მაგრამ „სამეფო კლუბის“ სუპერვარსკვლავი ნებისმიერ როლს კარგად ართმევდა თავს.

„ტოტალურ საფეხბურთო რევოლუციამდე“ პირველი უნივერსალური მცველები ჯერ კიდევ 60-იან წლებში გამოჩნდნენ. ფრანც ბეკენბაუერმა ჯერ მიუნხენის „ბაიერნში,“ ხოლო მოგვიანებით — გერმანიის ეროვნულ ნაკრებში სრულიად ახლებურად შეითვისა ლიბეროს ფუნქცია. ის შემტევი სტილის პირველი თავისუფალი მცველი გახლდათ: მანამდე, მისი კოლეგები მხოლოდ დაცვითი, ე.წ. შავი სამუშაოს შესრულებით იყვნენ დაკავებულნი.

ბეკენბაუერამდე ცოტა ხნით ადრე, განაპირა მცველთა შორის „პირველმა რევოლუციონერმა“, ჯაჩინტო ფაკეტიმ გაიბრწყინა. ფაკეტი ისე ხშირად ერთვებოდა მარცხენა ფლანგიდან განვითარებულ შეტევებში, რომ მის მიმართ სიტყვა „მცველის“ გამოყენება მხოლოდ პირობითად თუ შეიძლებოდა. ჯაჩინტო პრაქტიკულად პირველ განაპირა მცველად იქცა, რომელიც მთელ მარცხენა ფლანგს — საკუთარი კარიდან მეტოქის კარამდე აკონტროლებდა.

რა თქმა უნდა, ფაკეტი მოედანზე ასეთ შრომატევად სამუშაოს შესაბამისი ფიზიკური მომზადების გარეშე ვერ შეასრულებდა. ჯაჩინტო ფაკეტი ექსტრაორდინარული მონაცემებით გამოირჩეოდა. ის ძალზე სწრაფი და ძლიერი იყო. 100-მეტრიან დისტანციას 11 წამში ფარავდა და მძლეოსნობას რომ გაჰყოლოდა, სპრინტერულ სირბილშიც დიდ წარმატებებს მიაღწევდა. ფაკეტი 188 სმ სიმაღლისა გახლდათ, რაც იმ დროისათვის ფეხბურთელებს შორის იშვიათობას წარმოადგენდა (რა თქმა უნდა, მეკარეებს არ ვგულისხმობთ). ყოველთვის თვალწარმტაცი საფეხბურთო სანახაობა იყო ფაკეტის დუელი „იუვენტუსის“ 187 სმ სიმაღლის უელსელ ფორვარდთან, ჯონ ჩარლზთან.

ჯაჩინტო მეორე მსოფლიო ომის დროს, ქალაქ ტრევილიოში დაიბადა. მამამისი ფელიჩე რკინიგზის მუშა იყო, რომელიც სამოყვარულო ფეხბურთის დონეზე მცველად თამაშობდა. მას ყველა უცნაური მეტსახელით Ammazzacristiani-თ იცნობდა, რაც „მკვლელ ქრისტიანს“ ნიშნავს. ალბათ, ეს მეტსახელი მისი თამაშის სტილიდან მომდინარეობდა... მიუხედავად ამისა, ჯაჩინტო, რომელსაც Gigante de treviglio-ს („გიგანტი ტრევილიოდან“) ეძახდნენ, მამის გზით არ წასულა. ის სამაგალითოდ კორექტული მოთამაშე იყო, ძალზე იშვიათად ჯარიმდებოდა და პრაქტიკულად არასოდეს კამათობდა მსაჯებთან. თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ჯაჩინტოს არასოდეს მიუღია დისკვალიფიკაცია.

ფაკეტების ოჯახში ჯაჩინტოსთან ერთად, მისი ძმა და ორი და იზრდებოდნენ. როდესაც ის 16 წლის იყო, დედა გულის შეტევით გარდაეცვალა. ამ დროს ჯაჩინტო სახლში არ ყოფილა — გასვლით მატჩში მონაწილეობდა და ოჯახური ტრაგედიის მომენტიდან ორი დღის შემდეგ დაბრუნდა შინ. იმ დროიდან მოყოლებული, ფაკეტი გულჩათხრობილი გახდა. მისი ნაცნობ-მეგობრები ყოველთვის აღნიშნავდნენ იმას, რომ სევდის კვალი დიდოსტატის სახეზე მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინიშნებოდა.

ოჯახურმა ტრაგედიამ ჯაჩინტოს ღრმა კვალი დაამჩნია. წლების შემდეგ, როდესაც ფაკეტი უკვე სუპერვარსკვლავის სტატუსით ასპარეზობდა, მისთვის უკითხავთ: „გაქვთ თუ არა ოცნება, რომელიც ვერ აისრულეთ?“ ფეხბურთელს კი უპასუხია: „ძალიან მინდოდა, რომ დედაჩემს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება შრომობდა, ჩემი წარმატებით გაეხარა და დაესვენა. საუბედუროდ, ის ამ ყველაფერს ვერ მოესწრო. დედაჩემი მხოლოდ ერთხელ ადევნებდა თვალს ჩემს თამაშს ტელევიზორში, როდესაც იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოვდიოდი. და სწორედ იმ საღამოს გარდაიცვალა...“

1966 წელს, როდესაც „ინტერი“ გასვლაზე „ბოლონიას“ ხვდებოდა, ელენიო ერერამ ფაკეტის 11-ნომრიანი მაისური ჩააცვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას თავდასხმაში უნდა ეთამაშა. სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრიდან კარგი არაფერი გამოსულა. მუდმივად მეტოქის საჯარიმო მოედანთან ყოფნისას, ფაკეტის კომფორტულად ნამდვილად არ უგრძნია თავი. ჩავარდნილ ექსპერიმენტს გაზეთებში „იაცინტო სფიორიტტო“ („ჯიაჩინტი გაუფერულდა“) უწოდეს. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დიდ ფეხბურთში ფაკეტიმ თავდამსხმელის როლში გამოცადა თავი. ისე კი, როდესაც 1959 წელს, „ტრევილიეზეში“ (მისი მშობლიური ქალაქის გუნდი, რომელიც იმხანად მეოთხე დივიზიონში გამოდიოდა) სამწლიანი ასპარეზობის შემდეგ, „ინტერში“ გადავიდა, კლუბის იმჟამინდელმა მწვრთნელმა ჯანი ბერერამ მისი ფორვარდად გამწესება განიზრახა. მაგრამ შავ-ლურჯმაისურიანებს შემტევი ფეხბურთელები ისედაც ჭარბად ჰყავდათ. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ჯაჩინტო ფაკეტი მცველის პოზიციაზე აღმოჩნდა.

სერია A-ში ფაკეტის დებიუტი 1960-1961 წლების სეზონის მიწურულს შედგა. 1961 წლის 21 მაისს „ინტერი“ დედაქალაქში „რომას“ ხვდებოდა. რამდენიმე კვირით ადრე, ჯაჩინტომ ელენიო ერერა გაიცნო. ერერას მისთვის უთქვამს: „ხვალ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებს გაეცნობი და მათთან ერთად ითამაშებ“. მილანურ გრანდში ფაკეტის დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა: „ინტერმა“ 2:0 მოიგო. მაგრამ შემდგომი სეზონი ჯაჩინტომ არცთუ ისე დამაჯერებლად ჩაატარა. ის გოლის გატანას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რის გამოც მაყურებელთა სტვენას იმსახურებდა. მიუხედავად ამისა, მის ნიჭს ერერა მაინც სათანადოდ აფასებდა. „ეს ბიჭი ნაკრებში მოხვდება“, — ხშირად ამბობდა იგი.

მართლაც, 1963 წლის 27 მარტს ფაკეტიმ პირველად მოირგო „სკუადრა აძურას“ მაისური. მაშინ იტალიელები თურქეთს ხვდებოდნენ. მალე ის კაპიტნადაც აირჩიეს. ამ ამპლუაში ფაკეტიმ 70 მატჩი ჩაატარა, რაც იტალ-

იისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

საერთო ჯამში, ქვეყნის უმთავრეს გუნდში მან 94 მატჩი ითამაშა, რაც პაოლო მალდინის გამოჩენამდე, მინდვრის ფეხბურთელისთვის ასევე რეკორდად რჩებოდა. ნაკრებში ჯაჩინტოს უფრო იშვიათად გაჰქონდა გოლი, ვიდრე კლუბში: „სკუადრა აძურაში“ მან სულ სამჯერ გამოიჩინა თავი. რაც შეეხება „ინტერს,“ იქ სულ სხვა ვითარება იყო შექმნილი. მხოლოდ 1965-1966 წლების სეზონში, მან მეტოქეთა კარში 10 გოლი გაიტანა, გარდა ამისა, ერთხელ ჰეთ-თრიკიც შეასრულა. მცველთათვის, მით უმეტეს იტალიაში, ესეც იშვიათი მოვლენაა.

ჯაჩინტო ყოველთვის ერერას საყვარელი მოთამაშე იყო. თანაც იგი სახელოვან ფეხბურთელს ხშირად „პოტენციურ შესანიშნავ მწვრთნელად“ მოიხსენიებდა.

ნაკრებში ფაკეტი დიდი ხნის განმავლობაში კიდევ ერთ ცნობილ იტალიელ მცველთან — ტარჩიზიო ბურნიჩთან ერთად ასპარეზობდა. 1974 წლის მუნდიალზე „სკუადრა აძურას“ მარცხის შემდეგ (მესამე მუნდიალი ფაკეტის კარიერაში), გუნდიდან ყველა დამსახურებული ვეტერანი დაითხოვეს. „წმენდა“ ჯაჩინტოსაც შეეხო, თუმცა — მხოლოდ მცირე ხნით. უკვე 1975 წლის გაზაფხულზე მან კვლავ დაიმკვიდრა ადგილი ნაკრებში, ოღონდ ამჯერად — ლიბეროს პოზიციაზე.

1978 წელს არგენტინაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი ჯაჩინტო ფაკეტისთვის მეოთხე მუნდიალი იქნებოდა. ის ოცნებობდა იმაზე, რომ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რიცხვი 100-მდე დაემრგვალებინა. მის გეგმას არც მწვრთნელი, ენცო ბეარზოტი ეწინააღმდეგებოდა. ფაკეტიც ენერგიულად ემზადებოდა მუნდიალისთვის, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ სასურველ დონეზე ასპარეზობა აღარ შეეძლო, ამიტომ თავადვე სთხოვა ენცოს — შემადგენლობაში ნუ შემიყვანო. მის მაგივრად კი, არგენტინაში ახალგაზრდა ანტონიო კაბრინი გაემგზავრა....

ჯაჩინტო ლიდერის ნიჭით ყოველთვის გამოირჩეოდა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ის „ინტერში“ სხვადასხვა სპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, მათ შორის — კლუბის პრეზიდენტის პოსტზეც (პრეზიდენტად ის 2004 წლის იანვარში აირჩიეს).

სერსე კოსმი (სერია A-ს გუნდების ყოფილი მთავარი მწვრთნელი): „მისი სახით ჩვენ სამაგალითო, კომპეტენტური, სამართლიანი და პატივცემული ჩინოვნიკი დავკარგეთ“.

სანდრო მაცოლა (იტალიური ფეხბურთის ლეგენდა): „ის ერთნაირად დიდებული იყო, როგორც მოედანზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მე შემიძლია მას გუნდში იდეალური პარტნიორი ვუწოდო“.

ლუიჯი რივა („კალიარისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ამჟამად ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანი): „თაობის კაპიტანი — მას სწორედ ამ სტატუსს მივანიჭებდი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ჯაჩინტოზე დაყრდნობა შემეძლო. ისევე, როგორც მას ჩემზე. დღეს მე ძველი მეგობარი დავკარგე და მეჩვენება, რომ ჩემს საკუთარ ნაწილს გამოვემშვიდობე“. ■

ვენგერი ჯოლეგას ექომაგება

უკვე დიდი ხანია, რაც ინგლისის პრემიერლიგაში მიმდინარე ნეგატიური მოვლენების გამოძიებით ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა დაინტერესდა. საგამოძიებო ჯგუფს, რომელსაც 2004 წლის იანვარში განხორციელებული სატრანსფერო გარიგებების დეტალური შესწავლა დაევალა, ლონდონის პოლიციის ყოფილი შეფი, ლორდი სტივენსი ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, BBC-ს ჟურნალისტებმა საკუთარი გამოძიება ჩაატარეს, რომლის შედეგებიც რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნეს ტელეგადაცემაში სახელწოდებით — „ფეხბურთის ბინძური საიდუმლოებები“. BBC-ს გამოძიებაში ცენტრალურ ფიგურად „ბოლტონის“ მწვრთნელი, სემ ელარდაისი იქცა. შეგახსენებთ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ის ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო. მან თავის ვაჟიშვილს კრეიგს, რომელიც საფეხბურთო აგენტია, „ბოლტონში“ ებრაელი მცველის, ტალია ბენ ჰაიმის, იაპონელი გამთამაშებლის, ჰიდეტოში ნაკატასა და ომანის ნაკრების გოლკიპერ, ალი ალ-ჰაბსის გადაყვანაში შეუწყო ხელი. BBC -ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ გარიგებით კრეიგმა საკმაოდ დიდი თანხა მიიღო. გარდა ამისა, BBC-ს ჟურნალისტები, რომლებსაც სემ ელარდაისი ცილისწამებისთვის სამაგიეროს გადახდით ემუქრება, ამტკიცებენ — „ბოლტონის“ მესაჭე გამონაკლისი არ არის და ინგლისის პრემიერლიგის ყოფილი და ამჟამინდელი კიდევ 18 მწვრთნელი შოულობდა არაკანონიერი გზით ფულსო. რა თქმა უნდა, თავად სემ ელარდაისი ბრალდებას უარყოფს: „პროგრამის ეთერში გასვლისას ლიგის თასის გათამაშების მატჩში „უოლსოლს“ ვხვდებოდით. მე იგი არ მინახავს, მაგრამ აუცილებლად დავაკვირდები უახლოეს მომავალში. საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება შემიძლია, რის შემდეგაც, კარგ დღეში არ აღმოჩნდებიან ისინი, ვინც ბრალს მდებენ“. სხვათა შორის, მას სახელოვანი კოლეგა, ლონდონის „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერიც გამოექომაგა. „ეს ყველაფერი „ჟუდიანებზე ნადირობას“ მაგონებს, როდესაც ადამიანებს, ყოველგვარი სამხილის გარეშე, კოცონზე წვავდნენ. ნაადრევი დასკვნების გამოტანის წინააღმდეგი ვარ, რამაც შეიძლება, მწვრთნელის კარიერა დაასამაროს. ელარდაისის რაიმეში დადანაშაულების უფლება არავის აქვს მანამდე, ვიდრე არ დამტკიცდება, რომ მან კანონი დაარღვია. შეიძლება, ფეხბურთში არამზადები მართლაც არსებობენ, მაგრამ ჩემი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში 150 ტრანსფერი განმიხორციელებია და ფული არასოდეს შემოუთავაზებიათ. ალბათ მე ძალიან მდიდარი კაცის შთაბეჭდილებას ვტოვებ...“ — დასძინა ვენგერმა The Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ■

იბრაგიმოვიჩი მამა გახდა

შვედი ფორვარდის ზლატან იბრაგიმოვიჩისთვის წარუმატებლობის პერიოდი დასრულდა. ამჟამად, ფეხბურთელისთვის

ეროვნული ნაკრების მიღმა დარჩენაც კი, მეორეხარისხოვანია. საქმე ის გახლავთ, რომ მას მეგობარ ელენ სედგერთან ვაჟიშვილი შეეძინა. თავის დროზე, ზლატანისა და ელენის რომანმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: მოდელი ხომ თავის ბოიფრენდზე მთელი 10 წლით უფროსია!.. მიუხედავად ამისა, იბრაგიმოვიჩისთვის ასაკობრივი სხვაობა საყვარელთან განშორების მიზეზი არ გამხდარა. პირიქით, ის ყოველთვის იცავდა თავის რჩეულს. ერთი სიტყვით, მათი რომანის დაწყებიდან 2 წლისთავზე, ელენმა ბიჭი გააჩინა, რომელსაც მაქსიმილიანი დაარქვეს. „უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, — განაცხადა ფეხბურთელმა, — ვაჟის შეძენა ჩემს ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა“. ■

ჯანალისს სიყვარულში არ უმართლებს

კრისტიან ვიერისთან განშორების შემდეგ, ცნობილმა მოდელმა ელიზაბეტ კანალისმა ვერაფრით ვერ აიწყო პირადი ცხოვრება. ამაში მას ყოველთვის რაღაც უშლის ხელს: ხან ჟურნალისტები, რომლებიც უბრალო ფლირტის შემდეგ, მოდელს შეყვარებულის იარლიყს აწებებენ ხოლმე, ხანაც — არასერიოზული ახალგაზრდები. მაგალითად, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ელიზაბეტი იტალიელმა ჟურნალისტებმა ცნობილ რეჟისორ გაბრიელე მუჩინოს „გაუმიჯნურეს“. ამის შემდეგ, გავრცელდა ხმა, რომ კანალისს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა იტალიური ავტოიმპერიის, FIAT-ის მემკვიდრე ლაპო ელკანისთან. თავად ელკანიმ განაცხადა, რომ ელიზაბეტთან მხოლოდ მეგობრობა აკავშირებს. „ეს ჭორია. მე და ელიზაბეტი უბრალოდ მეგობრები ვართ“, — თქვა ელკანმა. ამჟამად კანალისი ამერიკაშია და შესაძლოა, მან სწორედ იქ იპოვოს ცხოვრების თანამგზავრი. ■

სასწაულებრივად გამრთელებული და ერთმანეთს შერწყმული წმიდათაწმიდა სხეულები

1-ელ ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაწესებულია ხსენება წმინდა მოწამეთა ბიძინასი და ორთა ძმათა ერისთავთა — ელიზბარისა და შალვასი, რომლებიც 1661 წელს, ქრისტიანული რჯულისთვის მოწამებრივად აღესრულნენ. მათი წმინდა სხეულები დაკრძალულია იკორთის მთავარანგელოზთა მონასტერში...

მორენა მერკვილაძე

XVII საუკუნეში, როდესაც კახეთს თეიმურაზ პირველი განაგებდა, მძიმე ჟამი ედგა ამ მშვენიერ კუთხეს. სპარსელები ყველანაირად ცდილობდნენ მის მიტაცებას. მართალია, 1629 წელს შაჰ-აბას პირველი გარდაიცვალა, მაგრამ მისი მემკვიდრე, შაჰ-აბას მეორეც არ აპირებდა კახეთის დათმობას და რადგან მას თავის „სახანოდ" მიიჩნევდა, კახეთის გამგებლად სელიმ-ხანი დაადგინა.

შაჰ-აბას მეორეს კახეთიდან ადგილობრივ მკვიდრთა აყრა და მათ ნაცვლად თურქმანების ჩასახლება ჰქონდა გადაწყვეტილი. ეს განზრახვა სელიმ-ხანს უნდა მოეყვანა სისრულეში. მან შაჰის ნდობა გაამართლა — ორ წელიწადში მთელი კახეთის ბარი აზერბაიჯანიდან ჩასახლებულმა თურქმანებმა დაიკავეს. მტერმა ერთიანად გაძარცვა და დაარბია ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები. მართლმადიდებლურ სიწმინდეთა დიდი ნაწილი გაყიდეს, ნაწილი კი გაანადგურეს. კახეთის მიწაზე მეჩეთების აგებას მიჰყვეს ხელი. არც ვაზი დატოვეს ქართულ მიწაზე — ერთიანად აჩეხეს და მის ნაცვლად ბრინჯი დათესეს. კახელებს ბარში აღარ დაედგომებოდათ, მთებს აფარებდნენ თავს. სელიმ-ხანი კვლავ განაგრძობდა თურქმანთა ჩამოსახლებას, მის დასახმარებლად შაჰმა ირანის მაშინდელი სპასალარი, ალავერდი-ხანი გამოგზავნა, რომელმაც კახეთში სამი ციხე ააგო: ბახტრიონს, ალავერდსა და ყარაღაჯს. სამივეგან მცველები ჩააყენა, რათა ციხეების საშუალებით ყიზილბაშები და თურქმანები ქართველთა მოსალოდნელი თავდასხმებისგან ყოფილიყვნენ დაცულნი...

მართლაც არ ისხდნენ გულხელდაკრეფილნი ქართველნი — თუშნი, ფშავნი და ხევსურნი აჯანყებისთვის ემზადებოდნენ. მომავალ აჯანყებას კახეთის დიდი თავადი ბიძინა ჩოლოყაშვილი და ძმები — შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები მეთაურობდნენ. მათ გვერდით იდგა თუში ზეზვა გაფრინდაული და მრავალი სხვა ღირსეული შვილი ქვეყნისა.

ამ საყოველთაო ძნელბედობის ჟამს, ერთი თუში ალვანში იყო ჩასული, პურის საყიდლად. მას გზად თურქმანები დახვდნენ, შეიპყრეს, სასტიკად სცემეს და შეურაცხყვეს. შერცხვენილი და დამწუხრებული კაცი თუშეთში ჩასვლისთანავე თანამოძმეებთან მივიდა და ყოველივე მოუთხრო: ან შურისძიება, ან სიკვდილიო, — შესძახეს თუშებმა და ფშავ-ხევსურეთში მაცნე გაგზავნეს — ლაშქრობისთვის მოემზადეთო. აჯანყების მეთაურები სათათბიროდ შეიკრიბნენ, რათა საომარი განაზრახი გაეთვალათ და განესაზღვრათ. გადაწყდა: შუაღამისას ერთდროულად უნდა დასხმოდნენ თავს თათართა მთავარ ბუდეებს — ბახტრიონსა და ალავერდს.

ქართველმა მებრძოლებმა მართლაც მოახერხეს ბახტრიონისა და ალავერდის ციხეების აღება და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, რასაც კახეთის თურქმანთაგან განწმენდა მოჰყვა.

შაჰ-აბას II მიხვდა, რომ მამამისის გეგმას — კახეთში თურქმანთა ჩასახლებას ასე ადვილად ვერ განახორციელებდა, ამიტომ ამ განზრახვაზე დროებით ხელი აიღო და გადაწყვიტა, აჯანყების მეთაურები დაესაჯა. მართლაც მოახერხა ბიძინას, შალვას და ელიზბარის ხელში ჩაგდება. შაჰმა იცოდა, რომ სამივე ბრწყინვალე მებრძოლი იყო, ამიტომ გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა და სპარსეთის სამსახურში დაეტოვებინა, სანაცვლოდ, უდიდეს პატივსა და დიდებას ჰპირდებოდა. სამივე ადარბადაგანის სულთანთან წარგზავნა და შეუთვალა, თუ ქრისტიანულ რჯულს არ შეიცვლიან, მწარე სატანჯველით დასაჯეო. სულთანს ძალზე მოსწონებია ტყვეები და მლიქვნელურად დაუწყია ლაპარაკი — დიდძალ ქონებასა და უდიდეს პატივს ჰპირდებოდა თურმე ქრისტეს უარყოფის სანაცვლოდ: „ჩვენ ზეცათა მეუფის მონანი ვართ და თქვენი პატივი არა გვჭირდება. რადგან უფალმა ასეთი ბრძოლა მოგვაგებინა, მისივე შეწევნით მოველით სულიერი ბრძოლის მოგებას და მისგანვე მივიღებთ ნიჭსა და პატივს, რომელთაც უფალი თავის მოყვარულთ აძლევს. თქვენი პატივი კი თქვენსავით სიზმარივით განქარვდება. და მერე რალა იქნება რწმენის უარმყოფელისთვის? შემდგომად ამისა — მხოლოდ ცეცხლი უშრეტი და სხვანი სატანჯველნი დაუსრულებელი. ვერც თქვენი მუქარა შეგვაშინებს და ვერც პატივი მოგვხიბლავს. მზად ვართ, ყოველივე დავითმინოთ, რათა მასთან ერთად ვსუფევდეთ და ვიხარებდეთ", — უშიშრად განუცხადა ბიძინამ. თათრები მისმა სიმხნევემ და უშიშარმა სიტყვებმა გააკვირვა, თუმცა კვლავ ცდილობდნენ, მლიქვნელური სიტყვებით დაეყოლიებინათ რჯულის უარყოფაზე, მაგრამ ამაოდ: სამივენი მტკიცედ აცხადებდნენ, რომ მზად იყვნენ ქრისტესთვის გაეწირათ თავი. როდესაც მტერი მიხვდა, რომ ენით ვერას გახდებოდა, „საქმეზე" გადავიდა — ბიძინას, შალვას და ელიზბარს ხელ-ფეხი შეუკრეს და ქვებზე თრევა დაუწყეს, თან სასტიკად სცემდნენ და აიძულებდნენ დაეგმოთ ქრისტიანული რჯული. მოწამეები ერთმანეთს ამხნევებდნენ, ლოცვით შესთხოვდნენ უფალს — მიეცა ძალა, რათა სიხარულითა და მხნედ დაეთმინათ მათ თავს მოწევნული სატანჯველი.

როდესაც ცემითაც ვერას გახდნენ, მოწამენი გააშიშვლეს და უდაბნოს მზეზე დაყარეს ხელფეხშეკრულნი. შეორე დღეს ურჯულოები კვლავ მივიდნენ მათთან, მუქარითა და ანასგვარი სატანჯველის დაპირებით კიდევ ერთხელ სცადეს მათი დაყოლიება, მაგრამ ვერც ამჯერად მიაღწიეს საწადელს. მაშინ, სულთანმა ბრძანა, შალვასა და ელიზბარისთვის თავები მოეკვეთათ — იქნებ, ამით ბიძინა შეშინდეს და ის მაინც გადმოვიდეს ჩვენს რჯულზეო. შალვა და ელიზბარი ჯერ სასტიკად გვემეს, შემდეგ კი, რადგან მტრებზე გაცილებით მაღლები იყვნენ, წვივებზე მახვილები ჰკრეს და მუხლებზე დასცეს, რათა ამგვარად მოეხერხებინათ მათთვის თავების მოკვეთა.

ჯერი ბიძინაზე მიდგა. იგი უშიშრად და მედგრად გამოიყურებოდა. გმობდა და აგინებდა მათ რჯულს — ბილწსა და ცრუს უწოდებდა. გაჯებულმა თათრებმა მოწამეს ჩადრი ჩამოაფარეს, ვირზე უკუღმა შესვეს და ერთხანს ასე ატარეს. მას კი მაცხოვარი დაუდგა თვალწინ, რომელიც ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე, იერუსალიმში ვირის კიცვზე შემომჯდარი შევიდა. მისი გული განუზომელმა სიხარულმა მოიცვა — ქველმოქმედნი გამიხდნენ უღმერთონი, ცოტაც და ვირით შევალ ალბათ ზეციურ იერუსალიმში — სამოთხეშიო.

ბიძინა ვირიდან გადმოიყვანეს და მისი ასო-ასო აჩეხა გადაწყვიტეს. ჯერ მარჯვენა ხელზე სათითაოდ მოჰკვეთეს თითები, შემდეგ — მარცხენა ხელზე გადავიდნენ: „მერე მაჯა-იდაყვნი და მხარნი და ფერხნი კოჭებიდან მუხლებამდე და ესრეთვე თეძონიცა"... ერთი კვნესაც არ მოსწყვეტია მის ბაგეებს, მხოლოდ „მრწმასს" იმეორებდა გულში დაუცხრომლად და თვალებით ჯვრის ნიშანს ისახავდა.

ნაწილ-ნაწილ აჩეხილი, ისრებით და მახვილებით განგმირეს, თავიც კი არ შეარჩინეს წმინდანის უსულო სხეულს — მოჰკვეთეს და ასო-ასო დანაწევრებული, სხეულთან ერთად მიაგდეს.

მოწამეთა სხეულები წამების ადგილზე, ღია ცის ქვეშ დატოვეს.

ღამით, წმინდა მოწამეთა სხეულებს უჩვეულო ნათელი მოეფინა. იმ ადგილას კი, სადაც მათი წმინდა სისხლი იყო დაღვრილი, საოცარი ნათელი კრთოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მრავალი ლამპარი ერთდროულად ანთებულიყო. შუაღამისას, როდესაც ყველას მიეძინა, იქაურმა სომხებმა ჩუმად მოიპარეს წმინდა მოწამეთა სხეულის ნაწილები და თავიანთ ტაძარში დაკრძალეს. სიწმინდეთაგან მომდინარე ძალითა და მადლით მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულა.

რამდენიმე წლის შემდეგ, წმინდა შალვას მეუღლემ — ქეთევანმა მიაკვლია წმინდა მოწამეთა სამარხს და მათი საქართველოში ჩამობრძანება გადაწყვიტა. სიწმინდეების წამოსაბრძანებლად სარწმუნონი კაცნი წარგზავნა. როდესაც საფლავი გახსნეს, ყველამ საოცარი სახილველი იხილა — წმინდა მოწამე ბიძინას, შალვას და ელიზბარის სხეულები სასწაულებრივად გამრთელებულიყო და ისე შერწყმოდა და შეერთებოდა ერთმანეთს, რომ ვეღარც გაარჩიეს, რომელი სხეული რომელს ეკუთვნოდა. ამ სასწაულის მხილველმა ადამიანებმა ადიდეს ღმერთი და თაყვანი სცეს წმინდა მოწამეთა ნეშტებს. საქართველოში ჩამობრძანების შემდეგ კი, იკორთის მთავარანგელოზთა მონასტერში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში დაკრძალეს. ■

ჩარგალში ესტუმრა ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფლის“ ტკივილი...

ნათია ქივიძე

კარგა ხანია, რაც სოფელ ჩარგალში ქართველი ხალხი ვაჟაობას აღნიშნავს. წესით, ეს ვაჟას დაბადების დღეს უნდა ხდებოდეს; ადრე თურმე ასეც იყო, მაგრამ რატომღაც გადასწიეს (გაურკვეველია, ვინ და რატომ) და ამ დღესასწაულს სექტემბრის ერთ-ერთ შაბათკვირას აღნიშნავენ. გამონაკლისი არც წელს ყოფილა და 23-24 სექტემბერს გაიმართა დღესასწაული. სამწუხაროდ, აქამდე ჩარგალში არასოდეს ვყოფილვარ. წელს, ჩემს ჟურნალისტ მეგობრებთან ერთად გადავწყვიტე, რომ შანსი ხელიდან აღარ გამეშვა და ყველამ გეზი ფშავისკენ ავიღეთ. დანიშნულების ადგილზე ასულებს, უამრავი ხალხი დაგვხვდა და ცოტა გაგვიჭირდა სოფლის ბოლოში გასვლა, იქ, სადაც დიდი ქართველი პოეტის, ვაჟა-ფშაველას მშობლიური სახლი დგას. ჩარგალი ორ მთას შორის მდებარე ერთი პატარა, ულამაზესი სოფელია, რომელსაც შუაზე პატარა მდინარე ყოფს, მას ფშავის არაგვს ეძახიან და საოცრად სუფთაა. მდინარის მარცხენა მხარეს, გორაკზე, პატარა ქვის სახლი დგას. სწორედ აქ დაიბადა ვაჟა-ფშაველა. სახლი ერთი პატარა დერეფნისა და ორი ოთახისგან შედგება. დერეფანი ძალზე ვიწრო და პატარაა. კედელზე უძველესი ხალიჩა და ძველისძველი გაცვეთილი ხურჯინი კიდია. ხელმარჯვნივ საძინებელია, სადაც ერთი ვეებერთელა ხის საწოლი დგას — მასზე თურმე ოჯახის ყველა წევრს ერთად ეძინა. საწოლის გვერდზე, ჭერზე ჩამოკიდებულია სადღვებელი, რომლითაც ვაჟა-ფშაველას ოჯახის წევრები კარაქს დღვებდნენ. მარცხენა მხარეს ხის გობი დგას. იქვეა ბუხარი, რომლის თავზეც ლამპა და ვაჟას ახალგაზრდობის ფოტოა მოთავსებული. დერეფნის მარცხენა მხარეს კი საწერი ოთახია, სადაც მნახველს პოეტის საწერი მაგიდა, ორი ხის ტახტი და ბუხარი შეუძლია იხილოს. კედლებზე ძველი მუსიკალური საკრავები და სხვა საოჯახო ნივთებია ჩამოკიდებული. იქვე ვაჟა-ფშაველასა და მისი მეორე ცოლის ფოტოც კიდია. პოეტის სახლ-მუზეუმს 1980 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა და სახლს ისეთივე აივანი მიაშენეს, როგორიც ვაჟას სიცოცხლეში ჰქონდა. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ვაჟა-ფშაველას სახლი საკმაოდ გვიან იქცა მუზეუმად, მისი პირადი ნივთებიდან ცოტა რამ არის შემორჩენილი. პოეტი 1915 წელს გარდაიცვალა და მისი სახლი მხოლოდ 1935 წელს გამოცხადდა მუზეუმად. მანამდე იქ მისი ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ და ბუნებრივია, პოეტის ნივთებსაც დანიშნულებისამებრ იყენებდნენ. როგორც ცნობილია, პოეტს ორი ცოლი ჰყავდა. პირველ ცოლთან ოთხი შვილი შეეძინა, ხოლო მეორესთან — ერთი.

პოეტის სახლს, უკანა მხრიდან, გალავნის ნაცვლად, ტყე ესაზღვრება, ხოლო წინა მხარეს — მდინარე. მდინარის გადასწვრივ ახალი მუზეუმია, სადაც ვაჟა-ფშაველას, მისი შთამომავლებისა და მეგობრების ფოტოებია გამოფენილი. მუზეუმი სამი დარბაზისგან შედგება და იქ უამრავ საინტერესო ფოტომასალას იხილავთ.

ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ჩარგალში დღესასწაულზე თბილისიდანაც უამრავი სტუმარი იყო ჩასული: ცნობილი პოეტები, მწერლები, მომღერლები, სკოლის მოსწავლეები და ა.შ. ვაჟაობის ტრადიციებზე იმ მხარეში დაბადებულ-გაზრდილი, ცნობილი მწერალი და უნივერსიტეტის დოქტორი, ბატონი **გიგი ხორნაული** *გვესაუბრა:*

— ვაჟაობა 1961 წელს, ვაჟა-ფშაველას 100 წლისთავზე დაკანონდა. მაშინ პოეტის იუბილე, მსოფლიო მასშტაბით, იუნესკოს ეგიდით გადაიხადეს. სამწუხაროდ, მანამდე ვაჟას სათანადოდ არ აფასებდნენ (რაღა თქმა უნდა, იგულისხმება ოფიციალური სტრუქტურები). კომუნისტებს ეს პოეტი გულზე არ ეხატებოდათ. აღიარებულია, რომ ვაჟას შემოქმედების ყველაზე ღრმად წვდომა, ცნობილმა ლიტერატორმა გრიგოლ კიკნაძემ შეძლო. თუმცა, არც გრიგოლ რობაქიძეს უნდა დავუკარგოთ ღვაწლი, რომელმაც უფრო ადრე ვაჟა გენიოსად აღიარა; მაგრამ მერე თავად გრიგოლ რობაქიძის ხსენება აიკრძალა საქართველოში... 1961 წელს, მუზეუმის დაარსებისას, ჩარგალში ვაჟას მომსწრე ადამიანები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. მათ შორის იყო ერთი, ოსაფ ზურაბაშვილი, რომელიც ვაჟას სიცოცხლის დროს თემსაბჭოს წევრი გახლდათ. ის კაცი გაოცებული იყო ხოლმე, ვაჟა ახალგაზრდობაში ამბობდა, მე ჩარგალში არ დავიმარხები, მაგრამ ჩემს კარზე ისე მოვა ხალხი, როგორც სალოცავშიო. მართლა ასე ხდება და ნეტავ რატომ, საქმე იმან არ იცოდა და კაფიანობა კიდევ სხვას უკეთესად ეხერხებოდა. რა ნახეთ ამ ვაჟაშიო... ვაჟაობა მას მერე ყოველ წელიწადს იმართება, თუმცა პოეტი ივლისში დაიბადა და ამავე თვეში გარდაიცვალა, მაგრამ რატომღაც ვაჟაობას ჯერ აგვისტოში აღნიშნავდნენ, ახლა ხომ ხედავთ, სექტემბერშია. ასე არ შეიძლება, ეს ერთი და იმავე დროს უნდა ხდებოდეს. ამ დღესასწაულზე კონცერტები იმართება. ადრე პოეტების გამოსვლები და სხვადასხვა სახის შეჯიბრებაც იყო ხოლმე. ისე, კარგი იქნებოდა, ვაჟაობაზე პოეტების კაფიანობა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ჩვენს მხარეში ბევრი პოეტი და მწერალია. ასევე, ამ დღეს დოღი, საერთო ლუდის ხარშვა და სხვა თავშესაქცევი რაღაცები იმართება ხოლმე...*

იქვე ფშაურ სამოსში გამოწყობილი, ცნობილი პოეტი, **თემურ ჩალაგაშვილიც** *შევნიშნეთ, რომელიც თანამეინახეებთან ერთად სუფრას მისჯდომოდა. რა თქმა უნდა, მისი შთაბეჭდილებებითაც დავინტერესდით:*

— ვაჟას გაბრწყინება ყოველ დროში საჭიროა. ახლა მუზეუმის ხელმძღვანელი და ამ დღესასწაულის სულისჩამდგმელი, ქალბატონი ლელა რაზიკაშვილია და ის ამ ყველაფერს შესანიშნავად ართმევს თავს. გულითა და სულით უდგება იმ საქმეს, რასაც ვაჟას სახელის აღზევება ჰქვია. ეს ბედნიერებაა, ქართული სულის ზეიმია და არა მხოლოდ — ვაჟაობა. ეს რომ არ იყოს, ამ უსასო, სისხლისგან დაცლილ საქართველოს რა ეშველებოდა. ამ სილამაზის პატრონს ჩვენს ქვეყანას რა უნდა უჭირდეს... რაც წამოვიზარდე, მას შემდეგ, ეს დღესასწაული არ გამომიტოვებია და ყოველ წელიწადს ამოვდივარ ჩარგალში. ადრე აქ პოეტთა კაფიაობაც იმართებოდა და მეც მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ იქ უფრო ხალხური მთქმელები გამოდიოდნენ და ჩვენც ხელს არ ვუშლიდით. მაშინ მწერალთა კავშირის მოსაწვევის გარეშე ამ დღესასწაულს ვერ დაესწრებოდი. შესაძლოა, ვაჟას შვილიც კი ვერ დასწრებოდა ამ ამბავს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან როცა ვაჟა-ფშაველას ცხედარი ქაშუეთის ეკლესიიდან გამოასვენეს, მისმა ქალიშვილმა ეს ამბავი კახეთში გაიგო და ცხენით ჩამოვიდა იქიდან. ცხენიანი ქალი რომ დაინახეს, არ უშვებდნენ მიცვალებულთან ახლოს. იხვწებოდა ქალი, მამაჩემი მატირეთო... გვეყო ასეთი ტრაგედიები. ამ დღეს მთელ საქართველოს ვულოცავ, უპირველესად კი — რაზიკაშვილებს და ერთ ნაწყვეტს მოგიძღვნით საკუთარი პოეზიიდან: „გაბრწყინებულა ფშავის ცარგვალი, ნურც დაეღლება არაგვს მუხლები, ლექსით გვმასპინძლობს ვაჟას ჩარგალი, შუბლს გვილოკავენ ვაჟას ნუკრები“...*

საღამოს, პოეტის მუზეუმის წინ გაშლილ სცენაზე კონცერტი გაიმართა. მოგვიანებით კი, ყველა სტუმარი სუფრას მიუჯდა და გათენებამდე ქეიფობდა. იყო მხიარულება, სიცილი, კაფიაობა, ხალხური, მრავალხმიანი სიმღერა და ა.შ. იქაურობის შემხედვარეებმა, გავაცნობიერეთ, თუ რატომ ესმოდა ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფლის“ ტკივილი და „შვლის ნუკრის“ ტირილი... ■



მუზეუმის ექსპონატები

პოეტის სახლ-მუზეუმს 1980 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა

ჭიათურიდან თბილისში ჩამოტანილი 30 მანეთი, მჭადის ფქვილი და „გატეხილი" ნიგოზი...

ის ბევრ ცნობილი ადამიანის ფსიქოლოგია. არაერთისთვის მიუცია რჩევა, დაუმშვიდებია. ლაპარაკია გიორგი ვაშაძეზე, ადამიანზე, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია სტუდენტობის ასაკიდან გამოვიდა, მაინც არ ეთმობა სტუდენტობა და ერთი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მეორეში აბარებს. ასე რომ, ის დღესაც სტუდენტია. გიორგი ჭიათურელი გახლავთ. ის იქ დაიბადა და გაიზარდა.

სკოლაც ჭიათურაში დავამთავრე. ძალიან ცუდი მოსწავლე ვიყავი. სწავლა მიჭირდა, ალღოს ვერც ერთ საგანს ვერ ვუღებდი. წერა-კითხვაც ძლივს ვისწავლე. ასე რომ, მეშვიდე კლასამდე „ბეცი" ვიყავი. მერე ჩვენთან სკოლაში მოვიდა რეჟისორი თამაზ მესხი, ჭიათურის თეატრში მუშაობდა. სპექტაკლისთვის გოგონასა და ბიჭს ეძებდა. პიონერხელმძღვანელმა, რომელიც სკოლაში ახალი მოსული იყო, რატომღაც ჩემი თავი შესთავაზა, არ იცოდა, რომ სკოლაში სწავლით არ გამოვირჩეოდი. ამ ფაქტს ჩემი დამრიგებელი შეესწრო, თამაზ მესხის გვერდით რომ დამინახა, წამოიძახა, ამას აქ რა უნდაო და იქიდან გამომაგდო. მეორე დღეს მე თვითონ მივედი თეატრში. როლზე ამიყვანეს და ვითამაშე სპექტაკლში. ამის შემდეგ სასწაული მოხდა: დიდმა სიხარულმა ჩემს ტვინში ეტყობა, რაღაც უჯრედები გამოაღვიძა, აამოქმედა და წაკითხვაც არ მინდოდა, გაკვეთილს ისე ვიმახსოვრებდი. იმ პერიოდში გამიჩნდა სურვილი ფილმი „გამეკეთებინა", ანუ რეჟისორი გავმხდარიყავი. ამ სურვილის შესახებ თემაც დავწერე. ჩემმა ამხანაგმა ზურიკომ ასეთი რამ დაწერა — „იკარუსის შოფრობა" მინდაო. ის შეძლებული ოჯახის შვილი იყო, კარგი მოსწავლეც, მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ამ თემის დაწერის შემდეგ კინაღამ მოკლეს. გავიდა დრო. თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორზე ჩავირიცხე, ერთხელაც ინსტიტუტიდან რომ გამოვედი, 207 ნომერ ავტობუსში ავედი და ჩემი ამხანაგი ზურიკო არ შევნიშნე საჭესთან?! მას წარსული გავახსენე, რაზეც ბევრი ვიცინეთ.

— დედაქალაქისკენ გეზი როდის აიღე?

— 16 წლის გახლდით. არასდროს დამავიწყდება ის სცენა: ბებიამ 30 მანეთი, ერთი პატარა ტომსიკა მჭადის ფქვილი და „გატეხილი ნიგოზი" გამომატანა და დამმოძღვრა: ბებია დაიმახსოვრე, არ დაგინახავს, არ გაგიგია, დიდ ქალაქში მიდიხარ, არ იციო. რატომ ბებია — დებილი ხომ არა ვარ-მეთქი. ეს თითქოს ვითომო, თორემ ყველაფერი უნდა დაინახო, გაიგო და იცოდეო.

— ასრულებ ბებიის დარიგებას?

— დღემდე!

— რითი ჩამოხვედი თბილისში?

— მატარებლით, მთელი ღამე მოვდიოდი. ქალაქში რომ გავედი მთავრობის სასახლესთან, რუსთაველზე 20-კაპიკიანი ვიპოვე, „არიოლზე" ეგდო. ხელში ავიღე და გამარჯვების სიმბოლოდ მივიჩნიე.

— ესე იგი თბილისში გაგიმართლა?

— დიახ, თბილისი ჩემთვის „სუფთაა". მთავარია, მას რა გულით შეხვდები, რა თვალით შეხედავ, ისიც ასევე გიპასუხებს. უცხოეთში სად არ ვყოფილვარ და არსად მომნდომებია დარჩენა. თუმცა დედაქალაქი მკაცრია. მას თავისი კანონები აქვს. უნდა გაუგო.

— დღეს თბილისელი ხარ?

— ეს არასდროს მითქვამს, მე ჭიათურელი ვარ და დედაქალაქში ვცხოვრობ. ქალაქში დამკვიდრება იცი, რას ნიშნავს? ააწყო ადამიანებთან ურთიერთობა, უერთგულო მათ. ეს არის ჩემი სახელმძღვანელო. ■

ირაკლი ჩარკვიანს მემორიალური დაფა გაუკეთეს

„1985-2006 წლებში ამ სახლში ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მუსიკოსი, პოეტი და მწერალი ირაკლი ჩარკვიანი", — ეს სიტყვები გასულ კვირას, ირაკლი ჩარკვიანის სახლის კედელზე, მემორიალურ დაფაზე გამოჩნდა. მემორიალური დაფის გახსნას უამრავი ადამიანი დაესწრო: ოჯახის წევრები, მეგობრები, ხელისუფლების წარმომადგენლები (გიგი უგულავა, მაია ნადირაძე), პოეტები, მწერლები, მუსიკოსები. სპეციალურად ამ დღისთვის გამზადებულ თეთრ დაფაზე, თითოეული მათგანი წარწერას აკეთებდა: „ირაკლი, გვენატრები!", „მეფე ერთია..." „შენ ნამდვილი გმირი ხარ... „ცხოვრება მასწავლე"... ეს ყველაფერი ირაკლი ჩარკვიანის სიმღერების ფონზე მიმდინარეობდა.

ქეთათო: „ძალიან ვღელავ. ჩემთვის მნიშვნელოვანი დღეა, რომელიც კიდევ ერთხელ მახსენებს, რომ ირაკლი ნიჭიერი ადამიანი იყო, იცხოვრა და აღარ არის... მადლობა ყველას, ვინც ამ დღეს გვერდით დამიდგა. მაგრამ მადლობას ყველაზე მეტად ისევ ირაკლის ვუხდი — იმის გამო, რომ მასთან კარგი მოგონებები მაკავშირებს".

გელა ჩარკვიანი: „ეს, რაც გაკეთდა, ირაკლის დაფასებაა. თუმცა, ადრე მისი ბევრს არ ესმოდა... მისი წიგნი მეხუთე თვეა, გაყიდვის თვალსაზრისით, I ადგილზეა. სასიამოვნოა, რომ ირაკლის წიგნს ამდენი ხალხი კითხულობს".

ნიკუშა შენგელაია: „კარგია, თუ დღევანდელი დღის შემდეგ ადამიანებს ეცოდინებათ, სად ცხოვრობდა ირაკლი ჩარკვიანი. ჩემთვის სევდის მომგვრელია ეს დაფა, ირაკლის ვერაფრით ვუკავშირებ. მთელი ცხოვრება გიტარაზე უკრავდა... ჩემი ნება რომ ყოფილიყო, კედელზე ერთ გიტარას მივაჭედებდი და ზედ ფლომასტერით წავაწერდი: „ირაკლი ჩარკვიანი". ასეთი დიზაინის დაფა აკადემიკოსებს და ასაკით უფროს ადამიანებს უფრო შეჰფერის. ირაკლი სხვანაირი იყო და ვფიქრობ, მისი მემორიალური დაფაც განსხვავებული უნდა ყოფილიყო. თუმცა კარგია, რომ ირაკლი მაინც ახსოვთ..." ■

ექსკლუზიური კითხვებიანი

ნეკა სებისკვერაძე: „არც წარსულის და არც მომავლის არ მეშინია!"

— ამ ზაფხულს კარგად დაისვენე?

— ქალაქიდან მხოლოდ 7 დღე ვიყავი გასული. კვარიათში გახლდით და იქაც კონცერტები მქონდა.

— აქტიური დასვენება გიყვარს?

— ზოგჯერ, მაგრამ ამ ბოლო დროს, რატომღაც „პენსიონერივით" მსიამოვნებს მარტო დასვენება.

— აქტიური ადამიანი ხარ?

— კი, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ ცოტას ვზარმაცობ.

— პარალელურად რამდენი საქმის კეთება შეგიძლია?

— მაქსიმუმ 2-ის.

— დღეღამეში რამდენი საათი გძინავს?

— 6 საათი.

— ეს საკმარისია?

— არა, მაგრამ რა ვქნა?! დროს ისე ვერ ვანაწილებ, რომ საკუთარ თავს დიდხანს ძილის უფლება მივცე.

— კიდევ რის უფლებას არ აძლევ საკუთარ თავს?

— თავს იმის უფლებას ვერ ვაძლევ, რომ ადამიანებს ცუდად მოვექცე.

— იმათ როგორ ექცევი, ვინც შენ გექცევა ცუდად? საპასუხო რეაქცია არა გაქვს?

— არა!

— ესე იგი სახეში სილა რომ გაგაწნან, მეორე ლოყას მიუშვერ?

— ლოყას არ მივუშვერ, მაგრამ შეიძლება, იმ ადამიანთან უსიტყვოდ გავწყვიტო ურთიერთობა და მხოლოდ თვალებით ვაგრძნობინო, რომ მასზე ნაწყენი ვარ.

— ტყუილი გიყვარს?

— არა, არც ტყუილის თქმის უფლებას ვაძლევ საკუთარ თავს და არც დაგვიანების!

— რისი გეშინია?

— სტიქიების, რადგან ამ დროს ადამიანი უძლური ხდება და სიკვდილს თვალებში უყურებს.

— ამბობენ, ოქტომბერში ქარიშხალი იქნებაო...

— ასეთი პროგნოზების არ მჯერა!

— ზოგადად რა გიყვარს?

— ბევრი რამ. განსაკუთრებით ღიმილი. მოღიმარ ადამიანებთან ურთიერთობა, ზღვა, ბიჟუტერია, სპორტი, მუსიკა, მანქანის მართვა, მეგობრების წრეში ყოფნა, ყავის დალევა და სიცილი...

— ტელეფონზე ლაპარაკი?

— ისე, რა. ტელეფონზე მხოლოდ საქმიანი საუბრებით ვიფარგლები, ჭორაობას ვერ ვიტან.

— ახლა რას წაიმღერებდი?

— აუ, რა რთული შეკითხვა დამისვი (*ფიქრობს. მე არ ვაცლი და მორიგ შეკითხვას ვუსვამ*).

— მაშინ რომელიმე ლექსიდან წაიკითხე რაიმე ნაწყვეტი?

— მოდი, ჯერ წავიმღერებ სტიოპასა და მაია დარსმელიძის დუეტს: „დღეს თუ არ მეხება შენი ხელები, თავს არ მოგაბეზრებ, არ შეგეხები"... ვგიჟდები ამ სიმღერაზე. ახლა ლექსს გეტყვი — „მე პატარა ქართველი ვარ"...

— მართალია, შენ პატარა ნეკა ხარ.

— კი (*იცინის*)... ძალიან მიყვარს გალაკტიონის ლექსზე შექმნილი სიმღერა: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან, ერთი შორი ოცნება დამრჩა ძველ მოტივიდან"...

— რა გეგმები გაქვს?

— 1-ელ ოქტომბერს თელავში კონცერტი მექნება, პარკიც იხსნება და კახეთის გუბერნატორის ინიციატივით ღონისძიებაც ტარდება. რამდენიმე ახალ სიმღერაზე ერთდროულად დავიწყე მუშაობა, მაგრამ ჯერ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე. იაპონიიდან მივიღე მიწვევა, თუმცა ჯერ არ ვიცი, რას გადავწყვეტ.

— ახლა რას ფიქრობ?

— გავიღიმო და კარგ განწყობილებაზე დაგაყენოთ (*ვიცინით*) შენ და ირგვლივ მყოფები.

— მოდი, შენი საყვარელი ფრაზაც მითხარი.

— მე არც წარსულის და არც მომავლის არ მეშინია! (*იცინის*).

„სხვისი არაფერი მინდა მე"

კლუბი „ბერიკონი" ქეთი ორჯონიკიძის წიგნისა („იხარეთ ჩემთან და ჩემ გარეშე"...) და კლიპის („სხვისი არაფერი მინდა მე") პრეზენტაციას დაეთმო. ასე გადაწყვიტა ქეთიმ, საზოგადოებისთვის თავი შეეხსენებინა. სიმღერის ავტორი ავთო ბადუაშვილია, არანჟირება ბექა ნიკოლაიშვილს ეკუთვნის, თავად სიმღერა კი — მსუბუქი როკის ჟანრს განეკუთვნება. მომღერალსა და პოეტს „ბერიკონში" ბევრი სტუმარი ეწვია. მათ შორის იყვნენ: ანრი ჯოხაძე, ქეთი გომართელი, ჯგუფი „სეიშენი", ჯაბა ბოჯგუა... კლიპისა და წიგნის პრეზენტაცია სტუმრებმა ავტორს სიმღერით მიულოცეს. ვიდეორგოლი დარბაზში მაყურებელთა მოთხოვნით 4-ჯერ აჩვენეს, რასაც ჩვეულებრივი ქართული მხიარულება მოჰყვა.

ინტიმური ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

(28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ – 4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

თქვენი შრომისუნარიანობა და მომხიბვლელობა საპირისპირო სქესის ადამიანებს იზიდავს, ამიტომ პოზიტიური ცვლილებები მოსალოდნელია არა მარტო ბიზნესში, არამედ პირად ცხოვრებაშიც. ეს კარგი პერიოდია ნებისმიერი საქმის დასაწყებად.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

ამ კვირას სიტუაცია ისეთია, რომ უმჯობესია, ინდივიდუალურ საქმიანობაზე ან სულაც, დასვენებაზე იფიქროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, სულ ტყუილად გაისარჯოთ. კარგია, თუ დასასვენებლად წახვალთ და ნერვებს დაიწყნარებთ.

ᲢᲧᲣᲘ 21.05-21.06

ამ დღეებში შეგიძლიათ სარგებლიანი ფინანსური გარიგება დადოთ. ამასთან, საინტერესოდ განვითარდება თქვენი რომანტიკული ურთიერთობები, რაც თქვენი ოპტიმიზმისა და შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას შეუწყობს ხელს. შაბათს წვეულებაზე მიგიწვევენ, სადაც სასიამოვნო სიურპრიზი გელით.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

თქვენ მზად ხართ რადიკალური ცვლილებების შესატანად როგორც პროფესიონალურ, ისე ოჯახურ და სასიყვარული ასპარეზზე. ამასთან, უფრო ჰარმონიულად ამჟღავნებთ თქვენს გრძნობებს, რაც პარტნიორების გულის მოგებაში დაგეხმარებათ. ისინი, როგორც მატერიალურ, ასევე მორალურ დახმარებას გაგიწევენ.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ამ კვირას თქვენ ინტერესი გაგიმძაფრდებათ კულტურული ცხოვრების, მოგზაურობისა და ხანმოკლე ფლირტის მიმართ. ამასთან, თქვენი ნებისმიერი ქმედება დადებით შედეგს მოგიტანთ. ამიტომ შეგიძლიათ თამამად გადახვიდეთ ახალ სამსახურში, გამართოთ მოლაპარაკებები უფროსებთან და მათი მხრიდან, ქებაც დაიმსახუროთ.

ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ამ დღეებში იღბალი თქვენკენაა, ამიტომ ეს კარგი პერიოდია ნებისმიერი კონტრაქტის დასადებად, ახალი პარტნიორების მოსაძიებლად, დამატებითი სამუშაოს დასაწყებად, საცხოვრებელი ადგილის გამოსაცვლელად, რემონტისთვის, ახალი ნივთების შესაძენად, გარდერობისა და გარეგნობის გასაახლებლად.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

ამ კვირის განმავლობაში, თქვენი ენერგეტიკული პოტენციალის ზრდასთან ერთად, მატულობს თქვენი მომხიბვლელობა და სექსუალურობა. კარგი პერიოდია ასევე რომანტიკული ურთიერთობების დასაწყებად, რომლებიც შეიძლება მომავალში სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

კარგი იქნება, თუ ამ კვირის განმავლობაში უფრო ყურადღებით დააკვირდებით თანამშრომლებსა და ახლობლებს. იმან, რასაც ადრე ვერ ამჩნევდით, შეიძლება მოულოდნელი სირთულეები გამოიწვიოს და თქვენი კარიერა საფრთხის წინაშე დააყენოს. ამასთან, მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები, რაც თქვენი ცხოვრების წესს გარკვეულწილად შეცვლის კიდეც.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

თქვენ ძალაუფლების მოყვარული ხართ და ამასთან გაქვთ იმის უნარი, რომ ადამიანებს უხელმძღვანელოთ. ეს თვისება ამ პერიოდში მკვეთრად გამოვლინდება, რაც საშუალებას მოგცემთ მიაღწიოთ წარმატებას, აისრულოთ სურვილები, განახორციელოთ თქვენი გეგმები და გაიმყაროთ რეპუტაცია.

ᲗᲘᲚᲘᲡ ᲠᲥᲐ 22.12-20.01

ამ პერიოდში თქვენი ავტორიტეტი იზრდება. ამასთან, ბევრი ახალი იდეაც გაგიჩნდებათ. ასეთ დროს კი, უნდა იმოქმედოთ მიზანმიმართულად, კონცენტრირება უნდა მოახდინოთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებზე და გეგმებზე, უნდა გამოავლინოთ პირადი ამბიცია.

ᲐᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

ამ კვირას, თქვენი სექსუალური და რომანტიკული აურა მიმზიდველს გაგხდით საპირისპირო სქესისთვის. თქვენი ემოციები ღრმავდება და საპასუხო გრძნობის იმედიც უნდა გქონდეთ. ეს კარგი დროა ქორწინების, საყვარელ ადამიანთან შეხვედრების, სანუკვარი ოცნებების ასრულებისა და ცხოვრებით ტკბობისთვის.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ამ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს თქვენი სულიერი ჩამოყალიბება. თქვენი ინტუიცია კი საშუალებას მოგცემთ, მართალია, ხანდახან ტანჯვის გზით, მაგრამ მაინც გათავისუფლდეთ ძველი პარტნიორული, თუ ფინანსური ურთიერთობებისგან. თქვენ დარწმუნდებით თქვენი ცხოვრებისეული არჩევნის სისწორეში და შეძლებთ მიაღწიოთ წარმატებას.



M10 – BMW-ს სუპერმანქანა

საავტომობილო სამყაროში ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ ბავარიულ კონცერნში ისეთი სუპერმანქანის შემუშავება მიმდინარეობს, რომელიც არა მარტო „პორშეს“, არამედ „ლამბორჯინისა“ და „ფერარისაც“ კი გაუწევს კონკურენციას. ზოგიერთი წყაროს ცნობით კი, BMW ერთდროულად ორ მოდელზეც კი მუშაობს.

ერთ-ერთ მათგანს Z8 ან Z9 ერქმევა. ეს, ალუმინისგან დამზადებული ძარას მქონე და V8 ან V10 ტიპის ძრავათი აღჭურვილი როდსტერი იქნება. მეორე, რომელსაც პრესაში BMW M10-ის სახელწოდებით მოიხსენიებენ, ასევე ალუმინისძარიანი კუპეა, უმძლავრესი აგრეგატით — 0,5 ლ სამუშაო მოცულობისა და 507 ცხ.ძ. სიმძლავრის V10 ძრავათი აღიჭურვება (ამჟამად ის BMW M5-სა და BMW M6-ს ახლავს). სერიულ წარმოებაში M10-ის ჩაშვების დღისთვის, კონცერნის ინჟინრები მას კიდევ უფრო გააძლიერებენ და დაახლოებით 550 ცხ.ძ. სიმძლავრემდე მიყვანას მოახერხებენ. ■

Audi-ს ახალი მოდელები

ცნობილი საერთაშორისო საავტომობილო გამოცემის — Motor Trend – ინფორმაციით, გერმანული კომპანია „აუდის“ ხელმძღვანელობა უნიკალური კუპეს — TT-Lambo — შეზღუდული პარტიის წარმოების საკითხს განიხილავს. ახალი თაობის Audi TT-ს ბაზაზე აგებული ამ ავტომობილის მთავარ თავისებურებას, 5,0 ლ სამუშაო მოცულობის V10 ტიპის ის ძრავა წარმოადგენს, რომელსაც სუპერმანქანას — Lamborghini Gallardo — დაესესხებიან. წინასწარი მონაცემებით, ამ აგრეგატის სიმძლავრე 350-400 ცხ.ძ-ის ნიშნულს არ ასცდება, თუმცა Gallardo-ში ის 500-ს აღწევს.

მეორე მოდელი, რომელსაც კომპანია საზოგადოების სამსჯავროზე სავარაუდოდ, მიმდინარე წლის დამლევამდე წარმოადგენს, kupe TT-ს ახალი თაობის უმძლავრესი ვერსია გახლავთ. მას Audi TT Rs ერქმევა. ჯერჯერობით არ გამოუცხადებიათ, თუ რომელი ძრავათი იქნება ეს მანქანა აღჭურვილი. როგორც ვარაუდობენ, ეს იქნება ან 3,6 ლ მოცულობის V6 (სიმძლავრე — 350 ცხ.ძ.), რომელიც ორმაგი ტურბოდაბერვითაა აღჭურვილი, ან 2,0 ლ მოცულობის, 300 ცხ.ძ. სიმძლავრის ორტურბინიანი აგრეგატი.

წინასწარი მონაცემების თანახმად, Audi TT RS 90-100 ათასი დოლარი ეღირება. ■

ახალი Toyota Corolla სალონით გაგაცებთ

იაპონურ პრესაში ახალი თაობის Toyota Corolla-ს პირველი ფოტოსურათები გამოჩნდა. ამ მოდელის ოფიციალური პრეზენტაცია უკვე ოქტომბერში, პარიზის საერთაშორისო ავტოსალონზე გაიმართება. მანამდე კი, აღნიშნული სურათებიც შეგვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი იქნება მეათე თაობის „კოროლა“.

წინასწარ გამოთქმული ვარაუდების მიუხედავად, ის არ გამოირჩევა მეტისმეტად თვალისმომჭრელი გარეგნობით, როგორც მაგალითად, Honda Civic, პირიქით — ამ მოდელის დიზაინს კონსერვატორულიც კი შეიძლება ვუწოდოთ. სამაგიეროდ, მისი ინტერიერი მართლაც, სრულიად განახლებულია. ყოველ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებული ფოტოებით ვიმსჯელებთ, მისი სალონი ძალზე ელეგანტური უნდა იყოს. ■

ცეცხლოვანი მანვილი

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი ციფრულმა ჯამერამ 3 წლით ადრე დააფიქსირა...

ხალხი ფიქრობს, რომ მომავლის განჭვრეტა მხოლოდ წინასწარმეტყველების ანუ პროსკოპიის (ასე ეძახიან ამ ფენომენს მეცნიერები) ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთა ხვედრია. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ძალზე იშვიათად ისეც ხდება, რომ მომავალი კატაკლიზმების შესახებ ინფორმაციას ის ადამიანებიც იღებენ, რომელთაც ექსტრასენსორული ნიჭი მანამდე არასდროს გამოუმჟღავნებიათ.

ამის დასტურად სამი, სრულიად სარწმუნო შემთხვევაც კმარა. პირველი მათგანი ბუნებრივ კატაკლიზმს უკავშირდება. კუნძულ მარტინიკზე, ვულკან პელეს ამოფრქვევამდე ცოტა ხნით ადრე, 1902 წელს სხვადასხვა ქვეყანაში, ადამიანებს ესიზმრათ მომავალი კატასტროფა, რომელსაც აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა. ვინმე დიუნემ დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა — 4000 დაასახელა და მომავალი ტრაგედიაც დაწვრილებით აღწერა: ლავის ნიაღვარი, მთის ფერდობზე გაშენებული გადაბუგული სახლები, ტონობით ნაცარი და ნაცრის ქვეშ ცოცხლად დამარხული ხალხი. რამდენიმე ადამიანი სიზმრად ნანახს დაწვრილებით აღწერდა, მაგრამ კატასტროფის ადგილი ვერავინ დაასახელა. ამიტომ მათი წინასწარმეტყველური სიზმრებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

გასული საუკუნის დასაწყისში, ამერიკული გაზეთები ბევრს წერდნენ სრულიად ჩვეულებრივი ქალის, ახალგაზრდა როზა მილფორდის შესახებ. მან 1912 წლის აპრილში სიზმრად გემის დაღუპვა იხილა, რომლის დროსაც როზას დედა ტალღამ გემბანიდან ოკეანეში გატყორცნა და დასაღუპავად განწირული ქალი ხალხით სავსე ნავში სასწაულებრივად აღმოჩნდა. შორიახლო კიდევ რამდენიმე კანჯო დაცურავდა, რომელთა გარშემო ყინულოვან წყალში ასობით დასაღუპავად განწირული ადამიანი ფართხალებდა.

დილით როზამ კოშმარული სიზმრის შესახებ ახლობლებს მოუთხრო, რომელთაც შემდგომ მისი სიტყვები დაადასტურეს. როზა მილფორდი დარწმუნებული იყო, რომ კოშმარი ესიზმრა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ინგლისში მცხოვრები დედამისი ამერიკაში „ტიტანიკით“ გამგზავრებას გადაწყვეტდა. შემდგომი მოვლენები ყველასათვის ცნობილია: 14 აპრილს, ღამით კუნძულ ნიუფაუნდლენდიდან 800 მილის მოშორებით იმ დროისთვის ყველაზე საიმედო, „ჩაუძირავი“ ლაინერი აისბერგს შეეჯახა და სამი საათის შემდეგ ჩაიძირა. როზა მილფორდის დედამ დაადასტურა, რომ მართლაც სასწაულებრივად გადარჩა: წყალში ჩავარდნილი ქალის ახლოს ხალხით გადაჭედილი კანჯო აღმოჩნდა.

წინასწარმეტყველურ სიზმრებთან დაკავშირებული კიდევ ერთი დრამა 1966 წლის 21 ოქტომბერს, ინგლისის მთიან სოფელ აბერფანში გათამაშდა, რომლის გარშემო მაღალი ტერიკონები იყო აღმართული. კატასტროფის მიზეზად სწორედ ეს ტერიკონები იქცა. ძლიერმა ორდღიანმა წვიმამ გიგანტური მეწყერი გამოიწვია და სოფელს ტალახის მდინარე დაატყდა თავს. ტალხის ნიაღვარმა სკოლა და მრავალი საცხოვრებელი სახლი გაანადგურა. თავზარდაცემულმა ხალხმა თავბრუდამხვევი სიჩქარით მოვარდნილ შავ „ზვავს“ თავი ვეღარ დიაღწია. 140 ადამიანი, მათ შორის, სკოლის მოსწავლეები, სტიქიამ იმსხვერპლა.

სხვა ბავშვებთან ერთად დაღუპულმა 9 წლის ერილ ჯონსმა კატასტროფამდე ერთი დღით ადრე, დედას საშინელი სიზმარი უამბო: თითქოს გოგონა სკოლაში მივიდა, მაგრამ სკოლის ადგილას შავი ნაგვის გროვა დახვდა. დედამ ქალიშვილის სიზმრის შესახებ მეზობელს მოუთხრო, მაგრამ მაშინ არავის უფიქრია, რომ ეს კოშმარი რეალობად იქცეოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მსგავსი სიზმარი სხვა ინგლისელებსაც ესიზმრათ. ერთმა ქალბატონმა სიზმრად ბავშვი ნახა, რომელიც შავ მდინარეს გაურბოდა, მეორემ — ბიჭუნა, რომელიც სატელეფონო ჯიხურში იდგა და ყვიროდა. ჯიხური ტალახის ნიაღვარმა დაფარა. ვიღაცის სიზმარში წაქცეული ქალი შავმა მასამ შთანთქა. მომავალი კატაკლიზმის ამსახველი სიზმრები იმ ინგლისელებმაც იხილეს, რომლებიც განწირული სოფლიდან ასობით კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდნენ. კენტის საგრაფოს მცხოვრების წინასწარმეტყველურ სიზმარში ტრაგედიის ზუსტი თარიღიც ფიგურირებდა. „21 ოქტომბერს, პარასკევს, რაღაც საშინელება მოხდება, მაგრამ სად, ზუსტად არ ვიცი“, — ეუბნებოდა ის მეგობრებს. ვინმე ტომ კლიპსს კი პირიქით ღამეულ კოშმარში მისთვის სრულიად უცნობი სიტყვა „აბერფანი“ დაესიზმრა, რომლის მნიშვნელობა მხოლოდ ტრაგედიის შემდგომ გაიგო.

მართალია, ადამიანებმა უბედურების მაუწყებელი სიზმრები წინასწარ იხილეს, მაგრამ ეს ინფორმაციები ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

აი, ეკატერინბურგელმა ნადეჟდა მასლოვამ კი, მომავლის გრანდიოზული კატასტროფა ტრაგედიამდე 3 წლით ადრე თვალნათლივ იხილა. უფრო მეტიც, მან ამ კატასტროფის ფოტოაპარატით გადაღებაც კი შეძლო! რაც იმას ნიშნავს, რომ მომავლიდან მოსული ინფორმაციის მიღება ვირტუალური და აზრობრივი ფორმის გარდა, სინათლის, უფრო სწორად, ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობითაც შეიძლება! ჯერჯერობით ადრეა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა მეცნიერულ დასკვნებს გამოიტანენ ფიზიკოსები ამ სენსაციური აღმოჩენიდან, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამგვარი დასკვნები აუცილებლად იქნება!

1998 წლის ზაფხულში რუსი ტურისტების ჯგუფი აშშ-ში გაემგზავრა. ჯგუფის წევრებს შორის ნადეჟდა მასლოვა და ეკატერინბურგის ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი კირილ ნოვოსელსკიც იყვნენ. რუსი ტურისტები ნიუიორკში ფლორიდიდან ჩავიდნენ და 2 ივნისს მსოფლიო სავაჭრო ცენტრს სტუმრობდნენ.

„იმ დღეს მე, კირილმა და ჩვენმა მეგობრებმა ყველაზე მაღალი ცათამბჯენის სახურავზე მდებარე გადასახედ მოედანზე დიდხანს ვისეირნეთ. ექსკურსია საკმაოდ ძვირი, 17 დოლარი ღირდა, მაგრამ პანორამა, რომელიც ჩვენ თვალწინ, 110-ე სართულიდან გადაიშალა, ამ ფულად მართლაც რომ ღირდა! ქალაქი თითქოს ხელისგულზე მედო. ჰუდსონის სარკისებრ

ზედაპირს მზის სხვები ათასფრად აბრჭყვიალებდა. ცის სიახლოვე სუნთქვას მიკრავდა. ჰორიზონტს ცეცხლოვანი მზე ანათებდა“, — ასე იწყებს ნადეჟდა მასლოვა თხრობას ზებუნებრივი სასწაულის შესახებ, რომელიც მან იმ დაუვიწყარ დღეს იხილა. „ქალაქის თავზე ზანტი სიჩუმე ჩამოწოლილიყო. არაფერი მოასწავებდა იმ სასწაულს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ვიხილე. მე და ჩემი მეგობრები დარბაზში შევბრუნდით და ყავის დასალევად მყუდრო ბარში შევედით. მეგობრები მაგიდასთან დარჩნენ, მე ფანჯარასთან მივედი. იქ მყოფთ გარე სამყაროსგან ჭერამდე აზიდული, გამჭვირვალე მინები გვყოფდა. ფანჯრების გასწვრივ უამრავ ტურისტს მოეყარა თავი. ზოგი იჯდა, ზოგი იწვა. ისინი ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ და შესანიშნავი პანორამით საათობით ტკბებოდნენ. ფანჯარასთან მდგომი, უძირო ცას აღფრთოვანებით შევცქეროდი და მასთან სიახლოვეს ვგრძნობდი. უეცრად ვიგრძენი, რომ ჩემ გარშემო რაღაც ხდებოდა. ცათამბჯენის თავზე მზე თითქოს გაცოცხლდა, ფეთქვა დაიწყო და მასში ცეცხლოვანი ლავა ათუხთუხდა. უეცრად მზე ძლიერმა დარტყმამ შეაზანზარა, ჰუდსონის თავზე ცა აფეთქდა და წამის მეასედში ცეცხლოვან ღრუბლად გადაიქცა. მზე უფრო ცხელი და კაშკაშა გახდა. მისგან ლავა უზარმაზარ ფანტელებად გადმოიღვარა. მომეჩვენა, თითქოს ცეცხლის „ზვავი“ თავზე ჩამომექცა. ცეცხლი გიზგიზებდა, თუხთუხებდა და საშინელ სიცხეს მთელი სხეულით შევიგრძნობდი. ცეცხლოვანი ნაპერწკლებისა და ალისგან დაბრმავებული, კვამლით გაგუდული უცნაური ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა. მათ ტკივილს საკუთარი სხეულით შევიგრძნობდი. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა და სიცხისგან თავადაც ვიგუდებოდი. რამდენიმე წუთის განმავლობაში დამბლადაცემულივით ვიდექი, შემდეგ სკამზე წამოვწექი. ჩემი სხეული ცეცხლის სიმხურვალეს ძლივსღა უძლებდა. მიმოვიხედე და გაოცებული დავრჩი: ჯოჯოხეთურ სიმხურვალეს ჩემ გარდა, ვერავინ გრძნობდა. ტურისტები მშვიდად ისხდნენ, საუბრობდნენ და ფოტოსურათებს იღებდნენ.

ძალღონე მოვიკრიბე და ჩემი ძველი „ზენიტით“ ფანჯრის მიღმა, ცეცხლოვანი ქარიშხლის ფოტო გადავიღე. შემდეგ შინაგანმა ხმამ მიკარნახა კირილი მეხმო, რომელსაც ციფრული კამერა ჰქონდა. „გადაიღე“!.. — ვთხოვე მას. კირილმა ფანჯარაში გაიხედა და გაოცებულმა მკითხა: „რა გადავიღო? ცაში არაფერია“, მაგრამ კადრი მაინც გადაიღო და გაოცებისგან ორივე გავშეშდით — სურათზე გარკვევით გამოჩნდა უზარმაზარი ცეცხლოვანი მახვილი, რომელიც ქალაქის თავზე უხილავ ხელს აღემართა.

იმისათვის, რომ უფრო გასაგები იყოს, განგიმარტავთ. ციფრული ფოტოაპარატით გადაღებული კადრი ეკრანზე უმალვე ჩანს. როდესაც კირილმა ობიექტივი ცისკენ მიმართა, მხოლოდ ლაჟვარდოვანი ცა მოჩანდა, მაგრამ როგორც კი თითი ღილაკს დააჭირა, სურათზე ცეცხლოვანი მახვილი გარკვევით გამოისახა. ჩემ გარდა, ცაზე საშინელი ცეცხლი არავის შეუნიშნავს, მაგრამ ფოტოაპარატმა აუღელვებლად დააფიქსირა ჰუდსონის თავზე აღმართული, უზარმაზარი მახვილის მომწვანო ცეცხლისფრად მოელვარე ალესილი პირი.

ეკრანზე გარკვევით მოჩანდა მახვილის ვადა, რომელიც ძლიერ სინათლეს გამოსცემდა. ეს საოცარი მახვილი და მისი ვადა დამოუკიდებელ რამედ აღიქმებოდა. მას სიმკვრივე, მოცულობა, ფორმა გააჩნდა და ჰაერში მსუბუქად ეკიდა.

ცეცხლოვანი შტორმი 40-50 წუთი გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მოედანზე ვიყავით. თავბრუ მესხმოდა და წუთითაც არ მტოვებდა იმის შეგრძნება, რომ ცისგან მხოლოდ სიფრიფანა ბარიერი მყოფდა, მის მიღმა კი, უამრავი ადამიანის თანდასწრებით უხილავი სამუშაო მიმდინარეობდა, რომელსაც ვიღაც მანათობელი მახვილიდან გამოსხივებული ენერგიით წარმართავდა.

ეკატერინბურგში დაბრუნებულმა, ჩემ მიერ ნანახი აღვწერე და გაზეთში გამოვაქვეყნე. მაშინ ამ სასწაულებრივი მოვლენის არსში წვდომა გამიძნელდა. ვგრძნობდი, რომ ეს ამერიკის მისამართით გამოგზავნილი ერთგვარი გაფრთხილება იყო. ციფრული კამერით გადაღებული სურათი კი, ადამიანური და რომელიღაც სხვა სამყაროს ურთიერთქმედების ახალი ფორმის შესახებ მომავლიდან შემოჭრილი ინფორმაცია უნდა იყოს, რათა ისინი, ვინც ცათამბჯენთა ქალაქს აშენებენ, განვითარების ტექნოკრატიული გზის არსზე დაფიქრდნენ, ამ სულიერებას მოკლებულ გზაზე უარი თქვან და ადამიანური ყოფიერების გააზრებისკენ აიღონ გეზი, — ასე ვფიქრობდი მაშინ, როდესაც ზეციური გზავნილის ამოხსნას ვცდილობდი.

მე მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვარ, ამიტომ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ იმ საშინელი ტრაგედიის სურათი ვიხილე, რომელიც სამი წლის შემდეგ იმავე ადგილას დატრიალდებოდა. ჩემს არაცნობიერს არ შეეძლო იმის გაცნობიერება, რომ ეს აფეთქება იყო, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. როდესაც ამ ამოუცნობი ამბის შესახებ გაზეთში ვწერდი, იმედი მქონდა, პასუხს ის სპეციალისტები გამცემდნენ, რომელნიც არამატერიალურ სამყაროს მეცნიერულად შეისწავლიან. მათგან მრავალგვარი ახსნა მივიღე, მაგრამ ჩემ მიერ ნანახის ჭეშმარიტ არსს ვერავინ ჩასწვდა.

ამოუცნობი მოვლენა თავისთვად გასაგები გახდა 2001 წლის 11 სექტემბერს. ტელევიზორთან ვიჯექი და უეცრად აფეთქების სწორედ ის სურათი ვიხილე, რომლის მომსწრე 3 წლის წინ, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის სახურავზე მდებარე მოედანზე გავხდი. მოულოდნელობისგან შევყვირე, როდესაც კატასტროფის ამსახველ კადრებს შევყურებდი, სამი წლის წინანდელმა გრძნობამ შემიპყრო. მაშინ სწორედ ეს ცეცხლი და ცეცხლოვანი ღრუბელი ვიხილე, იმავე სიძლიერის დარტყმითი ტალღა შევიგრძენი.

მალე მოსკოვში სემინარზე „XXI საუკუნის ერთიანი მსოფლიო შეგნება“ მომიწვიეს, რომელსაც პროფესორი ვლადიმირ ვოლჩენკო ხელმძღვანელობს, მაგრამ მოხსნების წაკითხვა ვერ მოვახერხე. უკანასკნელ წუთებში უარი მითხრეს, რადგან რატომღაც ჩემი მოხსენება ამერიკისადმი მიმართებაში არაეთიკურად მიიჩნიეს. პირადი საუბრის დროს, აკადემიკოსებმა დიდი ინტერესით მომისმინეს, ფოტოსურათები შესასწავლად დაიტოვეს, მაგრამ ჩემს კითხვებს პასუხი მაინც ვერ გასცეს. ფოტოსურათები და ჩემი მონათხრობი ამერიკულ გაზეთებს, რუსეთის მთავრობას და კოსმოსური კვლევის ცენტრს გავუგზავნე. ტრაგედიამდე და ტრაგედიის შემდგომ მასალები ამერიკის კონსულსაც გადავეცი, მაგრამ არავინ გამომეხმაურა!“

რას უნდა ნიშნავდეს მანათობელი მახვილი? ნადეჟდა მასლოვამ ამ შეკითხვაზე მეცნიერებისგან პასუხი ვერ მიიღო, თავად კი ფიქრობს, რომ ამერიკა უზარმაზარი ცოცხალი ორგანიზმის — სამყაროს მცირედი უჯრედია. ბუნების განვითარების შეჩერება კი არავის ძალუძს! თუ რომელმიე უჯრედი არაადეკვატურად, არანორმალურად იქცევა, მას სამყაროს ცოცხალი ორგანიზმი გააკონტროლებს, მაგრამ კორექციის პროცესს შესაძლოა, გაუთვალისწინებელი აქტი მოჰყვეს. ამ დროს ორგანიზმი ცალკეული უჯრედის მიმართ სპეციფიკურ მექანიზმს გამოიყენებს. სამყარომ კატასტროფის შესახებ გაფრთხილება გამოგზავნა და გვამცნო, რომ მსოფლიოში პლანეტისგან გამოყოფილი, ინდივიდუალური არაფერია, რომ პლანეტის ევოლუციისთვის მნიშვნელოვანია ადამიანის ცნობირების ევოლუცია და, რომ პლანეტაც ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია.

„როდესაც 2001 წლის 11 სექტემბერს ტელევიზიით ცეცხლოვანი ქარიშხალი ვიხილე, რომელმაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრი შთანთქა, ის ჩანახატები მოვძებნე, რომლებიც 3 წლის წინ, ნიუ-იორკში გავაკეთე. მათზე უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი და მეხანძრეები არიან გამოსახულნი. საოცარია, მაგრამ სიტყვის „აფეთქება“ წარმოთქმა დღესაც კი არ შემიძლია. შესაძლოა, სწორედ ამაშია იმ ადამიანთა პრობლემა, რომელთაც მომავლის განჭვრეტა ძალუძთ! ადამიანის არაცნობიერ „მეს“ ცუდი ამბების დაჯერება არ სურს. ის ჯიუტად იმედოვნებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ამით ადამიანს შანსს აძლევს“, — სწორედ ასე ხსნის ნადეჟდა მასლოვა იმ ფაქტს, რომლის წინასწარმეტყველური ხილვა შეუმჩნეველი დარჩა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანები შემდგომში მაინც შევძლებთ მომავლიდან მოსული გაფრთხილებების ახსნასა და გააზრებას, თორემ კაცობრიობა ახალ-ახალ კატასტროფებს გვერდს ვერ აუვლის! ■

რას უნდა ელოდეთ ხვალინდელი დღისგან?

ფსიქოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი ადამიანის ბედ-იღბალზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს მისი განწყობილება: თუკი სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ადამიანი ბრძანდებით, ხვალინდელი დღისგან წარმატებებს უნდა ელოდეთ; ხოლო თუკი შიშითა და ძრწოლით შეჰყურებთ მომავალს, უსიამოვნებები შესაძლოა, მართლაც არ აგცდეთ. როგორ გავლენას ახდენს თქვენი ემოციური განწყობილება თქვენს ბედ-იღბალზე? ამას ტესტის მიხედვით გაიგებთ.

1. ნებისმიერ ეპოქაში ცხოვრების შესაძლებლობა რომ მოგცემოდათ, რომელ დროში ისურვებდით ცხოვრებას?

ა) წარსულ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ის უამრავი საზიზღრობა, რაც დღეს ჩვენ გარშემო ხდება;

ბ) მომავალ ეპოქაში, როცა ცივილიზაციის პროგრესი გადაწყვეტდა დღეს არსებულ უამრავ პრობლემას;

გ) ჩვენს ეპოქაში ცხოვრებაც მაკმაყოფილებს.

2. როგორი გრძნობა გეუფლებათ სატელევიზიო რეკლამის ყურებისას?

ა) ნერვები მეშლება;

ბ) ინტერესით ვუცქერ;

გ) არანაირი გრძნობა არ მეუფლება;

3. როგორ ფიქრობთ, უკანასკნელ წლებში კლიმატური პირობები შესამჩნევად გაუარესდა?

ა) დიახ, ეს ხომ სრულიად ცხადია;

ბ) ჩემი აზრით, კლიმატური პირობები სულაც არ გაუარესებულა, ისეთივეა, როგორიც ადრე იყო;

გ) ამ საკითხზე არ მიფიქრია.

4. გესიზმრებათ თუ არა კოშმარები?

ა) დიახ, ზოგჯერ;

ბ) არა, ძირითადად სასიამოვნო სიზმრებს ვხედავ;

გ) სიზმრებს საერთოდ არ ვხედავ.

5. გარდაუვალი სიბერის შიში ხომ არ გაქვთ?

ა) უსიამოვნო გრძნობა მეუფლება, როცა წარმოვიდგენ, რომ დავბერდები და დავუძლურდები;

ბ) ნებისმიერ ასაკს აქვს თავისი უპირატესობა;

გ) ეს სრულებითაც არ მაღელვებს.

6. გჯერათ თუ არა განსაკუთრებული ნიშნების არსებობა ანუ ხართ თუ არა ცრუმორწმუნე?

ა) მჯერა ამ ნიშნების არსებობა, რადგან საკუთარ თავზე არაერთგზის დავცადე;

ბ) მხოლოდ კეთილი ნიშნების არსებობის მწამს;

გ) ცრუმორწმუნე არ გახლავართ.

7. მართალია თუ არა, რომ ცუდ ამინდში ადამიანს შრომისუნარიანობა უქვეითდება?

ა) დიახ, ასეა, ცუდ ამინდში ადამიანი მოჟამულ ხასიათზეა და ხელიდან საქმეც არ გამოსდის;

ბ) ცუდ ამინდს ყურადღებას არ ვაქცევ;

გ) ცუდ ამინდში გამამხნევებელი საშუალების გამოძებნას ვცდილობ და საქმეებს საკმაოდ კარგად ვუმკლავდები.

8. სარკეში ყურებისას, რაზე ფიქრობთ ხოლმე?

ა) სამწუხაროდ, წლებს თავისი მიაქვს;

ბ) სახეზეც მშვენივრად გამოვიყურები და ფიგურაც შენარჩუნებული მაქვს;

გ) მართალია, ღმერთმა ტოპმოდელის გარეგნობით არ დამაჯილდოვა, მაგრამ მომხიბლაობა ნამდვილად არ მაკლია.

9. საკუთარ ნაცნობებზე რას ფიქრობთ ხოლმე?

ა) სასურველია, რომ ისინი უფრო საინტერესო და გულისხმიერი ადამიანები იყვნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან;

ბ) ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან!

გ) მართალია, ისინი უნაკლოები არ არიან, მაგრამ საერთო ჯამში, საკმაოდ სიმპათიური ადამიანები არიან.

10. როგორი განწყობილება გეუფლებათ უფრო ხშირად საღამოხანს?

ა) უკმაყოფილებისა და სიცარიელის;

ბ) სიხარულის;

გ) კმაყოფილების.

დააჯამეთ ქულები: პასუხების ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 0 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 3 ქულა, „გ“ ვარიანტში — 1 ქულა.

ტესტის შედეგები

0-7 ქულა: თქვენს ხასიათში მინორული განწყობილება ჭარბობს. ხშირად გეჩვენებათ, რომ ადამიანები სათანადოდ არ გაფასებენ და არც ბედი გწყალობთ მაინცდამაინც. ალბათ, მართლაც, უკეთესი ხვედრის ღირსი ხართ, მაგრამ დაფიქრდით, რას აკეთებთ მის მოსაპოვებლად?

8-14 ქულა: საოცრად გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით: არც სასოწარკვეთილებაში ვარდებით და არც მძაფრი ემოციები გახასიათებთ. ცდილობთ, ცხოვრება მიიღოთ ისეთად, როგორიც ის სინამდვილეშია. მართალია, ამგვარი მიდგომა გულგატეხილობისა და იმედგაცრუებისაგან გიცავთ, მაგრამ დიდ წარმატებას არ გიქადით. გამოავლინეთ სულ ცოტა მეტი ოპტიმიზმი და საკუთარი ძალების რწმენა და უამრავი სიხარულის მიზეზიც გამოგიჩნდებათ.

15-30 ქულა: სიცოცხლის სიყვარულითა და ოპტიმიზმით ხართ აღსავსე: წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას არ აქცევთ. სამაგიეროდ, წარმატების სიხარულს საკმაოდ მძაფრი ემოციებით გამოხატავთ — ოღონდ, ზოგჯერ ფაქტებისადმი მაინცდამაინც ობიექტური მიდგომით არ გამოირჩევით. ეცადეთ, უფრო ობიექტურად შეაფასოთ ადამიანებიცა და მოვლენებიც.

1 ტყის ყყჩო, ორდასალამი
2 ქიმიური ელემენტი, ლითონი
3 სასიმინდე
4 ნოეს ერთ-ერთი ვაჟი
5 თიხის ფართოპირიანი ჭურჭელი
6 სახელმწიფო ევროპაში
7 ირანის ფულის ერთეული
8 მახრჩობელა გველი
9 შოტლანდიელ მამაკაცთა სამოსი
10 ლაოსის ფულის ერთეული
11 თითი
12 ამერიკის შტატი
13 დაბა სვანეთში
14 მონადირე ძაღლის ჯიში
15 ერთგვარი ხვეული ნამცხვარი
16 მთლიანი ქვის ლოდი
17 მმალი, დაუკოდავი თხა
18 საცალფეხო გზა
19 მუსლიმანთა ღმერთი
20 აუქციონზე გასაყიდი ნივთი
21 შექსპირის ტრაგედია
22 სახელმწიფო აფრიკაში
23 იგივეა, რაც ხაზი
24 ვიოლინოს ჯოხი
25 ოფიცრის წოდება
26 იაპონური ჭიდაობა
27 ტკბილი კარტოფილი
28 ფრანგი ფერმწერი
29 რეპუტაცია
30 კვიპროსის დედაქალაქი
31 აზიური ველური ცხვარი
32 კედლში ჩასმული სკულპტურა
33 „ჰრანდრე ჯანიანის" ავტორი მოსე ...
34 სამხედრო საჭურველი ძველად
35 მხედველობის ორგანო
36 ზღვრული ნორმა
37 ფოთლოვანი ხე
38 ფრანგი კომპოზიტორი
39 იტალიური ავტომობილი
40 იტალიის ფეხბურთის გუნდი
41 მშვილდის ბაწარი
42 დიდი ჩაქუჩი
43 ძვირფასი ქვა
44 ჩახურებული ფქვილი
45 უმოტორო საფრენი აპარატი
46 კუნძული ხმელთაშუა ზღვაში

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ჟაკანი; 2. კავლი; 3. ჰავაი; 4. ვილიარეალი; 5. ოსანა; 6. პროკოფიევი; 7. ლავაში; 8. ლაოსი; 9. ბონი; 10. ლისაბონი; 11. სოფელი; 12. სირჩა; 13. სინა; 14. დრეკი; 15. საფარი; 16. სიბილა; 17. ანა; 18. ბი; 19. შტაბი; 20. ჩაპეკი; 21. მალავი; 22. კისკისი; 23. ყასაბი; 24. პარანგონი; 25. საბო; 26. აბაშიძე; 27. ონი; 28. მონა; 29. ირისი; 30. იმრე; 31. რანდა; 32. ისლამი; 33. სურა; 34. რადარი; 35. ავტობუსი; 36. მანტია; 37. დასი; 38. იაკი; 39. პინა; 40. სანიტარი; 41. თოდაძე; 42. მაკარე; 43. თელა; 44. დოლარი; 45. მაო; 46. გობი; 47. იჯარა.

სურათზე: ჟულიეტ ბინოში; პიერ რიშარი.

33 -ᲔᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ: 1 - Ა; 2 - Ა; 3 - Ბ; 4 - Გ.

MK

მესაფლავემ საკუთარი თავი დაისამარა

62 წლის ჰოლანდიელი, ქალაქ ცვოლეს სასაფლაოზე სამარეს თხრიდა, როდესაც უბედური შემთხვევა მოხდა. ვაგონეტი, რომელშიც უიღბლო მესაფლავე ორმოდან ამოღებულ მიწას ყრიდა, მოულოდნელად გადაბრუნდა და საწყალი კაცი მიწის სქელმა ფენამ დაფარა. საბედნიეროდ, შორიახლოს სხვა მესაფლავეც მუშაობდა, რომელმაც კოლეგას დახმარება გაუწია. მან კონტეინერის გადაგორება მოახერხა და დაზარალებულს სახიდან მიწის ფენა მოაშორა. ამის წყალობით, ცოცხლად დამარხულ მამაკაცს სუნთქვის საშუალება მიეცა. ცოტა ხანში კი, მაშველთა ბრიგადამაც მოუსწრო, რომლის წევრებმაც „ცოცხალი მიცვალებულის“ მთლიანად გათავისუფლება მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შეძლეს. შუბლზე მოზრდილი კოპის გარდა, მესაფლავეს სხვა ტრავმა არ მიუღია.

მარიხუანა – შვილის წახალისების მეთოდი

პენსილვანიის შტატის მკვიდრმა ქალბატონმა, შვილის წასახალისებლად, სრულიად არატრადიციული მეთოდი გამოიყენა. 13 წლის მოზარდი საშინაო დავალების შესრულებისათვის, დედისგან ჯილდოდ მარიხუანას იღებდა. ამანდა ლინ ლიველსბერგერმა სასამართლოზე აღიარა, რომ დედაშვილი ნარკოტიკს ერთად ეწეოდა. უფრო მეტიც, ქალბატონი მარიხუანას შვილის 17-18 წლის მეგობრებთან ერთადაც ეწეოდა ხოლმე. ერთ-ერთმა მათგანმა სასამართლოზე განაცხადა, რომ ეს ქალბატონი მას ჰეროინით ამარაგებდა. დედამ შვილს მარიხუანა პირველად 11 წლის ასაკში გაასინჯა და მას შემდეგ, პერიოდულად, საშინაო დავალებების დროულად შესრულებისთვის ჯილდოდ აძლევდა. ამანდა ლიველსბერგერს მცირეწლოვანთა გარყვნა, ნარკოტიკების შენახვა და გავრცელება ედება ბრალად.

ბრიტანეთში ციხეებში მოხვედრის მსურველთა რიცხვი იზრდება

ბანკის გაძარცვის მცდელობაში ბრალდებულ ბრიტანელ მამაკაცს დანაშაულის ჩადენისას უჩვეულო მოტივი ამოძრავებდა — მას უბრალოდ, ციხეში მოხვედრა სურდა, რათა ლუკმაპურის შოვნაზე აღარ ეზრუნა. მანჩესტერის პოლიცია იუწყება — როდესაც გაეტან როი უმუშევარი დარჩა, ეშმაკური გეგმა შეიმუშავა, გადაწყვიტა, ბანკი გაეძარცვა, შემდეგ პოლიციას ჩაჰბარებოდა და ციხეში მოხვედრილიყო, სადაც თავზე ჭერი, საკვები და სამედიცინო მომსახურება გარანტირებული ექნებოდა. გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება ერთი იყო! დღისით, მზისით როი ერთ-ერთ ბანკს მიადგა და მოლარეს ასეთი ბარათი გაუწოდა: „ეს ძარცვაა. მთელი ფული პარკში ჩააწყვეთ. ხმაურს თუ არ ატეხთ, პრობლემები არ შეგექმნებათ!“ მისი მოთხოვნა მოლარემ უსიტყვოდ შეასრულა. მძარცველის ნადავლმა 1.000 გირვანქა სტერლინგი შეადგინა. როდესაც შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები მივიდნენ, მათ გაეტან როი ბანკის შესასვლელთან, საკუთარ მანქანაში მჯდომი აღმოაჩინეს. ჩხრეკისას დამნაშავეს ჯიბეში ნაძარცვი ფული და წერილი უპოვეს. „მას სამხილის დამალვა არც უფიქრია“, — ამბობს სერჟანტი ლოდი დოიტი, რომელიც დამნაშავის დაკავების მომენტს ესწრებოდა. მოხერხებულმა უმუშევარმა დამნაშავემ მიზანს მიაღწია — მას ძარცვის ბრალდება წაუყენეს და სულ მალე გისოსებს მიღმა, „პანსიონატში“ ამოყოფს თავს.

იაპონური სენსაციი სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

3	5	9	1	2	4	8	6	7
8	1	4	6	7	9	3	5	2
6	2	7	8	5	3	1	4	9
9	8	2	7	4	5	6	1	3
7	6	5	3	9	1	2	8	4
4	3	1	2	6	8	7	9	5
5	7	8	9	1	2	4	3	6
2	9	3	4	8	6	5	7	1
1	4	6	5	3	7	9	2	8

3	9	6	8	5	2	4	1	7
1	7	4	6	3	9	2	5	8
2	8	5	7	1	4	3	6	9
5	6	9	1	2	8	7	4	3
4	2	1	3	7	6	9	8	5
7	3	8	4	9	5	1	2	6
9	5	7	2	6	1	8	3	4
8	1	3	5	4	7	6	9	2
6	4	2	9	8	3	5	7	1

8	6	1	7	4	5	9	2	3
3	4	7	1	2	9	8	6	5
9	2	5	3	6	8	1	7	4
5	3	9	6	7	1	2	4	8
4	1	2	5	8	3	7	9	6
7	8	6	2	9	4	3	5	1
2	7	8	4	1	6	5	3	9
1	5	4	9	3	7	6	8	2
6	9	3	8	5	2	4	1	7

* მარტივი

2			8			7		
		8	3	7			2	9
9	6				2		3	
	2		7			5	1	
	3				8		7	
	5	9		4	1		8	
	9		1				5	8
3	8			5	4	1		
		5			3			2

** საშუალო

		5			6	9		
8					2		1	
4				3				6
		4	9	2		5		3
3					7			1
9		6			3	4		
1				5				4
	2		8					9
		9	3			7		

*** რთული

	4				6			1
9			2			5		
		1						
	9					7		
		3		6		4		
		8	9				2	
						3		
		5			1			6
1			8				7	

ფოტოკუთხეები



პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

TB STARS

b 123/34

საშემოდგომო ფასდაკლება 15 ოქტომბრამდე

ბინები 400$-დან

ბინა შენდება PASCHAI-ის (გერმანია) სამშენებლო ტექნოლოგიის სრული გამოყენებით

ღიმაღლელი — M ..... M — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 57 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული, კეთილმოწყობილი ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია
თითრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")